



# რიტუენატუნა და ხეროუნება

N8  
8/2007

*წიგნის*

გურამ ღოჩანაშვილი

*თეზის*

ლია რუსიაშვილი

*სახელწიგნის*

ზურაბ ქაფიანიძე

*მსჯელობის*

ოთარ ჩხარტიშვილი

*თარგუმანი*

ელზა მორანტა

*ანტიკვი*

გიორგი შატბერაშვილი

*მკვლელობის*

დათა გულუა

1522  
2007





ოთარ ჩხარტიშვილი

კოლაჟი



გიორგი კორტიცი



კოლაჟი



სუნუკა

# რიტენატუნა და სეროვნება

N8(20)

08/2007



ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:  
VAZHA OTARASHVILI  
Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:

**ვაჟა ოთარაშვილი**

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი

მდივანი

ზურაბ თორია

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი

მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა

ოთარ ჩხარტიშვილი



ჟურნალი გამოდის  
სულიერების, კულტურისა და  
მაცნობარების ალტერნატივისა  
და მანეთობების

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის  
საერთაშორისო  
საქველმოქმედო ფონდის  
და



ნაფი ოჯახის კლინიკის  
მხარდაჭერით

ს ა რ მ მ მ

*ქრომა, ლოგოს*

- 3 გუჩამ დოჩანაშვილი - ჩაც უფრო მახსოვს,  
და მეტად მაგონდება /იომანი/  
17 ილია ხუციაშვილი - დეუსები  
19 დუხმიშხან გიგოლაშვილი - ანკაპუნე /მოთხიხობა/  
36 შადვა საბაშვილი - დეუსები  
38 ილია ბახაშიძე - დეუსები

*თარგმანი*

- 40 ელზა მოხანაძე - ანდალეზიუხი თავმადი  
/თახგმნა ნუნე გელაძემ/

*წერილები*

- 58 ლეილა მესხი - „სიყვავილია მახადი“

*სახიობა*

- 63 მუხან მაჭავახიანი - დამხმომიანი ვაუჯაცი  
63 ედეაი ნაფიხაძე - ქვემსახიყად სახაღბო  
64 ბაგი ქუთათელაძე - ზუხაბ ქაფიანიძეს  
65 ხათუნა ჩაჩანიძე - მზიანი გედი  
/ზუხაბ ქაფიანიძე/

*მხატვრობა*

- 68 დავით ანფიხაძე - მუხუთე აფთაიხი  
/ოთახ ჩხახტიშვილი/

*მეცნიერული მჭე*

- 76 დათა ბუჯა - დეუსები

*ამიქვიტადან*

- 79 გიორგი შატბუხაშვილი - ვახუნოთ, ვუთხათ ქება...

- 84 დოტოაჩივიტადან

საქონლუფროსი სანძღო:

ქაბუა ამირჩიანი, ხაჩანა ზრუჟაძე, ნანი ზრუჟაძე,  
ბონაზ ზრუჟანიშვილი, თაყა ზურაბიძე, მაყაღაა ვინაშვილი,  
ნათელა ურუშაძე, ჭანსუღი ჩანკიაძე, თეიმურ ჩხეიძე,  
თამაზ ჩხენკელი, ვაჟი ქრისტეიძე.



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ  
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ  
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და  
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



# გურამ გოხანაძე

## ხაც უფრო მახსოვს, და მესად მაგონდება:

(ეგრეთწოდებული  
„ავტობიოგრაფიული რომანი“)

(გავრძელება)

თავი VI,  
სადაცა:

24926

აპა აპაპი აპირავს-ჟანვლი-ჟოვასი;  
თუ რომორა სრულიადაც ვპლათ I აურსი და  
სოლთ II აურსის საჟიოდა თვა რაღანაც, გე-  
რა? — „კაპაჯი“ და აპირათვა ზადაც ორთა-  
ჟალური გინოსავ-„კაპაჯი“ და ივითი ჟა-  
ნი...

დაბანების იხ. №1,2,3,4,5,6,7/2007

საქართველოს  
პარლამენტის  
გენერალური  
სამსახური

დიდად უცნაური ის იყო, რომ ვოვა, როგორც — აი ახლახან როგორც იქნა და განელი-  
ლად-განელილ V თავში აკი მოგახსენეთ რომ —  
ნამდვილი ზაქი, საქმე საქმეზე თუ მიდგე-  
ბოდა დიდად სპორტული იყო. ფიზიკურადაც  
გამორჩეულად შემძლე გახლდათ (პროფესი-  
ონალ შტანგისტ-სამშისტებს არ ვგულისხმობ  
არამედ — „მოყვარულებში“) თუმცა საგან-  
გებოდ არასოდეს უვარჯიშია. მისი წერთნა  
ფეხბურთის ეგრევე თამაში (არაერთიარი ნი-  
ნასწარული „მოთელვა“), პირდაპირ ცურვა,  
დოსტოლრიე ჩხუბი და ასე შემდეგ, იყო; გან-  
საკუთრებით სპორტის მოყვარული სახე-  
ობანი ხიბლავდა კი არა და, სუნთქვას ჩაუნ-  
თქავდ-უნთქავდა და პირველად რომ ოკეანის  
უზარმაზარ ტალღებზე სერფინგზე ამხედრე  
ბული მსრბოლები ნახა? — მთლად გადარევეს  
იყო პირდაპირ ნეტა მანდ რად არ ვარო, არა-  
და, აქვინ დოუსატავდა ოკეანესა და ხუთ-ექვს  
მეტრიან ტალღებს, ხოლო აივაზოვსკის (ანუ  
აივაზოვს კურ-აივაზიანის) ტალღებზე ვინ მი-  
ასუნინებდა ნახატზე გინდაც შესაძლებელი  
ყოფილიყო მესერფინგეობა და, მოწყენილო-  
ბას, იყო; დელტაპლანზეც, გადარიდა — ვაჰხ  
რა ბედნიერება იქნება, ესო... ფრენა... „უში-  
შარ“... ობის განსაკუთრებული სახეობა ჰქონ-  
და მიმადლებული — იმა აშკარა, მთლად-გა-  
მომჟღავნებულ შებერტყილობებთან ერთად  
თან გონება-კარგა-გამჭირახიც ვახლდათ  
— მთლად-დააძაბული ვითარებისასაც მდგო-  
მარეობის საკმაოდ აშწონ-დაშწონი... მერე,  
„დიღობა“ში უსერფინგობას და უდელტაპლა-  
ნერისტობას ცოტათი იმით იქარევედა რომ  
თბილისის ზღვაზე რაღაც სპორტულ-კლუბი-  
ვით შენობაში საერთოდ გადასახლდა და იქ  
გლისერის შემწეობით წყლის თბილამურებით  
თავდაუზოგავად დასრიალებდა გრძელ-საა-  
თობით კინაღამ არ ვთქვი „რადა თქმა უნდა  
წყალზე“... მუშტაიდური პარაშუტით ხომ ძა-  
ლიანაც ხშირ-ხშირაობით ხტნებოდა ხოლმე;  
კი.

ერთხელ, უპეკ სტუდენტობისას, ქოკით  
ხტომში შეჯიბრებას ტელევიზორით ჯერ  
მხარ-თეძოზე არხეინად წამოწოლილმა უყუ-  
რა, მაგრამ იქითად აღევხონო რადგან მეჭო-  
კეებისაც ისე ალალა-დ-შეშურდა, რომ, —  
მსწრაფლ წამოიჭრა უჭოკოდაც ზეზე და, მაგ-  
რა რადგან მთლად არა-ვითარს ეგრეთწო-  
დებულ „სპორტული ნრა“ში ოფიციალურად  
მოარული ის არ იყო, სულაც თავანვეტელის  
თავქვე-დაშვებით ჩაიბრინა თავისი სხვა-  
დროს მისთვის დიდად მაღლივი III სართული-  
დან ეზოში (ეს იმ ვოვამ ცხვირწინ მდგარ ტი-  
ქანე რომ გეტყოდა, მომანოდეო; ერთი ის მიკ-  
ვირდა, არასოდეს უთქვამს სიგარეტის მოწევა  
მეზარება და ჩემ მაგივრად შენ ურტყი კაი-ნა-

ფაზებიო...), სადაც რომ სარეცხი ოფიციალურად და დოკუმენტალურად იყო კარგა მომალელო თოკზე ჩამოკიდებული, ხოლო ემ-ვოვამ მიმოიხედა და — დაუინებით მომპოვებელად-მამებარი აკი მოიძიებს და პპოვებს-იპოვის კიდევ — და, აღიჭურვა კიდევ იატაკის სანმენდი ტილოს ასე თუ ისე მოგრძო ჯოხით და, აილო თავისი ეზოს (ეშ რალა ეზო ის იყო რადგან — ასფალტიანი...) პირობაზე უკიდურესად გამოსაქანებელი გამოქანება და, ხოლო ის კი რა იცოდა ჭოკა მეჭოკის აღსამალელებლად მისაბჯენი რამც რომ სჭირდება და, მოკლედ, ის „პოლის-ჯოხი“ ხელებიდამგამოეცალა რადგანაც თოკისა ნაცვლად ეზოს იმამომენტში დაკავებული საპირფარეშოს კარზე ვინმე-შენიღების გულისაჲ შესატყუნებლად გასხლტა და ეძგერა კიდევ ხეურ-ხმაურით ხოლო მან-ა კი, ეგ ზომ-საორტსმენმა ვოვამ პანაზე-მანაც შემალლებლმა თავისი კარგა-პირშიმთქმელურ ტან-სიმძიმით ჩამოხეცბა ის მართალია ყოვლად უდანაშაულო და მაინც შარში ერთგვარად გამხვევი თოკი და თვითონა კი, ახალ-ახალი სიმალეების ახალთახალი სპორტ-იარაღის (ტილოსი-ჯოხი) მეშვეობითა ზეცისაკენა აღწვდელი-სიმალეით დაპყრობებისა ესი მოსურნე სპორტსმენ-მოყვარული ძალიან ყოვლად უპარაშუტოდ რომ დაასფალტდა და გახობილდა-კარგა კიდევ მოურიდებულად პირშიმთქმელურსა ასფალტზე, არა? — თვითონ იმდენი რა უჭირდა, მხოლოდ იდაყვები გადაეხეხა, ეს მე მეკითხა გინდაც ცოტათი, მისსა-სეკუნდანტს, რადგანაც ყოვლად დაუშახურებლად მეჭოკებით ჩემს გზასა (მითომც დალაგებულს) ამაყდინა — სულაც სუსხვადან მიმეჭარებოდა — არამედ აღქმიურსა აფთიაქში წაველ და კარგამარტივიფურაცელინი შეეუძინე ხოლო განსაკუთრებით დეიდა თამარას მოეკითხა: სწორედაც იმას გაარეცხინეს არასამაგალითო მეზობლებმა ჯერაც სოველი და ამიტომაც ეზოს მტვერწყალილი ზენრების კონა და ისეთი-ისე ფერად-ფერად გამომხეურებული რომ — სულღ და გულღ! — დიდ-პოლესებურად ურთიერთმოპირდაპირე ორე-სქესოვანი-ეს საცვალთა მთელრიგი წყება.

ვოვა ტანზედაც კარგა — დაკუნთული იყო („ტანზედაც“ — მეთქი? — მაგრამ შეცდომა არ გგონოთ, ეს, გამომეტყველებითაც დაკუნთულზე ვარესი გახლდათ), — როგორღაც პასრი ღონე ედგა სახეში, სწორედაც რომ იმათავისი თვალეზისადა შესატყვისი — ვოვაუმ, მზერის მიმოტარება იყოდა? — მის გინდაც მცირედ-გაკვრითულად თვალშესავლებსა ადამიანებს თუ ნივთთ, რალაც მაგრამ-აღესილობას ჩაუსე-აუსე-გაუსეამდა-ო თითქოს, და, ერთის შეხედვით, ესა-ზაქი? — თვალებით

რალაც მოზედმეტოსავით ზეგამჭირაბი იყო, მუდამ... ამა საქმისა ნამდვილი გ. რ. (— ანუ გამოსუსნორებელი რ-ეციდივისტი), ეგ!

ტოლიკაც ასეთი-ვ ბუნებრივი ჯანისა იყო... ოღონდ ვოვას თუ თავისა მაინც-ღა-გურულური აფეთქებები სჩვეოდა (...კაცო, მე რომ ვუკვირდები ეს გურულები რაცინდა დიდ-დიდ-ახირებულობანების მთლადაც ავტოდ-მცდელობებისადა მიუხედავად? — მაინც ვერაა გლახა ხალხი განსაკუთრებით იმ შემთხვევაში და მოსაზრებით თუ თავის დროზე... „თავისდროზე“ ო, — ისემც! — ბოლშევიკურად აღგზნებულებს თუ გამოვიციხავთ... არადა, რა სიმღერები ააქვთა, მაინც... ის შერე რა-რო, მოძმ-სომხებისა შანაგანებულად შეთხზულ-დაწერილინი,)... იმას ვამბობდი, ვოვა თუ ალაგ ძალიან-მფეთქებადიც რომ იყო, არა? ტოლიკა კიდევ — ჯერ კარგა აწონ-დანონდა, თანაც როგორღაც განზე ღიმილით, რალც თქმა უნდა სულელ-დაპრისსპირეულის, საქციელს და, თავის სიმართლემი (გინდაც საკმაროდ უცნაურში) თუ დარწმუნდებოდა? — ვაი იმ წინდაუხედეველ-ჰარიფისა, ბრალი... და არც ზარმაციც ხომ სულაც არ იყო.

ესა-ვოვა კი? — ზარმაცი, ზარმაცი-რომ? — ტყუილია, მაგრამ კარგა რომ ებანავა? — სულაც სხვა რესპუბლიკაში გადავიდოდა ჩვეულდერივი სიარულით კი არა და, მთლადაც ყოჩაღურ-ასკინკილათი... იცოცხლე იმან მოსკოვში ვაიხარა სასცენარო კურსებზე რომ გაგზავნეს — სანდუხოების (ზანდუკელების) ბანითი — ორ დღემი ერთხელ მაინც, სუ-იტა იყო... აიი, რისი ორთქლიან-ცოცხებიანი კურსები იმან ნამდვილად გაიარა, იქა.

... მის ახირებულობათაგან, რომელ ერთს მივადგე, ჯერ რომელი, ვთქო...

მგონი ისე აჯოგული რომ, როგორც-რო რაც არეულად დარეულს თვითონა იყო? — ასევე ყოვლად არათანმიმდევრულად, კარგა გადაბტომ-გადმობტნომებით — ოღონდაც ნამდვილი ჭოკით! — და არა ზოგ-ჯოხით, — მოგახსენით...

თემურ ცერცვაძემ რომ გავგაცნო ერთიმეორე, ზავფული იდგა, მეცხრე კლასში გადასულები ვიყავით... ვოვა მგონი VI კლასიდან იყო ქ. მახარაძიდან (ვიღაცა გვაგინებს...) რომ გადმოვიდა უფროდიდ ქ.-სა თბილისში. მამამისი — პატონი, ძია ვასო და ამხანავი ვასალ სიხარულიდ მთელი სესერა-ს რიკომისი მდივნებიდან მგონი ყველაზე გახმაურებულ-ცნობილი იყო თავ-თავიანთებ რესპუბლიკებში. მან მართლაც რომ სამაგალითოდ გამაშვიან-ააყვავა ადრინდელი-და-მომავალა-ც-სახელიანი ოზურგეთი, რალა არ შემატა — თეატრი, სტადიონი, სასტუმრო, ბაღებ-

სკვერები, კეთილმოწყობა და ხოლოკი ვ. ი. ლენინის ორდენები კი? — ლენინსავე გოთვ-პროფილა-თი მგონი თითან პრეზენეზებად კი მეტი ჰქონდა-აქენდა...

რა გარეგნობის კაცი იყო... — ქალთათვის მზე-დღითა და ღამით კი რარეგ მინედავი მთავარ-მთოვარი, ხოლო, საერთოდაც? — თან როგორი მკაცრად კოლორიტული კი არა, კოლორიტულად მკაცრი ეე... ჰო, — ბრძანდებოდა. ამაზე მერე მოგახსენებთ, სხუმის... მაგრამ იმასაც, როგორც მშობლების უმრავლესობას იმასაც ისე ეგონა რომ, ვოვა თავისით კი არ იყო შარის თავი, არამედ სხვა ანუ ესე იგი მე ვიყოლებდი ყალთაბანდობებში და, სწორი ვზიდან ყოვლადაც უკომპასოდ მილიციებისაქენა-ჩასაველელ-დასაველეთისააკენი — მე ვაცდენდი...

ვოვა და მე კი ძალიან უცებ, ერთბაშად დაეძმაკაცდით; ერთხელაც, ფუნეკულიორზე ავევით და იქ კი, კალათურთის მოედანთან ფეხკულტ-ცოცვისა ფიზკულტურული მოწყობილობა იდგა — რკინის ძალიან მაღალი ლარტყა, ორ-ორი ბაგირითა და ლატანით, და, ჩვენი ბიჭურის ყოყლოჩინობითაა, ძაან ევცადეთ რომ, მოგვეწონებინა ერთიმეორისათვის თავი — ჯერ რომ თოკის ბაგირზე რაღა თქმა უნდა ფეხების დაუხმარებლად, მხოლოდ ხელებით ავეკიდებოდით ფეხებით კი "კუთხე" გვეჭირა, მერე კი, მაღლივ, ხარისხზე ჩამოკონხილებულები, ხელთაბ-სვლით რკინის ლატანზე გადავიწაცვლებდით და იქიდან კი, დაბლისაკენ? — როგორულ სწრაფი ჩამოსრიალებით? შერიბერთი... და ისე, მაღლა, ხოლო ერთხელაც — აცოცვბა-ჩამოსრიალებბაში რომ გავვეჯბრეთ ერთმანეთს — აბა რომელი უფრო სწრაფად დავმინდებთ, ო, ვოვამ დროის მოსაგებად რკინის ლატანი უარ-ჰყო და თოკის ბაგირითვე ვითომც ყოჩაღურად ძალიან სწრაფად რომ ჩასრიალდა შუა გზაშივე მწარედ შეჰყვირა მაგრამ რა უშველიდა, დარჩენილ გზად უფრო და უფრო მოედო სატკივარი, რადგან, მეც რომ სწრაფად ჩავსრიალდი ოდონდ რკინის ლატანით, ძალიან შევცდი — ისე გამწარებული უბერავდა ხელისგულუმბს სულს და, რა დავინახე — ხელისგულუმი და თითების გულუმიც მთლად, ერთიანად გავატყავებოდა თოკის ბაგირით და, როგორ შევწუნდი, სასწრაფოდ ნამოვედით, გზად სადღაც შევეარდი და ბოთლით წყალი ვუშოვე და ხელისგულზე დაეუსხი, ოდნავ ვაშა, მოითქვა ვითომ პატარათი სული, მერე რესტორანში ავევრდი და — ვაგონილი მქონდა, კარგიაო — რაღაც პატარა სამარდილი ზეთი ჩამოვურბენინე და ზეთმა მართლაც ცოტათი დაუამა, გადანაყვლეფი, და, შინ რომ მივყვე, ბესიკის პ-ში, იქ დეიდა თამარამ კვერცხის ცილა დაა-

დო იმ სასტიკ გადატყაულობაზე და ექიმიც მოუყვანა და თეთრ თათებად გადაებინტდა ხელედა, ეს შემთხვევა იყო თუ რა, ერთმანეთისადმი რაღაც ახლობლობა მეფიოდ ვიგრძენით, ის მერე რა რომ, მერე და მერე? — მე არასოდეს შეხვედრია ჩვენისთანური ძმაკაცები... — ძმაკაცები კი არა და, მთლადაც ჩასაფრებულადაც და აშკარულად-ც მუდამ ერთთავად დაუძინებელი მოკამათები ვიყავით, არადა, როგორი მართლაცდა ძმა-კაცური, საშწუნაროდ უფრო ახალგაზრდობისას რომ ბევრად უფრო გვეყვია ისეთი განუზომელი ძმობითა და სიყვარულით გვიყვარდა ერთმანეთი და ის სიყვარული ხანგრძლივი დამედურებების დროსაც კი არ გავენელებია, მერე კი, კურსიდან — მანამდე არ იყო ჩვენი ძმაკაცი გურამ ჩხაიძე, რომელიც, ვოვასაც და მე, ერთიმეორეზე უფრო მეტად, უფრო აშკარად გვეახლობოდა — რა ბიჭი იყო... გვეყვდა... როგორ მყავს, ახლაც...


ახლბა კი, ამა-ვოვასი ჰაი-გიდსაურ ახირებულიობებზედ...

რომელი ერთი... — ჰაიდაბა-თაგან...

თუნდაც აი ის, რომ, რაიმე თუ მოენონებოდა და ანდაც თუკი არ მოენონებოდა ისე-უბრალოდ კი არა — არაა! — ან უნდა გადააღტაც-გადაღვროთოვანებულყოფი ანდაც მთლად ზიზლით უკიდურესად დამეტყვადმანტუელიყო, უნდა; ერთხელ რაღაც ესპანური თუ სამხრეთ-ამერიკული ფილმი ნახა — "ბიძაქემი ხასინტო" და, აღერთოვანდა და მერე როგორ, მე კი, ოხერმა, თუმცა ის ფილმი დღემდე არ მინახავს — სისულელეა, და შენისთანა სულელს თუ მოენონებოდა, მეტიც, რაზედც დიდად აღმწფოთვარდა, მერე კი, მომდენოდღეებშიც რა ათვალუნებოთ, კი, კიი, ანტი-აზიზად როგორ მსურავდა ბასრ-ბასრ თვალეებით — შენგან კაცი ვერ დადგებოთ, — ასეთობისა ხენს, კი, კიი, გამამწესა, კიიი, მერე კი ჩემს საბოლოოდ დასანარცხებლად და პირისგან მინისა ააღსაფხვრელად და იგივე მინის პირასობასთან გასასწორებლად კინოხელოვნებისა და, საერთოდაც, ყოველსამხრიულ ხელოვნებათა დარგში, ერთ ჩვევს სკოლელსაც, ა-ასე ჰკითხა:

— შენ ხომ ალბათ ძაანც მოგეწონა ბიძაქემი-ნი ("ბიძაქემი" კი არა, ო) ხასინტო, ო.

კი-ბო, საკმაოდ გულგრილად, იმან. მერედა, რა აზრისა ხარ, თამამად მიპასუხე აბა რად განითლდი რამ გაგანითლა (— განითლდა კი არა...) თუ რასაკვირველია მართლა ძალიან არ მოგეწონა ხოლო-ხომ მართლაც ხომ ძალიან კარგი ფილმი და ლენტი, ო, ხომთა გადასარეუად ნამუშევარი შენ რომ განსაკუთრებით მოგწონს ის ადგილები რეჟისორულადაც და მსახიობურად-ო და განათებლების ასისტენტებშიც მიაყვლა მგონია ზედ, აც, იმანაც, კითხულმა, ასე ძრიალად მონდომე-



ბული ვლადიმერა რომ არ გაენბილებინა? — კი-დათანხმა მაგრამ ისე მოწონლოვთებულ-ენებათაღელვა-ყოვლად-უქონვლოდ რომ ეტყობოდა მთლადაც ქვემოთა კიდურთაგან ორგანა-მაინც ეკიდა ისი-ფილმი, მაგრამ მაინც უთხრა ამკარაულა-გულგრილათე, კი:

— კი,-ო,  
დაა,  
ოვგამ,

ისე ძალიან აღფრთოვანებულმა ამ გინდაც-მოკლე ორბგერიანი პასუხით იმდენად-რომევე მთლად ვერ-შემცნობმა იმისი კულტ-ენება-თუქონლობისასი, ის ბიჭი სადღაც თავისა-საკენ სწრაფად რომ გაეშურა — კიდევ რაიმე არ მკითხოსო — ხოლო ვოვამ კი? ამჩემისთანა უგემოვნოსთან მარტოკლმ-შთენილმა? გული იმითი მოიხა რომ, დიდ-მოხიბლულმა გააყოლა ალტაცებისაგან კიდევაც-ვუმფრო გაბასრებული, თვალი, და:

შენ ნახავ, ეგა ცხოვრებაში რამდენს რამე-სა მიაღწევს,-ო,

და,  
მერე კი, მევე, შემომხედააა და? —  
მისი თვალების სანიერში? მისი აზრით, მე, —  
ყოვლად ნულ-მ-სა?,  
ბასრი კი არა და მთლადაც ბლაგვი, მიბობა,

მგერა:  
აბა შენსავით კი არ გადაჯიშდება და გადა-  
შენდება,-  
კი,  
ასე იყო.

...  
მაგრამ რომელს არა გვაქვს თითო ნაკლი და, დამთვრალზედაც და ნაბახუსევარს — „პახმელია“-ზედ? — როგორაც ბერნი, ისიც კარგა-მოზრდილად კიარადა, მთლადაც სრულიად აკადემიურ-ბლანტი, იყო.

მაგრამ,  
რაიმეს თუკი დაიფინებდა? ვუხ-ვუჰხ და, ავუუჰხხ...

ერთოვლაც, ასე-45 წლის ვოვასთან ვარ და, მოვიდა მასთან დიდად აღელვებული მისი ერთ-ერთი გურულ-აბლობელი და, არიბა ბიჭო, ვო, პასპორტი დამეკარგა და მიდი აბა და გეინძერი ელანძე რასან ძალიან მჭირდება და დევილუკები ზეგემე თუარ გააკეთებოევ და ეილა გამომოფს საზღვარგარეთ და უთხარი იმშენ მილიციაში — „იმშენ“ იმიტომ, რომ, ი-გურულისა რაიონის მილიციაში ვოვას სოფელელი, ბუკისციხელი კაცი მუშაობდა უმფროსად... თუმცა, ამაზე შემდგომ, ჯერ კი იმას მოგახსენებთ,

რომ,  
ვოვას ძალიან გასაოცარი, როგორ წყალობად მიმადლებული ნიჭი ჰქონდა იმისა რომ ყოვლად ძალდაუტანებლად, როგორღაც ძა-

ან-ბუნებრივად ირგვლივ სუყველა მოეწინაა (შურიანებისა და გულდრძო ხეარეებს-გარდა), და, ადრევეც მოგახსენეთ, ერთი და იგივე საქციელი ერთი რომ დამდაბლებულბად წარმოგვიდგენს? — მეორეთ პირიქით, როგორღაც ამშვენებთ, ასე მაგალითად ვოვამ სულ არ იცოდა რა იყო ვალის (უფრო სწორად, ფულის) დაბრუნება და ეს იმ ძუნებსა და თაღლითებსავით კი არ მოსდობოდა რომელთაც რომ კი აღარ იციან ვის და რამდენად მეტი ასწაპნონ და შეიტყაპუნონ, — არა — ისევე როგორც თვითონ არასოდეს დაიბრუნებდა არავისაგან არაფერს — ფული სად ჰქონდა გასასესხებელი, კეთილქმედებად ჩადენანი კი — რამრავლად, გამოუვლად ჰქონდა და ასეთი-ე-ეგონა, სხვაც, და უფრო მეტიც — ვალის გასტუმრებას ხომ არავითარგ ზის გადაწყვეტდა, რადგანაც, დარწმუნებული იყო რომ ამით დაამცირებდა მეველეს (მეფულეს) — ამას როგორღაც სულ თავიდანვე, წინასწარი მართლმადიდებლური ქრისტიანობით გრძნობდა და სწადიოდა კიდევ თუმცა ათთავან ერთ-ერთ მცენებას, ბევრ აბლობელივით, ის მგონი ყველაზე მეტად არღვევდა, ჩვენში; მაგრამ რა ექნა, თვით ესაც კი მიუტევებელ ცოდვად არ ჩათვლებოდა, სოციალისტიზმისასა, — ჯერ ახალგაზრდა იყო და, ჯერ ვერიცოდა ქრისტიანობა, თუმცა, მერეცა-ღ... მაგრამ რა ექნა — არკი ვამართლებახლა, აქედან, მაგრამ, ძალიან ძნელი სათქმელი იყო ვოვას უფრო მოსწონდა ქალები თუ ქალებს უმფრო — ვოვა, ამაზეც, შემდგომ,

მაგრამ რაღაც საოცრად განიცადა, ერთმა დიდად პატივმოყვარე გოგონიმ რომ მიატოვა რადგან ვოვასი გვერდით დიდად ფრთებ-შეკვცილი იყო დიდ-ნებიერად გაზრდილი, ვოვა ამ-მხრივე სულ ჯონდოს არ ჰგავდა? — იმას ოლონდვი ჩემსავით ვერა-მოგრამატიკე ოლონდაც ქალი ეშოვნა სადმე, და? წინადაკარგულზე, იოტისოდენას, იდარდებდა? იდარდებდა და კი არა და, —

მთლად თავიქუდში;  
ვოვამ იცოდა ასაკითა და ხელობით დიდად განსხვავებული ადამიანების ასე ვთქვათ „შემბა“ მაგრამ თაღლითობით კი არ სწადიოდა ამას, — მომიხიბლავი, იყო; ასე მაგალითად ფ-ქს ძერჯინსკის სახ. კლუბის ადმინისტრატორს, ჩვენზე რამდენად უფროსს და სხვებთან ძანანაც-ძანან მკაცრ შალიკოს ვოვასათვის მუდამ დია ჰქონდა კვბ-სიც კი კლუბის საშხაპეთა (ოლონდაც მხოლოდ კაც-მამაკაცთა)კარი; უმაღლესი სასამართლოს შენობის ნახევრადსარდაფში მომუშავე პარიკმახერ ედოვას ასე ეკირაში-ორხელ მუდამ აპატიუნებდა თავს აეროპორტის რესტორანში სადაც ედვიკასათვის მომადლოებლად უსაყ-

ვარლეს სიმღერას — „Дымок от сигареты“-ს მღეროდა ვიღაცა კაცი თუ პირიქით — ქალი, ეს აღარ ვიცი, იქ არ დავყავდით — ედიკა მხოლოდ ვოვასათვის იყო ხელგაშლილი და ჯიბეგახსნილი ოლონდაც ორსა კვირაში — ერთხელ, ესა ორი რამ ახ. ნელთაღრიცხვის XX სოც.-სა საუკუნისა 50-60-ან წლებში ნამდვილად მაკლდა: „Дымок от сигареты“ და კაგებუმი „прогулка“-დ გასვლა თუმცა ამ-ამა უკანასკნელს მაინცდამაინც არ აქებდნენ ახლა კი ვოვას რამოდენიმე საქციელზე გიამბობთ ნამდვილს — როგორც ყოველთვის, მიყვარს სიმართლე გინდაცდა ძნელად დასაჯერებელი,

ოლონდ იმ პირობით გაგიმხვლთ ვოვას საქციელთ? რომ, —

უნდა მენდოთ, რადგანაც, რადგან მიეტყვებოდა სხვადასხვაგვარი ახირებანი,

კი, ასე მაგალითად, რა უნდა ექნა ამაზე (თუ, — იმაზე? რადგან წარსულსა იყო და დროს ჩაბარდა) უმცრო ვარესი, როგორიც იყოი...

თუმცა, ჯერ ნაკლებ მიძიმედ-დასასჯელ ცოდებათთვის, მაგალითთაგან, ამა-ვოვასი ერთ-ერთულას, მის... — მის არა, მისის... პირიქით, კაცო — მის-ებსაცა და მისის-ებსაც იქით მოსწონდათ ეს ხან ზაქი და ხან ცეცხლი, კაცო,

მრავალთაგანა? — ერთ-ერთს გიამბობთ რაც შემძლია წყნარათ, ჯერე:

ვოვა ვინმეს თუ უჭყუნდებოდა, წასული იყო იმისი საქმე გინდაც მთელ ოთხ-ხუთ საათში — ვოვა ხომ აკი სიჯიუტითა მიზან-მსწრაფლური დიდად, გახლდათ — არადა, საკბილოსავით (შემთხვევით არ ვახსენებ მე სიტყვას ამას პატარა ხანში დარწმუნდებით, კი) რამდენად სჯობდა ეგრევე-სწრაფად და-თანხმებულიყო რადგანაც ვოვა მხოლოდღა ჩვეულებრივად-რიგითი ნურბელა კი არ იყო შესაჩენ-ებელისა-და-გამოისობით (აი, ხომ ხედავთ, როგორღაც იქით ვტყუასავსავით და ვადანაშაულებ ვოვასი მსხვერპლს — კარგა-ობური ვაარა, მენე-ც, მამ რა ვიქნები ემა-ვო-ვასი ჰამხანაგი, ჰა?..), არა, რაღაცა მთლად ზვიგარნივით (ისიცა აკი წყალურ-სითხეთა ბინადარია) ნურბელი იყო; ასე მაგალითად:

ერთიც ნაცნობი სტუდენტი გვყავდა სტუდენტობისას, არ იყო ურიგო ბიჭი მაგრამ თითო სისუსტე რომელი აღარ გვაქვ როგორ არ გვაქვდა და, ოქროსი კბილი კამკამ-ბაჯალ-ლოდ ექნა წინა კბილის-ფართზედ და, და ძალიანაც ეამაყებოდა, გაყიდულ-იყო, ძალიანაც რომ ეამაყებოდა ამ ურიოზოდ შუმი-ოქროსი ესეკბილი და, ამიტომაც მთლადაც

წინადა-ილიმებოდა ძალისძალითი, განსაკუთრებით? — გოგუებსთან, რაღაცა კნისურ მავრამე-მინცა ებრეტუტუშობასავით (ოქრო აკილა არა ცვდება) უბადა, ამით, და, ერთხელაც ჩვენ-სამს — ვოვას, ცალ-გადასარევედ კბილიანს და მე ძალიან გვინდოდა რადგან ძალიან მოგვიანდა რომ დაგველია, დალევა, კიი, და ხოლო ფული კი? — ვერ გვეკონდა, ვერა, აგრე იყო, კი, თუმცა რაღა „კი“ — არა გვეკონდა, ეეჰ... და, მივდექით, მოვდექით, და ვერსად ვე-მოვეთ თქვენ ხელის ჭუჭყი ეახებთა და — ხელის ნაღღურად-ნაღდი სიამავე ხოლო ჭუჭყით კი — კუჭითვი იყო, ანტი-როგორ-ანტიპი-გიენობა ფულით კუჭიზა, კი, და, ვოვა ბოლოს ერთ ნაცნობ ოქრომტყედელთან ჩავიდა თბილისის ცენტრშიღებულ „ურიების უბანი“-ში და, მივადექით ჩვენა-სამნი იმ-ნაცნობისასაც სამკაციაინსა ჯიხურ-ბუდრუგანას, ჰანანკინ-ტელა საამქროს-რამს და, როგორღაც მთლად სამთავნივც შევეტით იმა მოუცქეწულობაში და, მავრამ რად გინდა —

იღვცა იმან მშობლიურების სუყველაფერი და, ისიცა თქვა თუ ვიტყუილებოდე ჩემ კიბე-ზე ამოვიღეს ბალახი შაურ-კამიკი არა მაქ-სო ტროლიებუსი ბილეთითივინო და, არც ამჩემ ჩემის-ძმაცაცებ-ხელოსნებ-მასტერებ-ამხანაგებ-საცაო, და, იმდენად ისე ეტყობოდა მტკნარ სიპართლეს რომ ამბობდა თხა რომ თვით ზეექვიანმა ვოვამაცკი დაუჯერა და, გამოვედით, მხრებჩამოყროლინი, მაგრამ იმ-კბი-ლიანმა მთლად უღიაჯოდ და მავრამ მაინც რომ გაიღიმა, ვოვაი არქვე უეპირად შევდა და თანაც მკვეთრად რადგან აშკარად დაეტყო რომ რაღაცა ჰაზრი მოუვიდა სწორედაც თავში აბა სხვაგან სად, თუმცაღა, ესე? — ესი-ჰაზრი? — თვალითა, თურმე, მოუვიდა რაღაცა აზრი თვალიდან თავში კაცოო, და, მიიხრა — წამო მივბრუნდეთ რაღაც უნდა გავარკვიო, იმკბილიანს კი — შენ აქ იდექი, ატანდაზეო (ახლა არ ვიცი ისევაც თუ იმზარება მავრამ „ატანდა“ მაშინ, ჯელიობისას-ჩვენს ერთგულ-გუშავს და რაიმ-საფრთხისა შემატყობინებულსა ჰინიშამდა, კიი), და, ჩვენ კი-შეეპირუნდით იმა ყოვლად გაღბეილ-გამოფხებულ-ჯიხურშიოქრო-ვერცხლისასავლო-სანთან მავრამ ისი-კი, ჩვენი მესამე მავრამ კბილითპირველა ისეთი დაშინებული ამსიტყ-ვე „ატანდა“-თი, ამ ტრმინითა, რომ მეგონი ვეღარცკი იღიმებოდა თავის-თავისა-თავმო-სანსორობის გამოსაჩენად კბილიც ხომ აკი თავში შედის ცხვირის არ იყოს და, ამ ვოვამა კი, იმ ხელოსანსა? — ცოტათი ოქრო რომ ვი-შეო, გამისალაბებ?-ო, და იმანა კი: ცოტას რო-გორ არ გაგისალაბებ აქვეა კიდევ ჩვენი ცხვი შენ ოლონდ ასგრამობით არ მოიტან-ო, და, თურმე, ვოვიკს,

თურმე აი რ ა,  
ჰსდებიყო, გულში:  
რომ გამოვედით? — იმა მოყმემა პირტიტ-  
ველაბა და მაგრამ იქვე — ოქროსკბილაბა  
ჯერკი შეებითა გაილიმა „ატანდაზე“-დ რომ  
არ მიდგა საქმე, მაგრამ სად იყო თურმე, შეე-  
ბა, რა იცოდა თუ, თუ-რა ელოდა:

ანა ვოვა? — პატარა ხანს კი-ჩუმად  
იყო, ხმას არ იღებდა, მაგრამ, — რა ვიცოდი  
თუ ძალას იკრებდა, გეგმებს აწყობდა, თურმე  
— დაა, მერე კი, რომ მიადგა და მიადგა იმა...  
— დავარქვეთ იმა-კბილანსა პირობითადე —  
„ყმანვილი“, და, ჯერ შემპარავად ყმანვილსა-  
იმას: „ბიჭო რად გინდა აიეგ კბილი, მთლად  
თავსა გჭრის“-ო; შაა?-ო, იმან, არ დაუჯერა,  
ყურს; შაა და რაო და, გარცხენის ბიჭო-ო შენ  
ეგ კბილი-ო; ვითომ, რათა-ო? — ყმანვილმან,  
იმან; რათა და, სწორედ მაგ ოქროთი იყიდები  
რომ კბილები ვერ გაქვს მთლად წესრიგში და  
როგომელი-და, გაკოცინებუ გინდაც მახინჯი  
გოგო გინდაც უბრალო მაგრამ კბილისა შო-  
რიახლო შუბლ-ლოყახედა-ო, — ვოვამ, რა-  
ზედაც ისი-ყმანვილი ცოტას ჩაფიქრდა-კია  
მაგრამ მაშინვე გამოიდარა: ისე კობხადე მა-  
კოცინა რომ, მოწონებულნი-ო, ხოლო თავის  
მზრინე რაზედაც ვოვამ? — კაისულელი კი ყო-  
ფილა-ვო, ეგ ოხერი-ვო... ხოლო ჭკვიანი და  
წინდახედული კბილებზე, გოგო? შენ არავი-  
თარ შემთხვევად არ.....ვო, —

მოკლედ?  
მოკლედ-ო, ვოვამ, მოდი გაეყიდოთ ეგ შენი  
კბილების ინვალიდობის გამომაშქარავებელი  
მაგკბილის-ოქრო და მსუბუქ-ქალებისთვი-  
საც კი-შეიქნები გამოსაცდელად სახაყყო  
და თანაც აგრეთვე და ამასთანავე ერთი კარგა-  
დაც-ეაქვაცურად, რესტორანულად დაგლი-  
ოთ-ო, რომელი-ესიძაანდიდათე-რაციონალი-  
ნაბატორული წინადადება იმა-ყმანვილმა ჯერ  
ძალიანაც შორს-ც დაიჭირა, კი, მაგრამაც,  
ვოვა? — გააბ, თუკი ვინმეს შეუწინდებოდა? —  
აპჰხხ!!!:

მოკლედ, იმა ყმანვილსა სულ ვერ ჰსცოდ-  
ნიყო ისა მარტივი რაბა რომა „ჩათრევისა ჩა-  
ყოლა სჯობია“-ო და, სისულელით? მთელ და  
მთლად ასე-ორსაბათანხვერის შემდეგ დიდად  
ენა-წყლიანმა ამ ვითო-ზაქმა თუმც-ჰვე, რა-  
ლა ზაქი, ზაქები აკი სუვერ ლაპარაკობენ.,  
ვოვას ის ენისმეზობელ-პირ-ოქროსკბილიანი  
ყმანვილიცა და სულაც ვერ-სადლოდ ჯელიცა  
ნაცნობ სტომატოლოგთან ძალიანურად მი-  
წავათებული მიიყვანა — აქეთ-იქითურ ვედე-  
ქით, მზარში — და, შემოეცალა სტომატოლო-  
გის მტკიცის ხელით კბილისაგანა ისა ბაჯალ-  
ლოდ-სალოლიაგები ოქრო ყმანვილსა, და,  
როგორ-ძალიან ქანცგანყვეტილი — აკი სულ  
იმას ხო-ვამბობდი რომ ვოვას ეგრევე უნდ-და-  
თანხმებულიყო ჭკუა თუ ჰქონდა რადგანაც

ვოვა მაინც თავისას გაიტანდა მაგრამ ეტყ-  
ობა ოქროსკბილი სულის არ იყოს ერთობ  
ტკბილია და მაგრამ, მაინც, რაღად უნდოდა  
რესტორანმდელი წინასწარულად, ტანჯვა;  
ერთნი ჩვენ-ლა ვიყავით, ვოვას დიდათე-ქმა-  
კაცები ვისთზედაც მისი „სტკბელმოუბრობა“  
სულაც ვერ სჭრიდა და ამიტომაც ამა დარგში  
ჩვენზე მთლად არა მაგრამ გარკვეულწილად  
ხელი საკმაოდ ჰქონდა ჩაქნული, და,

მოკლედ,  
შემოგვეყვა ისი-ყმანვილიც დიდად პირში-  
თქმელსადა პირშიმქმნელჯერსტომატოლოგ-  
თან ხოლო მემრე კი, შემსუბუქებული (მთელ  
ორგანამახვევარს ინონდა ოქროთი-ისი), კიბე-  
ზე ბალახ-არ-ამოსასვლელი ოქრომჭედელი-  
საც შემდეგომ მთლადაც აპ-რარიგ-ტურფა-  
რესტორანი „ადრიალი“-ში და, კარგა ამაყად  
მივუსხედით ჩვენ-ორნი მაგიდას, ისა კი,  
ისსა, აიი-ისა მესამე-ჩვენი ველარალ-მღიმი  
რადგანაც სულაც პირ-ვერ-ვარდიანი, და,  
ჩვენ კი ამაყნი იპიტომ-რო მაშინ რესტორან-  
ში კაცზე 5 მანეთი კარგა გვეყოფიდა ჩვენა  
კი, ჩვე-სამს? — მთელი წრფელი ნაღდ-20 მა-  
ნათი, გვექონდა, მაგრამ ვოვას გვერდიგვერდ  
რესტორანში მაინცე დიდად სახიფათო იყო  
ფულობანათიც ვრცელ-მენიუსთან თამაში,  
რადგან,

აქაც ხომ მთლად ვერ იცოდა ვერავითარი  
ანგარიშთ-ზომა, და,  
და რომკი მოვიდა ოფიციანტი და, რა მო-  
გართოთ?-ო,  
ამ ვოვამა-კი მენიუ როგორღაც მენიუ-ისა  
დამამცირებლად, განზე თვალმუეულებლად  
გააჩოჩა ხელის ზურგით...  
აქა? მცირედი გადახვევა, „ხელის ზურ-  
გით“-თან დაკავშირებით, ერთიც პანუა

**ბ ა ლ ა ხ ვ ე ე ვ ა :**

კაცო, მე-რო გრამატიკასა გინდაც კარ-  
ქა-ვისწავლობდე უპაით-უპამამდე „სწავლა  
სიბერემდგო“-ს პრინციპ-მიხედვით? კაცო  
მაშინ-ხო სუბთლად ბოლომდე გადვირგოდ-  
და-გაგვიფიქროდი მე ისედაც-დოულაგებე-  
ლი თუნდაც იმით, რომ აბა რა გრამატიკა და  
აბალ რომელი ზრდილობაა „ხელისგული“ რომ  
ძალიანც-ერთად ინერგება ქვემარტულის  
გრამატიკითა და ხოლოკი ესა „ხელის ზურგი“  
— მთლადაც ცალ-ცალკე?.. გადასარევი სწო-  
რედ.

კი.  
დაიხ.  
დაიხსი.

### მცირე გადახვევის დასასრული

დაა, ვოვამა რომ — „კარგი რა გაქვთ“-ოზე რა რეზილა მიყო ამჩვემა გულმა უგრამატი-კოდც ახანაივურმა? — მეტი რომ აღარ შეიძ-ლებმა და კიდევ კარგი რომ ოფიციანტს ვილა-ცა-თერალმა — „მ“ დაკარგული პქონდაყე უკ-ვეთერალსა-ი(მ)ასა-ისეთისნდო(მ)ითდაუბღ-ელა: „აფიციანტტ“-ო —სამაგიეროდ „ა“ თი და „ტ“-თი —ი-გაორმაგებულმა? —

ერთის ნუთით-ო, ჩვენმაც კუთენილმა, ჩვე-ჯერფხიზლებისა რესტორნისელმ-სა-ამაგდარომ, და, მე კი, ვოვას, მთლად სხაპას-სუპით:

— არდაიწყობლაშენებურებიარმოითხო-ვო იკრა-მიკრა და ამისთანებითქვა — არაო, ვოვამ, გულზე-დ მიიღო თავისი ხელი — ნე-სით კი თავისი ხელი თავისსა პირზე-დ უნდა მიედვა, — ისე-უბრალოდ მაინტერესებს კარ-გები რა აქვთ და თანაც ჩვენ რომ მარტოკა ჩივი-პივის (როგორ ძალიან ახლობურჩივით, ღვიძლ-ალალურად საკვები იყო ოღონდ ეს — მაშინ... ვოვა ძალიან ადრე გახდა ევგეტარიან-ნელი, ცოტათი მერე — ჯემალ გოლეთიანი, ძალიან გვიან — მე... მაგრამ მაინც-ც ძალი-ან მახსოვს ი-ჩივი-პივი, ნეტავი ახლაც თუ კეთდება თავისუფალსა-საქართველოში ისე მასობრივ-მიღებულად... ზოგ-პიშნივი,თა...) და იმასთან მარტო ღვინო და მარტო პური მოვატანინოთ, აფიციანტების აზიზი გული ხომ იცი და, შევეცოდებით და შეიძლება ისე ნაკლები გვანაგარიშოს რომ ამანაც (ყმანევი-ლისაკენ გადააქენა თავისითავი), რო ეცევა-ვერცხლისი კბილი მაინც ჩაისოს-ო, სახაც-ვლოდ-აო, —

კიდევაც კარგი იმა ყმანვილს რო არაფერი გაუგია, —

ისედაცა ხომ, დარდი-რამ, პქონდა.

რაი-დარდი, და,

ხედვით ხომ, რისიც... —

იმა კბისა — ნუთისოფლისა წამხედურო-ბით აგრეთე წარმავალს, თურმე, ერთი ის იყო რომ გულამოფდომით არა სტირირდა მაგრა-მაც იყო, ფიქსაციურად, გულამოფსკენილი, ხლო მე-კიდევ გადავიქინე, გადმოვიქინე, მა-ინცვალ-მაინც ჩემი თავი... —

მისი სიტყვების გულწრფელობა? მეექვსე-ბოლა.

რადგან. მოხარშულს. და შემწვარსაც. ეცნობდი. კარგად. კი. პილპილამოყრისს თუ-გინდაც. ზედ.

ამასობაში ის ოფიციანტიც, წარმატებითე გადმოთვარლებული — რადგანც სრულიად გაულაბავი, გადალახულად სკამებსა-შუთი დაგვიბრუნდა და, ახსოვდა, შეკითხვა: — კარ-გი რა გვაქვს და, წინილები, სუკის მწვადი, სა-ცივი, სათალი...

— და, — შეანწყვტინა ვოვამ ჩამოთვლობ-ნუსხა, და, შემომხედა და, —ბიჭო რა კარგი რამ გამახანენე, — და, თავისსა ნუსხა-ურს არ მიმპართა?

აიი, ასე:

— და, ხიზილალა თუ გაქვთ, თქვენა-ო, ვო-ვამ, აბა სხვამ ვინა, — იი-ყმანვილი აკი თელა-თე წყნარსა-ძალიან პირმოკუმული, სხედს, დადარდიანებულია, ნამეტარი, — უოქროუ-თე-დარჩომილ;კბილით,

იკრა პაჟალსტა, როგორ არგვაქეს,ო, კარგა-ნითელი თუ, ძაანშავიო, —ვოვამ, კი-მეუბნება რაღაცას ნამდვილად რაცხა-ნე-გლახას და მიგრძნობს, გული, დაა, აკიც!

— ძაანც-ნითელიც და ეგრევე-შავიც,ო, —ოფიციანტმა, — მაინც რომელი მოგიტა-ნით,ო,

და, რომ მგონია რომა-რომე, როო, გადავა ახლა-მაინც იმა-თავებდაბალ ჩივი-პივიზე, — ვოვამ?

ორივე!-ო, — ოო, — ნითელიცა და შავი-ცა-ო,

გავფუჭდი კაცი... წინასწარულადც, და, ნითელი და შავის ასე გვერდიგვერდ მო-ტანილება რო-მოითხოვა ყმანვილმა-ვოვამ ეს ისე-ძაან არ გამკვირვებია როგორაც,ეკეს: კა-ცო, გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა, თავად სტენდალმა (ანრი ბულიემ), კაცოო, ჯერ კი-დევე ნეტა-საიღამ იცოდა თუ, ამა-ვოვასი, რამ-დენი ხნის მერე მოვლენილს ამ-ქვეყანაზე, სწორედაც ამა-ვოვასი წამხედურობით რო-გორ დაარქვა-მაინც დიდ რომანს ნითელიცა და შავი-ც, ერთად? —

უცნაურია, ნუთისოფელი,

ხოლო აქეთ მე? ტყვიით-შემლას, ვიყავ,

მაგრამაც, ვოვამ, კირომ გაბრუნდა ოფი-ციანტი შვე-ნითლებისაც მოსატანად? —

— რა გვენალელება, შენი საათი ხომ ხელზე გაქვს,ო-?

ჩემი საათი... აჰხ რა ნატანჯი!.. მერე და მერე რეციდივისტების მეტი რა მინახავს მაგ-რამ, მაგარამ? — ჩემ-საათივით ისე-ძალიან ხშირად-ხშირულა დაპატიმრებული? — ათი პირწმინდა კარგა-მოსული აღრიცხვულათა რეციდივისტიც ვერ ამოუდგებოდა მხარში კი არა, კოჭებშიც — ვერ...

ისი ბიჭი კი, ყმანვილ-დაფი კი, ის, გუნება-წამხდარ დიპლიმატოსავით (ნეტა ვინაა... რო-მელია...) ჩუმად იჯდა, ჩუმათ-სა იყო, ხმას არ იღებდაა არადა, რა-უნდ ელაპარაკნა, მე შენ გეტყვი და ლაპარაკისას რაიმ-ბაჯალლო გა-მომუმწუერდებოდა თუ, რა..., —

ეს — მე ვდევალდი, ვოვასი ყოვლად გაუთ-ვალისწინებლობებისა, დიდად-ღრმა მცოდ-ნე,

ხოლო ნუმერ-პირველი სადღეგრძელო ჩვე-  
ორისაგან, ჭაბუკურისა ყმანცილისადმი შიგ  
პირში თქმული? ასეთი იყო:

ესაო, ბიჭო, ესა ყველა პირი-ლრუს გაუმარ-  
ჯოს თავ-თავიანთა კბილებითა, -ო, —

კი,  
ასე იყო,  
სუფრისა სტარტი,

თუ არ გჯერამსთ და, ახ.-წელთაღრიცხვის  
1957 წლის 1-2 სექტემბერი შუამონწმევით იყო  
თუ არა კვირა-ორშაბათი,

ხოლო ორ-სამი ჭიქის შემდეგ? — უკვე  
გულგრილად კი არა და, მთლადაც სოლიდარ-  
მხარს ვუჭერდი ვოვამ რომ აფიციაანტსა-  
ზედმეტად-დამჯერს მოატანინ-და-მორთმე-  
ვინა ასეტრინა ნა ვერტელე რადა თქმა უნ-  
და იმისი მკვიდრი მამარაბით და კაი-მუჟუჟი  
ზედაც ნამდვილურ-უცილობლად თავისი ქინ-  
ძმართი და ღორის ცივად მოხარშული ხორცი  
რასაკვირველია თავისივე კაი-პირშუშუნათი  
(— хрен; თუ, ни хрена?... აბა რა ვიცი მენა  
იმდონი გრამატიკა, ) და ვილას ახსოვდა ჩიჟი-  
პიჟი რადგანაც ესი გამოსაკვეთი-უქანასკენე-  
ლი ორი ბოთლისა გამოცლისა შემდეგ ვილას  
ახსოვდა არამედ მთლადც-შამპანურებზე, გა-  
დავედით,

კიი, ხოლო როდენაც, ბოლოსდაბოლოს,  
ნამდვილად კარგა-ვადანაყრებულთ, დაგვიდ-  
ვა უამი ხარჯთ-აღწერისა? —

იმდენი გვიანგარიშა ოფიციაანტმა, რომ, იმა  
დავთარსჩემი საათი? — ბრეტუნევისა ლ. ო. — ს ქა-  
ლიშვილისა ზადნ-გალინასი პარიკმახერშას?  
მთლად აღმსახებით მოოჭვილ გულსზე ყალ-  
ბთვლიან გულის ქინძისთავად ესა-ჩემ-საათი  
რადა თქმა უნდა ვერ გამოადგებოდა, და, რა-  
და ბევრი გავაგრძელო და განვაგრცო ანგარი-  
შივით, იმ, — ამოყვავით, მოკლედ, სამთავემა-  
მა — ვოვამა, მე და იმა-ვაჭმა თუ ყმანცილმა  
თუ მოყმე-ვინმემა ამოვჰყავით, კი, ჩვენ-ჩვე-  
ნი თავი, კი, კალინინისა, კი, სახ.-რაიონის მი-  
ლიციაში, მას.

\*\*\*

იქიდან კი მამაჩემმა და ჩემზედ კიდევაც  
მეტად-ძალიან გავგულისებულმა ძია ვასომ —  
აი თუ ვინ-ვინ-რომელი მიფუჭებს შვილს აბა  
თორემ პატარა რომ იყო რა დამჯერდი იყო,-ო,  
— ალბათ 3 წლის ვოვას თუ ჰგულისხმობდა,  
ჩვენ აკი მუდამ ბოვებში ვართ მშობლებით-  
ვინა, კი, — მაგრამ იმან (ვასო ბიძიამ) აბა რა  
იცოდა, ვის-გულუხეულურ-შეკვეთებით ჩა-  
ვეშვით ვახშა და როგორს ნისიაში — ერთ-  
ერთი ჰქვია, მგონი ახლაც პეტრეეთი ყბედუ-  
რიც კივარ ნისია-ვახშის კიდო-რამდენჯერ  
გახსენებითა, ამ,

და მაინც, მიეყვით, —

მაინც მე მაშინ კი ემ-ვოვასი რალ-საქცი-  
ელი გამაკვირვებდა, გაკვირვებული და მე-  
რე როგორ-მთლადაც-ურ თავ-პირ-ტანითა  
თუმცა-კი დუნედ მაგრამაც ძაანც დიდს დაბ-  
ნეულურს-გამჭერებასა იყო მოყმეი: —

როგორ ეს, კაცო, ისა-თავისი სიამაყე, ოქ-  
როსი კბილი ბაჯადლოიანაც მიტომ დაითმო  
რომ, ამისათვის ნუგეშის ნაცვლად მილიციისა  
— თანაც როგორში! — საბჭოთაურში რომ-  
თურმე უნდა მოჰხედრილიყო და თანაც ისე,  
რომ, ჩიჟი-პიჟი ვერა-ეგემნა... გულჩანყვე-  
ტილსა... უიმკილისა უკამკაშოდ... უსიხარუ-  
ლოდ... სიხარულიძის, ვოვაუთი სწორედაც  
რომ! — დარდ-უქარესა და, განუქარეველს...  
გაქუცულ-კბილით... მოკლედ, ისეთსა ხასი-  
ათზედ დამძდგარიყო რომ, როო, რომე? —  
მოკლევით დანა კბილს ვერ უხსნიდა... და...  
ის, ის დღეიყო და, სათოვრზე-ც არ გვეკარებო-  
და,

და, სწორიც იყო.  
რა — იტყვით — არა?

... —  
!!!  
!!!

... —  
დაა, — ერთიცა კიდე?  
ასეთ-ასეთი ქვიფიცა! —

ჰყო  
ვოვა რომ რაღაც ონაერობისათვის I საშუ-  
ალო სკოლიდან უბადრავოდაც გააძევეს და  
ვერის რომელიღაც სკოლაში ვითო-მოიკვია  
ფეხი ( — მგონი იქიდანაც გამოაძევეს, კი...  
მოკლედ, ჩამოყუდებულ-გაძევებულთაგან  
რადა ვოვა და რადა ნ. ჟორდანი-თავშლაპი-  
ანი და მისთანანი, სოც.-დემოკრატინი...) იქა-  
ვერაზე კლასელი ბიჭი ჰყავდა ერთი, დედ-მა-  
მისერთა, ფრიადონსური, და მშობლებს იმ ერ-  
თადერთსა პირმშოზე-დ ძლიერ ამოსდიოდათ  
მარტო ერთი მზე და მხოლოდ ერთი მთვარე  
კი არა, — რამოდენიმე, კი, და ზედაც მთელი  
ვარსკვლავეთ-მსხმოიარეო, კი, და ხოლო ეგ-  
ზომი შვილი მაინც მოსკოვის რომელიღაც  
ასე-ვთქვათ პრესტიჟულ უმაღლ-სასწავლე-  
ბელში მოანყვეს ანუ შინაურულა-დოკუმენ-  
ტურათ? — იქ უკრეს თავი და, მაგიორში, დი-  
დად გლოვობდნენ, —

საკუო, გვეც ხომ ჯარში ერთადერთი „შუ-  
ლის ნაღება“ ზუარ იყო, რაღას აწყობდნენ,  
იქა, არადა, კერძო ბინა საბჭოთა ფულით უქი-  
რავეს, ხშირადაც აკითხავდნენ საპაერო ლი-  
ნერებით და დიდად ვიტამინებიანი პროდუქ-  
ტსანოვავით მაგრამ მთლად მოსკოვში ხომ  
არ გადასახლდებოდნენ რადგანაც დიდად  
შეძლებული ოჯახი ჰყოფილა ადგილობრი-  
ვის მასშტაბითა ხოლო კომუნისტობანისაიც  
კი, შეძლებულობა? — იყო რაღაცა ბნელ-

ბნელ მოკვარახჩინებებთან დაკავშირებული ეს თორემ ვოვა, რაგინდ ცულლუტი ამა დედამამასამა-საქმეს არ შეჰკადრებდა, და თუ კერძოდ კი, რასაა?:

ერთხელაც, ვოვას და ჩემს მთლად გადაბმულს-არა მაგრამ შორობითაც ძალიან ძმა-კაცს, — არაა მისი გვარ-სახელისა გამოჭენება აუცილებელი, და არც მეტსახელისა — თბილისელები კარგად და სიყვარულით იცნობდნენ, — მაგრამ არადა როგორღაც მაინც ხომ უნდა მოვიხსენიო და, მისი მეტსახელის ბოლო მარცვალის, „ნა“ მოვიშველით ოღონდაც ასე: „...ნა“, —

შევთანხმდით, ხოომ?  
და, ძაან მოჰსურდა ერთხელაც (—ერთხელაც,—ო,—...ჰმ!) დაღვევა ვოვასა და ...ნას მაგრამ, რომ ვერ იშოვეს, არა, ფული? ვოვამ, ვარიანტი-ედისონმა, აი ასეთი რამ მოიფიქრა:

...ნა, რომელსაგით მიმზიდველი, სათნო, კეთილი, და შინაგანურ სიღრმეებში როგორი დიდად პატიოსანი მაგრამ დიდათე ონავარი და ცელქი, ცელქი რომ? — და რასაც ახლა გიმბობთ ეს მისი ურცხვობის კი არა არამედ ანდობუნების ბრალი იყო და, მერწმუნეთ, მეხდეთ რომ არამცთუ უფლი ბიჭი არ იყო, არამედ — დიდად კაიკაი და ვარგისი გახლდათ, კი, ესა ჩვენი-...ნა, თანაც, ვოვამ? — ახი იქნება მავათზე (ანუგადა-შედღებულ მშობლებზე), თურმე ღარიბ ნათესავებთან გულუხვობით მაინცდამაინც არ გამოირჩევიანო, და, ამა-ვოვამ? —

ჯერ ერთ-ერთ თანაკლასელს ვინც თერგ-მასკვარეკადალეულის ახლო მეგობარი იყო და მასთან მიმოწერაც ეპისტოლარულ-ფანრი-სა, ჰქონდა (ვოვა კი სულაც არ ამზანავობდა ფრადოსნურ და ახლაკი მოსკოველებურთან სახელად მგონი „ზურიკო“-სთან...)...ნას თანდასწრებით მთლად გამოწველივით გამოჰკითხა (ვითომ მოსკოვში მიდიოდ-მიფრინავდა და სად მივავანო და როგორ არი-ო, ც...) იმა სამსწავლელ-განსათლებლად კარგა კახინით ტურისტისა მოსკოვსა-შიგან და სანაქებოსაც უმადლეს შითავტანფენბოკიდებულის ავანჩავანი, და ნიჭიერმა-დიდად ...ნამაც კარგა დიხსომა — უვარჯიშებლადც ნიჭიერ-იყო, აკი — მონაცემები ზურიკოსი ეს, და, მიადგენე კიდევ ცოდნის-მძებნელობით კაი-ერთგვარსა მარკო პოლოსი? — შეძლებულ ოჯახს — მე, რა თქმა უნდა არ ნამიყვანეს რაგინდ ზედმეტ-ფულითა შეიღისა-ხაირით გულუხვსა მშობლებს ჩემზე თუნდც კაკვრით რომ გაუფიქრნათ „ეს ვიღანაა“ -ო ..., და, ხოლო ვოვამ? მშობლებისადმი წარდგენილ ...ნა-ზე?:

— აი, ესა კარგი ადამიანი და მუყაითი სტუდენტი ჩვენს ზურიკოსთან ერთად სწავლობს-

ო (გაგვიგონია? — ...ნას ი-ზურიკო არტიკლში-კოვიჩი თავისსა დღეში თვალითაც არ ჰყვანდა გაკვრითც-ნანახი) და, შემოგარათა, ზეგ მიფრინავს, რათა მთლად რომ საკუთარი პირით გადმოგვეთ თქვენი-ერთასი მოკითხვა,—ო, და, ...ნამაც იქვე, საკუთარ-პირით:

— დიდი მოკითხვა და სიყვარული ზურიკოსაგან ქალბატონო და ბატონო, ვო, და, რომ დაბურძღლათ მშობლებს ტანში? ვოვამა, ზაქმა კი არა არამედ მთლად ნიანგივით მონადირემ?:

— ახლა კი ნავალთ, აღარ დაგლით, ხომ შეასრულა ჩვენი („ჩვენი“, კი...) ზურიკოს დავალუბა პირნათლად,—ო, და, აიაააქ კი?:

— როგორ თუ ნახვალთ! თქვენ ასე უპატივცემლოთ როგორ გაგიშვებთ!, თქვენ მოგვანიჭეთ სიცოცხლე!,—ო, და,

მთლად სხაპასხუპით, უსასვენ-ნიშნებოდ, ძაან ერთბაშად:

— იცოდეთ დაგვეკარგავთ თუ არ დაგვეწვევით სახელდახლო მცირე სუფრაზე ახლავე ნაში იქნება ყველაფერი ჩვენ თქვენი-სთანა ძვირფასებისათვის მოსამსახურეს არ მოვიხმართ არამედ ჩვენს ასეთ გამხარებელს თქვენ გენაცვალეთ თქვენთვის უცხოს კი არ მოვახარებინებთა და მოვახარუკითებთა (ვეე, გრამატიკა, ც?) არამედ ჩვენი საკუთარი ხელეობით შევიწვევთა (ა! — კიდო, კიდო-გრამატიკა) და მოვიხრშთ (და მაინც, რაცვინდ გრამატიკისას, ეყლაპებოდან, პატივისცემულურ აღერთოვანებისაგან ზოგიც ხმოვანი და თანხმოვანი ევჰ, გრამატიკაც, აბა ვილაა შენგნით, მთლადაც სანდო, მანდო და კეილსაიძედო, ეჰმ, მაგი გეკუთვნის გრამატიკაც ჩვენგანე, შენე? .. მტკიცურ-რკინულად ესდებე-ურო...) ჩვენ კი ძალიან პარტივისცემით კარგად კარგებს მგხრშთ სუყველაფერი-ო (—აიი, აქაც... „სუყველაფერსა“ უნდა ეთქოთ...)... და,

გრამატიკა და მისებური მსხვილმანები აქ იქით იყოსა რადგანაც უმფრო-ც მსხვილმან-რამსთანებთან გვექნება საქმე რადგანაც?

მართლაც?  
ხართლად ნუთში?:  
ხელადით კარგა-ჩაციებული გრილურ-სარდავით, ღვინო, შემწვარ-სულგუნე შებოლილი თავისი კვერცხ-და-ლორითა, შვიდიოდ ნუთში — კაი მეგრულადგამოყვანილი მთლად ზუგდიდური კუპატი და ფოთურ-კევალი კი — თორმეტიოდვთს, ნუთსაში, კიი, ხოლო მთლად თავიდანვე — ნითოსცა და შევტუხაცა ხიზილალები აი ისე რომ — მთლად უჩემ-ტანჯულა-უსაათით, კიჰ, კვლა-

ვაც-ძალიან-სანაქებოღვინიან დოქითც ისეთ-ისეთი ხუთი წლის ღვინო? — აი ისეთი რომ მე არ ვიცი (მაიბებს ვოვად და ... ნამაცა, მთლად დაწერილებით, ეს, ) და ერთსაც გან-შორიშორებულს-კნითან-მოყმისა რო (თუ, მგონი, „ყმანვილს“?); თვისის ღვინური მჭახ-სიცივითა? — იმ გატყავებულ კვილსრომ მო-კვეთდა,

და, შიგადაშიგ სიყვარულით-აღფრთოვანე-ბის მისწერებთან ამჩვენ ვოვასა და მის დაძქაშ-სა, ...ნას, ამ რაცგინდა იყოს მაინცად სიმპათი-ურად თაღლითს ამ ...ნასა,

და, მოგხსენებათ დედის გული რაცგინდ ქმრისა-არტელში სუშთლად მთავარი ბუღ-შალტერი და მეტიც უფრო-გინდ მაშინდელ-ლი დღეინდლობისაგან დიდ-განსხვავებით ქალ-შროკურორი და დღევანდელი კი? — ეე... რომელი დარგი... დაუნდობელი... ჰო! — უფრ-ნალისტი (აჰ! — ნამეტანი ხურ მოგვდის... — არა!) იყვე, და, აცრემლდა, რაცგინდ მთ. — ბუ-ღალტერი და პროკულოვა და უფრნალისტიკა და, და მაინც ქალი პასპორტულათაც, და, ძლივსა ამბობს:

— ვაიმეე, შვილოო, დედოკოოო, ვინ იცის ახლა როგორ გიჭირს უდემოდ, შვილოო ( — რალას უშვებდით იმ-დასაკარგავში თქვე კაი-ხალხრო... თქვენ-თქვენი ნება არ იყო, განა? ), როგორ გავიგოვით იმსიშორებზე (როგორ გაუშ-ვითა დაა, — კობხათ...) ეს რა შეცდომა მოგ-ვივიდაა, —ო,

მაგრამ აქ ...ნა-მა, აგრეთვე გრამატიკის-კერძ-შ-სასვენინშნებოდ:

— დაწყნარდით ქალბატონო დამშვიდდით ქალბატონო არავითარი შეცდომა თქვენ არ მოგსვლიათ რადგან ჯერ ეს ეგ ერთი რომ სხვაგან აბა სად მივიღებთ იმდენ სანაქებო სა-ავიაციო მშენებლობისთვის აღჭურვილ ძვირ-ფასს ცოდნას რასაც ჩვენს მასწავლებელ უმაღლესში ვენაფებით მე და ზურკო და ხო-ლო რაც შეეხება თქვენს მიერ გამოთქმულ ზურიკოსი უდემობას? — მოითქვა, სული, და აქ, თვით გრამატიკისაგან ნაჭურ-წილხვედრი ასეთივე შალღ-საუბრისას სასვენ-ნიშნებიც, მოიშველია:

— დაწყნარდით, ქალბატონო, თქვენს შვილს, ზურიკოს ჩვენსას, არაფერი სჭირს თქვენგან სატირალი, რადგან, — და, შვიდიქ-რდა, კი, აქა...ნა და, გაიძარათა მერე ძაან და, და დააყოლა, ნაშვიდჭიჭაზე: — რადგან დედო-ბასაც მე ვუსწევ და... — და, აი ესაც კი არ აკმა-რა, — და, მამობასაც! —ო,

აქა? — აცრემლდა-აგრეთვე, შენ ჰარტელ-შიკიო ეძახებ და, რალაც-სხვა განხრით? — მშობლიურ-მამაც,

იძახის, ძლივას:

— თქვენ გენაცვალეთ იმ ჩვენ ეე თქვენდა-

ზურიკოს მოსკოვში ჩემო კარგებო (ესა-ვო-ვაც არ მიუყოლებია ამა ჩვენ-...ნა-სა-სთან — როგორ ფაქიზურ ...ნა-სა-სი დედინაცვალ-და-მამინაცვლობას?), რითი გვცთ მაინც თქვენი საკადრისი პატივი ჩვენი ასეთი გახა-რებისთვის დაუზარლებო ჩვენი ზურიკოსი ხათრით და მუყაითებო თქვენ, მე თქვენისთა-ნა კაი ხალხი არსად, სულ არსად შეშხვედრა მიუხედავად იმისა რომ სად არ ვყოფილვარ დუშანბეშიც კი და ო-მაგ სიმართლით გატა-როთ ბუნების ძალამ ( — კიდოკაი რომ, მეც არ წამიყვანეს... — ხომ ავცდი, კრულვას?), რა კარტები ხართ თქვენ-ორივე-ყველა კუპა-ტი მაინც გადაიღეთ სანამ ცხელია ივრაც წა-უსვითი ზემოდან ჩემთაზე ვეცი უხდება ძალი-ანი, —ო,

დალიეს, მოკლედ, ყოვლად-დიდათ დაუშ-სახურებლობისაგან დიდად განსხვავებულ დამსახურებულ-არტისტიკით გამომშუშავე-ბულ-დამსახურებული ძალიან ცივი ორ-ორი ღვინო-ძალიანცვაშიცვლილი თიხა — ანუ ხელადა... — ვაჰ, თუკი ღვინის ბოთლებ-ზე „ორ-ორსა შუშა“-ს ვიტყვი, ღვინის თი-ხაი — უმფრო-ხომბა-ხომ-ძაანცვრილია...

და, ვიმეორებ, კი-ჩაიღვინეს ვოვამა და ...ნამ აშკარად ცოდავ მაგრამაც ცოტაც, სუულ ცოტათიც შემამსუბუქებელ გარემოებად ისა ჰქონდათ, რო, ნაღდად არ იყვნენ ნაკლულ ოჯახში არამედ ძაან პირიქითაც — ვინ იცის როგორ-ნაშოვნე ფულით, დაა, მეორეც? —

იმათ ხომ თვითონ-თავისით ვაგ ზავენს შვი-ლი იმ შორეთეთში სასნავლებლად და არა ვოვამა და ...ნამ და რალა თქმა უნდა და რასაკ-ვირველია არცა მე და არცა თქვენე,

ჩემო მკითხველო,

უძვირფასესო...

...  
გაჭრა ხომ, ხრიკმა? გისიამოვნეთ, ხომე, გუ-ლი? თუ, აჯობებდა რომ „ჩემო ძალიან უფრო უძვირფასესო მკითხველო“ უნდა-ეგება, მეთ-ქვა, კაიჩიტი ვარ აგერ ესმეც, მაშ რა ვიქნები ვოვასი და ...ნასაც ამხანიგი...

ხოლო ამ ისე-რა, ოთახებშია-ურ ცხოვრება-ში რა დუნე ვოვას, ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე რომ ვერ მიიყვანდი — რაცგინდაც მწყურვალს, ონკანთან მისვლა ეზარებოდა — ოლონდ ეს მაშინ თუკი ოთახში სხვა ვინმეცა-ვინმე ონკანისაკენ გასაგ ზაენი, ეგულეზოდა, და, ხოლო მერე, ძალიან მერე როცა „პახტრი-ონის დასახლების“ ორ-ოთახიანი უტოლო-უშვილებოდ მარტო ცხოვრობდა და თვითონ იყო ერთპიროვნული მასპინძელი და ბინის მიმხედი, ხშირად ესტუმრობდი და, ნაინფარ-ქტალზე ვოვამ თამბაქოს თავი კი-გაანება მაგრამ სმით — ვსვამდით, რასა და — ღვი-

ნოს, ასე ორ-ორ შუშას, ხანდისხანობით ესმე — ცოტათი მეტს, ოღონდ ბევრ ხალხში ჩემი არ იყოს სმა არ უყვარდა — ისი-თავისი ბასარი მზერა გამომცდელად რომ არ მიმოტარებინა ვეღაზე? — ვერ შექძლო, ხოლო ამით კი, მზერა-ბასრობით? — იღლებოდა, თან ყოველგვარული თუნდაც მცირე, ძაან-ნამცვეცა უხამსობაც არ გამოეპარებოდა და შხამდებოდა პურ-მარილი ასე რომ, თითოთა თანამე-შუშესთან ემარჯვებოდა და ერჩია, სმა, რამდენჯერ ლამის დაგვთენებია ასე განსაჯვით ხანდახანობით აი ისეც რომ? — სუყოველგვარი კამათისა და შეხლა-შემოხლის გარეშე — აი ამ დარგში მერე და მერე მოყვრებული გვყავდა ერთურთი, და მე სამზარეულოდან (იქა ვცემამდით ხოლმე... ჩაის არაა, იმას არ გინდა?) აშმაპატივით დზვირფას-მკითხველო... საძინებლამდე ძლივს რომ გავაღწევდი, ფეხარეული, მეორე კარგა-მონიფულ დილით? — მუდამ მიკვირდა რომ ჭურჭელი საგულდაგულად დარეცხილი მხედებოდა, მაგინა — სუფთად მოზრიალებული, ჩემგან ნამსე-ფერფლით როგორ-გადაბაძინებული საფერფლე — გავრიალებული, მაგინის ტოლი თუ ნაჭრის ხელსახოცები — საგანგებოთუ რაღაცა ფხვილით დარეცხილი და სააბაზანოს რადიატორზე გასაშრობად დაფენილი — მაშინ „ცენტრიდანული“ გათბობა, გვექონდა; ვოვას ბინაში მტერისა-ნატამალს? კაგებეს-ს მთელი „СПЕДВЕННЫЙ ОДЕЛ“ — ი რომ საჩაქებოდაც კიე დაქიმჩაქებულო? მტერის და ჭუჭყისას მაინც ვერაფერს აღმოაჩენდა, ერთი ის იყო რომ იატაკის მასტიკით გაპრიალება და ფანჯრების მთლად-მწარე ხეხვით გაპრიალება გამოაკლისურად არ შეეძლო, ვერ ეხერხებოდა,

ხოლოკი ქალებს ისევეაც ისე, ძველებურად-ვე მოსწონდათ ესი 45 წლისა ვოვა, მთლადაც მამამის ვასოსავით კი? —

მე მგონი არა კი არა და, — არა და არა!..  
 ძია ვასოს ერთიც ფოტოსურათი შექონდა გადაღებული? — მე მსგავსი ასახარხარებლად გულ-აწუყებულობა ვერც ერთ ფოტოზე არ შეჩხვედრია გაიამბობთ, რატომც?

დგას ერთიდ ძია ვასო მამაკაცთაგან მთლად-მხოლობითი და, რომ არ მოგატყუოთ ძვირფასზე უფრო უძვირფასესო მკითხველო სუცოტა ასამდე-მაინც ქალი (-100!), რომე-ლილაცა დიდ-სანატორიუმის ვითომ-დამსვენებლები მაგრამ აბა რა-ღ დასვენება იმათ ექნებოდათ რადგან შორიახლოს ხომ, ეგულე-ბოდათ, ხომ, და პყავდათ ხომ, პატევისაცემი ვითო-ამხანაგი ვასო ხოლო ძია ვასო-ხომ — სიუულტოტა ყოველი II ქალისა ოცნება იყო, თურმე, თუმცა რაღა თურმე — პირველი რიგის მთლადაც ცენტში მდგარ ვასო-ბიძიასა-

კენ ახლომდგართა რომ რა-მონივებით ვადა-უხრიათ მისკენ თავი? — ეს არაფერი; გასაგე-ბი; მაგრამ მეორე რიგის მთლადაც-კიდურა მარცხენა გარემარბს ანუ რადგაც ქალს — „пешая крайняя“ — ს იმასაც აკი შორეულ-ვასო-საკენ, კაცო, გადუნდენია-შორითად, თავი? ასევე, რაღა თქმა უნდა მარჯვენა კიდურ-გარემარბ-ქალთაც, აი ფოტოზე ძია-ამხანაგ-ბატონი ვასო როგორი ყოვლად მაგინი არი ანდამატურის დიდად-ძალითა რადგან ამა-ოთხრივაც ეს გალითონებული ლურსმან-ქალე-ბი? — ნეტავი ვგარად ხომ არ ერიათ, ლურსმან-ნაშვილი-ც? — მთლად ძია ვასოსაკენ მთელის არსებით კი-ისწრაფვიან მაგრამ სურათზე? — მხოლოდღა თავით, გადახრილით-ყე, ვინ იცის როგორ უცემთ-უცემთ ქალურგული, ხოლო ცენტრალურ თავდამხმელად თუ თავდასახმელად? — რის ოქრო-ვერცხლი და მარმარილო —

პლატინის სვეტად, თავ-შლაპიანი, დგას ძია ვასო, მთლად პლატინისებრ მოელეგრე ის მერე რა რომ, მოშვეტუხა-ოვანი...

ესა სურათი-საუკუნის ვოვამ მაჩვენა დიდ-დაფარულად, ჩაბჭირებულმა-მთლად-აც სიცილით.

...  
 ძია ვასოზე დიდ-ქალთმოყვარე კაცს ამ-ბობდნენ, რაიკომულსა მდინეობისასაც თურ-მე, კი, კი,

საქვე ხანდისხან იქით-აქეთი ცხელი ტყვი-ებით სროვილობამდეც კი მისულა თავმოყვარე და ცოლთმოყვარე ინდივიდებთან ხოლო ძია ვასო კი, რაიკომისა სუბერ-მდივანი აბა სად დაიკვირნდა იმა-თავისი წარმატებულა ფათერაკულად-ქალებიანა თავგადასაღლებს და რუსული სიტყვა „походнения“ იტალიელ-სა მარკო პოლოს უფრო შეეფერებოდა ვიდრე ჩვენს გურულ ბიძია ვასოს რადგანაც სულაც თავისით მიილტვოდნენ მისკენ ქალები ხოლო ძია ვასო კი? მთლად აკლდამურად, რაიკომუ-ლად, ძალიან დუმდა, ზოგ გვარ-სახელში „რ“-იანივით კი არ ატარებდნენ ენას, — მთლად-ც პირიქით, ვითომც უბინო მამაკაცობის მთლადეპარტ-ბილეთითმხარდასაჭერადმად-ლა ამწევი? — ძალიან იყო:

ერთხელაც, ვოვა მითო-ზარნაცმა და სი-ნამდვილესკარგა-გაქექილ-დაქოქილ-თუქ-სუსმა — IX კლასში ვართ — სადღაც იშოვა ჩვე-იმდროინდელთათვის ნეტარი წიგნი, მთლადეც ოქტომბრისა რეველციამდე გამო-სული — „Мужчина и женщина“, და, დდე-ვანდელი IX კლასელებივით კი არ ვცავითი მა-შინდელეები ახლანდელეებს რომ ამა-15 წლის ასაკში მოყვრებულ-აქეთ პორნო-ფილემები, და, როგორის დიდის გატაცებით (— დაბალი სიტყვა... იმა-იღუმალი სიტუაციიზა) ვათვალ-იერებთ კი არა და, ვჭამთ-ვნთქაეთ თვალებით

შიშველ-ქალების ფოტოთც, ნახატებსაც, და, უცებ, ვაიი, არ გვესმის?:

— ჰაიტ თქვე გაფუჭებულემო!, —

ვაიმე, თურმე, მთლად ძია ვასო არ დაგვდგომია, გატაცებულ თავზე და, ელეთ-მელეთი ის-მამინდელი, ჩვენზე? —

რადგანაც, ასე, დაგვიძახის თავს უუდღეფსის გამწყრალობითა:

— იმის მაგივრად რომ მარქსიზმ-ლენინიზმს ენაფებოდეთ თქვენ აქ ტიტელელი ქალეების შესასწავლად ჩასაფრებულხართ!! და შენ მოუტანე, ხომ, ვოვას ეს აკრძალული და არალეგალური წიგნი!!? შენ აღდენ სწორი გზიდან ამას ხომ!!? აბა პატარა ამას იკადრებდა, ვოვა?!-ო,

ოხხ ვოვა-ვოვა, მკვი შენი მოხერხებულობა ეეე... რა ეთქვი, მე არ დამბრალდა შენი ი-შოენა იმა-წიგნისი?

მაგრამ მამამენტთან ხომ ვერ დაგაბეზღებდი, რა-ლ დამრჩენოდა, სულ კისრისტებით გამოვიქეცი წინსაკენ, სადაც, ფაცა-ბებიანი? რამდენად უფრო „ტექნიკურად“:

— სადაა ამდენს რომ დაპრონიალობ, ამხანაგების შერჩევა მაინც იცოდეთ, ო,

ვასო-ბიძია ერთადერთი იყო ვინც არ მალავდა გალიზიანებას ჩემდამი; ბატონ კონსტანტინეს ზვიადი შეილობით როგორღაც მაინც თაკავდა-ვერა მაგრამ პატარ-ძაფებით მაინც აბამდა და ამუხრუჭებდა, სხვების-მამები თავშეკავებულები იყვნენ, ძია ვასო კი? — ვაპპს!..

არადა, კეთილი და კარგი კაცი რომ იყო, მერე გავიგე და მივხედი და დავრწმუნდი, — მშრომელიც, მკაცრი და როგორღაც ორანჯროვნად კეთილმოსურნი,

ხოლო იმ რაღა თქმა უნდა ქალებიანა კონფისკირებული წიგნის შემდგომ, რამდენიმე წლის შემდეგ რუსთაველზე რომ მომავალი დავინახე რაღა თქმა უნდა შორით ავლა გადვენყვიტე, კი, მაგრამ, ძია ვასომ რაღაც შეცვლილი ხმით დამიძახა და, უჩვეულოდ სახეგაბადრული ნამოვიდა ჩემკენ, ხელი გამომინება, ჩამომართვა, გამილიძა, მომეღერსა, თავზე გადაამისეა ხელი — „შენ კარგი ვაჟი ყოფილხარ“, — გაოგნებასა, ვიყავ, ხოლო ძია ვასოს კი თურმე ჩემი პირველი ორი მოთხრობა, „აცისკარი“ — ში დაბეჭდილი, წაეკითხა და,

— აბა შენ იცი, ჩემო გურამ, ასე განაგრძე-ო,

რა ბედნიერად დატვირთული გავხდი მამაშინ, ძია ვასოთი... და, მგონი ახლაც...

ხოლო ძია ვასოსათვის, თურმე, იყო მთელ ქვეყნად, მთელი დედამიწის ზურგზე მცხოვრებ მილიარდ ქალთაგან ერთი, ერთადერთი, რომელიც მთელს სხვა საქალეთს, ერთად აღებულთ სულ-სუ ყოველ ქალთ, მთლად

დასტა-დასტად დადებულთ ერთიმეორეზე და გინდაც უზარმაზარი ხონით მორთმულთ? — არავითარი შედარება ვერ არსებობდა ბიძია ვასოს ის ერთადერთი? — იმდენად ერჩია:

— შიო, — ისეთი გაკვირვებით მომმართავდა ვოვა რომ, იმა-თავისი თვალთა-სიბასრის მთლად, სულ საესებით დაკარგული, როგორღაც რაღაც უბრალო შტერუჯანასავით, გაცივებისაგან თვალედაქეცილიც, და, უცნაურად განაზებულივითაც, იყო, — შიო, — ჩემი სიგამხდრით იშტარასაგან შერქმეულ სახელს — „შიშილი“ — ს არ მაკადრებდა, შემოკლებით ყოველთვის „შიო“ — ს მეძახდა, — მსგავსი არაფერი მინახავდა და გამიგია, ბებიაჩემი როცა ჩამოიღის (ვოვას ბუბია ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკისციხეში სახლობდა), ვასო (ასე უბრალოდ იხსენიებდა მამამისს გინდაცა რარიც რა-ორდენოსანთ-ს,) ველარ იძინებს, საწოლთან დედის ფეხებთან ზის და ნეტარებით თვალმომილულულს დედის ფეხის გულზე ლოყა აქვს მიდებული... თუ შეირხევა, მხოლოდ იმისათვის რომ ახლა მეორე ლოყა, ანდაც შუბლი გაიბედნიეროს, მსგავსი არაფერი გამიგია, სხვას რომ ეთქვა ეს, ნამდვილად არ დავიჯერებდი, და ბებიაჩემიც ვერ ეწინააღმდეგება რადგან იცის რომ ვასო მაინც თავისას გაიტანს...

და ეს ახლა რომ მიკვირს მოამდგავარო დედაშვილობა, თორემ, მამაჩემმა რომ რუსი დედა რუსულ-სიტყვებით დაიტირა კი არა და, — მე მამაკაცით ასეთი თან უბედური და თან შეგებად-ტიროილი არსად მინახავს კი არა და, ვისიცი გინდა მძღავერ-მეფანტაზიის ნარმოდგენით? —

გავიკვირებდი? — არ,

იმაზე მეტად მწარე ქეთიინი? თან, მთლად ბოლო დღეს და სწორედ მამის როცა ჩვენი სხვენიდან რომ უნდა გაესვენებინათ, მე რაღაც სულ სხვა კაცად აღვიქვი მამა, რომ მეგონა რომ, ისე ნაცნობი...

არ მეჩვენება — ადრე უფრო, კი, იყო, გახლდათ ადამიანთა ურთიერთობის თავი და თავი, — დედაშვილობა,

ხოლო ვოვოჩემი კი ერთხელაც კვლავაც მისებურად-ახირებულად მოიფუნება (გაუჭირდებოდა რაიმ-მორიგი ახირება თუ რა...) ნაყინის რატომღაც თავისით დამზადება — სადღაც ვილაცხას მიუცია რაღაც რეცეპტი, და, დიდისა-გულმოდგინებით შეაზავა-რა ერთიმეორეში რძეი, შაქარი, მარწყვი, ალუბალი, ბლის მურაბა, დაფხვნილი შოკოლადი და, ვანილზე რომ მიდგა საქმე? სადღაც გავიგე რომ ვანილი იმა-ხანებში ძნელად, ძვირად რომ იშოვებოდა და, დეიდა თამარამ რომ უთხრა: კი, ვოვა, როგორ არა მაქვს, ვანილი

ნაყინს უხდება-ო, ვოვამა? — აა, უხდება? — ო, რამდენი გაქვსო, დეიდა თამარამ — ორი შუკერა მაქვს, ვანილის, ერთიდან სულ ცოტა ამოილეო, დააა, მაგრარაანაც, ვოვამ? — თუკი უხდება, ორივე უნდა ჩაყაროო...

გადარიე, შვილო? — დეიდა თამარამ, — ვანილი ძალიან ცოტა უნდა უყო, — თურმე მხოლოდღა მოშორეულო არომატივით სჭირდება ნაყინს ვანილი, ვოვამ კი, დეიდა თამარას რატომღაც-შვილისგან მიწებებულ ხელმოჭირნეობაზე იეჭვებინა კი არა და, მთლადაც მძლავრა-ვეფხურად ეჭვებინა? — იზოგავსო და, ასე არ უნდაო და, —

ჯერ შეცბუნებული ხოლოკი მერე უილა-ფობით კარგავალიმებული დეიდა თამარას თვალწინ ჩაყარა მთელი ის ორივე შუკერა ვანილი, სუმთლად ჩაცვალა იმა-თავისს მითომ ნაგრამ-ნაღვანში, და, რომკი ძლივს შედგა და დაატია (კარგა 2 კ.ე.ე.ე.ე.ე.ე.) მაცივრისა საყინულეში? —

დეიდა თამარაც, ვოვასი ამ ყოვლად სულე-ლურ-სიჯოუტით ცოტათი-კია კი-გულნატკე-ნი და მაგრამ მაინც ამა-ქმედების შედეგისა თავისი კეთილი ღმილით მომლოდინე, ისიც ვოვაზე არანაკლებ უცდიდა თუ მაინც როგორ იგემებდა ესა ოჩნურად თავინება ვოვა თავისსა გადა-მეტებულს, სისულელემდე, ნადვანს, და, ასე საათის შემდეგ საყინულეში ნამდუზუმ შეტყავებისა შემდგომი კი? — რომ გამოიღო ვოვამ თავისი მყარი რკინისა-დიდჯამი ვითონუგბარანანი, და, გადმოიღო იქიდან კოხტა ლამბაქში კაიძალი და სიმარ-თლე-სიმართლედ და არც ჩვენ დავვინყებო-ვართ და კაი-თავუხესაყრელად მიწყლობა, მეც, — სხვათაშორის, როგორც-რო ნაყინის პროდუქტთ იმა-ნარსულში? — ასევე დიდის მოსურნეობით ირჩევდა და გვირჩევდა რო-გორცა ლამბაქთ ასევე ვერცხლის კოვხებსც, კი, — ხოლო დეიდა თამარამ კი, მოუხედავად ამეებისა? — ძალიან-ძაან გაასავსავა ხელები — აჰ! არ მიწდაო, — და, ხოლო ვოვამ კი რომი იგემო? პირველი-ვ კოვხი? — თუმცად, რაღა პირველივე — არამედ თურმე მთლადაც ბოლო რადგანაც კოვხის მეორედ შეესებაზე-ხომ მთლად არ მიმდგარა არავითარი კონფი-დენც.-საქმე, რადგანაც, — ესა-ჩვენი ზემო-რე ბევრგანახსნენი ვოვა და ვოვა და ვოვაი, თვით? —

დაიჯღანა? —  
ესა როგორადარბა ჰუმანისტ-კაცი გულ-მოსულსა-უ გიტლერზე მეტად დაიჯღანა და, დეიდა თამარაც რომ, მთლად ეყრეკლე ისავით რომ „გადამრადდა, სიცილითა“? და მე კი, მაინცა-მუდამ ცნობისწაღვილიანმა როგორც იქნა და რო-გაბედე და რომკი გავ-სინჯე ერთ-ღერი კოვხი — რაა ასეთი-მაინც,

მეთქი? ვაი თქვენს გურამს (დოჩანაშვილი-ლოჩანაშვილი გ.პ.) — ასეთი მაინც რაა-მეთქი და, თქვენკი კარგებსა-ნუგბართ გისურვებთ ჩემი ძალიან ძვირფასო და თავ-აუღებლივ ჩემო ერთგულო მკითხველო (რა, ტყუილსა ვარ? — აკი მკითხულობთ თორემ ისე ხომ ვერ მეტყვიო, — „კი“), — ისი კოვხის-მასალა? — ვაიი... — ამო ნაყინი კი არა და, არამედ, გახ-ლდათ? — რაღაცა ძალიან სრულად უუმწნე-ვესი ქინაქინურობის ბაკალაურულიც პასპი-რანტურა დიად, აც-ჰააც, იყოოო, ოო, იგი, ნაყინი-იგი ვოვასი მიერ როგორ-ზედმეტის გაფაციცებულ-გულმოდინეობით ნამზად-შეთხზული, და, უცნაურს გარდა რა მწარულ-შხამიც არის, არისა ხანდისხანობით, ფსევ-დო-ნაყინი, უცნაური როგორცა-ვითარც, — ნუთისოფელო,

და, გონსმოსულმა როგორც იქნა, მე-მ, სიმწრის ცრემლები რომ მოვიწმინდე, იმა-ნა-ყინის ძალიან-ყოვლად უაპლოდმენტებო ავტორს პირშიმთქმელურად მივებრუნე: „ამიჭო ვოვა, ახლა მაინც დაუჯერ ვინმეს თუნდაც ახლა მე და ჩემი რჩევას ესა-ნაყინი უნიტაზში არ ჩაუშვა თორემ მთლად დახეტქს მილუბს“-თქვა, მე-მ, „ნავის მანქანას გაატა-ვი ოლონდაც თუჯში შეფუთული ი-პატოსანი მანქანის ძარა როარ გახვრიტოს შენით-შენმა ამ საფირმ-ნაყინმა მაგ როგო-ძალიან უსვინი-დისომ“-თქვა, მე, —

აი, ასე დამაზადა დედის ურჩ-ვოვამ ნაყი-ნი-ისი ერთის მხრივა რომ რაც მართალია მართალია დოკუმენტურათ უიშვიათესი მაგრამ რად გინდა, მეტისმეტობით სულ არ (ვერ) დაიცვა მანა-ვოვამ კულინარიულ ნეს-დებათა გრამატიკაი, არადა, გრამატიკაებ სუყოველ დარგში აბა რაღა სჯობ რადისი გარდა ოლონდაც თუკი რადიო-იგი მთავლი-ტირებულ გადმოცემებში სიტყვათ-კონეზ-დეა-დასტებია გრამატიკული ხოლო ეს როგო-ძაან მეტი-ჩარული სიტყვათქმნადობ-ნი თუ სულაც არ (ვერ) ურევია მეცამეტეურ გოჭივთა, ბურეაკობაში ვაგარამლოლი ამას რაღა სჯობ ხოლო ვოვამ კი სიტყვათქმნადობა რა იყო და არამედ ვანილთქმნადობით-გადაჭარ-ბებულით? — გლახა საქმეი ნამდვილათე, ნაღ-დაუგინი ფარსავი უყო იმ პროდუქტთ — რძეი, შაქარი, მურაბა, მარწყვი, ალუბალი და შიკალადა და იმა-ნაყინით მგონია-რომ ამბოუგულათა ერთ-ორ ლამბაქთაც ვერდაყა-რა კარქი-დღეი, და არც ვერცხლის კოვხი,

და, მას მერე კი, სანაყინეში? — ნაყინაურ-სა-ოფიციანტს ეკითხებოდა კარგი რომელი ნაყინი გაქვთ, უვანილოო,

ასე განწავლდა იმ-შეგბედითს... ეე, არა — უმფრო შვევანილითს-დღეს ესა გურულთაე-ახირებული კულინარი,

კი,  
და,

აგრეთვე-წვალეუბა თქვენი კი იმათი უნდა გე-  
ნახნათ — უცნაურია, მაგრამ — სწორედაც  
იმით განაწვალეუბდა ვინც უყვარდა და გუ-  
ლით მოსწონდა:

ძალიან კარგი გოგონა გვყავდა კლასში, ბუ-  
ნების წესით მემრე მოზრდილსა შესაძლოა  
რომ შორიდან-ეგზე იცნობდეთ კიდევ, მაშინ-  
გოგონა და ახლაკი — ქალბატონი მანანა, მა-  
ჩაბელი, რომელიც რომ? ბავშვობის შემდეგომ,  
მერე და მერე, რაღა არ გინდა, რომელ ხელო-  
ბას ის არა ჰფლობდა: მსახიობიო, დიქტორიო,  
მუსიკოსიო, აგრეთვე ფილოლოგი, ფსიქოლო-  
გი, მწერალი, მოქალაქე, დიდაქტიკური პე-  
დაგოგი, ტელეფონით მოლაპარაკე და საქმე  
საქმეზედ თუ მიდგებოდა მთლად შეუცდომ-  
ლად აპყავდა ლიტერატურის ნებისმიერსა სართულ-  
ზე და ასევე წარმატებითულად ნებისმიერი  
სართულიდან დედამისისკენ ჩამოაყვავდა, პე-  
ეროვანი, იყო აგრეთვე არც ერთი პარტიის  
წევრი და ასე შემდეგ, რომელი-ერთი დარგი  
გინდა ის რომ ვერ ფლობდა და ახლაც არა  
ჰფლობდეს, ერთი მგონია ტრანქტორისტი არა  
ჰყოფილა რადგან ქალაქში ტრანქტორისტიკო-  
ბანა? — დარგია ერთობ ძნელი,

ხოლო ვოვას კი ისე ძმურად უყვარდა მანა-  
ნა და აგრეთვე-ცა ისე-ძალიან უყვარდა მისი  
წვალეუბა, რომ, თუ შატალოზე შემთხვევით არ  
იყო იმა თავისი ვერის სკოლიდან და დასასვე-  
ნებულად თავისზე-მერსსა მშვიდად ეძინა, შუა  
ბოლოურ-გაკვეთილზე ზარამდე ოციოდ წუ-  
თით ადრე მაინც გაიღვიძებდა და საქმიანად  
წამოვიდოდა მანანასათვის რომ მოესწრო  
რადგან მანანა ჩვენი სკოლიდან პირდაპირ  
მუსიკალურ სასწავლებელში მთლად-დაუდ-  
გრომლად გარბოდა რადგან იქ ათიოდ წუთში  
ენყებოდა რაიმ-გაკვეთილი (-პასუხისმგებ-  
ლურები ფორტეპიანურ-სპეციალობა, ზოგა-  
დი თეორია, მუს-ლიტერატურა ზოგადი, ზო-  
გად-პარმონია...), მაგრამ, ნუურას უკაცრავ-  
ადა, —

გაქცევა აგრე არ უნდაო და, კარში გუშა-  
გად იდგა მანვალეუბელი-მისი, უდრეკი-ვოვა-  
და, სხვებს ყველას უ-გასაშვებოდ (სიტყვიდამ  
„საშვი“) რომ გამოუშვებდა კლასიდან? — მა-  
ნანას ნოტებიან ჩანთას ძიძგილაობის შემდეგ  
წაართმედა და: — ხანამ ჩვენს სიმღერას არ  
იმღერებ ამ ჩანთას შენ ვერ ეღირსები და არ  
მიიღებო

ხოლო, მანანამ? —

იმა ოქროსი შემოღლებული-კბილოსანი-  
ვით? სულ ვერ იცოდა და არ მისდევდა იმს-  
კარგსა-სწორსა ცნებასა რომ — „ჩათრევას  
ჩაყოლა სჯობია“ო, და, თუმცა ძალზედაც  
დდრონ-წინააღმდეგი იყო იმ სიმღერისა, ხო-

ლოკი ეს დრო, დაუდგრომელი, დაუკეზლად  
გრინიჩის, ჩვენი, თუმც რაღა ჩვენი — რა ვე-  
რაგულად გადიოდა და ახლოდებოდა ამიტო-  
მაც უღმობლად ძაან მანანასი-ამ მუსიკისა  
გაკვეთილი და, ვოვასი უმისიღეროდ არ-დამ-  
თობობითი სიფოტით განმარებულ მანანა?  
მთელ-ათი წუთის თავისი ჩანთისა დაბრუნ-  
ბისა მთლად-უშედეგო თხოვნების შემდეგომ?

შევედი ერთხელ იმ კლასში და, ა, ასეთ  
დღეში ვინიღე იგი, ყოვლად არავითარ-და-ვე-  
რავითარ აკომპენამენტისანი სოლისტიკ-მანა-  
ნა:

ზის ვოვა აკადემიურად მთლადც პირველ  
მერხზე, ერთილა კია მთელს იმ საკლასო  
ოთახში მაგრამაც მთელ-რვაკაციან ჟურნი-  
სავით, სხედს, ხოლოკი სა-კლასო ოთახში  
ალარავინაა მანანას გარდა, რომელიც დაფის  
წინარე წარმდგარა და, სიმწრის ცრემლე-  
ბი ჩამოსდის მთლად ღაპადუპით აი ისე რომ  
გინდც ემ-ვოვასი დამზადებული ისინი  
მზავლად ეგემოს, და, მღერის თანაც მაგრამ  
აი რას:

**„Союз нерушимый  
Республик свободных-их“**

და ქვითი-ქვითინი ჩანართი-ესი, რეჩი-  
ტატილო: „ვაიმე დედა მიშველე დედა აღარ  
შემიძლია“ მაგრამაც, ვოვა?

— მერე, მერე?

დააა, მერე:

**„Сплотила навеки  
Вели-кая-ааа Рруусь“**

— ვაიმედედავაიმე-  
დედაამეყოფა ახლა პარგირა, ვოვააა,  
მაგრამაც, ვოვა? — შეუვალა:

— მთლად! სულ ბოლომდე!

და, მანანაც, ცრემლთშეუმრალი, რო-  
გორც იქნა და, რომკი ვავიდა თვის-ჩანთიანა,  
გარეთ? გადავიწიე, თავი:

— ბჭო, ასე თუ აფასებდი რაკომულ მამა-  
შენს, ვასოს, ეს არ მეგონა. იმისი დიდის პატი-  
ვისცემით ამღერებ, არა, მანანას ამას?

და, ვოვას მოედო-რაღაც ფრთხილსა-გულ-  
ზედა, ჩაჰვხაჭნა რაღაც-მ, და მერე აღარ  
უშღერინებდა მანანას მიერ არც ჰიმნი-ისი  
და არც სხვა რამ სიმღერა, რადგან, მანანა,  
ეთქვათ „Каа-лин-ка-моя“-ს?

ყოვლადუცრემლოდ და უგულამოფსკვნილ  
უ-მოთქმა-ჩივილოდ იმღერებდა, კი... —

გადავარჩინე, ასე.

(გავრძელება შემდეგ ნომერში)



# როს რუსთაშვილი

\*\*\*

არ აბრალებდა საკუთარ ცოდვას  
 წუთებს — ჭამთასელის გულცივ ფარემებს...  
 ის ყოველივეს ისედაც გრძნობდა,  
 მიზეზთა ჩუმი პოვნის გარეშე.  
 შემორჩა მარტოდ (როგორ რცხვენოდა!)  
 მრავალჭირნახულს და ერთგულ სამშოს.  
 თუმც არაფერი დავინწყებოდა,  
 მაინც, როგორღაც, ხანგრძლივად გაძლო!  
 თქვა: — „მართალი ვარ, ღმერთთან?!  
 რა ვიცი...“  
 და გაუშეშდა მზერა შორეთზე.  
 — „ფანტასტიკურად მიყვარს დაისი,  
 თუ შეძლებთ, ამ დროს მომიგონებდეთ!“  
 მერე გავიდა მარტო ეზოდან  
 და უბნო ლოცვით გაჰყვა თავის გზას...  
 (ის „მეს“ რაიმეს კი არ ერჩოდა,  
 უბრალოდ, სულ მთლად გადავიწყდა!)  
 ამასლა სწუხდა — „ცოდონი ხართო!  
 უსინანულოდ ფეთქავთ რამდენნი!!!“  
 როს მიიცვალა უკანასკნელი  
 არისტოკრატის შარავანდედით...

\*\*\*

თუმც სიყვარული შეგერჩა,  
 მაინც დაცოცავ მარტო...  
 ან საკუთარ თავს, ეპა!  
 როგორ გაუძლებ, კაცო?!  
 აღარ გადელევებს მწუხრი,  
 არც თაიგულთა ფიცი!  
 დღეის ზარები გუშინ  
 რო დაირეკა, იცი...  
 დგას უსურათო ჩარჩო —  
 შესცქერ სამყაროს დრამებს...  
 ო, არ აღირსებ მას, რომ  
 უსაყვედურო რამე!  
 ქვიშის სამოსელს იცმევ —  
 იცი, უფროა სანდო!  
 ეჰ, უკანასკნელ ფიქრებს  
 ნასელის წინ არეინ ამბობს...  
 ან მაცხოვარი მოვა —  
 შეგისდობს, რაიც პროშე...  
 უცრემლოდ არსებობას —  
 სამყაროს მიმართ პროტესტს!!

\*\*\*

ისე შეშფოთდა მოხუცი თელა  
 რომ გაუშეშდა ტოტები ლამის...  
 გაიშრიალა ღრუბლებში ელვამ  
 და უცაბედად დადუმდა ყამი.  
 იმზირებოდა სირუშე ისე,  
 რომ შეიგრძნობდი უხილავ მიჯნას...  
 შეაზანზარა ქუხილმა სივრცე  
 და ჩაიჩეხა ჰორიზონტს მიღმა:  
 კრთოდა სანთელი მართალ მლოცველის  
 იფანტებოდა შუქი ელდებდად!  
 და ჰგავდა სიზმარს წუთისოფელი,  
 რო იხსენებ და არ გახსენდება...

\*\*\*

ძველმა სიმღერამ მბეჭეტავ ფერებით  
 ჩაგირა და სადღაც ნავიდა...  
 ან ყოველ დილას ჩუმად შესცქერი  
 სულის სხვადასხვა ქუჩურტანიდან.  
 ირვალურის ბაიცი სილურჯე  
 კვლავ გაგიტყუებს ფეთებ—ფეთებით...  
 და გიკვირს, როგორ მოხვდა ყინულზე  
 ფერად—ფერადი ქრიზანთემები!  
 გადასწევ ფარდას ჩვეული რიდით  
 და გადახედავ ცინიკოს ქუჩებს  
 იმ ბავშვის მზერით, ჩვეულებრივში  
 უჩვეულოს რომ პოულობს უცებ!  
 და გახსენდება ნაცნობი შუკა  
 შორეულ დღეთა ღიმილი თოთო...  
 რო ინახავდი ნიგში სათუთად,  
 ქარის ნაჩუქარ ოქროსფერ ფოთოლს!  
 სულ სხვა ფერები ჩანდა ფანჯრიდან!  
 ისმრდა სულ სხვა ხმები ეზოდან!  
 ეს ის დრო იყო, როცა ძალგიდა  
 სულ უდარდელოდ გაგცინებოდა...  
 კვლავ დაბრუნდები ანწყოს ბილიკზე  
 და გულსმიერ, სათუთ ლოცვამდე —  
 უბნობ ნასულთა ნათელ ღიმილებს  
 და ჩამომარცვლავ კრიალოსანზე.

საქართველოს  
 პატივსაცემი  
 პროფესორი  
 აკაკი ლიოთიქაძე

\*\*\*

„ნუთისოფელმა — თქვა — გადამაგდო!  
აქ ნაღდის ნაცვლად სიყალბე შერჩა...“  
დააბოტებდა ის მუდამ მარტო,  
თუმც რაღა მარტო — სევდასთან ერთად!  
თქვა — „ბირჟაობას აწყმოსთან ერთად,  
გადათვლას მისგან ნაწუქარ ხურდის,  
თვით უსათუთეს მოგონებებსაც  
ქირქილით უნდა ვაქციო ზურგი!  
რადგან მოძველდა ყველა სიმღერა  
და ბგერის ყველა აზრი ფარული;  
და შეიკუმშა ჟამიც იმდენად,  
მოსწრებაზეა ან სინანული...“  
მე კი სიფიზილის ნაცვლად მოემჩვარდი,  
თუმც მაჯანჯღარებს ისევ ფათებით —  
ნუთისოფელი, დიდი ოსტატები  
სურნელოვანი კომპლიმენტების!  
„ან ბრძოლის ველზე მივდივარ...“  
თქვა და გამოიხურა კარი ოფისის.  
ის უდაბნოში წავიდა, რათა  
სილა გაენნა ნუთისოფლისთვის.  
რა დიდებულად ჩანდა ცისკარი  
(სულ ოდნავ დია!) კლდეთა ქვაბიდან...  
მან გადაყლაპა თვითგვემის აბი  
და საკუთარ ჩრდილს გადააბიჯა!!!

**სანტიმენტალური წერილი**

შემეფეთება ცისფერი მზერა!  
გზას უჩინარი ორკესტრი ართობს.  
წინ ჩავივლი და არ შემოგვიდავ,  
გულში კი ვიტყვი: „ჩემო ძვირფასო!“  
უცხო მისნები მთვარისფერ ცოცხით  
ფოთლებდქვეულ წლებს ჩამოგვიან;  
თუმც დასნეულდა დრო შენი მოსვლის,  
მაინც... ჯერ მაინც არ არის გვიანი!  
ნუხელ დამტანჯა სიზმართა ბოდვამ  
მზეზე დამქეცა ბოღმის იოდი...  
დიდი ბერ-მუხა ყვირილით მოკვდა...  
ხმელ ფოთოლს ო, რა უღვთოდ სციოდა!...  
შენ განვალბებდა სოფლის სიჭრელე  
და სისასტიკე ცივი გონების;  
მოდი, ო, მოდი, მოდი და მერე  
დახატე მკვდარი იადონები!  
მე უნდა ცის ქვეშ დიდხანს ვივლინო  
და დავეშალო ობისფერ ქირთა;  
დაე, გაგჟედეს თარი და ღვინო,  
ხელადის ღიბზე იცეკვოს ქინკამ!  
რა ვუყვით, თუკი გავიყინები,  
არ მელირსება მზეში გაშრობა.  
როგორ ხატავენ ნეტავ ნვიემები  
უშენობას და უარაფრობას!  
დათრთის ჩემს ირგვლივ განუკურნელი  
არყოფნის ელდა და შიში ვერხსნის!  
დგას შებინდების თეთრი სურნელი  
და მესიზმრება მოკლული ვეფხვი.

იადონებო! ციურ გზის გარდა  
მე საძებარი არ დამჩენია...  
არ მეშინია არაბონის, რადგან  
უკანასკნელი ვაზნა ჩემია!  
მე გახსენებდა მცირედი დამრჩა,  
ლურჯი მზერი და ლურჯი ცის კიდე.  
მე ჯოჯოხეთურ ლოდინის ფასად  
ორთა სიბერე გამოვისყიდე!  
მეც მაშინებდა სოფლის ღაღარი  
და სისასტიკე ცივი გონების  
და ნუთისოფლის მეშლილ ღაღადში  
შემომაბერდნენ იადონები!  
მე გავიხსენებ ლილისფერ მზერას  
და ჩავეყვები ტროტუარს მარტო.  
და გულში ნელა, ისე, ვით, ძველად,  
ჩაივლიდინებ: „ჩემო ძვირფასო!“  
ეჰ, გარდასული ქაფით სველდება  
და მოგონება ხსრნობა ასე...  
მე აკლდამაშიც გამახსენდება,  
რო მეგულვოდი ამ ქვეყანაზე!  
დაე, მეახლონ, ვით დარდიმანდნი,  
ღამე და ქარი! ქარი და თოვს!  
რისი ნაღველი, სევდა და დარდი!  
მიდიხარ? რა გქნა! ალბათ სხვა მოვა!  
ო, მე ვცეკვავდი და გვავდი კოცონს.  
ცას აწყდებოდა თოვლის ჩიორა...  
სციოდა, იცი? პატარა ფოთოლს...  
სციოდა, ო, რა უღვთოდ სციოდა...  
ზუზუნებს ჟამი და მერე... მერე  
ღამე მოჰყვება ნისლისფერ ხარებს.  
მზეო, მარტოო! შენ მომიტყეე...  
მზეო, მარტოო! შენ დამიფარე...

**სიზმარი**

აქ იმალება ქალი  
გადაქცეული ყანჩად.  
სციკე ნანვიმარ ყვევლის  
და მზის შიკრიკიც არ ჩანს.  
და გზაბნეულ გამვლელს  
ყანჩა ეძახის, — „დარჩი“!  
მივლია, ო, რა დიდხანს  
მოჯადოებულ ქარში!  
ო, რა უგონოდ ვფანტე  
სხიენი თმენის და ჟრჟოლის!  
მზე დამფოთავდა ცაზე,  
მიმტევებელი ყოვლის.  
დავძაბუნდი და მაინც  
ბილიკის პოვნას ვცდილობ,  
კვლავ გამიტყუებ საით,  
მაცდუნებლო ჩრდილო?!  
ხმა აცურდება ისევ:  
— „აქედან გზაა მოკლე...“  
და მეც უცრემლოდ მივდგე  
შემოღამების ფოთლებს.



დუნიშის  
კრიკაშვილი

ანახუნა

სოფელში ხმა დაირხა, ანკაპუნე გაგაფიებუ-  
ლაო.

— როგორ თუ გაგაფიებულაო?! — ყველას უკვირდა ეს ამბავი, ყველას ებრალებოდა ანკაპუნე — მედოლე ილო, ერთ დროს მშვენიერი ოჯახის პატრონი, ოჯახისა, რომელსაც ამ ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი, მარჩენალი მამის გარდაცვალების შემდეგ, რის ვაი-ვაგლახით გაქონდა თავი და რომელიც, ეს ერთი წელია, ფაქტურად არსებობდა, რადგან მუდმივმა გაჭირვებამ და გალოთებამ ელხას ბავშვიანად თბილისისაკენ აქნევეინა პირი, კიკოსავით მართად დარჩენილ ილოს კი ოჯახი აღარ ეთქმოდა; კომლი იყო, ოჯახი აღარ იყო და აღარც მედოლე ილო იყო ის ანკაპუნე, სოფელს რომ ახსოვდა: კობნია, პენენიკა, ლალი, დარდიმანდი, მუდამ სასიამოვნოდ და, ცოტა არ იყოს, ირონიულადაც მომღიმარი, საღმიანი და უბოროტო, მეტწილად საოხუნჯოდ მომართული.

რაც სმას მოუხშირა, განსაკუთრებით კი მას მერე, რაც ცოლმა მიატოვა, ისეთი ცხოვროტებული და აღრენილი დაიარებოდა, იოლად ევლარ იცნობდით. მარტო გაპოლილ სუფრასთან,

მესამე-მეოთხე წიქის მერე უბრუნდებოდა ძველბურთი, ჩვეული ხალისიანი გუნება-განწყობილება, და აი, მამინ იყო, დოღს რომ შემოიღებდა მუხლზე, თითებს რომ მოხდენილად აანკაპუნებდა და აანკაპურტებდა, ჩაახველებდა და სასიმღეროდ მოიღერებდა ბატის კისერს. მერედა, რა ხმა ჰქონდა დალოცვილს, გინდა პირველი და გინდა — მეორე! სწორედ რომ ღირდა ასეთ დროს ანკაპუნებს გვერდით ჯდომა — ქეფი. ხმა ხომ ბუნებით ჰქონდა მომადლებული, მაგრამ საკვირველი უფრო ის იყო, საიდან იცოდა ეს ამდენი ძველი თუ ახალი სიმღერა, გინდ ხალხური და გინდ ახალმოდური, საესტრადო. ეჰ, დაუდევრობას თუ უშატრონობას რა ვუთხარი, თორემ თავის დროზე რომ ესტრადას გაკყოლოდა, ვინ იცის, იქნებ ახლა, ორმოცი წლის ასაკში, ცნობილი ვარსკვლავიც კი ყოფილიყო. ასეთი სოლისტი ხალხური სიმღერების პროფესიულ გუნდაც კარგა გვარიანად დაამშვენებდა, მაგრამ ცხოვრებამ სხვაგვარად განსაჯა, იმისი თვითნაბადი ნიჭი ნათლობა-ქორნილებში აყვავდა და „შაბაშების“ ტრიალში გაიხარჯა.

ახლა ტკბილად ავონდებოდა ის „შაბაშები“, მაგრამ სადღა იყო, მოგჭამათ ჭირი! რომ არ მოელოდა, ისე უეცრად ჩამოწვა გრძელი უჭიატარი ზამთარი და ამ ბეზრიკობის ხანაში, როცა ხალხს შიმშილისაგან წივილ-წივილი გაუდიოდა, ვიღას ეცალა ქორნილებისა და ძეობა-ნათლობებისათვის! და დარჩა ჩვენი ჭრიჭინობელა თითქმის უღუნეტიოდ, მშობლების ხელებს შეჩერებული, ფიზიკურ შრომას ბავშვობიდანვე შეუჩვეველი, გაბავლებული და გაყალბებული.

მართალია, დაობლების შემდეგ ერთხანს დოღთან ერთად თოხსაც დაუქმაცკვდა, მაგრამ ადრე გაუთავებელ ქეფებსა და დროსობებს გადაეხალათო უდარებლა ჯეკოსი კვლობახე, სათოხე ერთუზიანში დიდხანს არ გაკყოლია. ჯერ იყო და, ბოლო წლებში პრივატიზაციით მიღებული სარწყავ-ურწყავი ადგილები გაყიდა ან სანახევროდ გაანათხოვრა, მერე იყო და, მამამისის ხელით გამწვანებული რვანლიანი ახალშენი ხელში შემოასმა. იმ გლეხივით დაემართა, ზამთარში სახედარი ჭამას რომ გადააჩვიო და მიიტყადამანც გაზაფხულზე, მწვანის მოზბინების დროს, მოუქვდა. არც ანკაპუნეს ასვენებდნენ იდეები. გადაწყვიტა, მამისეული ახალშენი წამალს უნდა გადაეაჩვიო („მამ, როგორ მოყვავდათ ჩვენი წინაპრებს ვენახები უშაბაშონოდ!“), და ექსპერიმენტებიც დაიწყო: მამამისი რომ შეიდგრა წამლობას უტარებდა შეილივით ნახარდ რქანითელს, ანკაპუნემ ყოველ წელიწადს თითო წამლობა ჩამოაკლო და ბოლოს, ამის მოუხედავად, რა ამინდები იდგა, სამზე მეტ წამალს აღარ ასხურებდა და იმათაც ზოგჯერ — მარტო ცალი მხრიდან. რაღა თქმა უნდა, ექსპერიმენტმა არ გაამართლა, ვენახი ჭრამა და ნაცარმა შეჭამა.

ეჰ, ჯანდაბას ვენახი, — სამაგიეროდ, მთელი

ჩვენი ვეება სოფლის მომავალი თაობა მედოლე ილოს დაკრულზე ცეკვადა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით! კულტახალში ცეკვის წრეზე უკრავდნენ ისა და მალხაზა.

— კაი, ერთი, თუ ძმა ხარ, — მოთხრა ერთხელ როგორცაც, ნასვამი იყო, — სად მაქვს მაგისი თავი, სიტყვები თოხი ვუბრაუნო! ტრაქტორი ძალიან ძვირი ჯდება, თოხითა და ბარით კიდევ რას გაანყობ კაცი, მე მაგათი მამგონისა რა ვთქვი!

— ვის აგინებ, თუ იცი! — ვუთხარი სიცილით, — ეგ შეუცვლელი და შენგან მოძულეპული შრომის იარაღები ქვის ხანაში გამოიგონეს, ძმაო, და მაგათ გადაარჩინეს კაცობრიობა!

— ძალიან დაუსაგებიათ, რომ მოუგონებიათ! — ბრახიანად შემანყევინა ანკაპუნემ და თავის ქნევით განაგრძო, — ისე, დამეჯერებინა თავის დროზე მამარჩმისთვის, კაი იყო, მაგრამ...

— რაო, მაინც, მამაშენმა?

— რაო და, მომიდექი, შვილო, გვერდითაო, მეუბნებოდა, შენი არაფერი არ მინდა, სხვლის ქირას არ მოვთხოვ, ისე შეგასწავლი თოხნავის პროფესიაო! — აქ სინანულით შემოჰქრა ხელი ხელს და ტრაგიკული ხმით წამოიძახა, — არ დაუფერე მე დურაკმა არ დაუფერე და ეგე, როგორი ცხოვრება წავიდა, როგორ გამოიხადებოდა ახლა ეგ ხელობა! შენი დილი და სიმდურა აღარავის სჭირდება! ქელეხები, ჯვარი აქაურობას, კი მომრავლდა, მაგრამ, რა ვქნა, ქელეხებში მე ვერ დავუწერე. ჯერ ერთი, მაგ საქმეს სულ სხვა რეპერტუარი სჭირდება და, მე რე კიდევ, მე სხვა კაცი ვარ, ძმაო, მე მაგრე არ დავიმდაბლებ თვსა, რომ მიცვალებულებს ზაითაბით ვდიო უქანს, ჩულოები კი არ ვარ! ე თოხისა კიდენა, ხო გითხარი, სულ არა გამეგება რა, ვერ გამიგია, რომელი ხელი ნინ მოეკიდო დრომელი უქანს თანაც, როგორც კი ხელს მოეკიდებ, ვგრევე წელის ტკივლები მიწყება! მაგ იყიდე-გაყიდეს ტალანტი მე სულ არ გამაჩნია, მე სხვა კაცი ვარ, მე მუსიკოსი კაცი ვარ, ხელოვანი!

აესეთი, ცოტა არ იყოს, არასერიოზული კაცი კი გახლდათ ანკაპუნემ, მაგრამ, ფუ, ვშმაკს, სიდიდე იმასთან რა მოსატანი და ან კი როგორი დასაჯერებელი იყო: კაცი ჩვეულებრივ, ნირმე-უცვლელად დაიარებოდა, ქვეშ არ ისროდა, ქუდს უკუღმა არ იხურავდა, ცალ-ცალ ფეხსაცმელს არ იცვამდა, ნაპოლიონობას და სტალინობას არ იჩემებდა. არვის არაფერს ურჩოდა. სტყენით კი უსტყენდა ხანდახან, მაგრამ შარა-შარა კი არა, — განმარტოებისა და მოწყენილობის ან კაი გუნებაზე ყოფნის ფაშს. იმასაც სტყენა კი არა, ვალომა უფრო ეთქმოდა, ისე რომ, თითქმის დაბეჯითებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, — მისი ვენახის გვერდით ჩამავალ ტყიან ხეობაში მოზინადრე ბუღბუღებს, შაშვებსა თუ იადრებს ანკაპუნე თავიანთი დამტის საპატიო ნივრად უყავდათ ჩარიცხული, რომ აღარაფერი ეთქვათ კოლეგებზე-კლარნეტისტ-მეზურენ-მე-

გარმონებზე, რომლებსაც აღებულ „საქმეზე“ უიმისოდ გული არ მიუწევდათ.

და უცტებ — გაგიდათ!

— ი, როგორ თუ გაგიდათ?! — ყურს არ უჯერებდა ამისი გამონე.

ან კი როგორი დასაჯერებელი იყო!

უმეტესობა ბიჭებისგან მოჭორი უწყინარ ხუმრობად მიანდა ეს ამბავი. არამკითხველ ტორ-ხაბარა კი ისეთ რალაცას შეეგებოდა ანკაპუნეზე, იმასთან შედარებით, ჭკუაშეშლილობის ყველა სხვა სიმპტომი ერთიანად ფერკრთალებდა. თურქო ნუ იცყეთ, ერთი უცნაური და ყურით გაუგონარი აკვირებდა დასჩემებია ამ ჩვენს ანკაპუნე ილოსა: სადაც კი შავ კატას დაიგულვებს, სანამ არ დაიჭერს და ჩანთში ჩადგუვლი გლლით შინ არ წაიყვანს, არ მოშუშვება. უკვე ბლომად უყოლია სარდაფში. ყველა ფანჯარა კი ამოუქლია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ზემოუბანში კარგა განცალკევებით ცხოვრობს, ტყინი ფერდობზე მეზობლებამდე მაინც აღწევს იმით გაუთავებელი ჩხავილ-ღნავილი...

მე ერთი იმთგანი ვიყავი, ვინც დიდახანს ვერ შეძლო მაგ ამბის დაჯერება, მარტო იმიტომ კი არა, რომ ანკაპუნეს შემოლობისას ვერაფერს ვამჩნევდი, — უფრო იმიტომ, რომ ვერაფრით წარმომიდგინა, როგორ, რანაირად შეიძლება კაცმა უცხო, მიუჩვეველ კატას ხელი სტაცო და გლითაში ჩაუჭახო. მიგიკარებს ახლოს? მიდი, სცადე ერთი!

მაგრამ ამისი მაძიებელი აღარავინ იყო, — იჭერს! — მორჩა და გათავდა!

ამ საკითხს მაშინდა მოეფინა ნათელი, როცა ერთი-ორმა შავკატადაკარგულმა თავისი საყვარელი ფისუნია სწორედ ანკაპუნეს სარდაფში აღმოაჩინა და კატების ქურდასაც ბარე გვერდინად წაუეს-წამოუსყეს. ამ შემოღანაუნებათა მერედა გამომტყდარა ჩვენი ილო, რომ წინასწარ შეთვალეირებული კატის დასაჭერად ძილისნამლომორელი ჩიჩიას ხმარობდა.

ეტყობა, ამ შემოღანაუნებათა ცხელ კვალზე გადაწყვიტა ანკაპუნემ, რომ ამ საქმის ეგრე არალეგალიად გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და აი, სოფელში, სათავლიო ბირჟა ადგილობზე, ორ-სამგან, განწდა შემდეგი შინაარსის განცხადება: „ვიბარებ ზრდასრულ შავ კატებს. ფასი გარიგებით. მიღება საღამოს 7 საათიდან. მეთოდურ ილო (ანკაპუნე)“.

ეჰ, ერთ გიჟს როგორმე აიჭინდა სოფელი, მაგრამ იმისმა გამოკრულმა განცხადებამ მთელი სოფელი ერთბაშად გადარია. ვილას არ მოჰყავდა მედოლესთან შავი კატები: თვეობით პენსიამოუღებელმარტოხელამოზუცებზერომალარაფერი ვთქვათ, უბიუვეტო უჯახებში უჯიბისფულოდ დარჩენილი სკოლის მოსწავლეები ხომ მთლად კატებზე მონადირეებად გადაიქცნენ...

ანკაპუნე ჯერ ორ-ორ ლარს იძლეოდა თითოში, მერე ლარზე და ბოლოს ათ შაურზეც ჩამოვიდა.

— ნეტა რა ემმაკად უნდა, კაციო!

— კაი, რა, გიყი აბა, რისი გიყია!  
— არც რე სიგიჟისა ეტყობა რამე სხვაფ-  
როე?

— მაგაზე მეტი რალა უნდა ეტყობოდეს, და-  
ლოცვილი!

— იქნებ ასუქებებს, კლავს და ჭამს, რა იცი!

— კატის ჭამა ვის გაუგია, კაცო!

— ეგე, თუ არა იქნებ კურდღელზე გემრიე-  
ლი ხორცი აქვს, რა იცი, გისინჯია?

— ფუი, ფუი!

— მაგრამ რატო მაინცდამაინც შავიო?

— ალბათ, შავი უფრო გემრიელია!

ბოლოს უმეტესობა აქეთ იხრებოდა, — ალ-  
ბათ ასუქებებს, კლავს და ჭამსო. ჰოდა, ღმერთმა

შეარგოსო, ჭამს და გაუშვიო, ჭამოსო, კაცია  
და გუნებო!

— ვერა ხედავით, — ამბობდნენ ცალყბა ლი-  
მლით, — ხორცს ცეცხლი უკიდია ბაზარში,

ნადი, აბა, აძლიე კილოში ხუთი ლარი, როგო-  
რია! ამას კიდენა კილო ხორცი ათი შაურიც არ  
უფლება! გიყი უძახე შენ!

თვითონ ანკაპუნე, ძალიან რომ ჩაეძიებოდ-  
ნენ, კატები რად გინდათ, გალიზანებულის ტო-  
ნით იტყოდა, გამომწვევად:

— გიყი ვარ! ვეღარ გაიგეთ, რო გიყი ვარ?  
ხოში მაქვს ეგეთი, მოვრჩით?!

ზოგჯერ კი სულ სხვა, ბევრად უფრო დამანი-  
ტრიგებულ მასუხს იძლეოდა იდუმალის ღიმი-  
ლით:

— მაგას სულ მალე გაიგებთ!

ჯერჯერობით კი ვერავის ვერაფერი გაე-  
გო. ვარაუდები ვარაუდებად რჩებოდა. იმას კი

ყველა ხედავდა, რომ ანკაპუნე მეტად სერიო-  
ზულად ზრუნავდა თავისი ფისუნების გამოკ-  
ვებაზე: ხან სოფლის სასადილოდან ნახევდით

მოშავალს ნარჩენებით სავეე ვედროებით, ხან  
სადედაქალაქო ტრასაზე მდებარე ტყისპირა

რესტორიდან, (სადაც მისი ბიძაშვილი მზარე-  
ულად მუშაობდა), ეზიდებოდა რავინდარა ნა-  
სუფრალსა და ჭურჭლის ნარეცხს.

ერთხელაც თბილისიდან მოვიდვიარ მანქანით  
(ძველი ფურგონი მქონდა ერთი, სტაფილოს-  
ფერი), გავიხედე, რესტორნის გადასახვევთან

ანკაპუნე დგას. ისე მივიჯახლოვდი და დავამუხ-  
რუჭე, მგონი, არც გაუგია. ფიქრებში თუ იყო

მეტისმეტად გართული. მოკლე სიგნალმადა  
მოახედა.

— რას უდგახარ, კაცო, აქა, მოდი, დაჯექი,  
თუ მოდიხარ!

— ოჰ, შენა ხარ, ტო?! — უყვარდა ხანდახან  
მგეთი „ბლატაობა“.

— გამარჯობა! მოდიხარ თუ არა?

აქედან მაგის სახლამდე ბარე ორი კილომეტ-  
რი იქნება.

ანკაპუნე როგორღაც უხერხულად იმმუშენე-  
ბა:

— აგერ, ვედრები მაქვს და... აეტობუსს და-  
ველოდები.

ახლალა შევნიშნე იქვე, მაყვლის ბუჩქთან  
მიდგმული ორი ცელოფანმოკარული ვედრო.

— დაჯექი, დაჯექი!

— რა ვი, ე პატროსანი მანქანა არ დაგისვა-  
რო!

— რა მოგაქვს, რა არი? — ვითომ არ ვიცი.  
ანკაპუნეს გვერდზე გაუბრბის მზერა:

— ნარჩენებია... ნარჩენები... რამე... — ამბობს  
ნაყინუყვად, თან მანქანისაკენ მოემართება,  
ვედროებატატებულად.

— რა არი, ბიჭო, ძროხა შენ არა გყავს და ლო-  
რი, რად გინდა, რომ ეზიდები? — ვკითხე მაიმი-  
ტად, როცა ჩემს გვერდით მოეწყო და მანქანა

დავძარი.

— შჰ, კაი ერთი, ვითომ არ იცი! — მუხლზე  
რბილად დამკრა ხელი და ჩაიცინა.

— შო, ვიცი, ბატონო, ვიცი, — ევუბნები გა-  
მოტყინილად, — მართო ის არ ვიცი, რა ეშმაკად  
გინდა ეგ ოხერი კატები! მართლა ჭამ, კაცო?

— კაი, რა, ოთარ, მართლა ნუ გამაგიჟეთ, რა!  
— სერიოზულად იწყინა, — მალე იქნება კაცი-  
ჭამიობაც დამბარალოთ, ე კატეჭამია ხო უკვე

ვარ და ვარ! — ბოლო სიტყვებს სიცილით ამ-  
თავრებს.

— არ გინდა, ნუ მეტყვი! შენი საქმისა შენ  
იცი! — ევუბნები არჩენიდა.

— შენ ეგ მითხარი, თბილისში როდის ბრუნ-  
დები.

— ამ ოთხ დღეში უნდა წავიდე. მაშაჩემი თვა-  
ლის ოპერაციას იკეთებს...

— ზეგ რო წავიდეთ?

— მაინცდამაინც ზეგ?

— შო, ვერცა საჭირო, ზეგ საღამოს!

— კაი, ბატონო, რა პრობლემაა! იყოს ზეგ სა-  
ღამოს!

— აგაშენა ღმერთმა!

ანკაპუნე კარგა ხანს დღედა. კიდევ რალაცის  
თქმა უნდოდა, ვატყობდი, მაგრამ ქოქმანობდა

კი, ეთქვა თუ არა.

— აქედან ბარგი ხო არაფერი გექნება? —  
მკითხა ბოლოს.

— რა უნდა მქონდეს, არაფერი! — ვუთხარი  
ალღლად. აიღე-დაიღე, ერთი ბოცა ღვინო გამე-  
ყოლებინა.

— მაშინ, თუ ეგრეა, — ანკაპუნემ ნერვიუ-  
ლად მოიფშვნიტა ხელები, ერთხანს იყუნა, მე-  
რე მკეთროდა შემობრუნდა ჩემკენ და მოწყე-  
ვით მესროდა, — კატები უნდა წამაყვანირო!

— სადა, კაცო, თბილისში?! — ვიყვირე გაო-  
ცებულმა.

— შო, თბილისში, რა გაგიკვირდა? — ჩემი გა-  
ოცება არ ეჭამნიკა ანკაპუნეს.

— გასაყიდა? — ეკითხები.

— დაეუშვათ! — ორაზროვნად მიქნევს  
თავს.

— დაეუშვათ, თუ წამდევია? — ჩავძიე

— ბეგრის ცოდნა მალე აბერებს კაცს! — ამ-  
ბობს სიცილით და კიდევ უფრო აბუნდოვანებს  
ყველაფერს.

მე მაინც ჩავთვალე, რომ, როგორც იქნა, ამოვხსენი კატების საიდუმლო და საჭიროდ მივიჩნიე ამეხსნა მისთვის მთელი ამ ოპერაციის უაზრობა.

— კი, მაგრამ, რა გგონია, თბილისში განყდა კატები და ხელიდან დაგტაცებენ თუ? მანანა-ლა კატებით სავსეა, ბიჭო, თბილისი, ვის რად უნდა შენი ჭირიანი კატები?!

— უნდათ, უნდათ! შენ მარტო წამაყვანიე და ნახავ, უნდათ თუ არა! — მეუბნება ღიმილიანი ქადილით.

— კაი, ბატონო, ზევ საღამოს მივდივართ, ხუთ საათზე.

ეჭ, აქამდე თუ კიდევ მეპარებოდა ეჭვი ანკა-პუნეს შემოღობობაში, ამ საუბარმა საბოლოოდ დანარჩენა, რომ საქმე მქონდა რაღაც უცნაური, შესაძლოა, დღემდე არნახული სახის მიზოფრენით დაავადებულ კაცთან, რასაც თავად ავადმყოფი ცხადია, ვერ აცნობიერებს, თორემ, ასე რომ იყოს, მაშინ ხომ გიყვც ადარ იქნებოდა ის საცოდავი!

ისე რომ, მესამე დღეს, საღამოს, თბილისის-კენ გეზაღებულმა და მის სახლთან, უფრო ზუსტად, მის სახლის კენამავლორდობთან მიახლოებულმა, გზის პირას მდგარი მდოღლე რომ დაგინახე, საგარეო ზოლიან პიჯაკში გამოწყობილი, რომლის გარემო თელსეირა ბიჭების კარგა მოზრდილი ნრე შეკრულიყო, ვერ გიფიცი თ ამიტყდა სიცილი, მერე კი, მანქანას რომ ვამუხრნებდი, კატების ჩხავილის გავგონებაზე, ისეთი სუბრული დამეფილა ჩემი მომავალი თანამგზავრის მიმართ, ლამის ცრემლიც კი მომერია იმის გამო, რომ აი, ამ ელგვანტურად გამაწყობილი ვერკაც ახალგაზრდა კაცის ტვინში, მსუბუქად რომ ვთქვათ, ეგ ზომ უცნაური იდეები ფუთუფუთებენ და, თავზე პატრონი რომ ადგეს, ბაზარში კი არა, ასათიანის ქუჩაზე უნდა მიჰყავდეს გამოსაკვლევად და სამკურნალოდ, მაგრამ მე რომ ჩემი თავსატეხიც მყოფის, უკუდო ხარისა არ იყოს, სხვას რა და როგორ ვუჭვლო, ძველი დრო ხომ არ არის, დალოცვილი, ავერ, მამაჩემის ოპერაცია მივდედა „ოთუზობი“!

ეჭ, ჯანდაბას მაგისი თავი, მივიყვან ერთი ბაზარში და ვუყურებ, როგორ სარფიანად გაასალეებს ამ ტურტილიან, ტუტუტურ საქონელს ერთი რამ კი აქედანვე ცხადია: კონკურენტი ნამდვილად არავინ ვყოლება!

მანქანიდან ჩემი გადასვლა და ბიჭების ახორბოცება ერთი იყო, რასაც ანკაპუნეს წინ დაყრილი „მოძრაეი“ ტომრებიდან კატების გამაყრებელი კნვილ-ლნავილიც ერთვოდა. „გიუი რომ არ იყოს, რამ გამოიყვანა შარაზე კატებით, ვერ დამელოდა სახლში?!“ — გაფიციტრე, მაგრამ უკვე გვიან იყო: ჩამაჯლო ამ ოხერმა სოფლის ყბაში! მაინც, ჩემი მისამართით ნასროლი რეპლიკებიდან ერთი გამორჩეულად მომხვდა გულზე:

— კაცო, შენ რალამ გაგასულელა, ამ კატის-ტვინა ანკაპუნეს ჭკუისა როგორ გახდი! —

უცერემონიოდ მომხალა რობიზონამ, ჩემმა დეიდაშვილმა.

— ვერა ხედავ, ორივე წასაყვანია? — შევეშველა ქუჩო.

რა უნდა მეთქვა, მართლა ვგრე ჩანდა შორიდან, — ერთობ საჩოთოო საქმის თანამონანილეებად გამოიყურებოდი მე და ანკაპუნე.

— ამათ რაღაცა მაგარი ბიზნესი აქვთ ნამოსყებული, ძმაო! — თავზევით შემართა თითი ჩაღრაშამ.

ამასობაში ანკაპუნემ ერთიმეორის მიყოლებით შეყარა მანქანაში „ხმოვანი“ ტომრები და დემონსტრაციულად, ისე, რომ ბიჭებთან გამოსამშვიდობებლად ხელის ერთი აქნევაც კი ზედმეტად ჩათვალა, პაიპარა ჩაჯდა მანქანაში.

სატყეს რომ მივუჯექი და სტარტარს დავანექი, მესმოდა, როგორ ავითარებდა ჩაღრაშა თავის მეცნიერულ თეორიას:

— ამერიკელი პროფესორისთვის მიჰყავთ თბილისის როიპარკში ექ ტარდება თურმე ექსპერიმენტები ოთახის გომიება და კატებზე და იგეთი პიბრიდი უნდა გამოიყვანონ, კიდევაც იყფებოდეც, ცნაოდეს კიდევ და თავგება და ვითარებასაც იტყვდეც, მაშ!

ეს მანქანაც რომ ჩემს ჯიბრზე აღარ იქოქება!

— ძაღლისა და კატის შეჯვარება ვინ გაიგონა, უღიღბანდო! — სერიოზულად ეკამათება შივო.

— გეები! — მრავალმნიშვნელოვნად აქნევს თავს ნიბალა.

გამომივიდნენ გენეტიკის პროფესორები!

— განა ერთად აწვენენ ლოგინში, ვერან! კლონირება გავიგონიათ? — ძალზე მარტივად და „გასატყბად“ უხსნიო ჩაღრაშა.

ამასობაში, როგორც იქნა დავიძარიოთ.

ილო ჩუმად ზის, გაბუსხული. ისეთი საქმიანი და თანაც აფორიქებული იერი აქვს, როგორც ეს დღეს და სერიოზულ საქმეს შეჭიდებულ კაცს შეეფერება. ახლალა შევნიშნე, ხელები სულ ერთიანად დაფხაჭნილ-დაკანრული აქვს. კიდევ კარგი, იოდი მაინც ნაუსეგია. სანყალი, როგორ გახდა ამ ბოლო დროს, ისეთია, — კაკარატა, კერკეუ, ცარიელი თვალეები, კატკაჭი ჩიჩქს ვერ გამორჩება!

მანქანის სალონი კატების კაკაფონითაა გაყრუებული.

— სულ რამდენი სულია? — ვეკითხები ხმა-შემალღებით.

— ოცდახუთი. — ხხარტად მომიგო ანკაპუნემ.

— მოდი, თუ ძმა ხარ, გაუშვი ეს საცოდავეები, რა ან შენ რას ნვალობ და ან ამათ რას ანამებ!

— კაი, რა, ოთარ! — ეს ისე თქვა, ხმა აღარ გახილია.

კარგა ხანს ვიარეთ დაბურებულუბივით, თუ არ ჩავთვლით თითოთოროლა რეპლიკას, ერთიმეორის მისამართით გადასროლილს, ისეთებს, როგორებიცაა: „ნელა იარე, ემანდ, მოსახვევში,

ძალღებმა იციან ჩასაფრება! „თითო კატა ხომ ღირს, ძმოო, თითო ლარი, პოდა, კატები ჩამოუფრგოთ! ან კიდევ: „ორ დღეში ამინდი შეიცვლება! „რა იცი? „კატები ხეზე აფხაჭუნებდნენ! ან კიდევ: დაილაღნენ, სანყლები, მოუკლეს კაკოფონიას! „კაკოფონიას თუ კატაფონიას?“

— მე შენსავით პოეტურ არა ვარ, რთმები არ მეხერხება, — ვუბნები სიცილით.

ვიცი, ისე ვერაფრით აამებ ილოს, როგორც იმით, პოეტი ხარო, რომ ეტყვი, თუმცა გულისხმულში იქნებ ყველაზე უკეთაღ იცოდეს, რომ რამდენადაც მაგარია, როგორც მომღერალი, იმდენად უსუსურია, როგორც პოეტი. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა ის საერთო რვეულში, სასოებით რომ გადმომცა ერთხელ ნასაკითხად, ორიოდე ლექსიც ვერ ვნახე, ლექსთან მიმსგავსებულა. ეს მაშინ იყო, ფოლკლორული საღამოების ბუმი რომ იდგა საქართველოში და ჩვენი სოფლის კულტსახლშიც დაიგვმა ერთი ასეთი საღამო. სამი ლექსი ძლივ ამოვურჩიე ილოს, ასე თუ ისე გამოსახედავად საღირალო:

ახლაც იქ იყო ოცნებით გადავარდნილი.  
— ეჰ, ნეტავი იმ დროს, ვახუშტომ რო ხელი დამკრა მხარზე, ნაღდი პოეტი ყოფილხარ ილოო, რომ მითხრა და მე კიდევ ვგრევე რო ვჯახე ლექსად: „ახლა მაინც ხომ გაიგეთ, ვინა ვააო, ფილარმონიაშიც მხანავო, ვინა ვააო! მატარა ფილარმონიაში აღარ მიმიწვიეს, ვითომ, რას ამბობ, ბიჭო, და, ვინც მიწვიეს, ჩემზე მაგრები იყვნენ, აი! ყველგან ჩანყობა და კაცია საჭირო, ეგრე იყო და ეგრე იქნება! „სანყალი ივანე ნიკოლაური! — გვიფიქრე, — რომ არ „ჩაენყო“, ვის ეცოდინებოდა მისი „ეგრე რამ ჩამომაბერა!“ —

ხმამალა კი ეს ვუთხარი ანკაპუნეს:  
— მოტივი უნდა შეგერჩია შენი ლექსები-სათვის და დოღზე გემღერა! —

— მაშინ გერჩია, დალოცვილო, ეხლა რო მეუბნები! — მისაყვედურა ანკაპუნემ და უცებ ომახიანად დაუმატა, — ეხლა პოემასა ვნერ, რომელიც აეგრე დამთავრდება: „და ჩვენს საზღვრებს იცავს ჯარი!“

— მაგარი იქნება!  
— კი, მაგარი გამოდის!  
— შენ ეგ მითხარი, თითო კატა რამდენად უნდა გაყიდე? — სიტყვას ბანზე ვუვადებ.

— ევე, კაი, რა, თათარ! — ხელი ამიჭინა ანკაპუნემ, თითქოს საფეთქლიდან აბეზარი ბუზი აიფრინაო, — შენ რა, მართლა გგონია, რომ ბაზარში დაედგები? შენ მართლა გიჟი ხო არა გგონივარ!

— ისე გატყობ, მალე აქეთ გამაგიფებს! — ვუბნები სიცილით, — ბოლოს და ბოლოს, მეტყვი თუ არა, რას აპირებ?

— კატები კაი ხანია გაყიდულია! — მეუბნება ისე, თითქოს შუშა კიტრზე იყოს ლაპარაკი.  
— როგორ, კაცო!

ანკაპუნე კარგა ხანს იქვეა პიჯაკის ფიბეში, ბოლოს რაღაც თობად გაკეცილი ქალღლდი ამოაჩინა და გამოიმინოდა:

— აი, ამ მისამართზე უნდა მივიდეთ, გამოვა კაცი, მივუთვლი კატებს, მომითვლის ფულს და „ვისიო!“

— თითოში რამდენს გადავლევ?

— თითო თუმანს. მამღლეს კი არა, უკვე მოცემული აქვს!

— აბა, იმასა პულოია კაი მსუქან-მსუქანი ჰოფოფები, აი! — წამოვიძახე გადარეულმა.

— ხუთი კატისა წინასწარ მომცა, ავანსად, — ომახიანად განაგრძო ანკაპუნემ, — დანარჩენს მერეო, მითხრა, გავისწორდებით!

— სულ რაღაც ერთ თვეში ორასორმოცდაათი ლარი კაი ფულია, ძმოო! — ვუბნები საესებით სერიოზულად, თუმცა ბოლომდე არც ახლა მჯერა ამისი ნაბოდვარისა, — წამიკითხე ერთი, რა მისამართია!

არც გაუშვია ქალღლდი, ხეპირად ჩააჩინა:

— ხეივნის ქუჩა, მეორე კვარტალი, კორპუსი მეთორმეტე, ბინა სამოცდახუთი. ბეჟა ბეჟაური.

ამით ანკაპუნემ საკითხი ამოწურულად ჩათვალა, ჩემი ცნობისწადილი დაკმაყოფილებულად და გაჩუმდა.

— გისმენ, გისმენ, — შევეძახე უარესად გაღიზიანებულმა.

— სულ ეგ არი! — მომახალა მხრების ჩეჩვით და ის ქალღლდი ჯიბეშივე იტაკა.

— თავიდან, თავიდან დაიწყე! — ხმამალა ვუყვირე, რადგან ჩვენმა ოთხეფხა თანამგზავრებმა ისევე გაჭიმეს კატური კრიმინალული.

— როგორ თუ თავიდან? — ვითომ ვერ ხვდებოდა, რა მინდა.

— ვინ ოხერია, სად გაიცანი...

— თბილისში, სუფრასთან...

— რა სუფრა იყო?

— პატარა, ხუთკაციანი.

ისევე გაჩუმდა. პირდაპირ ნერვებზე თამაშობს!

— მერე, მერე?

— მოკლედ, ფანული შემგვდა ერთი, ჩემი ძმა და მეგობარი, კლარნეტა. ადრე ერთ დასტაში ვუკრავდით. ეჰ, რა დრო იყო! გადმოდიოდა მუბაში მუბაშზე! — ისევე გადაუხვია, ვატყობ, ისევე ლობე-ყორეს ედებოდა — ეხლა იგრე სხედან სუფრასთან, გვეგონება, ბილეთი აქვთ აღებული და მე ვალდებული ვარ გავართოკე. ჯიბისაკენ ხელის წიდება არავის უნდა არადა, დალოცვილები „ზაკაზებს“ მაგრა იძლევიან, ეს დაუკარ, ის დაუკარ, ეს იმღერე, ის იმღერე.. მამაძა, ეგრე სად არი!

— კაი, ერთი, — ვუბნები გამომწვევად, — ამ თქვენი კლარნეტების ჭყვიტინა ჩაკლა ხალხური შემოქმედება, ხალხს სიმღერას არ აცლით! ასე რომ ყოფილიყო ოდითგან, დღეს „წინწყარო“ და „მრავალფაშვირი“ არ გვექნებოდა...

— მართალი ხარ შენ! — თავის ქნევით მეთანხმება ანკაპუნე, — ხო იცი, მეც მაგისთანების ტრფიალი ვარ, მაგრამ ეს შიფორო გაიჩინის

პირში კლარნეტს, გამოლება აღარ იცის, უბერა-  
ამსი მოდი, გინდა, „წინწარი“ ვიმღეროთ?

მეცინება, უკან თავის გადაქნევით ვეუბნე-  
ბი:

— გააჩუგე მე შენი მონაფეები და კი, ბატო-  
ნო, ვიმღერო!

— ნახე, ნახე, ხო ხმებია, — იცინის ანკაპუ-  
ნე, — ეგე, პირველი, ეგ მეორეა, ეგვეც ბანი... ბა-  
რიტონი, — ყველანი აქ არიან, ტო! ოლონდ, ეგ  
არი, თანამედროვე ესტრადის ვავლენა ეტყო-  
ბათ, ვერ გაიგებ, ინგლისურია თუ ქართული!

ამას მგონი სულ დავიწყდა, რას ყვებოდა.  
იძულებული ვხდები, „მოვავო პირველსა სიტყ-  
ვასა ზედა“:

— პო, მართლა, რას ყვებოდი წელან, ესაო,  
ისაო, ძმაკაცი შემხვდარი...

— ამ, კლარნეტა?! — წამოიძახა ანკაპუნემ  
და განაგრძო, — მოკლედ, დაურეკა ამ ჩვენს  
საერთო ძმაკაცს და რესტორანში შევედით. ხო  
წარმოგიდგინია ახლა, ზუთი ფანული რო თავს  
მოიყრის ერთად, აქედან რა გამოვა! თანაც,  
ის ბიჭები, რესტორანში რო უკრავდნენ, სულ  
კლარნეტას ძმაკაცები გამოდგნენ. სცანება აგ-  
ვიცივს, ინსტრუმენტები, რამე, ყველაფერი!  
პოდა, ჩვენც დავცხეთ და რა დავცხეთ! ალბათ,  
ექვიარ შეგებარება, თუ ვიტყვი, რომ თქვენს მო-  
ნა-მორჩილ ანკაპუნეს თავი არ შეურყვინებია.  
აპლოდისმენტები, რამე... შაბაშები ნამოვიდა,  
ნულა იტყვი, ეტყობა, ფულანინი ბიძები ბლომად  
იყვნენ! მერე ის ფული, რა თქმა უნდა, ბიჭებს  
დაეუტოვებოდა და ჩვენ ჩვენი ქეიფი გავაგრძე-  
ლეთ. ვაიხხედე და მუხობელი სუფრიდან ერთი  
კაი ტიპი გამმოჯდა ჩვენთან. სხვათა შორის, ეს  
ის ტიპია, ყველაზე მეტ შაბაშს რო ისროდა წე-  
ლან, მე რომ ვმღეროდი.

— ბეჭა ბეჭარი — ჩაფურთე მე.

— პო, ეგ იყო ეს ბეჭა, ვიჯარი — პიჯაკის  
ჯიბზე დავკრა ხელი, სადაც წელან შენახული  
მისამართიანი ქალაქი ვგულვობოდა, და განაგ-  
რძო, — მეო, გვიბრბა, ეს ცხოვრება სულ ფეხებ-  
ზე მკიდიაო, ფულის დედა ვაჭირე მე! არაფერი  
და დავინწყე და ფული ბევრი ვიშოვე, მაგრამ  
რად გინდა, სამაგიეროდ ცხოვრების აზრი დავ-  
კარგეო. უწინ, სანამ ლარს ლარზე ვაფებდი,  
ფულის ყადრიც ვიცოდი და ხალისიც მქონდა,  
ახლა, რაც მილიონი ვიშოვე, ყველაფრის ინტე-  
რესი გამქრაო. — ვინ ეკითხება, ლაპარაკობს,  
მთვრალია, რას ბუფტევირობს, აზრზე არ არის მე  
ვუთხარი, რაზე ვეკვლევინები ბოლმას, დალოც-  
ვილო აიღე და ნახევარი მე მომე-მეთქი. იი, ეგ-  
რე ვერაო! — მეუბნება, — მე ნახევარი სიტყვ-  
ლე ჩავაქციე მაგ მილიონში და ყადრი დავკარგე  
ფულისა, შენ მუქთად ნამოვნისა რა გეცოდინე-  
ბაო! მა რა ვქნა, მე სანყალმა-მეთქი, კაცი შენი  
ცოდვით ვივინები, მინდა როგორმე დაგეხმარო  
და შენ მისის საშუალებას არ მაძლევ, მეც ხო  
ცოდო ვარ-მეთქი! ნამეტანი მომწონს ეს კაციო,  
დაიძახა, გვერდით მომიჯდა, ვახტანგურად უწ-  
და დაელითო! მე ვუთხარი, შენ რო არ განწყე-

ნინო, ლეკები ცოტანი არიან-მეთქი? დაკლით  
ვახტანგურად. ბიჭებს ეუბნება, ჩემს ცხოვრე-  
ბაში ჯერ კაცმოვლს არ შევცოდებოვარ და ამ  
მისის ბოლბოლმა შემებრალაო. მეუბნება, შენ  
გენაცვალოს შენი ბეჭა მაგ წკრიალა ხმაშიაო!  
მლოშნა და რა მლოშნა! ელოშნე და რა ელოშ-  
ნე! მერე ბიჭებს ბოდიში მოუხვდა და, ცოტა  
ხნით ეს კაცი გვათხოვეთო. სულ გვიჩუქნიაო,  
ბიჭებმა. პოდა, გადამიპატიჟა სუფრაზე, ძმაკა-  
ცები გამაცნო, სამნი იყვნენ, ესენიც სოლოდუ-  
რები. წავიდა ბაზარი, გამომკითხეს აქეთური,  
იქეთური, მე ვუთხარიეც, ძაან მერხებე-მეთქი,  
სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო, რა მიჭირდა, მეც  
კაი ფულს ვაკეთებდი, ხალხს რო შქონდა და  
ქეიფობდა, ჩემი ხეირიც ეგ იყო, მაგრამ ახლა  
მე ვინ რას მომამაშვებს, ხალხს თავისთვის არა-  
ფერი აბადია, თონისა და ბარის კაცი კიდევ მე  
არა ვარ, ხომ მხედვით, ერთი გაბანება ვარ, ვაჭ-  
რობაა და მე მაგის არაფერი გამეგება-მეთქი.  
ისაც ვუთხარიეც, მუდმივმა ვაჭირებამ ერთ  
დროს ტკბილი ოჯახი იგრე ამირია, ცოლი ბავ-  
შვიანად სახლიდან გამიქცია-მეთქი...

— ის თუ უთხარი იმ პატროსან ხალხს, სმას  
რომ მოუხმირე და დედაკაცს ხელი რომ შეაჩ-  
ვიე?! — შევახსენე არწყენის ღიმილით.

რამდენიმე დღის წინ მყავდა ელზა ნანახი,  
ქუჩის ბაზრობაზე შეხვედით მე და ჩემი მუელ-  
ლე. თვიონი დაგვიძახა. ბევრი იმამაპარაკეს  
ქალებმა. რა ვქნაო, ელზამ, ხო არ მოვეკვლევი-  
ნებოდიო. ვაჭირვებას კიდევ როგორმე გავუძ-  
ლებდი, მაგრამ, რაც გალოთდა, მაგასთან გაძ-  
ლებდა აღარ შემეძლო. რასაც დაეკრათნე ფულს  
შოულობდა, სულ გარეთ ხარჯავდა, როდემდე  
მეთმინაო! კარგა მოზრდილი დახლი შქონდა  
გამოლიო, კიტრი, პომიდორი, ნედლი კარტო-  
ფილო... გამიყვარდა, საიდან-მეთქი? რა ვქნაო,  
ახლო-მახლო რაიონებიდან ვეზიდებო, მეტნი-  
ლად — მარნეულიდან. იმდენი კი მრჩება, რომ  
მე და ჩემს ბიჭს არც ვკვირა და არც გვწყურია,  
ბინის ქირადაც მყოფონს და ჩასაცემელ-დასასუ-  
რადაცაო. ბოლოს ისიც თქვა, რას აფდია ის ვაჭ-  
ბატონი სოფელში, ჩამოეთრეს აქა, ორ ლუკმა  
პურს არ დავამაღლე, დახლთან არ დავაყენებ,  
სიმძიმეების წვესადგან კუჭი მაქვს ჩაბრუნებუ-  
ლი, ხანდახან ხელს მაინც შემამეველებს, თუ  
არა, გვეც არ მინდა, ოლონდ, სმას შეეშვას და,  
რაც მთავარია, ბიჭი არ მინდა უმამოდ იზრდ-  
ბოლებო...

— პო, ეგ არ მითქვამს, რაც მართალია, მარ-  
თალია! — იღრეჯება ანკაპუნე.

— ბოლო-ბოლო, როდემდე უნდა იჯდე გაქი-  
რა ჯორზე, აღარ აპირებ ცოლ-შვილთან შერი-  
გებას? — შევაპარე.

ვიცი, არ სიამოვნებს ამ თემაზე ლაპარაკი.

ახლაც მოუსვენრად ანრიალდა, ანერვიულ-  
და.

ვეუბნები, ასე და ასე თქვა-მეთქი ამას წინათ  
ელზამ.

— არ გინდა, რა! — თქვა ბოლოს ბოლმანად,

— მე იმ კაცის დედა ვატირე, ქალს რო უკან გამოვიკიდება!

— შეილსა, შეილსა? — აღარა ვზოგავ.

— მე თუ არავის ვუნდივარ, არც მე მინდა არავინ!

ამ სიტყვებმა ისე ყალბად და არადაზაჯერებლად გაიფლერა, ვიგრძენი, არცერთი მათგანი გულიდან არ მოდიოდა.

ერთ ხანს გვერდით სარკმელში იყურება გამყნარალი და გაბზუსხული, აქაოდა, აი, როგორი ამაყი ვარო, როგორი თავმოყვარეო, ვინა გგონივარ შენაო!

ენანობ, ცულე დროს შევანწყვეტინე თხრობა. ერთობ გრძელი გადახვევა გამოგვივიდა. თანაც, კაცმა რომ თქვას, რა უფლებით ჰყოფ ცხვირის სხვის პირად საქმეში!

როდისღა გამოუკეთდება ახლა ამას ვუნება, ვფიქრობ, ერაკრაკა, როგორც რაკრაკებდა, რაზე შევანწყვეტინე!

— ბარემ სიმღერით გეთქვა, — იმის ბოლო ფრაზას გამოვეკიდე, — როგორ არი? — ნავუ-ლიდინე, — „თუ არავის ვენაღვლები, არც მე ვენაღვლობ არავისო“!, არა?

— დიახაც! — მოკლედ მოქრდა, რომ არ მოველოდი, გაიცინა კიდევაც.

— აბა, ნამეტანი მომწონს ეს კაციო, არა? — მეც სიცლით მივუგე.

თხოვნა არ დამპირებებია, თავადვე ინება განწყვეტილ სიტყვასთან მიბრუნება:

— მოკლედ, ჩემი ცოლისა და შენგან განსხვავებით, იმ ხალხს მართლა მაგრა მოეწონენ. ეს რა კარგი ვინმე ყოფილაო, როგორმე უნდა დავეხმაროთო. მგონი ჩავევარდი ქერის ორნოში და ეგ არი-მეთქი, ჩემთვის ვფიქრობ.

ნახევარ მილიონსა მთხოვს ეს კაცი და რა ვქნა, მივცეო? — ბეჭე ეკითხება. იმათ კიდევ, — მანდ რა არი გასაყოფი, შე კაი კაციო, მთლიანად მივცეო. მოკლედ, მაყირობზე, ღადაობზე.

ერთი, ნოსრევიანი შეკვია, თავის ქნევიტს ამბობს, აბა, ენები მაინც იცოდეს, ჩემთან ნავიყვანდო; მეორე, ელიზბარი, უფრო მეტად არი შენუხებული, აქაოდა, ოურისტი მაინც იყოს, მე ავიყვანდიო! მესამეს, ვალიკოს, აღარ აცალა ბეჭამ, გაბრაზდა, შაყირს მოუკვდა პატრონიო,

— დიახაც და უცებ მუხუნება, — თუ მართლა ფულის გაკეთება გინდა, ამ პირველ ჯერზე ერთ პატარა დაგალებას მოგცემ, თავსაც კარგად შეიქცევ და ჩემს კომპანიასაც დიდ სამსახურსაც გაუწევო. რა საქმეა-მეთქი? — ყურთი ეტკვიტე. რაო და, კატები გვჭირდება ძალიან, რამდენსაც მოიყვან, იმდენ ათ ლარს მიიღებ,

ოღონდ, ყველა შავი უნდა იყოსო! ვუუხებები, კატები რად გინდათ, თავი თუ გყავთ, ხვაზანგი არ ფობია-მეთქი? ეგ უკვე შენი საქმე არ არი, ეს კომპანიის საიდუმლოებაა და მეტს ნურაფერს მკითხავ, საერთოდაც, ნურავის ეტყვი, ქვეყანად თუ გაიგო, შენთვის რა ხეირიაო!

— აა, იმიტომაც იყავი ვერე გატრუნული, არა? — ვუთხარი სიცლით.

— მოკლედ, ძმაო, მომცა ეს მისამართი და

ხუთი თუმანიც ზედ მოაყოლა, ავანსიაო ხუთი კატისა. თან ზუსტად დღევანდელი დღე დამინიშნა, საღამოს შეიდი საათიდან გელოდებიო.

— ნახვევარია.

— კი დროს მივდივართ!

მე ვლიდინებ: „ამბობდ რომ შავი კატა მოგვიტანსო ზიანს, შენ კი როგორ გამახარე, ჩემო ციცუნებო“... მისამღერში კი, უკანა სალონიდან ანკაპუნეს ციცუნებიტ მცხმარებებიან: „მიაუ, მიაუ“...

— ჰო, იცინე, იცინე, — თავის ქნევიტ იქადნება ანკაპუნე.

ამსაკაშში აეროპორტის ხიდს გავცვდი.

ზაფხულის მშვენიერი საღამოა. ტრასა ათასგვარი სარეკლამო ბილბორდებითაა აჭრელებული. სიგარეტის რეკლამა... ფეხსაცმლის რეკლამა... ყავის რეკლამა... ყველაზე მეტად მაინც ეს ტესტუტური მონოდება მაღიზიანებს: „შეიცან ამერიკის სულიო!“, ნეტავ რომელ დიდ ქართველ დემოკრატს მოუვიდა თავში ეს გენიალური აზრი. უფრო უპირიანი ხომ არ იქნებოდა, ნიუ-იორკის რომელიმე ავენიუზე დაიდგას ანალოგური დედა „ოღნავ პერიფრაზირებული“ ნარწერთი: „შეიცან ქართული სული“! ეს უფრო მეტ სარგებელს ხომ არ მოუტანდა ჯერ მხოლოდ სამასწლოვან, ჯერაც დუდილისა და ჩამოყალიბების პროცესში მყოფ კონგლომერატულ ერს, ვიდრე პირიქით? ან კი, ძალიანაც რომ მოეინდომო, როგორ შევიცნო ამერიკის სული, სად არის, ვისში უფრო მეტადაა განსახიერებული ის, ვინ უფრო მეტადაა ამერიკელი: ინგლისელი თუ აფრიკელი? ჩინელი თუ იტალიელი? იაპონელი თუ ესპანელი?... ვითომ უკვე მოხდა ამ ათეულობით ეროვნული სულის, ეროვნული ხასიათის, ეროვნული მენტალიტეტის, — მთელის გარეშე არსებული ამ ნაწილების, — ერთ ეროვნულ სულად შეკერა-შედუღაბებო?

იქნებ უფრო უპირიანი იქნებოდა, ამერიკული ცხოვრების ნესზე გველაპარაკე? ეგ — კი ბატონო, ეგ სულ სხვა რამაა, თუმცა ვეჭვობ, რომ თუნდაც მაც აზრით, ბევრი რამ მოიძებნოს ქართველისათვის სახარბიელო და მისაბაძი, თუ არ მივოლებთ მხედველობაში საერთო სახელმწიფოებრივ ნესრიცა და კანონმორჩილობის მენტალიტეტს, რასაც ერთობ ძნელად ეგუება ქართული სული, ჩვენც დავ სამწუხარო...

მინდა ჩემი ფიქრები ანკაპუნეს გაგუზიარო, მაგრამ თავს ვიკავებ. ამას სულში ისევ ჩვენი „კახური ექსპორტის“ საკითხი გაავარკვიო ბოლომდე.

— ნეტავ საქესპორტოდ ხომ არ აგროვებენ ქართულ კატებს?

— მორჩი რე, შაყირს! — შემიზმუკუნა ანკაპუნემ.

— რა იყო, ვერა ხედავ, რა ამბავია ქართულ ნაგაზზე?

— მერე, ნავაზი და კატა ერთია?

— იქნებ კიბოს ამ შიდას ნამალზე მუშაობენ, შა? ერთ დროს ლამის კიბოს პანაცეად გამოცხ-

ადებული „კატრეკსი“ გახსოვს? ვითომ კატის ღვიძლი რითი იქნება ზვიგენისაზე ნაკლები? ისე, იმას „ზვიგერეკი“ უნდა რქმეოდა, ამას კი, შენი ფსოვების ღვიძლისაგან დამზადებულს, „კატრეკსს“ დავარქმევდი

— ეჰ, ნამალი იყოს, თორემ სახელი მოინახე-  
ბა! — თქვა იმან უხალისოდ. რაღაც თავის ფიქ-  
რებში იყო გართული.

ის იყო, „ინისკენაც“ დავუზვიე.  
— ხეივნის ქუჩა! — შემახსენა.  
— მახსოვს!

რა იციის ანკაპუნემ, რა მოგონებებს აღვი-  
ძებს ჩემში ეგ ქუჩა. ეგ ერთი იმ მიყარდნილ ქუ-  
ჩათაგანი გახლდათ, როგორცაც საგანგებოდ  
ვეძებდი ხოლმე სტუდენტობისას და შემდგომ  
წლებშიც, სანამ საკუთარი ბინის ღირსი გავებ-  
ოდი, რადგან ასეთ ქუჩაზე ყოველთვის შეიძ-  
ლებოდა მოგეძია უფულო მარტოხელა კაცის-  
თვის ხელმისაწვდომი აფფასიანი პანია ოთა-  
ნი. გამახსენდა კიბის ქვეშ მოწყობილი პანანი-  
ნა, შპალერგახუნებელი, ფიცრებმორყეულ  
იატაკიანი „ჩემი ბინა“, სადაც დენს მხოლოდ  
ნათალამეცს, კითხვამი ძილნამოპარული თუ  
გაფრადებ, თორემ სხვა დროს შუქი სულ უნდა  
გნთებოდა (დენი ხომ მაშინ გაუთიშავდა იყო და  
თანაც — თითქმის უფასოდ!), რადგან ის პანია  
სარკმელი, ეზოს რომ გასცქეროდა, მხოლოდ  
იმდენად ანათებდა ოთახს, რომ მოძრაობისას  
არაფერს დაჯახებოდი. ნეტავ თუ ცოცხალია  
ახლა ჩემი კეთილი დიასახლისი, ჩემი ეკა ბებია.  
— ხომ არაფერი გჭირდება, შვილო? — ხმირ-  
ნშირად მკითხავდა. თუმცა რას ვამბობ, ამის-  
თანა გაჭირვების წლებს როგორ გადაიტანდა,  
რაღა დროს ეკა ბებია!

ამ ფიქრებში გართული ვუახლოვდები ხეი-  
ვის ქუჩას, მაგრამ... ან ხეივანი სადღაა და ან ის  
ქუჩა, მე რომ მახსოვდა. აქ ერთი პატარა ქალა-  
ქია ვაშენებულს, ცხადია, — სამოცდაათიან-  
ოთხმოციან წლებში, ხელნერაზე ეტყობა კორ-  
პუსტებს. აქა-იქ მდიდრული, რამ-სამსართულია-  
ნი, ინდივიდუალური პროექტებით აშენებული  
საცხოვრებელი სახლებიც გეცემათ თვალში. ეს  
უკვე ბოლო წლების თბილისური არქიტექტურაა,  
ახალი ქართველები“ ნახეღვი...

მერე კარგა ხანს ვეძებთ მეთორმეტე კორ-  
პუსს.

არის მეთორმეტე კორპუსი!  
ახლა სამოცდამეხუთე ბინა უნდა ეძებო სა-  
დარბაზოებში.

პირველსავე შემხედრს, შუახნის მაღალ, ბე-  
ჭებში მოხრილ, სქელულვაშა მამაკაცს ვეკითხ-  
ვები — შემთხვევით, ბეჭაურებს ხომ არ იც-  
ნობს ამ კორპუსში, თუმცა მე პირადად უარის  
მოსასამენად უფრო ვარ წინასწარ განწყობილი,  
რადგან, მომკალით და, ჯერ კიდევ ბოლომდე  
არ მჯერა ანკაპუნეს ზღაპრებისა.

და უყვებ:  
— კი, როგორ არ ვიცნობ, მეოთხე სადარბა-  
ზოში, პირველსავე სართულზე! — სხარტად

გვკახუხობს სქელულვაშა, თან დაუფარავი ინ-  
ტერესით იყურება ჩემი „მჩხავანა“ ფურგონისა-  
კენ და ჩვენ, მე და ანკაპუნეს, ხომ მთლად უცხ-  
ომლანეტლებოგივთ გვათვალერებს.

სადარბაზოში სიბნელეა, თუმცა რკინის კარ-  
ზე მიკრულ ლითონის ფირფიტაზე მაინც იო-  
ლად იკითხება წარწერა: „ბ.გ.ბეკაური“.

აი და, ანკაპუნეე!

— შენ დაუქარ! — ეუბნები უზომოდ გაო-  
ცებული და ზარის ღილაკზე ვანიშნებ. ანკაპუ-  
ნე „უკრავს“. რომელიღაც ნაცნობი მგლოდის  
ფრამენტი ეღერს კარს იქით, რასაც ფეხის  
ხმაც მოჰყვება. მერე ისე, რომ საჭვრიტინოში  
არც კი შევუთვალერებულვართ ვინმეს, რკინის  
კარი ფართოდ იღება და საშუალო ასაკის ოდ-  
ნავ მალაობ, უკან თმაგადავარცხნილი, სუფ-  
თად ნერ-ულვამ გაპარსული მამაკაცი, ყა-  
ვისფრად დაზოლილ პიუჟამთი გამონყოფილი,  
რღაცნაირი შინაურული, მიმნდობი ღიმილით  
გვეკითხება:

— ოჰ, ჩამოხვედით? გელოდით! შემობრძან-  
დით, შემობრძანდით! — განზე დგება და გუ-  
ლიანად გვეპატივება.

წინ, რა თქმა უნდა, როგორც შინაური კაცი,  
ანკაპუნე გავუსვი. იმან მაგრად ჩამოართვა ხე-  
ლი მასპინძელს და, ძველი ნაცნობობის კვალო-  
ბაზე, მოკითხა. მეც მივყვი.

— ჩემი მეზობელი და მეგობარი! — ასე ნა-  
რუდგან მასპინძელს ჩემი თავი ანკაპუნემ,  
თან ჩემი „ღდიო დამსახურების“ აღნიშვნაც არ  
დავინწყებია, — ეს რომ არა, არ ვიცი, როგორ მო-  
ვახებრებდი ამ კატების წამოყვანას. ავტობუს-  
ში ვინ ამძებნება, კაცო, კატებიანად!

— შო, რა თქმა უნდა, კატებით ავტობუსში  
არ აგიშებდნენ. — უყოყმანოდ დაეთანხმა ბა-  
ტრინი ბუქა, ისე რომ, კატების სხენებაზე ოდნე-  
ვაც არ შეცვლია სახის გამოჩენიყვლება, არა-  
ვითარი სიხარულისა თუ გოცრების კვალი არ  
ასახულა მის სათნო, ღიმილიან სახეზე.

მასპინძელს ხელი ჩამოვართვი და სახელი  
ვუთხარი. იმან, — დიდად სასიამოვნოო, ერთი  
კი ჩაილაპარაკა და ზედმეტად ჩათვალა თავისი  
ორმარცვლიანი სახელის წარმოთქმა, აქაოდა,  
ისედაც ხომ იცით ჩემი სახელიო. მართალიც  
იყო. ერთი ეც კია, ხელს რომ მართმევდა, თვა-  
ლით რაღაც მანიშნა ანკაპუნეზე შეთქმულის  
ღიმილით, ან იქნებ მომეჩვენა კიდევც, არ ვიცი  
და არც მარჩიიელობის დრო იყო ახლა, — მასპინ-  
ძელი, ვინრო შოლის გავლით, სასტუმრო ოთა-  
ხისაკენ მივეძილდა.

ერთადერთი აზრი, რაც ახლა უცერად ამეკ-  
ვიატბა, ეს ის იყო, რომ არ ჰგავდა ეს ბინა მილი-  
ონერისას. იმიტომ კი არა, მე აქ ოქროთი მოვა-  
რწყებულს კედლებს ნახვას ველოდი და იმედი  
გამიერრუდა, უფრო საფიქრებელი ის იყო, რომ  
ეს კაცი მევლანუშვილის ტიპის მილიონერი  
უნდა ყოფილიყო, საკუთარი ბინის კაპიტალურ-  
რად გასარემონტებელი გრომებიც რომ არ ემე-  
ტება.

— მე გუშინ გელოდით! — თითქოს თავის-  
თვის ჩაილაპარაკა ბუქამ.

— რატომ, რატომ, — შეიცხადა ანკაპუნემ, — ჩვენ ხომ დღეს დღეზე შვეთანხმდით, საღამოს შედ დასაათზე!

— ჰოო?! — ისე, სხვათა შორის გაიოცა ჩვენმა მასპინძელმა, მერე არხეინად დაუმატა, — თუმცა მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ჩამოხვედით!

— როგორ, კაცო, პირი პირია! — თქვა ანკაპუნემ.

— მიყვარს პირიანი ხალხი! — იყო პასუხი.

— აქა მშვიდობა! — დავილოცე სასტუმრო ოთახში შესვლისთანავე. ანკაპუნებამ მომბაძა.

— მშვიდობა თქვენდა! — დაგვლოცა მასპინძელმაც.

ოთახის ცენტრში მდგარი მომცრო მრგვალი მაგიდა, რომელსაც ჩვენ მასპინძლის თხოვნით შემოაფარეს, ფურნალ-გაზეთებით იყო მოფენილი, რომლებსაც ბეჭა, ალბათ, ჩვენს მოსვლამდე ათვალიერებდა, ახლა კი მან სწრაფად წამოკრიფა ისინი და იქვე მდგარი ნიგნებით გამოტენილი კარადის თავზე შემოასწო.

ნუთითრი დუმილი ანკაპუნემ დაარღვია.

— ძაან კი გავენავლდი, რა! — შესჩივლა ბეჭას.

— რატომ, რატომ, რა შეგვითხვით ასეთი? — ძალიან დანტერესდა ბეჭა. ისე მისჩერებოდა ანკაპუნეს, გეგონებოდა, პირველად ხედავსო. ხანდახან ის მხერა ჩემზე გადმოჰქონდა და ვხედავდი, ფართო, ქროლა თვალეზში როგორ უხტოდნენ ოდავ შესამჩნევი ჭიკები.

— ეე, გგონია, ადვილია?! — ხელის აქნევით განაცხადა ანკაპუნემ, — მეტი რალა უნდა შემმოთხვიედა, ნახე, ხელები რა დღეში მაქვს. შავ-ღონი კაცია! — „შენობით“ მიმართავდა, ძმაცა-ცურად.

— რას გულისხმობ? — ნამით თითქოს დაიბნა ბეჭა.

— რასა და — კატებს! — რატომღაც გაბრაზდა ანკაპუნემ.

— გადაყვა, ბატონო, მთელი ერთი თვე მაგათ ჭერას! — ვთქვი მე სიცილით, უფრო იმისათვის, რომ ანკაპუნეს სრომა-გარჯას დამკვიტვის თვალში მეტი ფასი დასდებოდა, თან ნუთითაც არ მტოვებდა განცდა, რომ ჩვენს წინაშე ჩვეულებრივი, ცხოვრებაში უყირჭებული მილიონერი კი არა, ნიგნის კაცი, განათლებული ინტელიგენტი იყდა.

— აჰ, კატები? — ნამოიძახა იმან, — ჰო, კატა დიდი მაყვარანცხი რამაა!

— ყველა შავია! — ყინჩად განაცხადა ანკაპუნემ.

— მართლა?! — გაუხარდა ბეჭას, აღტაცებით ნამოიძახა, — ოო, მე ძალიან მიყვარს შავი კატები!

— ერიპა, ესეც კარგად არი, აი! — გავივლე გუნებაში.

არადა, სავსებით ჭკუადამჯდარი, სერიოზული კაცი ჩანდა.

— ზოგიერთს თეთრი მკერდი და მუცელი აქვს, მაგრამ ისე შავია, რა უჭირს ვითომ? — არ ცხრობოდა ანკაპუნემ.

— არაუფრო, შე კაცო, რა უნდა უჭირდეს, უკეთესიც კია! — გაუიოლა მასპინძელმა.

— ოცდახუთი ცალია, განყოფი? — ჩაეკითხა ანკაპუნემ; თან საჭიროდ ჩათვალა შეეხსენებინა, — აქედან ხუთისა გადახდილია.

— აგაშენათ ღმერთმა თანაც — სულ შავები დიდებულია, დიდებული! — აღფრთოვანებას ვერ მალავდა მასპინძელი.

ანკაპუნემ ახლა უკვე ბოლომდე გამარჯვებული კაცის იერით გადამოხვდა, ცოტა არ იყოს, ნიშნისმოგებითაც კი, აქაოდა, ახლა რაღას იტყვიო!

— იცით, ამ ბოლო დროს რა სიზმრები დამჩნევა? — ისევე ბეჭას მიატრიალდა ანკაპუნემ.

— საინტერესოა, საინტერესოა! — მთლად ყურადღებად იქცა ჩვენი უცნაური მასპინძელი, თავი გვერდზე გადაადგო და მოსასმენად მოემზადა, — მოყვებით, გთავაზობ, თუნდაც ერთი მაინც, ოღონდ, აესტეიო... როგორ ვითხრათ ყველაზე უფრო ტიპიური, რაც ყველაზე უფრო ხშირად გვისზმრებათ.

— არ დაიჯერებ, — დაიწყო ანკაპუნემ, — მე-სიზმრება ზოგჯერ, ვითომ მეც კატა ვარ ხოლმე და თავგებს დავდევე, დაეჭერ თავგასა და აღმოჩნდება, რომ ისიც კატა ყოფილა! მოდამიღის მერე ჩხუბი, შენი მონონებული! — სიცილით ჩაბჭირდა ანკაპუნემ, ჩვენც ავციყილია. მაიმუნობდა რაღაცას, მე მგონი, სულაც იგონებდა.

— ვირთხებსაც იჭერთ თუ? — დანტერესდა ბეჭა.

— არა, არა, — ხელების სავსავით გამოტყდა ანკაპუნემ, — ვირთხებისა ცხადმიც შემინია და სიზმარშიც!

— დასანანია, — გულდანყვევით გადააქნია თავი ბეჭამ, — აბა, ის რა კატაა, ვირთხების რომ ეშინია!

— ისე, მონდომების საქმეა, — თავი გამოიდო ანკაპუნემ, — გააჩნია, ცალში რას მომცემ, თორემ დედას არ უჭირებ?!

— ვიფიქრებ მაგაზე, მოვირიგდებით, შე კაცო! — მხრები აიწურა მასპინძელმა.

ველარ გამეგო, რომელი რომელს აშაყირებდა.

ნამოვდექი და ნიგნისა კარადისთან მივედი. მივედი კარადისთან და, ნიგნებს თვალი შევაველე თუ არა, კინაღამ ხამამალის ხარხარით ამიტყდა: თვალის ერთი შეკვლებითაც კი მიხვდებოდა კაცი, რომ ამ ნიგნების პატრონი ექიმი გახლდათ, ხოლო, რამდენადაც ამ ნიგნებს შორის მთელი ერთი თარო ფსიქიატრის თემბატკას ეკავა, — ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე გამოცემულს, — არც იმისი მიხვედრა იყო ძნელი, თუ კონკრეტულად ვისთან გგქონდა საქმე: ჩვენი მასპინძელი, არც მეტი, არც ნაკლები, გიჟების ექიმი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ეგ კია, ისიც ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ეს სპეც.

ლიტერატურა ოჯახის რომელიმე სხვა წევრის კუთვნილება ყოფილიყო, — მე ხომ არ ვიცოდი, ვისგან, რამდენი წევრისაგან შედგებოდა ეს ოჯახი. ასე იყო თუ ისე, მაინც ვერაფრით გამე- გო, რა შუაში იყო აქ კატები და, თანაც, ყველა შავი, რატომღაც!

— შემოვიყვანო, აბა? — საქმიანად იკითხა უცემ ანკაპუნემ და ნამოსადგომად წამოინია.

— სად, აქა? — გადართია შავი კატების ტრფიალი და ენერგიულად გაასახესავე ხელები, — ო, არა, არა, რა საჭიროა აქ კატები?! — მერე- ლა იკითხა ამკარად დაბნეულმა, — სად არიან?

— აგერ, სადარბაზოსთან, მანქანაში! — აჯა- ხა ანკაპუნემ.

— პო, მართლა, ვთვალ ერთი წლით, მანქა- ნას გაგზავდე, — ვთქვი მე და გასახველვად გავინიე. არადა, რომ არ გავსულიყავი, ნაღდად გამიჭირდებოდა სიცილის შეკავება.

— იყავი, იყავი, მე გავალ! — ნამოხტა უცემ ანკაპუნე და გასახველისაკენ დაიძრა.

მასპინძელი დაელოდა კარის დახურვას და თვალთ მანიშნა დაჯექით. დაჯექით.

— რა დაგვიპოლოთ და, ძალზე რთული მდგო- მარეობაა, ბატონო ოთარ, — მითხრა შენსუბებუ- ლის ხმით.

აბა, მაშ, გუმანმა არ მიღალაბა! ნამდვილად „ის“ ყოფილა!

— რა ეშველება ახლა მაგ საწყალს? — რო- გორც მისი პაციენტის მეურვეს შემფეროდა, მთლად ყურადღებად ვიქცეი.

— დანეწით ვერ დაეანწენთ, ძმობილო, — მხრები აიჩეჩა ბექა ექიმმა, — იქ, ჩვენთან, ისეთი მგომარეობაა, ლამის ყველა გარეთ გა- ვუშვით, ქუჩაში, და საავადმყოფო დროებით დაეხურათ. გიქვი კი არა, ქუვიანი აღარ ახსოვს ჩვენს პატიცემულ ხელისუფლებას, მარტო სა- კუთარ კუჭსა და ჯიბეს ჩასჩერებანი, მამაცხო- ნებულები! ჩვენ მარტომ რა გავანყოთ, ხალხი შიმშილით გვეხოცება! პო, მართლა, — უცემ რაღაც მნიშვნელოვანი გაახსენდა თითქოს, — ის იქ ვინმეს ხომ არაფერს დაუშავებს, ასე უმითვავაუროდ რომ გავუშვით?

— არა, არა, ეგეთები არ იციან! — დაეამშვიდე მამინევი.

ერთხანს რაღაცას ფიქრობდა თავისთვის.

— წამლები გამოუწერ, — თქვა ბოლოს, — ოღონდ სისტემატური კონტროლი და თუალყუ- რი უნდა, რომ ყველაფერი დანიშნულ დროს მი- იდოს! პო, მართლა, ვინ ჰყავს ოჯახში? რატომ ახლობელი არავინ მოჰყავა...

— მარტო ცხოვრობს, — ასე ვუთხარი, — ცოლმა ველარ გაუძლო და ბავშვიანად გაეცა- ლა... ისე, კი ბიჭია, მაგრამ ამ ბოლო დროს სმას მოუკავია და...

— ოო, აი, ეგ კი წამდვილად არ შეიძლება! — ნამოიძახა ბექა ექიმმა, — თანაც მარტოხელა! დაილუებთა კაცი! — საგონებელში ჩავარდნილ- მა ხელები გაშალა და უცემ თავის ქნევით და- უშაბა, — რას ამბობდა, რა კატებით, მართლა დასდევს კატებს დასაჭერად?

— დღე და ღამე! — დაფუდასტურე.

ბექა ექიმმა ისევ გაშალა ხელები:

— ეს კატები მაინც რამ ააკვიტა, კაცო?! ჩემს პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევა არ მქონია. ჭიანჭველა, ხელოვი, გველი, — რა არ ელანდე- ბათ, მაგრამ კატები?! —

— თანაც, მაინცდამაინც შავები!

— აბა, აბა! მაინცდამაინც შავები! — გაიმე- ორე იმან.

ისე უკვირდება ამ დალოცვილს, გგგონებო- დათ, ამისი ნამონყებული არ იყო მთელი ეს აჯაფისანდალი! ეგერ როგორ იყო გამტყვრალი იმ ღამეს, რომ აღარ ახსოვს აღარაფერი? მა- ინც რანაირი სიმთვრალე იციან ზოგიერთებმა, ერთი თვის მერე კი არა, მეორე დღეს აღარ ახ- სოვთ ხოლმე არაფერი.

ვეღარ გამეგო, თავს იგდებდა თუ ჩვენ გვიგ- დებდა მასხრად, ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო ეს კაცი? ამდენის ატანა აღარ შემეძლო, გადაე- წყვიტე პირში მიმხალა ყველაფერი.

— ბატონო ბექა! — ლამის ვუყვირი, — თქვენ რა, მართლა აღარ გახსოვთ არაფერი? განა თქვენ თვითონ არ... — სუნთქვა აღარ მეყო ფრაზის დასამთვრებლად, ისე ამიტანა წერტი- ლის კანკალმა, ჩემს წინ ხომ ნამდვილი სადისტი იჯდა, ცინიკოსი, აფერისტი, რომელმაც ასეთ საშინელ დღეები ჩააგდო საწყალი ანკაპუნე და ახლა ხელს იბანს, ფულიც აღარ უნდა, რომ გადაუხადოს, ვითომ მართლა არ ახსოვს არა- ფერი!

ამასობაში კი ამ ბექა ექიმს ისეთი უცნაური რალატივი ემართებოდა, ისე წამიერად ვიცვლე- ბოდა სახის მიმიკა, მომჩვენება, რომ ერთი სული აქვს გულიანად გადახიარხაროს და დიდი გა- ჭირებებით იკავებს თავს.

— განაგრძეთ, განაგრძეთ! — წამაქეზა კი- დევი.

— რალა უნდა განვაგრძო, თავადაც კარგად მოგეხსენებათ ყველაფერი! რა დაავალეთ ამ საცოდავს იქ, რესტორანში, ამ ერთი თვის წინ?

— რა დაავალეთ? — უსირცხვილოდ იღიმე- ბოდა, მერე თავისთვის ჩაილაპარაკა თავის ჩაქნევით, — თუმცა კი, მგონი ვხვდები რალა- ცას...

— რა და, კატები ჩამომიყვანეთ, შავი კატე- ბიო, თითოში თითო თუმანს გადავიხდიო! — ლა- ც კომპანიო, ბიზნესიო, მილიონებო! ისე როგორ იყავით გათიშული, რომ აღარაფერი გახსოვთ?

— ბატონო ბექა-თქო! — დამირთო ბოლოში. ახლა უკვე ხალისიანად იცინოდა, უსირცხვი- ლო!

— ბატონო კი არა, — ვუთხარი კიდევ უფრო მეტი ვაცხარებით, — თქვენს ოჯახში რომ არ ვიყო, გეტყოდით საკადრისს! — ვთქვი და წა- მოვიდექი, გარეთ გასულა მიხდოდა, რათა მანქა- ნაში ჩამეცა ანკაპუნე და იქ ამეხსნა სიტუაცია, თუ რა აფერისტთან გვექონდა საქმე, თუმცა არ ვიყავი დარწმუნებული, რომ სკანდალს არ მო-

ანყობად და ორივენი პოლიციამი არ ამოვყოფდით თავს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით ჩემს მტერსაც არ ვუსურვებ მაგათ ხელში მოხვედრას!

— დაბრძანდით, დაბრძანდით, ბატონო ოთარ, — მითხრა იმან ღიმილით და წინ გადამელოდა, — და მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი, — თითქმის ძალით დამხვდა იმავე ადგილზე, ახლანაა რომ ვიჯექი.

— საკმაოდ გაგიცანით, ბატონო ბექა! — მივახალე გინებასავე.

ამ კაცის ყურებაც კი აღარ შემეძლო, არაერთარი სურვილი აღარ მქონდა მასთან საუბრის გაგრძელებისა.

— ბექა კი არა, ბიძინა-თქო! — თქვა ეს დაღიმილით მომჩაჩერდა.

— რაო, რა ბრძანეთ? — ვიფიქრე, ყურმა მომატყუა-მეთქი.

— თქვენს წინაშეა ექიმი-ფსიქიატრი, პროფესორი ბიძინა ბექაური. — მითხრა და ხელი გამომინოდა.

როგორღაც იწერციოთ, ინსტიტუტურად ჩამოვართვი ხელი და მთლად გაოგნებულმა წაველულულე:

— აბა, ბექაო?!

— შშ, ჩემი ძმა გახალხთ, ტყუბისცალი! ის მინყობს ახეთ ოინებს, ბავშვობიდან გამოვსწორებული ოინბაზია, — სითბო და აღურისი ვაფლერდა მის ხმაში, — არა, რა, მე რომ მინყობს, მე — ჯანდაბას, მაგრამ სხვებს რას ერჩის! თუმცა, ეჰ, რომ დაღეფს!... — ხელი ჩაიჭინა და უცებ ტელეფონის ყურმილს გადასწვდა, — შინ მაინც იყოს!

ზედზედ აკრიფა ექვსი ციფრი. კარგად გავიგონე მოკლე-მოკლე ჩაკუნული ზურგის ხმა.

— დაკავებულია... — მხრების ჩეჩვით ჩაილაპარაკა ბატონმა ბიძინამ, დიახ, ახლა უკვე ბიძინამ, და ყურმილი დადო, — ოჰ, ბექა, ბექა, — წარმოთქვა თავის ქვედათი, თან იცინოდა, — ო, როგორ მჭერი თავს რესპუბლიკური მასშტაბით!

— შორს ცხოვრობს? — ვიკითხე ისე, გულგარეთ, ჩამოვარდნილი სიჩუმე რომ დამერღვია.

— არა, არა, — მკვირცხლად მომიგო იმან, — აქვე, ზუთი წუთის საცალზე.

— სად მუშაობს, თუ საიდუმლო არ არის? — დავიტყერესდი მე.

— იყო ერთ კარგ საქმეში, — მცირე ყოყმანის შემდეგ მომიგო ბატონმა ბიძინამ და, თითქოს პასუხის უზუსტობისა და მეტისმეტი ზოგადობის გამო ბოდიშს იხდის, მხრების ანვიით დაუშატა, — ხომ მოგეხსენებათ, რა დროა ახლა, ჩალიჩობდა თავისთავის რაღაცას... ეკონომისტი, ფინანსისტი. მაგრამ, რად გინდა, როგორც იმოვა დიდი ფული, ეგრევე დაკარგა: იტალიელმა კომპანიონებმა გადაადგდეს ლამის მილიონში! მოგეხსენებათ ჩვენი ქართული მემდრობობა და დაუდევრობა, ფულს კიდევ ესეთი რამეები არ უყვარს, ბატონო! რესტორანში დაპატიჟა ეგ

ტიმები, კარგად აქეიფა კარგად მოულებინა და, სასტუმროში რომ მიაცილა, აი, იქ მოაწერიხს ხელი რაღაც ჯანდაბა საბუთზე! იტალიელების ნდობა შეიძლება?! მაფიოზები! ასე დაიღუპა თავი, ისე უჭირს, ვერ წარმოიდგენო...

„აი და ანკაპუნე! მგონი, ვერაა შენი საქმე მთლა კარგად!“ — გავიფიქრე და გულწრფელი თანაგრძნობით ვუთხარი ბატონ ბიძინას:

— სამწუხარო ამბავია... ვერ მოსვლია კაი საქმე...

უცებ თითქოს განგებ გავქცა საუბრის თემასო, ბატონმა ბიძინამ ხალისიანად წამოიძახა:

— სხვადა შორის, მე თქვენ ბიცოლაჩემის გამოგზავნილები შეგონეთ, წელან რომ შემოხვედით. სწორედ გუმინ დღლით დამირეკა რუსთავიდან, ჩემს ნათელუსა გიგზაინი და ერთი გაესაუბრე, რა სჭირს, ვამაგებინე, მგონი, რაღაცას ურევსო. იმ ჩვენმა... რა პქეია...

ანკაპუნეს სახელს იხსენებდა, მაგრამ რაც არ იცოდა, რას გაიხსენებდა. ილო-მეთქი, წავეშველე.

— შო, ილო, ილო... შემოსვლისთანავე რომ კატეგორე დამინყო, ის მეგონა, — ბიცოლაჩემის მოტყუე, ექვი არ შემპარეია! — იხლზე დავიკრა ხელი და სიცილით დაუმატა, — ისე, ჩვენში დარჩეს და მაგასაც კარგად ჰყავს, მგონი! სად დაიკარგა აქამდე, რომ აღარ შემოდის?

ვიფიქრე, ვავალ, ვაგენადე, ბექას მოსვლამდე ცოტას შეგზამადებ-მეთქი, მაგრამ სწორედ ამ დროს ბიძინა ექიმი ისევე ყურმილს დასწვდა და, ასადგომად წამოწეული, ისევე სკამზე დავეშვი.

— აბა, ერთიც ცვადოთ, თუ გამორთული არა აქვს. — თქვა მან.

ამჯერად პირველსავე ცდაზე გავიდა. სატელეფონო კაემირი ერთობ ლაკონური იყო და ტაქტიანი:

— მისინე, ყმანეილო, — უთხრა ამან იმას,

— სასწრაფოდ გადმოდი ჩემთან. თან ერთი ორასიოდე ლარი გამოაყოლე... შო, შო, ორასი რატომ არა გავქვ? იქნებ იმოვო, ვალია გასასტუმრებელი! და კიდევ — ერთი ნეკელა! დიახ, დიახ, ნეკელა! წინორის ხე რომ დგას ჩვენს სადარბაზოსთან იმას შეატეხე! გელოდები.

ყურმილი დადო და სიცილით მიუზნება:

— ნეკელაზე ვადაირია, რად გინდაო. დააეინყდა, რომ რამდენიმე წუთით უფროსი ვარ და უფლება მაქვს გავწკუპლო.

— გავალ ერთი „პაციენტს“ გავეღვადე. — ვთქვი და წამოვედექი.

— შო, მართლა, სად დაიკარგა ეს კაცი — წამოიძახა ბიძინა ექიმმა და გზა დამითმო.

გავდივარ ეზოში და რას ვხედავ: პოლიციელების ფორმით გამოწყობილ ლეინტენანტს, სამხრეებთან ოქლაქს, ანკაპუნე ჩემი მანქანის ახლს ჭადრის ძირში მოუყენებია და რაღაცას გაცხარებთი ელაპარაკება. სეირის მოყვარულებსაც კარგა ბლომად მოუყრიათ თავი ეზოში.

ჩემსდანახვანე ანკაპუნეს შექირებულსახე-

ზე შევების ნათელმა გადაუარა. აქ მოდიო მანისმ-  
ნებს. რომ მიუხალოვდი, ჩემგან ზურგით მდგარ-  
ი პოლიციელიც შემოტრიალდა. მისალმების  
ნიშნად თავი დაუქარო, რაზედაც არავითარი  
რეაქცია არ გამოუმღავენებია, ეგ კია, აშკარად  
დაბოლმა, ამრეზოლი მიყურებს, აქაოდა ეს  
არამკითხე ვილა ოხერიო!

— რა გენბავთ, მოქალაქეებ?  
— ამ კაცთან ერთად ვარ, — ვუთხრებ.  
— მანქანის პატრონია, — წარმადგინა ანკა-  
პუნემ.

— პოო, — მრავალმნიშვნელოვნად გააგრძე-  
ლა პოლიციის ლეიტენანტმა, — ძალიან კარ-  
გაიო სწორედ თქვენ გეჭირდებოდი! — ცერ-  
მეცვილი ხელის მტევანი „ფურთაჟა“ ქუდიან  
მიიტანა და საკუთარი პერსონა წარმომიდგინა,  
— უბნის ინსპექტორი სიმონ სამსონია.

— ძალიან სასიამოვნო, — ეთქვი მე და ჩემი  
თავიც წარვუდგინე, მერე ვკითხე, — რითი შე-  
მიძლია გემსახუროთ, ბატონო სვიმონ?

სწორედ ასე ვუთხარი, — „სვიმონ“-მეთქი. რა  
ველა, რაც ეგ მშვენიერი სახელი საქილიკოდ გა-  
იხადეს, ძალიან მიჭირს ნამდვილ „სიმონებთან“  
ურთიერთობა, დავუძახებ სახელს და თავადვე  
გაეაშაყრებ-მეთქი.

— საბუთები წარმოგადგინეთ! — მიბრძანა  
მკაცრად, ჯერ კიდევ ცივი, ბრაზიანი თვალებ-  
ებით მიყურებდა, ვითარცა მძიმენონოსან ბო-  
როტმოქმედს.

საბჭოური პასპორტი ჯიბეში მედო. მივანო-  
დე. ერთხანს ყურადღებით ათვალიერა, თით-  
ქოს ოცი წლის წინ ჩაკრულმა ჩემმა სურათმა  
დააფეჭა, მერე დაქცა და გამომიწოდა.

— თბილისელი ბრძანდებით?  
— როგორც ხედავთ.  
— იქნებ თქვენ მაინც ამიხსნათ, ბატონო  
ოთარ, რა ხდება იმ თქვენს მანქანაში?

ტონი რატომღაც ერთბაშად დარბილებოდა.  
— კატები ჩხავიან, სხვა არაფერი! — მიეუბნე  
არხენიანად.

სიმშვიდეს ბატონი ბიძინას სიახლოვე მმა-  
ტებდა, რომელსაც ფანჯარა გამოეღო და, რა-  
ფაზე იდაყვდაყრდნობილი, დიმილით მოგვჩე-  
რებოდა. მის უკან სათილეიმლიანი ქერა ქალ-  
ბატონი იღანდებოდა, ალბათ, მუელლე.

მარტო იმისი ფაერი მკლავდა ახლა, ამდენ  
ხალხში ვინმე ნაცნობი არ ერიოს და ამ ერთობ  
სულელურ სიტუაციაში არ მხედავდეს-მეთქი.  
სამსახურში ხომ მეტი აღარც უნდოდათ საქი-  
ლიკოდ, თუ ეს ამბავი იქამდე მიალწევდა.

— მამ, კატები, არა? — იკითხა სიმონა ინსპექ-  
ტორმა.

— პო, კატები, არა გჯერათ თუ? — ვიკითხე  
მეც.

— მეგონა, ძროხები ბღავიან-მეთქი! — სთქვა  
იმან ერთობ სერიოზული სიფაით.

— არა, არა, ნამდვილად კატებია! — ეს ისე და-  
ბუჯითებით გავიმეორე, რომ, წესით, სიმონა ინ-  
სპექტორს აღარავითარი ეჭვი აღარ უნდა დარ-  
ჩენოდა ძროხების თაობაზე.

— მაინც, რაო, რა გვინდაო? — მეკითხება.

შევატყე, იუმორზე მაინცდამაინც მწერალად  
არ უნდა ყოფილიყო და თანდათან სიმპათია  
დამეუფლა ამ ახალგაზრდა კაცის მიმართ.

— ემ, მაგათ რას გაუტებ, მოშივდათ, ალბათ!  
— მიეუბნე მე.

— მაღაზიაში ხომ არ გადავიდეთ და ძეხვი არ  
გადმოვუტანო?

— არა, არა, ნუ შეწუხდებით, ნამეტანი ბევ-  
რი არიან, მაგათ რა ძეხვი ეყოფათ!

სიმონა ინსპექტორმა მაღაზიაში წასვლა გა-  
დაიფიქრა.

— პატრონი თავად მიხედავს! — განაცხადა  
აქამდე ჩუმიდ მდგარმა ანკაპუნემ და მასმინ-  
ძლის ფანჯარას გახედა.

— რა, განა თქვენ არ ბრძანდებით პატრონე-  
ბი? — გულწრფელად გაიოცა სიმონა ინსპექ-  
ტორმა.

— არა, ბატონო, პატრონი ხუთიოდე წუთში  
მობრძანდება. — მიეუბნე მე.

ანკაპუნემ ისევ გახედა ფანჯარას, მერე მე  
გამომხედა, თვალებით მკითხა, მტონი იქიდან  
აქამდე ხუთი წუთი რად უნდა ბეჭას, აგერ არ  
არისო?

სიმონა ინსპექტორმა შუბლი შეიკრა, რაც  
კაცმა რომ თქვას, სრულებითაც არ უხდებოდა.

— იცით, რა, მაყრი კარგია, მარა — თან საქ-  
მე! — მივირბაუზა გააკეთა და უცებ შეუფლი  
ტონით გამოგვიცხადა, — განყოფილებაში მო-  
გინვეთ ნამოსვლა, იქ გავარკვევთ, კატებია თუ  
ძროხები!

რას გადავიკვდა ძროხებს, ოხერი!  
— რატომ, კაცო, რატომ, რით დავიმსახუ-  
რეთ ასეთი პატივი? — ვცდილობ ხუმრობაში  
გავატარო.

— კიდევც მეკითხებით? — შუბლს აღარ  
ხსნიდა. — ნამობრძანდებით და იქ უფროსთან  
ერთად გავარკვევთ, ვინა ხართ, რა სულისანი,  
ვგრე სადისტურად რომ სტანჯავთ პატიოსან  
პირუტყვებს! მაჭერა თუა, მანანანალა ძალღე-  
ბი დაგეჭირათ, ცოფს რომ ავრცელებენ და ამას  
წინათ თორმეტი წლის ბიჭი იმსხვერპლეს! კა-  
ტა ვის რას უშლის, დაძვრება თავისთვის „ზად-  
ვლებში“ და თავგებს ანადგურებს!

— ი, ვერთხებს?! ვერთხების რო ეშინიათ?!

— გაცხარებით შეახსენა ანკაპუნემ.

— პო, ვერთხებს ყველა ვერ იჭერს, — გა-  
მოტყავა ინსპექტორი.

— აო, ეგნენ კი ყველანი იჭერენ და, თანაც,  
მარტო ვერთხებს კი არა, — შხამიან გველებ-  
საც! — უკვე გულდაგულ შეუტია ანკაპუნემ.  
მე გაცხებულნი მივაჩერდი. ეს ჩემთვისაც  
სრულადდა ახალი რამ იყო.

— მაიცა, რა! — ხელი აიჭინა სიმონამ.

— რა მაიცა, დელოცვილო, — ისევ შეტყვის  
წინა ხაზზე, თავის სტიქიაში იყო ანკაპუნემ, —  
როგორა გგონიათ, დღეს რა უფრო მეტ სამიშ-  
როებას უქმნის ქალაქის მოსახლეობას, თავად  
და ვერთხა, თუ შხამიანი გველები? ტელევიზი-

ას ხო უყურებ, დალოცვილი! აიგოს უხსენებლანით თბილისი და რუსთავი, ხალხს ლამის სახლებში უტყვივინა! პოდა, უფროსო, ესენი აქაური ჩვეულებრივი კატები არ გვეკონოთ!

ეროპაა, ნამეტანი გაუბერა, ახლა ამას რალა გააჩერებს-მეთქი, ჩემთვის ვფიქრობ. რატომ-ღაც ბექაურების ფანჯარას გახედე, ბატონი ბიძინა და მისი მეუღლე ისევე იქ დაგანან, მხიარულად მომლოძინა.

ანკაპუნემაც უფრო ომახიანად განაგრძო:

— აგერ, ბატონი ბექა დამემონებება, ეს გველებზე მონადირე ბრანზილოური კატებია. ოქროს დოლაგები გადაიხანდა სახელმწიფომ, ჩვენი მათხოვრული ბიუჯეტის პირობებში! მადლობა თქვით, რომ თქვენს უბანს ამდენი დარჩეული კატა შეხვდა, რაშიც ცოტა როდია ბატონი ბექას დამსახურება!

სიმონა ინსპექტორი პირდაღებული უსმენდა. მერე შემოტრიალდა და მოწმედ მოყვანილ „ბატონ ბექას“ გახედა.

— რატომ არაფერი მსმენია ამის თაობაზე? — თქვა ბოლოს.

— ხვალდამ ტელევიზიაში იქნება! — გამოსძახა „მონემ“, აქაოდა, გეპატებება ეგ არცოდნაო.

— მე ბატონი ბიძინა მეგობრეთ! — თქვა უწყველად დაბნეულმა სიმონამ, მერე ჩვენს გასაგონად ჩაილაპარაკა, — სულ ერთმანეთში მერევიან, ის რომ მგონია, ეს არის, ეს რომ მგონია, — ისა!

ამ აბრაკადაბრასი ანკაპუნემ, ცხადია, ვერაფერი გაიგო.

ერთი ანდაზისა არ იყოს, სწორედ ამ დროს გავიხედე ზევით და ბექა არ მოიღის?! მაგას რა დიდი ვამოცნობა და ამოცნობა უნდოდა, ჯერ იყო და, ბიძინასაგან ნამდვილად ვერ გააჩრევდი, მერე კიდევ, ხელში კარგა მოზრდილი ნწორის ტოტი ეჭირა.

შევატყვი, გაუკვირდა ხალხის სიმრავლე. ცხადია, მას აქ ყველა იცნობდა, მაგრამ, თითქოს განგებო, სწორედ იმ სქელულევამა მამაკაცს გამოელაპარაკა, წელან ჩვენ რომ ბექაურების ბინა მიგვასწავლა. იმან სიცილ-სიცილით დაუწყო რალაცის ახსნა, თან ხან ჩემს „მჩხავანა“ მანქანაზე ანიშნებდა, ხან ჩვენზე.

იმთავარ ზურგიით თავარი ანკაპუნე ჯერჯერობით ვერ ხედავდა მის „ნამდვილ ძმაცაცს“, მე კი მთელი ყურადღება იმისკენ მქონდა გადატანილი. ვხედავდი, როგორ ეცვლებოდა სახის მიმკაპ, როგორ უჭირდა სერიოზული და საქმიანი იერის შენარჩუნება. ბიძინა თავის დაკვირვით დაემშვიდობა სქელულევას და ვიქტორ გამოემართა ჩვენსკენ, თან ღია ფანჯარაში მდგარ „საკუთარ ორიულს“ ხელის აწევით ესალმებოდა და თვალებით ელაპარაკებოდა, რალაცას ანიშნებდა.

— გამარჯობათ! — თქვა მოახლოებისთანავე და, პირველ რიგში, ხელი ინსპექტორს გაუწოდა.

ანკაპუნეს ვითომ ვერ ამჩნევს. არადა, ახლა ერთ რამედა ღირს ამ ჩვენი ილოს ყურება. სიმონა ინსპექტორი რა მოსატანია, ამას რო ემართება, ხან „იმ ბექას“ უყურებს ფანჯარაში, ხან ამ ბექას, ვერ გაუგებს, რა ხდება, როგორ ხდება, რომ კაცია აქაც არის, იქაც, ერთდროულად, თვალზეც კი მოსირისა, ვიდრე ხელს განუვდიდა ჩამოსართმევად. ის კი, ვითომც არაფერი, მშვიდია, მაკცარად ისერიოზული, საქმიანი, რესპექტაბული სოლო იმის მიხედვით, თუ რა მოწინებთ მისჩერებიან მეზობლები, ძნელი არ არის იმის მიხედვება, რომ ეს კაცია აქ სულაც არ არის „ერთი ჩვენთაგანი“, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ამ ხალხს სავსერა და ასე უკონია... სანამ არ იცის ის, რაც მე შეეიტყვე ბიძინასაგან.

— რა ხდება, უფროსო? — სიმონა ინსპექტორს ეკითხება ბექა, ხმაც კი ძმისას მიუგავს, დაბალი, ოდნავ ბზარიანი.

ინსპექტორი აშკარად დაბნეულია.

— ბატონო ბიძინა, — დანიყო ნინრამხდარმა, რამეთუ ბექა, როგორც წელანდელი „მონემ“, იქ ეგულეება, ფანჯარაში, — როგორ გითხრათ... ესენი, ორივენი, თქვენი დანესებულებიდან მგონია გამოქცეულები... სხვა გზა არ არი, განყოფილებაში უნდა მივებრძინო, თავიანთ კატებიანდა!..

ბექას ხელში ხუთლარიანმა იელვა ნამიერად და იმ კუპიურამ მაშინვე ინსპექტორის კიტელის ჯიბეში დაივანა. არადა, ჩვენს გარშემო ცნობისმოყვარეთა საკმაოდ დიდი წრე იყო უკვე შეკრული.

... ნადი, სიმონას ვენაცვალე, ცივი ლუდი დალიე! — ლიმილით უთხრა ბექამ ინსპექტორს, — ამ ჩემს პაციენტებს კი მე თვად მივხედავ! — ამ სიტყვებით მე და ანკაპუნეს ხელი მოვგლო და სადარბაზოსაკენ გვიბიძგა.

ანკაპუნე ჯერ ისევ „ტყვიმალზე იჯდა“, თუმცა, მგონი, უკვე ხევებოდა რალაცას. ყოველ შემთხვევაში, იმდენი ჭკუა მინც ჰყოფნიდა, რომ ჯერჯერობით ენისათვის კილი დაეჭირა.

— შემოდით, კარი ღიაა, — გვითხრა ბიძინამ და ფანჯრიდან გაუჩინარდა.

კარი ბექამ შეღო. ჩვენც მიყვებით.

ქერთაშიანი ლამაზი ქალბატონი პირველი შეეგება ბექას, ლოყავე ამბორითა და საყვედურებით:

— ასე უნდა, შე უსინდისო? სად დაიკარგე! ქალბატონს მე და ანკაპუნემაც ჩამოვართვი ხელი.

— მეუღლე გახლავით, — ჩაილაპარაკა ბიძინამ, თუმცა ეს ისედაც ცხადი იყო.

— ეჰ, ჩემო რძალი, — ხენეშით ამოთქვა ბექამ, — რომ იცოდე, რა განამანიაში ვარ! ახლაც სრულიად შემთხვევით დამიჭირა ბიძინამ სახლში.

— მეგერა, მეგერა, — უცივ მოლბა ჩვენი დიასახლისი, — არბიტრავი როდის იქნება?

— ველოდებით იმ თვეში, მაგრამ... — ბექა ერთობ პესიმისტურად ჩანდა განწყობილი, გვი-

ან დაუმატა, — მაინცდამაინც დიდი იმედი არ არის...

ქალბატონს მეტი აღარაფერი უთქვამს, მაშინვე სამზარეულოში შეტრიალდა, საიდანაც სულ მალე წყლის ჩხრიალი და ჭურჭლის ხმაური მოისმა.

ჩვენ კვლავ სასტუმრო ოთახში აღმოვჩნდით.

როგორც იქნა, მოიცალა ჩვენთვის ბეჭადი.

— აბა, მაისის ბულბული, მოყვები ერთი, რასა იქმ და როგორა ხარ! — მართლაცდა ძველი ნაცნობივით, შინაურულად შეავლო მხარზე ხელი ანკაპუნეს, მაგიდასთან რომ ვსხდებოდით.

ანკაპუნემ, რომელიც უკვე საბოლოოდ გაერკვა სიტუაციაში, ერთხელ კიდევ გამოიხმედა ამაყად გამარჯვებულის კვარცხლბეკიდან. რატომაც არა, უკვე აშკარა იყო, რომ ბეჭას ყველაფერი უგუშინდელივით ახსოვდა. არადა, ეს კაცი ჩემს თვალში ბოლომდე მაინც არ ჰგავდა იმ ჩიტრიკეას, თუნდაც სინამდვილეში, „კაცური იდეები“ რომ მოუვა თავში.

— აბა, — თითი შემოკრა ანკაპუნემ, მერე ის თითი საფეთქელთან მიიკაუნა, — აზრზე ვარ, ტო, ესე იგი, შენა ხარ „ის“!

— და არა მე! — თავის ქნევით დაუმატა ბიძინამ.

— ჰო, მე ვარ „ის“, ოღონდ, საუბედუროდ, „ის“ აღარა ვარ... — სევდიანი ღიმილით წარმოსთქვა ბეჭამ.

— ვეღარ გავიგე, ხარ თუ არა ხარ, კაცო, — ისევ დიბნა ანკაპუნე და საჭიროდ ჩათვალა საგანგებოდ შეეხსენებინა მათი „მეგობრობის“ ყველაზე უფრო სამახსოვრო და, პირადად მისთვის, აღბათ, ყველაზე უფრო საამაყო ეპიზოდი. — ვახტანგურად რო დაგალივით, ვახსოვს?

— მახსოვს, რავა არ მახსოვს... — რატომღაც მე გადმოიხმედა ბეჭამ, თითქოს ჩემგან დაირიცხებინათ იმ ვახტანგურის გამო, მერე სახელი მკითხა, ვუთხარი თუ არა, ძალზე საქმიანი იერით დამეკითხა, — თქვენ გეცოდინებათ, ბატონო ოთარ, რენტავ რატომ ჰქვია „ვახტანგური“?

— რთული საკითხია, — ვუთხარი სიცლივით, — ჩავიჭერი რაც არ ვიცი, არ ვიცი!

— ვისაც ვკითხავ, არაფერს ვაგებში არ არის! — თქვა ჩემგანაც იმედგაცრუებულმა ბეჭამ, — ვახტანგურიო, გაიძახიან და არ კი იციან, რატომ მაინცდამაინც ვახტანგური და არა, ვთქვათ, ოთარული ან ბეჭაური...

— ალბათ ვახტანგ მეფეს უყვარდა ეგრე დღევა, — გაუბედავად გამოვთქვი ვარაუდი.

— ალბათ, ალბათ, — დამთანხმდა ბეჭა და უცებ გამხიარულდა, — ჰა, ხომ ჩაგჭერიოთ! — და უცებ დისახლისს გაეხმურა ასევე მხიარული ტონით, — ჰა, ჩემო რძალო, როგოა მანდ საკმე, არაფერს დაგვალოვინებ?

— ახლავე, ახლავე, ხუთ წუთში ყველაფერი იქნება! — მოისმა მერევე ოთახიდან.

— არ ჩაიჭრა, იცოდე! — გასძახა რძალს ბეჭამ, მერე მუშტი დაღო მაგიდაზე და, თითქოს

იმ მუშტით საკუთარი ჯავრი განურთა; ისე ჩაილაპარაკა, — ეჰ, ჩაჭრა ის იყო, მე რომ ჩავიჭერი, არა შეჯდა მწყერი ხესო, — ძმას გადახედა, — იქაც ჩავიჭერი და ამ კაცთანაც ჩაჭრილი გამოვდივარ! — ანკაპუნეზე ანიშნა.

ანკაპუნემ ყური ცქვიტა, რატომღაც მე მომაჩერდა, თვალბით მკითხა, რაღაცა. მე თვალი ავარიდეთ.

— სიმართლე გითხრათ, ხეირიანად აღარც კი მახსოვდა ის საღამო, ბატონო ოთარ, — ისევ ბეჭამ დაიწყო, სევდიანი ღიმილი დასთამამრება სახეზე, — ვისუბრეთ, მეგონა, და მორჩა ნასვამ კაცს რა სისულელე არ მოუვა თავში..

— შენ — მითუმეტეს! — საყვედურიანი ღიმილით ჩაურთო ბიძინამ.

— ჰო, მოკლედ, ეგრე მეგონა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ამ კაცს სულაც არ მიუღია ხუმრობად.

ანკაპუნეს უკვე თავისი ემართებოდა, ნერვიულად დაიწყო სკამზე ცმოკვა-წრიალი.

— კაი ხუმრობაა, ღმერთმანი! — წამოიძახა.

უცებ ბეჭამ ჯიბისკენ წაიღო ხელი. ანკაპუნეს თვალებში დაუელმბდა, მაგრამ ბეჭამ ჯიბიდან ფულის მაგიერ მოიძლიერა დააძრო და ცერა თითი დააჭირა. სწრაფად ამოკრიფა საჭირო ნომერი და აპარატი ყურთან მიიტანა.

ანკაპუნე წამოხტა და ნერვიულად იწყო ოთახში წინა-უკმო სიარული.

— ალო, ჰო, მე ვარ ნომრევა! — ბეჭა წყნარად, მონოტონურად ლაპარაკობდა, — ბიძინასთან ვარ, სად ვიქნები კიდევ? კიდევ — ჩვენი ძმა და მეგობარი ილო და იმისი ძმა და მეგობარი ოთარი. იცნობთ, შენც, ვალიკოც და ელიზბარიც, მეორეს გაცნობთ. — უეცრად გამოიციცხლდა, გამხიარულდა, — მაისის ბულბული არ ვახსოვს? რესტორან „მამალხინეში“... ამ ერთი თვის წინ დადებული სანაძლეოც აღარ ვახსოვს? ჰოდა, სანაძლეო წააგე, ძმაო! აბა, რა გგონია! ჩამოვიდა და ჩამოიყვანა... — უცებ ანკაპუნეს მოუტრიალდა, — სულ რამდენია?

— ოცდახუთი, — სწრაფად მიაგება ანკაპუნემ, თან ყოველი შემთხვევისათვის, მიაყოლა, — სულ შავები! — ჩანდა, რომ ჯერ კიდევ იმედინად იყო.

— მთელი ოცდახუთი ცალი და, თანაც, — დარჩული შავები! ვადმოიხედე, ეგერ ღვას, თქვენს ქვემოთ, სტაფილისფერი ფურგონი. ვადმოდი, ვადმოდი, ბიძინასთან გელოდები!

— ბავშვებოვით ხართ ამხელა კაცები! — კიცხვით უთხრა ძმამ, როცა ბეჭამ ტელეფონი გათიშა, — მაინც რა სანაძლეო გქონდათ ასეთი?

— ათკაციათი პურ-მარილი. — სიცლივით დაიწყო ბეჭამ, — ის მიუხედავად, ტყუილად ისროლე ხუთთომნიანი, ჩადო ჯიბეში და მორჩა, ერთსაც არ დაიჭერს, სულელადაც ჩავთვლისო. მე კიდევ ვუმტკიცებდი, ერთსაც დაიჭერს და ოცსაც, აი, ნახავ-მეთქი არადა, არც მე მჯეროდა, რომ დაიჭერდა და ჩამოიყვანდა, უბრალოდ,

ცოტა ფული მინდოდა ამ კაცისთვის მეჩურქები-  
ნა და მუქთა რომ არ გამოსულიყო, საქმე გამო-  
ვუბონე, ეგ იყო და ეგა! — უეცრად ანკაპუნეს  
მიუბრუნდა, სახეზე მიმტეხებულური ღიმილი  
ეხატა, თუმცა ხმა კი გაუმკაცრდა ერთბაშად,  
— შე კი დედ-მამიშვილი, — ეუბნება, — კაი,  
მე ვიზუზმე, შენ როგორ დაიჯერე, რომ... საქმე  
სხვა არაფერი გაქვს სოფელში, ამხელა კაცი  
კატებს რომ დასდევ? იმიტომაც მოგვიცი ჩე-  
მი ძმის მისამართი, ამისი პაციენტის შეგი ვინ  
ჩაიდენს იმას, შენ რომ ჩაიგდენია! — აქ უცებ  
ისევ დაუტკბა ხმა, თითქოს პატარა ბავშვს ეფე-  
რებო, ისე დაუფყვავა ანკაპუნეს, — კარგი, პო,  
ნუ იბოლოები, ამაღამ ექვიფობო, მაისის ბულ-  
ბული!

ვატყობდი, ცოტაც და, იმედგაცრუებული ან-  
კაპუნე რაღაც მიუტყევებელს ჩაიდენდა. ფერი  
ალარ ედო სახეზე.

— ფული დადე მე შენი რესტორანი არა მჭირ-  
დება! — ბოღმანად გამოსცრა ბოლოს.

— არც რომ მე მჭირდება შენი რწყილებიანი  
კატები?! — ხელები გაშალა ბექამ.

— ისე, არც შენ განყენდა ჩემი პაციენტობა,  
ნოშივევანთა ერთად, — მკაცრად უთხრა ბიძი-  
ნამ, რომელსაც ამკარად არ მოსწონდა „უმიტრო-  
სი“ ძმის ლაპარაკი, — ახლა ხომ ხვდები რის-  
თვის მოგატანინე ის წკეპლა, ჩათვალე, რომ იმ  
წკეპლით ავიტრელე მიშველი უკანალი ეს ზოგ-  
ჯერ წამალზე მეტად რგებთ ჩემს პაციენტებს!

— ეჰ, ისლა დამჩინე, ბოდიში მოგეუხადო ამ  
პატრონან კაცებს, ამოიხუნეშა ბექამ, — ამით  
თუ არ იციან, შენ ხომ იცი, რომ...

— შენი ბოდიში უკან ამოისვი! — იყვირა  
უცებ ანკაპუნემ, სიტყვის დამთავრება არ აცა-  
ლა.

„ერიშა!“ — ესლა გავიფიქრე.  
ბექა წამოენთო, მაგრამ თავი შეიკავა, არ აპ-  
ყვა.

— შენ ფიქრობ, რომ ჩემი ბოდიში ჩირადაც  
არ ღირს? — ესლა უთხრა.

— პირი პირია, ძმაო, — უთხრა ბიძინამ, - ეს  
კაცი, მართალია, ფული უნდა დადო!

— ეჰ, არქონას რა ვუთხარი, თორემ მაგაზე  
როგორ ვალაპარაკებდი! — დარდვარამიანი  
ხმა ჰქონდა ამჯერად.

ანკაპუნე კი არაფერი იცის ბექას გაკოტრე-  
ბის შესახებ.

— უო, მაგისთანა მილიონების დედა ვატირე  
მე! ფულებს შოულობოთ და კაცობას კარგავთ!  
— ჯავრისაგან კანკალებდა კაცი.

— შემობრძანდით! სუფრა მზად არის! — მო-  
ისმა უცებ მეორე ოთახიდან ქალბატონის ნაც-  
ნობი ხმა.

ამაზე უფრო უდროო დროს ვერც შეარჩევდა.  
მგონი, არც გაუფანდა ბექას, ანკაპუნეს ბოლო  
შეცახლმა წამით მწყობრიდან გამოიყვანა, ცუ-  
დად წამოიწია სკამიდან.

— შენ ცოტა... — გამოსცრა კბილებში.  
ბიძინამ მხარზე დაქაჩა, დასვა.

— „დედს სტუმარია ის ჩემი“, — უთხრა წყნა-  
რად და წამოდგა, — აბა, გვეყოფა ახლა, სუფრა  
გველოდება! — მზიარულად შეგვიძახა, მაგრამ  
რად გინდა, ანკაპუნე არ აპირებდა კახური ვი-  
რიდან ჩამობრძანებას.

— კაი, ბატონო, ალარ მინდა არაფერი! — იყ-  
ვირა უეცრად და ოთახიდან გაავრდა. მეც ინ-  
სტიტუტურად მივეყვი უკან.

— მოაბრუნე! — მომადახა ბიძინამ.

სანამ წამოვეწყოდი, იმან კარი გაუჯახუნა. მე  
რომ სადარბაზოში გავედი, ის უკვე ფურგონის  
უკანა კარს ექაჩებოდა. მიხვდი, რასაც აპირებ-  
და ცხელ გულზე. ალარ გავდევნიებოვარ. ჯიბი-  
დან ვასაღები ამოვიღე და გადავუვდე. იქვე,  
მის ეგზეზთან დავარდა. აიღო, სული შეუვებარ  
და კარი გააღო, გააღო და სალონიდან პირვე-  
ლი ტომარა გადმოათრია. სვირის მოყვარული  
ხალხი პირდაღებული მისჩერებოდა. ვინ იცის,  
რანაირი შერევილი ალარ ენახათ ბიძინა ექიმის  
ბინაში შესული თუ იქიდან გამოსული, მაგრამ,  
ანკაპუნესთან — ალბათ. არასოდეს!  
ბექაურებმაც გამოყვეს თავი ღია ფანჯარა-  
ში.

ალბათ, ალარ ღირს იმის დაწვრილებით აღ-  
წერა, რაც იქ ამბავი დატრიალდა, როცა ანკა-  
პუნემ პირველი ტომარა გადმოაგდო მანქანი-  
დან, ხელების ნერვიული მოძრაობით მოხსნა  
თავი და პირი გადაუწია. ო, როგორ ისუკვს  
ტომარად თავისუფლებას დანატრებულმა და  
ალბათ, უკვე გვარიანად დამშეულმა კატებმა,  
ანუ, ვისთვის კატებმა და ვისთვის — ტკიცინა  
თუმბინაებმა, როგორ ახტებოდნენ ბრჭყალებ-  
გაბასრულები იქ შეყრილი უცხო ადამიანებს,  
როგორ მიუძვრებოდნენ ფუხებში და როგორი  
ფაცხაფუცხით იკარგებოდნენ თვალთაგან  
ბნელ-მნელ სადარბაზოებში. იგვევ განმეორდა  
მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ტომარების  
გახსნისას.

ანკაპუნე ტომარები მანქანაში შეყარა და  
თვლით მანიშნა, წავედიო.

ეს ყესტი, ეტყობა, ბექაურებმაც შენიშნეს.

— უთხარით მაგ ვადარეულს, რომ ამაღამ  
იმვე რესტორანში გელოდებით, ათ საათზე, —  
მითხრა ბექამ, ციხილია.

ანკაპუნე უკვე მანქანაში იჯდა, მე რომ მივე-  
დი და მანქანის კარი გამოვადე.

— დაჯექი, თუ კაცი ხარ, და წავედიო აქე-  
დან, მაგათი...

— ხმა! — შევანყვეტინე, თუმცა არა მგონია,  
ბოლომდე დაუსურათებინა, ცოდი როგორა  
ვთქვა, ვინება მაინცდამაინც არ უყვარდა.

დაჯდომით კი დავეჯექი, მაგრამ მოუხვდავად  
იმისა, რომ საჩემო თავდაღმართი იყო, დაგორე-  
ბას და დაქოქვას განგებ ვავიანებდი.

— ჯანდაბას ვე შენი კატები! — ვუთხარი ბო-  
ლოს სიცილით, — წავედიო და ერთი გემოზე  
მოფულსინოთ „მამალხინეში“!

— მათხობარი არ ვარ მე მაგათი! — შემომიღ-  
რინა ანკაპუნემ, — შენ თუ გინდა ნადი — მან-  
ქანიდან გადასვლაც კი დააპირა.

მაგრად იყო დაბოლმილი, ასაფთოქებლად გამზადებულ კასრს გავდა.

— კაი, ბატონო, ნავედით! — მანქანიდან ხელი გადაყავაი და გამომშვიდობების ნიშნად დავუქნი ბეჭაურებს.

ანკაპუნეს არც უფიქრია დამშვიდობება.

— რესტორანში გელოდებით! — ერთხელ კიდევ შეგვასხენა ბექამ.

— ვნახოთ... — ორჭოფულად ვუპასუხე, რა იცა, მეორე წუთს რა გუნებაზე დადგეს-მეთქი ანკაპუნე.

ის იყო, მუხრუჭი მოეხსენი, მანქანა დაღმართში მიეფუძვი და მოტორიც მაშინვე ათუხ-თუხდა, რომ ვხედავ, იქვე, შორიახლოდან, ბორღიურზე შემდგარი ახალგაზრდა ხელით მანიშნებს, მოიცა, არ ნახვიდეთ.

— ამას რალაც უნდა! — უკმაყოფილოდ ჩავილაპარაკე და მანქანა გავაჩერე.

— ნადი, რალაც უყურებ! — აბუზღუნდა ანკაპუნე.

ის ახალგაზრდა ორიოდ ნაბიჯზე მოგვიახლოვდა და მეუბნება:

— ისინი მგონი, თქვენთან მოიჩქარიან! — და უკან ვილატას ხელით ანიშნებს, მოდით დროზე, გელოდებიანო.

ნამიქ და, მანქანასთან ჩია ტანის ორი ახალგაზრდა მოვარდა. ეტყობათ, სირბილით თუ არა, ძუნძულით მაინც მოიჩქაროდნენ, ისე ქასქასებენ, მაგრამ ყველაზე უფრო ისაა გასაოცარი, რომ ამათ ჩვენებურებისა არაფერი სცხიათ, უცხოელები ჩანან, ჩინურ-მოზღოლური ვილაგისანი.

— ამათ რალა უნდათ! — ამჯერად ანკაპუნეს აღეძრა ცნობისნადილი.

— ესენი არ ჩინელები არიან, ან იაპონელები, ან ვიეტნამელები... ან...

— იეს, იეს, ვიეტნამ, ვიეტნამ! — სუსტი, წრიპინა ხმით შემანყვეტინა ერთმა და ქრუტა თეალები ხალისიანად ააბაზხაბა.

— ძალიან სასიამოვნო, მერე, რა გუნებათ? — ჯერ ქართულად ვეკითხები, მერე რუსულად.

ცხადია, ბევრად უფრო მესიამოვნებოდა ეგზომ შორეული უცხოელებისაგან ქართული, თუნდაც ძალიან დამტკვრული, ორიოდ ფრაზა გამეგონა, მაგრამ ის ტაბი, წელან ინგლისურად რომ ნამოთიხა „დიახ, დიახო“, ახლა ლამის უაქცენტო რუსულით ალაპარაკდა.

— კატბი სად არიან? — კითხულობს და თვალის ცეცებით ათვალეირებენ მანქანის სალონს.

— გაეფუძვი, — ვეუბნები მშვიდად. თუმიცა ამას თავად ხედვებია და ისეთი უსაზღვრო იმედგაცრუება, სინანული და მწუხარება ვუფლებათ, ისე ებოღმებათ თვალგუდოქონ, ფერმართალი სიფათები, გვეგონებათ ოქროს საათები ჩაუცვივდათ ქაში, საიდანაც წყლის დაღვევასაც აპირებდნენ.

— როგორ თუ გაუშვით? გაუშვით თუ გაყიდეთ? — ისევ ის მეკითხება, თან მეგობარს ეუ-

ლურტულება რალაცას, ერთმარცველიანი სიტყვებით.

ძნელი არ არის იმისი მიხვედრა, რომ ვერც კი ნარმოუდგენია, როგორ შეიძლება მზამზარეულად დაჭერილი კატების ისე, ტყვილ-უბრალოდ გაშვება!

— ყიდვა გვინდოდა! — ამბობს ისევ ის.

ანკაპუნე კარგა ხანია ყურე ცქციტა, იმდენი რუსული კი იცის, საუბრიდან აზრი გამოიტანოს.

— ამათი გამაყირებალა გვაკლდა, რა! — გადაიარია.

— რამდენის ყიდვა გინდოდათ? — ვეკითხები „შაყირისტ“ ვიეტნამელს, რომელიც სულაც არა ჩანს საოხუნჯოდ განწყობილი, ეს ანკაპუნეს პკონია, რომ მთელი მსოფლიო მის ნინაალმდეგაა შეთქმული და დარაზმული.

— ყველას ვიყიდით! — პასუხობს ისევ ის და უტიკრად გვემშვიდობება, — დასანანია, დასანანი... კარგად ბრძანდებოდეთ! — მეგობარს ხელი გამოსდო მკლავში და, საიდანაც მოვიდნენ იქითვე გაიყოლია.

— გაიგონე, ილო, ყველას ვიყიდითო, — ვეუბნები ანკაპუნეს.

— შენ კიდევ ვგრევე დაიჯერე, არა? — უკვე აქვთ დამცინის, აი მე რა მაგარი ვარ, არა მჯერაო, ბექას წელანდელი ნათქვამის „ციტირებასაც“ კი მიმართავს, — ვის რად უნდა, კაცო, შენი რწყილიანი კატები!

უცებ მანქანის გარშემო თავშეფრილ ცნობის-მოყვარეთა წრეს ის ჩვენი ძველი ნაცნობი გამოყოფა, სქელულვამა, მაღალი, მხრებში მოხრილი მამაკაცო.

— რაო, რა გვინდაო? — სიცილით ვეკითხება.

— დაქოქე და ნადი, — გვერდიდან მიჩუნდურებს ანკაპუნე.

— ყიდვა გვინდოდაო, — ადგებული ტონით ვეუბნები სქელულვამას, თან სტარტერს ვანგალებე, ვნაზობ, დაქოქილი მანქანა რომ ჩავაქრე, არაბა, დაღმართი დაილია, ველარ დაავორებ!

— აფსუს! — თავს სინანულით აქნევს სქელულვამა, — რატომ მე არ გამახსენდა წელან ეგ ხალხი! გამეგზავნა ვინმე და გამეგებინებინა! როგორ არ გამახსენდა?

— რა, მართლა იყიდინდენ თუ?! — ვეკითხები.

— აბა?! — ამბობს სქელულვამა, — კატის ხორცი ხომ მაგათთვის ერთ-ერთი ძვირფასი დელიკატესია! ეგენი აქვე, ქუჩის გადაღმა კორპუსში ცხოვრობენ, ხუთნი არიან, აქედან ორი ჩინელია და სამი-ვიეტნამელი. ჩინელები რალაც ბიზნესით არიან დაკავებული, ეს ახალგაზარები კი ჩვენი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები არიან, ახალჩამოსულები. ცოტა ადრე მაინც მოსულიყვნენ, დალოცვილები, მოხსნოთ, კაი ფულს გააკეთებდით.

ანკაპუნე მოსვენებულ ცმუკავს ადგილზე. მგონი თანდათან იჯერებს დაუფერებელს, თუმ-

ცა ჯერ კიდევ უნდობლადაა განწყობილი, ეტყობა, ეს სიმშაითური და სერიოზული კაციც მოგზავნილი ჰგონია, — მსოფლიო შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე.

— გვატყუებთ რაღაცას! — ეუბნება სქელულუვაშას.

— როგორ გეკადრებათ, მე მაგის კაცი არა ვარ, ძმაო, — იწყინა იმან, — ვილაცისაგან გაგონილს კი არ მოგახსენებთ, ბატონიშვილო, მე თავად მინახავს პეკინის საუკეთესო რესტორნის მენიუში შეტანილი კატის ხორცი, გნებათ კატლექტი და გნებათ შემწვარ-მოხრაკული. მე თავად ვასწავლი ტექნიკურ უნივერსიტეტში და ვიცნობ მაგ ახალგაზრდებს.

— გაგვიფიქრო! — წამოიძახა ანკაპუნემ და მომხრიალდა, — წავედით, თორემ ან მართლა გავგიფიქრებ, ან ინფარქტი დამარტყამს, ან ინსულტი დამემართება!

შავულვამამ ხალისიანად გაიცინა და, რაკი მოტორი უკვე თუხთუხებდა, ხელის აწევით გადავა განხე.

— აბა, გზა მშვიდობისა!

— კარგად ბრძანდებოდეთ! — დავუძახე და მანქანა დაეძარა.

ანკაპუნეც ხელის აწევით დაემშვიდობა, მერე ერთმანეთში ჩახლართული ხელის მტევნები ლაგებდნენ შუა ღრმად ჩაყვარა და საჯარძელზე საცოდავად მოიკუნტა.

— იგრე გავგეწნრო მაინც, რო სულ არ მენახა ეგ ჩემი ცოდვით სავეჩ ჩინელები!

— ვიეტნამელები! — შევუსწორე.

— სულ ერთია! — თქვა იმან, — ბექა-ბიძინასათი ჰგვანან ერთმანეთს!

გეზი სანაპიროსკენ ავიღე. ჩემი ბინისაკენ. ანკაპუნე, ცხადია, ამაღამ ჩემი სტუმარი უნდა ყოფილიყო. არც დაინტერესებულა, სად მივდივართო. კარგა ხანს იჯდა იმავე პოზაში, მოკუნტული და დაპატარავებული. ხმას არ იღებდა. მეც ჯიუტად ველმძი, ვცდილობდი, გამომეცნო, სად იყო ახლა ფიქრებით ანკაპუნე. და უტყებ:

— დელიკატესიო, გაიგე, კაცო?! — წამოიძახა და ახლავა გაიმართა, საზურგეს მიანვა, გაიჭიმა.

მე არც ახლა გავპასუხებვიარ. ხანგრძლივი პაუზა ისევ ანკაპუნემ დაარღვია:

— კაი ფულს გააკეთებდითო, გაიგე, კაცო?! — ისევ იქ იყო.

თითქოს ჯიბრზე, ხმას არ ვიღებდი. ანკაპუნე კი უკვე ხმამალა ფიქრობდა:

— ბოლი ტომარაზე მაინც მოესწროთ მაგ ოჯახდაქცეულებს! მშ, კაი ფულს გააკეთებდითო! — ხელი ხელს შემოჰკრა და თავის ქნევით წამოიძახა, — ყისმათია, რა!

— ყისმათი რომ გქონოდა, შე საწყალო, ბექა არ გაგიკოტრდებოდა ამ ერთ თეეში! — გავტეხე დუმილის ნავსი, — გაუგე რა, კაცურად!

— ახლა ევა თქვი! — არ დამიჯერა.

— მართლა გეუბნები!

ანკაპუნემ ხელი აიჭინა და თქვა:

— კაი, რა, ეგრე როგო გაკოტრდა, რო ორასი ლარი აღარაქვს!

— ბრიგადრმა მიხოს რომ დაუძახა დილით, ეგ იცე? — არ გამეპასუხა, — მე განვაგრძე, — დაუძახა და მარომ გამოიხედა ფანჯრიდან, მიხო ნუხელ მოკვდაო, გულამომჯდარი ეუბნება ბრიგადირს. იმან კიდევ, — ეგრე როგო მოკვდა, რო ფანჯარამდე მოსვლა არ შეუძლიათ!

ანკაპუნემ ცალყბად გაიცინა, ზრდილობისათვის, ის თავის ფიქრებში იყო გართული.

— ბავშვთან ვაპირებდი მისვლას... — ჩაგარდნილი და გაზარული ხმით დაიწყო უტყებ, — ვფიქრობდი, მივალ, დავყრი ფულს მაგიდაზე ამაყად და ვეტყვი ელზას, — აპა, მოუდი! — რაღა დავიმბლო და ბჭი მომენტრა ძალიან.

„აი, თურმე რა ჰქონია გუნებაში!“ — გავიფიქრე.

— ისედაც მიგიღებს! შენ, მთავარია, მთავარი პირობა შეასრულო!

— მორჩა, აღარა ვსვამ! — ხელები გადაავარდინა ანკაპუნემ და ყურადღებით მიმოიხედა, ქუჩა დაზვერა, თამარის ხიდს ვუახლოვდებოდით, — მარჯვნივ აიღე, ზურასთან მივდივართ!

— ზურასთან და ელზასთან! — ვუთხარი, — ორივენი გელოდებიან!

— ვიცი! — მოკლედ მოჭრა.

სანაპიროდან რომ ავუსხიე და თამარის პროსპექტზე აღმა მიმავალი ტრანსპორტის კოლონაში ჩავუნერე, ვიგრძენი, რომ საოცრად გამომიკეთდა გუნება, ისე რომ, ნავუმღერე კიდევ ანკაპუნესკენ გადახრილობა: „ჯერ დედას გადავტყუებ, მერე შვილსა და ცოლსაო დაა“...

— „სალოლ, სადა სალოლ!“ — შემეხმარა ანკაპუნე. ისიც მშვენიერ გუნებაზე ჩანდა, თუმცა, ეტყობოდა, ფიქრებით ჯერ ისევ იქ იყო, რაკი მცირე პაუზის შემდეგ ერთი გემრიელად ამოიხვნეშა და თავის ქნევით წამოიძახა: — კაი ფულს გააკეთებდითო, აბა?!

„ერიშაა, ეს ანი აღარც მოეშვება მაგ საქმეს, მით უფრო, რომ ფეხით აღარ არის შეზღუდული!“ — გავიფიქრე და ეგრევე ყინულივით ცივი შხაპის ქვეშ შევაგდე:

— კი მაგრამ, ის რატო ველარ შეამჩნიე, იმ კაცმა თვალი რომ ჩამიკრა.

— ვითომ რაო?! — თითქმის იყვირა ანკაპუნემ.

— რაო და, ეგ ყველაფერი რესტორანში დანყებული ზუმრობის გაგრძელება იყო, ოლონდ, ამჯერად — ნომრევისის მოწყობილია, გაიგე?

კარგა ხანს იჯდა გატრულული, ვიადრე იტყობდა:

— ეგრეც ვფიქრობდი!

„ჰოდა, ძალიანაც კარგი!“



შაქნაზოვი  
გიორგი

**მშვენიერი მწუხარება**

დღეთა გადამტეხარება ჟამს შეერწყმის რულიანს, მშვენიერი მწუხარება უკვე სიხარულია; რაგინდ ფიქრი დამიოსდეს, მზად ვარ ბნელეთს შევება, უდიადეს მარცხსაც მოსდევს სულის გასალკლდეება. ნამთა უთვალავი წყება... ზეადმავალს ჰქსოვ ნავარდს... სამუდამო დაეინყება საუკუნო ხსოვნაა. აზრში დიდი სიმკვრივეა, ხმა კი კვეთებისაა, მდინარენი იკრიბება ურიცხვ წვეთებისაგან. აისები ნეტარებით უხვად მამარაგებენ, უთვალავი დეტალები ერთ დიად არსს აგებენ. ხოლო ყოველ განათებას, ახალ მზედ რომ გვებნევა, დაგმობაც და გამართლებაც უხვად მოუქმებნება. არის ყოფა აგრე რთული (ბარდს მოსავენ იანი): გარეგნულად ფრაგმენტული, შინაგანად მთლიანი...

**სამყაროს კუთხე**

ღრმა საიდუმლოს ვილაცა ყრუდ ჰხვევს, აქვს ყველა სულდგმულს რალაც მისია, სამყაროს ერთი პატარა კუთხე ჩემი მე ზავრობის დასაწყისია. ყოველი ხმა თუ მცირედი ჩქამი ნამოშლის სულში კითხვებს ზვიადებს, ყოფიერების ყოველი წამი რალაც დაფარულს აყურიადებს. უცნობ ალთქმათა გამომსახველი ეფინებიან ფერები ტილოს, ყოველი ბიჯი და შესახვევი რალაც დიადის ამოხსნას ცდილობს. არის ხედები, ტკბილად სახილი და განუწყვეტი მიება ახლის, ქარის ყოველი შემოძახილი ჯერ არმოსმენილ მუსიკას მახლის. ყოველი ფიქრი გამიხსნის კარებს შორ, გასაოცარ საღამოისას, სამყაროს ერთი პატარა მხარე ყველა დანარჩენ ცასაც მოიცავს.

**მომზაური შორიდას**

არცერთ ამინდში მოხვედრილს არ შეგცეცლება ზრახვა, უცხო მხარიდან მოხვედი, უცხო მხარეში წახვალ. უქმია ხოტბის მოსურნეთ ხრიკი და აბრუნდები, უსაზღვრობიდან მოსული კვლავ იქვე დაბრუნდები. ჰქმნი აურაცხელ მხატვრობებს, ბილიკს და ნაბილიკარს, ეს მხარეებიც გათრობენ, ეს შემოგარეც გიყვარს. ამ ჟამსაც მძაფრი სული აქვს, და არრის მზოგველია, მაგრამ შორეთში სრულიად სხვა ძალით მოგველიან.

**მწუხარე მალოდია**

ბოლოს მიხვალ სევდის კართან ფიქრო, ტკბობით ანავსებო, რაც არსებობს, იმის გარდა არაფერი არ არსებობს. მაგრამ გულს მეტადაც ჰგაზრით ფიქრო, კუშტრო და ნავსებო, რაც არსებობს, ნამდვილ აზრით თურმე ისიც არ არსებობს. ან იმედით როგორ ჰკვებოს სული ფერმა თეთრი ცარცის, რაც ნამდვილად არ არსებობს — არ არსებობს თურმე არც ის ნესტარს როგორ არ ასობდეს ის, რაც მხეებს ასე ბურავს? თურმე არსად არასოდეს არაფერი არსებულა.

## არ არის სევდა?

სევდის არსებას არ განსაზღვრავს სევდის მიზეზი, ამის შეგრძნება ჩვენც მრავალჯერ გადაგვდებია, მის შიდა არსში ხვეულები უფაქიზესი საკუთარივე კანონებით განლაგდებიან თუნდ უცებ გაჩნდეს — მარადია, დაუნყებელი, რაც მას ააგზნებს — საბაბს მოჰგავს დაუფარავად, ვით ხეთა რხევა არის ქარის მათუნყებელი, მაგრამ არასდროს გამოიმწყვეი მისი არაა. ის ყველას მოსავს, როგორც საგნებს ლურჯი ამაია, ხაშს ამაღლება, რათა მისი ხილვა შევიძლოთ, სევდის საწყისი მატერიის ბუნებაშია, ყოველთვის სუფევს, მაგრამ ზოგჯერ ჩვენ ვერ შევიგრძნობთ. ყოფის გარეთ დგას, რაც მას გემავს და აფრთიანებს, არავის ეგონოს ნამოზრდილი ყოფის ქაფისგან, მისი სტუმრობა ყველა მხილველს აერთიანებს, როგორც მუქურა — ყველა გემის უმზობს კაპიტანს. სევდა წყვეტს ჩვენს ომს, ბოლოს უღებს მდთან ჭიდებას, მას ჩვენი ანამყო ხშირად ნისლით დაუტბორია, ის ზოგჯერ მოჰგავს დანაკარგზე გამოკიდებას, მაგრამ ნამდივლად მისი გზები უფრო შორია. ო მჯერა, მჯერა, აღსადგენად უღრმეს ფერების ჩვენ ზეარსებამ სწორედ სევდა გამოგვიძებნა, ეს არის ჩვენი ყოფამდელი მესხიერების პერიოდული უნებლიე გამოღვიძება! სევდის არსებას არ განსაზღვრავს სევდის მიზეზი, უფრო ღრმა და მიუღწევი ახსნა ამისა, მასში ლაგდება ხვეულები უფაქიზესი საკუთარივე კანონების შესაბამისად...

## გადალილ გზაზე

ედგავართ მინდორში. ტორთა მცემარი დალილა რაში ბედის ძიებით, გადაგვექანცნენ გადმოცემანი და გაიცვითენ ისტორიები. დაფლეთილი ცა ძლივს ილაშბება, ანამყოს ვუცქერით ნელი ზმორებით, დაკარგვს ხიბლი ძველმა ამბებმა განუნწყეტელი განმეორებით. უსწორეს გზაზე გაჭირდა გავლა, მნათობის ჩასვლამ მოგვისწრო ველად, რაც მუდამ ჩვენი გვეგონა დავლა, ხელიდან გასხლტა მოულოდნელად.


ძირს მოფენილა მრავალი რამე, ზე რომ გკიდებდით გრძელ კაუჭებით, სხვა ძალნი სულ სხვა სპექტაკლსა დგამენ და ძველს ამაოდ ვებლაუჭებით. დაბერდნენ ხენი, კედლები დასკდნენ, მტვერმა დაფარა სქელი ტომები, ველარ აგებენ უმწყობრეს დასკვნებს გადაქანცული აქსიომები...

## სიზმარია ყოველივე

რამდენ მხარეში გიმგზავრია, ჰანდა ჟღერს — ნარმატაც არსიანი, რასაც ჩვენ ვხვდებით, სიზმარია, თუმც სინამდვილის მსგავსი არი. ბევრი კორდს და მწვერვალს ვეხსომები, ბევრი ხმა გადაამირჩენია, თუმც სიზმარია, ეს ყოველი მე სინამდვილეს მირჩენია. ბევრს მაცქერინეს მწვერვალზემა ეკრანს, ნამიერ ხილვების მსგავსს, რა მსუბუქი და ელვარეა — აგებულია სხივებისგან! აქ ნამი წყვილობს უკუნისთან, ხსოვნაც მრავალჯერ გაკრფილა, ხოლო საგნები მსუბუქ ნისლთა მთლად შემთხვევითი ნაკრებია. ქორფას ჰგავს ვარჯი რომელიმე, მილიარდწლოვანხანასთან, ო, სიზმარია ყოველივე, თუმცა ნამდვილის მსგავსი არი...

## ყოველ ზამთარში

ყოველ ზამთარში თვლემს გაზაფხული, ყოველ ღუმლიში თვლემს დაძახება, თუმც ახლა ყინვით ვარ დაზაფხული, მაინც მზის დარი ნინ მესაბება. თუმცა ქარია, კიდევ თოვდება, და ზამთრის ნანას ჟღერენ ძიძები, ვიცი, თანდათან გვიახლოვდება რალაც, უეცრად გამაღვიძები. რაგინდ ავობდეს ძალა მრისხანე, თუმც გადაჩვივნენ სხივთა ფერებას, მალე ხეები გამოისხამენ გამოგნებულ მშვენიერებას. ენახავ — ყინვებმა დროშა დახარეს მოუფერიებ განაჩენივით, და პირველივე ზვინთი გეახარებს, რომ სული არის გადაჩენილი. თავსხმა, ჩქერების ზღვად დანახუვლი ნინსვლის სიმღერად დამესახება... ყოველ ზამთარში თვლემს გაზაფხული, ყოველ ღუმლიში კრთის დაძახება.



იოს  
ბარამიძე

**ლა მინორი**

ჩამთავრდა აგვისტო — თბილისის ანემია,  
მოდის შემოდგომა და სიმწვანე მიაქვს.  
გულზე ფოთოლცვენის სევდა გადამივლის,  
ლელეს კენტი ფოთოლი შერჩება, ადამივით.  
დადგება ნოემბრის ქარ-წვიმა, მერე კი —  
ზამთარი, სულდგმულთა ბუნაგში შემრეკი.  
ცივია ზამთრის ცა, ერთ დროს ნამერცხლები,  
დღეც ისე მოკლეა, ღამე ღამეს ებმის,  
ანუ ერთი გრძელი ღამეა უსაშველო.  
მაშინ ნუ დამტოვებ ეულად, მუზავ ჩემო,  
მაშინ უკვდავმყავი, მაშინ აპრიადღი,  
განა სამუდამოდ — მხოლოდ აპრილამღი.

**მგალი**

ყვფენ და ყვფენ ეზოს ცუგები,  
დანაყრებულნი ვახშმის ნარჩენით,  
შორს კი ნადირობს ტყეში ძუ მგელი  
დამშეულ შვილთა გადასარჩენად.

გახედავს სოფელს და გვერდს აუვლის,  
ძალღების ყეფა-ყმილი ისმის.  
მათ წინაშეც აქვს დანაშაული, —  
რომ არ გაძალდა მათსავით ისიც.  
და სწყეცის თავის წერასატანილ  
სიცოცხლეს, ტყვია რომ წაშლის ხვალ-ზეგ.  
გაახსენდება მოდგმა ადამის  
და ბრაზით ბენვი ეშლება ტანზე.  
კრულვით იგონებს იმ შორ წინაპარს,  
გულუბრყვილოს და კეთილს, ბავშვით,  
რემსა და რომელს რომ უწილადა  
ძუძუ საკუთარ ლეკვთა არჩივი.  
ტყვიას ემსხვერპლნენ მამა-ბიძები,  
საით წავიდეს, რა ქნას, რომ შიამ?  
ამბობენ რომში დგასო მგლის ძეგლი,  
მაგრამ მგლის ტყვია ელის რომშიაც.

**ლურჯი ცრემლი**

თქვენ ლურჯი ცრემლი გინახავთ? —  
ნამდვილი, არა ნახატი.  
რაც ქართველს ცრემლი სდენია,  
რომ დააგუბოთ, ნახავდით.  
ღმერთო, ჩემს მამულს ცრემლიანს.  
დაღლილს და ტანჯვალსიერს,  
ლურჯი ზღვა მსუხარებზისა  
სიხარულის ზღვად უქცევი.

**ელდა**

სტვენა ისმის თელაზე  
ჩიტის გულნითელასი.  
ჩემი სიყრმის დროს რომ იჯდა  
აქ, ამავე თელაზე,  
აღბათ, უკვე ეს იმ ჩიტის  
თაობაა მესასე.  
ნუთუ, ამ ხნის მოვიყარე,  
წასვლის დროა ეგების,  
მაგრამ ჯერაც ცოცხალ ყორანს  
შვილიშვილად ვერგები.

**ბაღი მხარლისა**

ფოთოლივით ნუ გაჰყევი შორ წიავს,  
ჩადგება და დაეცემი იმწამსვე.  
ხალხის გული მწერლის პანთონია,  
უნწინდესი თვით მთანმინდის მიწაზეც.  
შენს სიცოცხლეს, ხანმოკლეს და რისკიანს,  
დრო წაიღებს, შარშანდელი თოვლივით.  
ხალხის ხსოვნა მწერლის ობელისკია,  
მაღალი და სანიშნოდ მოვლილი.  
ცოცხლობ,  
მაგრამ ღირს სიცოცხლედ კი ეს დრო?  
შხამით სავეს წინ გიდგია სასმისი.  
შენში სახლობს პანანინა იესო,  
ამიტომაც განემზადე ჯვარცმისთვის.

### ღანიური

უკვდავებაც რომ მიეზოდოს,  
ხვალ ან ზეგ  
შენს ღიმილში გაცეცელი იმ უკვდავებს.  
უბედობა ჩემს აკვანზე გაკვანძეს  
საიდანაც მოფრენილმა ყვავებმა.  
ნინ გზა იყო, ბავშვმა გველს რომ ვამსგავსე  
ფერთ, გლინვით, სისინით და სიცვივით.  
ფეხაკრეფით მოფდიოდი ამ გზაზე,  
ნინ კი ბედი მიმირბოდა კვიცივით.  
ჩამესმოდა, ვით ავადმყოფს სახადით,  
იმ შორეულ სამყაროთა ჰანგები  
და ვმღეროდი,  
მოტირალსაც მნახავდით  
და არც ერთის არ მყოლია გამგები.  
აი, უკვე მივალნივ დასავლეთს,  
ჩავდივარ და არ ვგრძნობ შიშის ნატამალს.  
დაცემებმა წამოდგომა მასწავლეს,  
ტკივილებმა — სიყვარულის ატანა.  
გადავივლი სამშობლოზე მოჯრილ მთებს,  
შენ კი ახალ ცალს დაუცდი არჩევით.  
ჩემი წასვლა ნეტავ ღიმილს მოგგვირდეს  
და თუნდაც სხვას უნათებდე, არ ვჩივი.

### წვივა

„რატომ არ მოველ წვიმაღა“  
ვაჭა

მოფრინდა ღრუბელი და უსათნოესი  
ზეციდან წარეცხა ვარსკვლავთა ციციმი.  
წვიმა ბიბლიური ხომ გახსოვთ, ნოესი, —  
ეს წვიმა წვეთია იმ წვიმის.  
არცარა რიდი და არცარა შიში და  
კვალი რამ (მოდი და ნახველი).  
ახლაც ყველა წვიმა იმ წვიმის ჩრდილში დგას,  
ერთმაც ვერ დატოვა სახელი.  
ვერც ერთმა მინაზე ვერ დაიბინადრა,  
შობა და ნაილო მშობელმა დრომ თავად.  
მიკვირს, წვიმად მოხვლა ვაჭამ რად ინატრა,  
ვაჭად რომ მოვიდა, ცოტაა?!

### შეცდომათა გამი

ახალგავერტულ რტოსავით  
ქარი მაჭრჯოლებს უცებ.  
მგონი, სიბერე შორს არის,  
ისეთ შეცდომებს ვუშვებ.  
მესმის ყოველი ძარღვიდან  
სისხლის დენა და აჭრა.  
ნუთუ, ჯერაც ვერ დავღვიინდი  
და ისევ ვრჩები მაჭრად!  
ეს სიყვარულიც, მეცხრე ცას

შეფარებული მუდამ,  
ვინ იხმო, ვინ შეეხვენა,  
რომ მოვარდა და მგუდავს.  
წავიდეს თავის ტოლ-სწოროთან  
და ჩაკიროს გულში,  
ვინაც ჩემამდე მოსწონდა,  
მე კი შემეშვას, ნუ მშლის.  
კვირტები, როგორც კერტები,  
წამობერვით ნუშვებს.  
რა ვქნა, მგონი არ ვებრდები,  
ისეთ შეცდომებს ვუშვებ.

### ელვა

ძილ-მღვიძარ მთებს მთვარემ გადაუარა,  
რა უმიზნოდ ინთება და ქრება ცა.  
რა აზრი აქვს, გათენდება თუ არა,  
რა აზრი აქვს შემდგომ დაღამებასაც.  
დღე და ღამე ბრუნავს, როგორც დოლაბი,  
რა მოხდება? — გაფიქრებად არცა ღირს.  
რა ფასი აქვს მიმწუნვსა თუ დღლაბინდს,  
დიდი-დიდი მოგამატონ ასაკი.  
ერთ ცრემლად ღირს ცა ქუფრიც და  
ცაც დილის,  
თქარათქურით გარბის რემა ცხენების.  
იმედისგან უიმედოდ დაცვილი,  
მთვარესავით ცივად ჩაესვენები.  
ღამეთა და დღეთა ზედახორანი  
ისე ქრან, ფიქრით ვერ დაეწვევი.  
გადავიფრენს მოყვანტალე ყორანი,  
სხვათა შორის, შენზე უფრო დღეგრძელი.  
გული გტკივა დღე-ღამეა რამდენი,  
ეს ნაწა და ჩამოდება შემდეგი.  
გეჩვენება — გაღვიძებით ღამდები,  
გეჩვენება — დაძინებით თენდები.  
რით სჯობიხარ ახალ მინდვრის სამყურას,  
უმწეოს და გადათელილს ქაჩაჩით?  
ესეც შენი უდაბური სამყარო!  
გაუძელი, თუ ბიჭი ხარ, გადარჩი!

### ძვივადანი

ზოგ ვინმეს  
გულთან რომ მოვუშვებ,  
ვხვდები მერეღა —  
ქეხუდანი!  
ბოლბა მახრობს,  
ცრემლი მერევა  
და როგორც ყვავი  
მხარზე მახის მისი ნაკოცნი.  
ისარი თუ არ მოიზიდე,  
როგორ გატყორცნი!



გაბია  
შორანიძე

## ანდელზოიხი თავიანი

ბავშვობიდანვე, ჯუდიტა, თეატრისა და ცეკვისადმი დაუოკებელი სიყვარულის გამო, ოჯახსა და ნათესავებს განუდგა, რამეთუ სიცილიელი კომერსანტების იმ დარბაისელ წრეში მოცეკვავის პროფესია (თუგინდ სერიოზულის — კლასიკური ბალეტისა), სირცხვილად და დანაშაულადაც კი ითვლებოდა. მაგრამ ჯუდიტამ მათ ომი გამოუცხადა, რომელიც გმირულად გაასრულა: მალულად ისწავლა ცეკვა და როგორც კი სრულწლოვანი გახდა, მიატოვა პალერმო, ოჯახი, მეგობრები და რომს მიაშურა, სადაც რამდენიმე თვის შემდეგ უკვე ოპერის სახალეტო დასში ცეკვადა.

ასე რომ, თეატრმა, რომელიც მას მუდამ ნამდვილ სამოთხედ ესახებოდა, გულთბილად მიიღო. თუმცა ჯუდიტა თვლიდა, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო; თავი დიდი ტალანტის მქონე მსახიობად მიაჩნდა, დიდებისთვის დაბადებულად, და ახალგაზრდა თავყანისმცემელიც, ჩრდილოიტალიელი მუსიკოსი, ოპერაში

გაცნობილი, დღენიანადაც იმავებს აგონებდა და აგულიანებდა. ჯუდიტა მას ცოლად გაჰყვა; ლამაზი იყო და როგორც ნიჭიერ მუსიკოსს, ყველა პატივს სცემდა; მაგრამ, სამწუხაროდ, ქორწინებიდან სამი წლის შემდეგ დააქვრივა და დარჩა ჯუდიტა პატარა ტყუპების — ლაურასა და ანდრეას ამარა.

მართალია, მშობლებმა თავის დროზე სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მის პროფესიულ არჩევანსა და ქორწინებასაც, მაგრამ მზითვად გვარიანი თანხა მაინც არ დაამდღეს. ამ ფულს, რომელსაც თავის მოკრძალებულ ხელფასს ამატებდა, ქერივს ცხოვრება არ გასჭირვებია. თეატრში ნარმატივისთვის ჯერ ვერ მივიღნია, სამაგიეროდ შინ, ვინრო წრეში, ჯუდიტა კამპეზე ნამდვილ პრიმადონასავით იქცეოდა: სურათებით, სამშვენივსებით თუ ფუფუნების მრავალრიცხოვანი საგნით მორთული მთელი სახლი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ მისი დიასახლისი ნამდვილი ვარსკვლავი იყო.

მაგრამ მალე დავიანებული დიდების მომლოდინე ვარსკვლავისთვის ნათელი გახდა, რომ თეატრისადმი მის უკიდევანო სიყვარულს, მშობლების მიერ თავის დროზე დაგმობილს, ახალი მტერი სწორედ იქ გამოუჩნდა, სადაც საერთოდ არ ელოდა. ეს ახალი მტერი იყო ადამიანი, ვინც მსახიობების გარემოცვაში გაიზარდა და ის, ვინც ბავშვობიდანვე ამ შვენი შვისუნთქავს, წესით, სიცოცხლის ბოლომდე უნდა გაჰყვეს მისი სიყვარული. ჯუდიტას ვაჟის ანდრეას შემთხვევაში ასე არ მოხდა.

ანდრეა, ბავშვობიდანვე, ტყუპისცალთან შედარებით, სიმძლევში არ გაიზარდა, კიდურებიც ნაკლებად განუვითარდა, თუმცა დასავით არ აკლდა სილამაზე. შავგერმანი იყო დედასავით და ტყუპისცალივით, მაგრამ მათგან იშვიათი ფერის ლურჯი თვალებით განსხვავდებოდა (ალბათ მამის რომელიმე წინაპრისგან გამოპყლოდა). ჩვეულებრივ დაბინდული თვალები მხოლოდ მაშინ უბრწყინდებოდა, როცა ჯუდიტას შესცქეროდა; საკმარისი იყო შორიდან დაედინა და დედა, რომ ლურჯი თვალები წრეგადასული სიყვარულითა და ზუსთავონებით გაბრწყინებოდა. მაგრამ პატარაობიდანვე, ვიდრე ჯერ კიდევ ლაპარაკს ისწავლიდა, ანდრეამ დედის პროფესიისადმი აშკარა სიძულვილი გამოამჟღავნა. ქვრივი სამსახურის გარდა თითქმის არსად დადიოდა და თუ თეატრში წასასვლელი არ იყო, საღამოს ყოველთვის შინ მარტო, ოჯახურ მშვიდ გარემოში ატარებდა. ასეთ დღეებში ანდრეა (რომელიც ტყუპისცალთან ერთად დაბინდებამდე ნებოდა დასაძინებლად), მალევე ჩასთვლემდა ხოლმე თვინივრად ლაურას გვერდით და დილამდე უშფოთვლად ეძინა. როცა ჯუდიტას სპექტაკლი ან რეპეტიცია უქონდა, თუ ლაურას, როგორც ყოველთვის, ანგულოსივით უწყინარად ეძინა, ანდრეა მოსვენებას კარგავდა. მიუხედავად იმისა, რომ არავინ აცხობინებდა დედის სახლიდან გასვლას, გული ავებდიოდა

უგრძობდა და მამინ თვალის მოხუცება უჭირდა, ძილ-ღვიძილში შფოთავდა და ელდანაკრავივით ნამოხტებოდა ხოლმე, თითქოს ზარებმა ჩამოჰკრესო, სწორედ იმ მომენტში, როცა ვუღიჭა თავის ოთახში მოსაკაზმად გადიოდა. ანდრეა სანოლიდან დგებოდა და ფეხბოძველი გარბოდა დედის ოთახისაკენ, საბარლო მონოლოგულივით კარის ღიობთან აიტუზებოდა და მალულად ტიროდა. ამგვარად დანაცვებული დრამა სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად მთავრდებოდა. ზოგჯერ ანდრეა მთელ იმ დროს, როცა დედა თეატრში წასასვლელად იკაზმებოდა, კარსუკან დამალული ცრემლად იღვრებოდა და როგორც კი დედა კარს გახაზვებდა, იგი შურდულივით გაქანდებოდა სანოლისაკენ, რათა საბანში ჩაებნა საკუთარი ცრემლები. ასეთ დროს ჯუღიტას შეწყალების გამომჟღავნება არ სურდა, მეტიც, მწყილად და ალუშფოთველად, ვითომც არ ესმოდა შეილის ტირილი, ამ მისი შიშველი ფეხების ტყაპუნი, სახლიდან გადიოდა. თუმცა, ძალზე მშვიდად, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, ზედმეტ გულმონყალებასაც იჩენდა მის მიმართ, სანოლი ოთახისაკენ გაედევნებოდა და ცდილობდა მოფერებით დაემშვიდებინა. ის კი მუჭვებით თავისებს იხუჭვებდა, გულამოსკენილი სლუკუნებდა და დედის ყალბ მოფერებას არ იღებდა; ერთადერთი, ნამდვილი მოფერება მისთვის ჯუღიტას შინ დარჩენა იქნებოდა, მაგრამ ბალერინასათვის ამგვარი რამის მოთხოვნა სიგიჟე იქნებოდა.

ზოგჯერ ანდრეას კადნიერება ჩვეულებრივი ბავშვის უსაქციელობას სცდებოდა: კარსუკან მიმალული ჩვეული ტირილის შემდეგ, მოულოდნელად თავის პატარა მუჭვებს კარს სეტყვასავით უშენდა, ანდაც ძალისძაღად ცრემლები-კავებული იცდიდა, როდის მორჩებოდა დედა ჩაცმას და როგორც კი დაინახავდა კარისკენ მომავალს (თავისი დედოფლური იგრითა და უფერ-უშარილო თეთრ სახეზე შავიპრადიანი მომცრო მდიდრული ქუდი), მუხლებზე შემოეჭვდებოდა და სასონარკვეთილი ევედრებოდა, თეატრში არ წასულიყო, თუნდაც მხოლოდ იმ საღამოს მასთან დარჩენილიყო! ჯუღიტა მას ეფერებოდა, ეპირფერებოდა, უშედეგოდ ცდილობდა თავიდან აერიდებინა აურიდებელი, ვიდრე, მოთონინებადაკარგული უხეშად არ მოიძვრებოდა შვილს და კარის ჯახუნით არ გავარდებოდა. ანდრეა კი წინკარში ისტაკუნე ენარჩუნებოდა და მიტოვებული კნუსტივით გულისწამლებად ენაობდა.

ჯუღიტას იმედი ჰქონდა, რომ ეს ყოველი ბავშური ჭირვეულობა იყო და ასაკთან ერთად გავლავდა, მაგრამ ანდრეას წლებთან ერთად სიწინჩლევცემატებოდა. მისი სიძულვილი თეატრისადმი და სიყვარული დედისადმი ყოველ წუთს, ყველაფერში მჟღავნდებოდა და ეს ორი რამ მის შეგნებაში საბოლოოდ შურიგებელ მტრებად ჩამოყალიბდა. ცხადია, ანდრეა თავს აღარ იმცირებდა ხეენა-მუდარითა და ცრემლებით,

როგორც სამი-ოთხი წლის ასაკში, მაგრამ მისი სიძულვილი იმ ბავშვური სიჯიუტის გარეშეც კიდევ უფრო სასტიკი ხდებოდა.

ანდრეას ეს ახირებულობა რომ არა, ცუდი შვილი ნამდვილად არ იქნებოდა. არასოდეს იტყუებოდა, კარგად სწავლობდა და უკიდვანოდ თბილი იყო დედის მიმართ, ყველა ოთახში რომ ფეხდაფეხ დასდევდა და ყოველ წამს ცდილობდა გადაჭარბებული ფორიაქითა და გურგურით ყურადღება მიექცია, იმდენად, რომ, არცთუ იშვიათად, სხვა საქმით თუ ფერით დაკავებული ჯუღიტა იძულებული ხდებოდა, თავიდან მოეშორებინა შვილი, როგორც ზედმეტი და აბეზარი. ისიც ზედმეტი (არც ისე ხშირად, უფრო იშვიათად), რომ ჯუღიტას იგი სასიეროდ მიჰყავდა. თვითმეფეც კი დედოფლის გვერდით ეტლში მჯდომარე ვერ იქნებოდა ისეთი დიდებით მისილი და ზეანულო, როგორც ანდრეა იმ წუთებში; მისი თვალები სიხარულს ასხივებდნენ სიერნობის დასანყისიდან დასასრულამდე. იმ მცირერიცხვებან საღამოებში, როცა ჯუღიტა სახლიდან არ გადიოდა და ოჯახში რჩებოდა, ბუნებით ფერკრთალაანდრეას სახეევაკლებოდა, ანგელოსის ემსგავსებოდა, ხასიათზე მოდიოდა, სითამამე ემატებოდა, იწარწყებოდა, თავშეუკავებლად იცინოდა ყოველ წერილმანზე, რაც ოჯახში ხდებოდა (ვთქვათ, როც კატა ჩრჩილზე ნადირობდა, ან ჯუღიტა კაკოს გატყვებას ეწვავლებოდა) და არტისტულად ყვებოდა "შავი კორსარის" ან "სანდოხანის აჯანყების" თუ "მალე-ზიელი მეკორეების" შინაარსს, ანდაც მსგავს რომანებს პირატებსა და კაპიტნებს, ძალიან რომ უყვარდა; დროდადრო დედას ისე შემოხვევოდა, თითქოს მისი დაჯჯაჯა სურდა; ლაურასადმი უაღრეს სითბოს ამჟღავნებდა და დედა-შვილის ქალურ საუბარს სერიოზულობითა და მოკრძალებით უსმენდა, მაგრამ, როგორც კი გაკრთებოდა სიტყვები ბალეტის, ოპერა, თვალეზი ემდგროვდა, შუბლი ექმუხნებოდა და ოჯახის წევრები ენით აუნერული მეტამორფოზის მოწმენი ხდებოდნენ: თითქოს შამლაყინა ბუდ ქვეულიყოს.

დიდი დღესასწაულების პერიოდში ზოგჯერ მისი და ლაურა ხალსით მიდიოდა ოპერაში დღის სპექტაკლებზე დასასწრებად, იქ ხშირად დედას კულისებს მიღმა ან საკაზმულო ოთახში შეჰყავდა, შინ (სადაც საკუთარი ნებით გაციულ ანდრეას მთელი ნაშუადღვი მარტობაში გაეტარებინა), აღტკინებული ბრუნდებოდა და შთაბეჭდილების გადმოფრქვევას ეშურებოდა, მაგრამ მის საშინელი მხერის ნაწყობისთანავე პირველივე სიტყვა ხორხში ეჩხიერებოდა. და ეს ძალდატანებული დადუმება იმდენად ძვირი უჯდებოდა, რომ მერე მთელი დამე ძილში ბოდავდა.

ანდრეა თეატრში ფეხის შედგმას უარობდა, თუნდაც უზარალო შეთავაზებაზეც კი, მსგავსი ადგილი დაეთვალეურებინა, მისი ბევრი ცრემლი და ვაება რომ ევალა, სახეზე მკედრისფერი ედებოდა.

არაერთხელ ყოფილა, ჯუდიტას ოპერებიდან თავისი კოსტუმები შინ მოეტანოს და თავისიანების დასანახად ჩაეცვას. ერთ დღეს ბოშა ქალის სამოსი მორიგო ალისფერი ქვედაბოლოთი და მკერდმოლიავებული ზედაფერი, ოქროსმონეტებიანი სამაჯურები და ყელსაბამი აისხა; სხვა დღეს გედის კოსტუმით შეიშობა, ბრილიანტებით დაფარული გულმკერდით, უთავრესი აბრეშუმის წინდებით და ხუმბულიანი მოკლე კაბით. კიდევ სხვა დროს წერეიდას მზზინავე ფარულებიანი მოკლე ფორმა ჩაიცვა სათევზაო ბადისგან შეკერილი მოსახსამით; ერთხელაც "ლამის სულის" კოსტუმში გამოენყო, "აღმოსავლელი მწყემსი ქალის" კაბაც აჩვენა ოჯახის წევრებს.

მისი სხეული ყმანვილქალობის შემდეგ ოდნავ დაძმინებულიყო, მაგრამ ლამაზი ქალი იყო, მწველი გამოხედვა ჰქონდა, შავი თვალები და კიდევ ესპანური სითეთრე. ქალიშვილი ლაურას გარდა ჯუდიტას შესაცვიციხებლად ოთახში შინამოსამსახურე და შენობის მეკარე ქალი შეედრდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ესენი ერთადერთი თავყანისმცემლები იყვნენ, ვინც აქამდე შყოლია ჯუდიტას. მართლაც, მისი სამსახიობო კარიერა იოტისოდენდაც არ წაწეულა წინ: ჯუდიტა კამპეზე ახლა იმაზე არაფრით მეტი არ იყო, რაც იმ პირველ დღეს ოპერაში რომ მიიღეს, ანუ საბალეტო დასის რიგითი უსახელო ბალერინა. მაგრამ თავის ოჯახურ აღფრთოვანებულ მაყურებელს იგი თეატრის შეუვალ ვარსებულად მიაჩნდა.

სხვადასხვა კოსტუმის ჩვენებით დატკობის შემდეგ ჯუდიტა ცეკვავდა კიდევ და მქუზარე ტაშსაც იმსახურებდა. სწორედ იმ წუთებში ბავშვური ნაბიჯები გაჩაქარებით კვეთდა კორიდორს და ლამის მიპარვით ზღურბლზე ანდრეა გამოჩნდებოდა. ჯუდიტას დანახვაზე მისი ფართოდ გახედილი თვალები კაშკაშა გულუმტრყვილო ერთხელბოთი ივსებოდა, მაგრამ წამისყოფით სახეს იბრუნებდა მისგან, მტრული მზერით გაძაგრავდა მაყურებლებს და კორიდორისა და გასასვლელის კუთხეში გაირიდებოდა იმ დაძმინის მსგავსად, თავიდან აცილებს ვერ-შემძლე, საკუთარი ქონების გაქურდვის მოწმე რომ ხდებოდა.

გუნდის მომღერლები, ბალერინები და მსგავსი პერსონაჟები, რომლებიც იმსახურებდნენ მისთვის მტაცებელ მხეცებზე უარესები იყვნენ. როცა ისინი მოდიოდნენ, ჩვეულებისამებრ, სახლის მყურებულ ბოლოში მტყორან საკუჭნაოში განაპირდებოდა, რომლის პატარა სარკმლიდან ძლივს აღწევდა სინათლემ. მაგრამ თუ ჯუდიტა მეგობრებთან ერთად მისაღებ ოთახში რაიმე სცენას გაითამაშებდა, ვერც იმ საყრდობილში იცავდა თავს ანდრეა იმ ურჩხულებისაგან და რაგინდ ეცადა სმენის დახმობას, მაინც სწვდებოდა მის ყურს გრამოფონის მელოდიები, უცხოთა შეძახილები, ტაშისკვრა, ნახტომის ტყაპუნი, ფეხის გასმის ხმა, ბრუნვის

შარბური. საკუთარი ნებით დატყვევებულს ბრაზი და შური აღრჩობდა და ენით აუწერელი თვითგვემის ფასად იხშობდა იმ საძულველი წარმოდგენის ნახვის სურვილს.

თითქოსდა სახლის მეორე ბოლოში ვინმე ჯაშუსუმი მისი ცდუნების ამბავი მიეტანოს, მაცნეც არ აყოფენებდა — მის აკრძალულ სამფლოლოლოში აქომინებული ლაურა მორბოდა და დედის დანახარებს ატყობინებდა, მისაღებში გამოცხადდეს; თან ბალერინების ხოტბას აყოლებდა. ლანძღვა-მუქართი აძვევებდა მაცნეს ანდრეა, თუმცა ძვირად კ უფვედოდა ცდუნების დაძღვევა. რამდენიმე წუთის შემდეგ დედის მკაცრი დაძახილი სტუმრებთან უხშობდა; მერე ცეკვით გრძობამორეული და დამტკბარი ჯუდიტა მისკენ მოემუწურებოდა; ვაიშვილს სახელი უხშობდა, მაგრამ პასუხი არ ჩანდა; ეძახდა ორჯერ-სამჯერ და კარიც იღებოდა. ბალერინა საკუჭნაოში შედიოდა და იმ საშინელი სოროს დანახვაზე გულმეჭრული, ნაღვლიან განდევლის ეხვევოდა, უკოცნიდა თმას, შუბლს: — "შემციფნული ხარ, დედის სიღამაზე, დედის თვალის გელო! რა გიყი მყავებო! ასეთი რა დანაშაული მიგადრვის, ამდენი ლამაზი ოთახის პატრონს თავი რომ აქ დაგიტყვევებია! განა დედაშენმა იმისთვის გაგაჩინა, სვიერება და ობობებში გამოკეტოს, განა ის აიენიანი, მორთული ოთახი არ მოგწონს, ან გრამაფონის მუსიკა, ან ამდენი ცნობილი მსახიობი, შენზე რომ მეკითხება, სად არისო?! არ იფიქრებენ, რომ ჩემი ანდრეუწო კოჭლი და კუზიანიც, ასე სახულდაგულოდ რამ იმალებო?! ნამო, დედის სიხარულს ყველას ვეყენით, რა ლამაზი ვაჟი ჰყავს ქალბატონ კამპეზეს! რატომ ჭმუხნი ასე მწარედ სახეს? ნერონი კი არ გელოდება იმ ოთახში, მეგობრები არიან ყველანი, კოლეგები, ბატონები და ქალბატონები, ისეთი ლამაზები, ნაპერსკლებს ყრიან, ხალხი ფულს იხდის მათ სანახავად. და ახლა აქ მოვიდნენ, მხოლოდ ჯუდიტასა და ანდრეასთვის რომ იცეკვონ. მერე ნამცერებებიც იქნება, მარსალაც, გვიანდა სახლის პატრონის — შენი სადღეგრძელო შეესვით. მო, კარგი, მოიღე წყალობა, ჩემო მშვენიერო მეგობრებო, ნამო ჩვენთან ერთად ცეკვინო." და ჯუდიტა ხელნაკიდებულ ანდრეას კორიდორის კენ მიათრევდა. მაგრამ როგორც კი ნახებოდა შეღავებულ კარს მიახლოვებული მისაღები ოთახის ფრიაშულს დაღვანდებდა, თითქოს ელოჯობის ნაანყდაო, სახე ამპარუნებდა ედრიჭებოდა, დედისგან თავს ითავსოფლებდა, რათა თავის საპყრობილში გამოკეტულიყო და იქიდან უყვიროდა დედას: — "ნადი, გამშორდი, დაბრუნდი მაგ ხროვასთან!" მაგრამ მარტო დარჩენისთანავე გულამოსკენით ტირიდა. ასე საშინელი თვითგვემის ფასად იხდია ანდრეა სიძულვილის სამაგიეროს. თუმცა ისეც ხდებოდა, (სულ რამდენიმე შემთხვევა შემორჩა მესხიერებას), მძინვარებას დასგვარად ავლენდა. ერთ დღეს, მაგალითად, სხვაჯილი სულელებით პირით ექდლისკენ შეაბრუნა ჩარჩოში სათითა-

ოდ ჩასმული ყველა ფოტოსურათი, მისაღები ოთახის გამამშენებელი, ჯუდიტასთვის ძალიან ძვირფასი სახეები დირიჟორებისა, ქორეოგრაფებისა, პრინა ბალიერებისა და სხვა ცნობილი ადამიანებისა ავტოგრაფებითა და დედუბული ფრაზებით. ერთ დღეს ბალეტის მოყვარულმა ერთმა პიროვნებამ ჯუდიტას ვარდების თაიგული გამოუგზავნა. ანდრეამ მოიცადა ვიდრე დედა რეპეტიციასზე წავიდოდა და რანაშს სახლიდან გაივლია, შიშისაგან გახვეებული ლაურას თვალნი ველური სიშმაგით ვარდები ერთიანად დაგლიჯა, მერე იატაკზე დაყარა და ფეხებით დათვლა. შინ დაბრუნებულმა დედამ არ დაიხლო, მკვლელო და გარენგი უწოდა.

ათი წლისანი რომ შეიქმნენ, პირველი ზიარებისა და მორონცხებისთვის საგანგებოდ მოსამზადებლად ანდრეამ და ლაურამ ორი კვირა ჩაქტილიში გაატარეს; დამ დედათა ინსტიტუტში, ძმამსალე ზიანელმამათასასულიეროსემინარიში. ამ პერიოდამდე სათანადო რელიგიური განათლება არ მიეღოთ და სამონასტრო ცხოვრება მათთვის სრულიად ახალი და მოულოდნელი აღმოჩნდა. თუმცა ლაურას არსებას რელიგიურ რწმენასთან ზიარებამ მაინცდამაინც დიდი კვალი ვერ დაამჩნია, მაშინ, როცა ანდრეა მთლიანად შეცვალა. ორკვირიანი განდევნა ლური ცხოვრების დამთავრებისთანავე, საზოგადოებრივი ცერემონიის დღეს ჯუდიტამ შეამჩნია, რომ მისი ვაჟი უწინდელი აღარ იყო, რადგან ისე აღარ შეეგება და შემოეხეია დედას, როგორც სწევოდა, თანაც ამდენი ხნის განმორების შემდეგ; თავშეკავებულად, თითქმის ცივად მიიღო დედას ამბორი; მედიტაციის შედეგი — პირველი ნაოჭი დაამჩნევდა შუბლზე, რომელიც დაძმინებულ გამოშტყველებას სძენდა და სრულიად ენინალმდგებოდა მის ბავშვურ გარეგნობას, მით უფრო, რომ ასაკთან შედარებით დაბალიც დაარჩენილიყო. დედის შეკითხვებსაც კუმტად, ძლივს შეფარული მოთმინებით პასუხობდა.

მღვდლები, რომლებიც ორი კვირის მანძილზე ანდრეას მოძღვრავდნენ, აღფრთოვანების ვერ მაღავენდნენ და ჯუდიტას კმაყოფილებით უამბობდნენ, რომ მისმა ვაჟმა სხვა მონაფეხებთან შედარებით ყველაზე მეტი გულისხმობრება და მზაობა გამოავლინა ზენაარს ცხოვრებისადმი, რომ საკუთარ ასაკს გუნებით აშკარად აღემატებოდა; ისიც უთხრეს, ზეციური პური-საგმი დიდი მწყურვალეობა შევამჩნიეთ, ამ დიდ გამოცდამდე ბუნებრივი საკვები აკლდაო თითქოს.

ანდრეას საქციელზე ოდნავი ამჩატება შეექტყო, როცა ახალ ტანსაცმელს იცვამდა, დედას რომ მოეტანა საგანგებოდ ცერემონიისთვის; მუქი ლურჯი სარფისა იყო, ხვერდის საყელიოთი. ლამაზად ჩაცმა ყოველთვის უყვარდა და სიამოვნება ვერც ახლა დაფარა. მერე პიჯაკის ჯიბეშიც რომ ვერცხლის სასტენი იპოვა, აბრეშუმის ზონარზე შემბული (რაც ბავშვთა ზოგიერთი ფრანგული სამკერვალოს შეხედულებით,

ელეგანტურობის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენდა), კმაყოფილების ღიმილით განაცხადა, რომ სასტენის ტარება კაპიტანებისა და მეკობრეების ჩვეულება იყო. თუმცა ცდუნებას სძლია და თავი შეიკავა, ეს ლამაზი ინსტრუმენტი ტუჩებთან რომ არ მიეტანა. სწრაფადვე გაუჭრა სიხარულით გამოწვეული სამიერი ამსუბუქება და მთელი ცერემონიის განმავლობაში ისე დარბაისლურად იდგა, ეპისკოპოსმაც კი გამოარჩია სხვებში, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა: — ოო, რა ყოჩაღი ხარ, ეკლესიის პატარა ჯარისკაცი! — როცა წმიდა ზიარების დრომ მოუწია, ისეთი უმანკობითა და დიდებულების შეგრძნებით შეცქერდა ბარძიმს, ამის შემხედვარე დედამაც ცრემლი ვეღარ შეიკავა, მაგრამ ანდრეას ყურადღება არ მიუტყვევია მისი ნაქვითინებისთვის; სუფისკვერი რომ მიიღო, თვალები დახუჭა, თითქოს ეკლესიაში სინათლე გაქრა, რამდენიმე წუთი მუხლმოყრილი დარჩა ხელებში სახეარგული. ჯუდიტა შესცქეროდა საგანგებოდ დეაოცხნილ გადატყველთმან ჩახრილ თავს და ფიქრობდა: "ვინ იცის, ამ წუთას რა დიდი ფიქრები უფლის ამ ანგელოზთ თავში!" როგორც იქნა, გაახილა ლამაზი თვალები, მაგრამ, მის მზერას მხოლოდ საკურთხეველი იტაცებდა. "ერთი შემოხედვაც არ გაიმეტა დედისთვის." — გაიფიქრა დანანებით ჯუდიტამ.

წირვა დამთავრდა და ჯუდიტამ შეიღები შინ წაიყვანა. როგორც კი ეკლესიის ჭიშკლი უკან მოიტოვა, ლაურა ძველებურად ბავშვურად აცმუყდა, თამაში მოუნდა, გრძელ სადედოფლო კაბაში გამოწყობილი, გრძელი მანდილითა და გვირგვინით შემკული მხიარული სირბილით გაუყვა სახლისკენ მიმავალ ხეივანს, ისე, რომ ზოგიერთმა გამგელმა გაკიცხა კიდევც, სამოსის შესაფერად არ იქცევიაო. ანდრეა ჩაფიქრებული მიაბიჯებდა, დამძიმებული და უცნობავით არც დედას აქცევდა ყურადღებას და არც დედას.

იმ დღიდან სახლში ისე იქცევოდა, თითქოს ოჯახის ცხოვრება მას საერთოდ არ ეხებოდა. ანდრეას ჭირვეულობა, სიძულელი, ამბოხი სადღაც გამქრალიყო და ამასთან ერთად დედისადმი სიყვარულიც ჩამქრალიყო. თუ მისი თანდასწრებით თვატრს ან ბალეტს ასხევენდნენ, სახეზე ოდნავ გადაუღებდა უსიამოვნო ჩრდილი; ძველებურად ისევე გაურბოდა მსახიობებს, მომღერლებს, ბალერინებს და საერთოდ ჯუდიტას ყველა სტუმარს, მაგრამ მისი განკერძოების მიზეზი ამჯერად სულ სხვა იყო. მაშინაც კი, როცა შინ სტუმრები არ იყვნენ, განმარტოებას ეხნრაფოდა, ამხანაგებს საერთოდ აღარ ეკარებოდა, დასაც კი აღარ ეთამაშებოდა; სულ მუდამ ასაკთან შედარებით მძიმე ფიქრებში ჩაფულული დადიოდა, იმდენად, რომ ჯუდიტა შიშობდა, ვაითუ ავად გამიხდაო. ზაფხული იყო, არდადგების პერიოდი, მაგრამ იგი საათობით კითხულობდა წიგნებს, რომლებსაც სემინარის მოძღვრები აწვედიდნენ და სადაც ხშირად და-

დიოდა. სულიერი მამები მას წიგნების რთულ ადგილებს უხსნიდნენ და ანდრეას დაკვირვებებით აღფრთოვანებულეულ მასთან ერთად მსჯელობდნენ. შუბლზე მედიტაციის ღარი კიდევ უფრო უღრმავდებოდა.

იხანაღ მათი უბნის ეკლესიაში ყოველ კვირას ცნობილი ქადაგი მოდიოდა. უამრავ ხალხს, რომელიც მისი ქადაგების მოსასწავლად აწყდებოდა, არასოდეს აკლდა ერთ მეტრზე ოდნავ მეტი სიმაღლის მორწმუნე, რომელიც ღარიბული, მოუწესრიგებელი სამოსის მიხედვით ლამის ქუჩის ბიჭს მგავდა და რომლის მაღლიერებითა და შეკითხვებით აბრიალებული ლურჯი თვალები ქადაგს მიმტერებოდნენ. ერთ დღეს, როცა ქადაგი ქრისტეს ვნებაზე საუბრობდა, ეს ყურადღებიანი მსმენელი ისე აღელდა, სასონარკვეთილ ქეთისს მოჰყვა.

თუმცა სხვა, უფრო თვალშისაცემი ეპიზოდებიცაა ცნობილი ანდრეას იმ წმინდა ზაფხულის პერიოდის.

ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში მდებარეობდა დიდი ეკლესია ნინ უამრავსაფეხურანი კიბით, რომელსაც წმინდა კიბეს უწოდებდნენ და რომელზეც სამყაროს ყოველი მხრიდან მომავალი მორწმუნენი და მომლოცველები ღვთიური ნყალობის მოსაპოვებლად ხშირად ფეხშიშველნი და მუხლმოყრილნი ადიოდნენ. კიბეს აყოლილ გვერდითა კედლებზე მოხატული იყო უფლის ველების ამსახველი სხვადასხვა ეპიზოდი, ხოლო სულ ზევით ბრწყინავდა ტრიუმფალური მოზაიკა, ოქროშემკული წმინდანებსა და წამებულებს რომ ეამოსახავდა, რომლებიც თითქოსდა ზევით ელოდნენ მომლოცველებს საკუთარი მონანიების დასრულების აღსანიშნავად.

ერთ ადრიან ნაშუადღევს ამ ეკლესიასთან ახლოს მცხოვრები ოპერის ორი ბალერინა დასერილობდა. ზაფხულის სიცხისგან გაუკაცრიელებულ ქუჩაში ეკლესიის ნინ ჩავლიდნა ბალერინებმა იმ ადგილას, სადაც მომლოცველები ფეხსაცმელს ტოვებენ, რათა კიბეს შეუდგნენ, დამტვირთილი და გადაცვეთილი ორი პატარასანდალი შეამჩნიეს; თვალები კიბეს ააყოლეს და ერთადერთი მომლოცველი დაინახეს, მანანინა, მარტოკინა, ფეხშიშველი, მუხლებზე ჩაოქილი რომ მოუყვებოდა კიბეს, რომელიც თითქმის აუთავებინა. სანდლების პატარა ზომამ და უფრო მათმა მონანიე პატრონმა ცნობისმოყვარეობა აღუძრა ბალერინებს, რაკილა, როგორც ნესი, მხოლოდ ზრდასრული ადამიანები ასრულებენ ასეთ მძიმე ალექსას.

სანახაობით გახალისებულებმა (დიდი სერიოზულობით სივდაც არ გამოირჩეოდნენ), გადაწყვიტეს, რაიმე ეხმოსახელათ. ნამოიტაცეს ეს პატარა სანდლები და კედლის უკან დამალეს. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ მოლოცველიც გამოჩნდა. გაოცებისაგან პირი დააღეს, როცა მასწინა ჯულიეტას, ოპერის ბალერინის, ვაჟი შეიცნეს, ხანდახან რომ ხედავდნენ მათთან სტუდენტისას. ანდრეამ კიბე ჩამოათავა, ოფლისაგან

დაცვარული სახე ეკლესიისკენ შეაბრუნა, პირვეარი გადაისახა, ჯიბეში მოვერცხლილი კრიალოსანი ჩაიღო და სანდლების ჩასაცმელად დაიხარა. რომ ევედარ იპოვა, იქაურობას ვერ ისევ ძუჭუმწოვარა მგლის ველური შიშნარევი მზერა მოავლო, ტყის ვერავლელ უღრანს რომ პირველად ნაწავდებდა. მზის სხევისაგან მოზიშვიეული ნაწინა უდაბნოს მგავდა. ანდრეამ თავი უკან შეაბრუნა და ახლა კიბეს ახედა; ფეხსაცმელი აღარ უძებნია, სხარტად მოზრუნდა და ფეხშიშველმა მოკურცხლა. სიცილისაგან ლამის გავუდული ბალერინები სამალავიდან გამოვიდნენ და ყვირილს მოჰყვნენ: — კამპეზე! კამპეზე! — ანდრეა შეჩერდა და ნაცნობი ბალერინების დანახვაზე, მისი სანდლებით ხელში რომ მობრუნდნენ, ისე ნამოუჭარხლდა. — ეს სანდლები ვიპოვეთ, — უთხრა ასაკით უფროსმა ბალერინამ მოჩვენებითი გულუბრყვილობით, — შენებია? — ანდრეამ სანდლები ჩამოართვა, მინახე დაახეეთ და თითქმის ქოშები ყოფილყო, ფეხი ზონრების შეუკვრელად ნაჰყო. — ოჰ! — იწყინა ბალერინამ, — ეს რა საქციელია? ფეხსაცმელი გიპოვდა და მადლობასაც აღარ კადრულობ? — ის მინაც თუ იფიქრე, — დააყოლა მეორემ — ლოცვაში ჩვენც მოგვხსენიებინეთ? — ანდრეამ არაფერი უპასუხა, ერთი ისეთი გაავებული მზერა ესროლა იმ ორ ცერცეტს, შეცბუნებულებმა უკან დაიხიეს.

ეს ეპიზოდი და სხვა მსგავსიც მალე ჯუდიტას მეგობრებმაც შეიტყვეს და ვატიკანის ყურამდეც კი მივიდა, რამაც ნათელი ცხადა ანდრეას მოწოდება. უკვე ყველა იცოდა, რომ კამპეზეს ვაჟიშვილი ყოველგვარ გართობასა და სიამოვნებაზე უარს ამბობდა, რომ უფლის მადლის მიღების დამსახურებისათვის გასცემდა თავის საყვარელ სათამაშოებს, მათ შორის ვერცხლის სასტენეს, კაჟის ქვას, კომპასს; დედის წინააღმდეგობის მიუხედავად მარტულობდა, პირს არ აკარებდა განსაკუთრებით იმ კერძებს, რომლებიც უყვარდა; ხანდახან ღამით სანოლიდან დგებოდა და იატაკზე ნევბოდა: ასე ბაძავდა იმ დიდ წმინდანებს, რომელთა შესახებაც წიგნებში კითხულობდა.

ის ბელილი სორი, რომელსაც უნინ ამბოხებისას თავს აფარებდა, ახლა მისი რჩეული სავანე გახდა. ერთ დღეს კარის გასაღებით დაკეტვა დაეინწყებოდა და ჯუდიტამ თვლი შეასწრო მუხლმოყრილს, ხელაყრობილს, თვალცრემლიანს, მოგადოებულებით რომ შესცქეროდა საკუჭნაოს სარკმელს, თითქოსდა იმ მტერიან მინახე ღვთის გამოსახულებას ხედავდა. საათზე მეტ ხანს იდგა ქრს, მუხლებდააირავებოდა.

ერთადერთი არსიტინული სიქველი, რასაც ანდრეა ვერ ავლენდა, თავმდაბლობა იყო. პირიქით, ყველა იმას, ვინც ზეცის მსახური არ იყო, ზემოდან უყურებდა, აქაოდა მე რჩეული ვარო. მასგრამ ის ამპარტანება, რომელიც ბავშვურ ხანებზე აღებქდვოდა, ბრანის მაგიერ ხალხს ლიმილს გვრიდა. ყოველი ნაცნობი ანდრეას

წმინდანად რაცხდა და ბევრ დედას შურდა ჯუდიტასი. მას კი თუ ადრე ანდრეას მისადმი სიყვარული გადაჭარბებული ეჩვენებოდა, ახლა გული უკედებოდა იმის შემყურეს, რომ შვილს სამოთხის გარდა არაფერი ბინტირესებდა და დაეინყნოდა, რომ მხოლოდ ღვთისა არა, დედის განქინილიც იყო. ბოლო ხანს ჯუდიტა საღამომობით შინ ხშირად რჩებოდა და ანდრეა (რომელიც ასეთ საღამოებს დიდი დღესასწაულებით ზემობდა), ვითომც აქ არაფერი, დედას სამზარეულოში ლაურასთან ერთად ტოვებდა, რათა თავის ოთახში ან სოროში განმარტოებულიყო. ერთ ნაშუადღევს, როცა ლაურა თავის მეგობართან სტუმრად იმყოფებოდა, ანდრეამ დედა სრულიად მარტო დატოვა (მთლად გაუგონარი ამბავი) და თავის საყვარელ მღვდლებთან წავიდა. ერთ დღესაც ჯუდიტამ მას სასიეროდ წასვლა შესთავაზა, ანდრეა, რომელიც წინათ როგორც უდიდეს მადლს, ისე ელოდა დედასთან ერთად გასეირნებას, ცივად დათანხმდა, ყოველგვარი მადლიერების გრძნობის გარეშე და მთელი სეირნობის განმავლობაში გაბუზული მიაბიჯებდა, აქაოდა დიდი წყალობა მოვილე, შენს გვერდით ყოფნაში დრო რომ დავკარგეო. სიამაყემღაბულ ჯუდიტას სასიეროდ აღარ გაუწვევია შვილი: „თუ მოისურვებს, თავადვე მთხოვსო“, — იფიქრა. ანდრეას დედისათვის აღარასოდეს უთხოვია ერთად გასეირნება. ხანდახან შინიდან რომ გადოდა, ჯუდიტას ეგონა დამშვიდობებისას ისევე წავაწყდები მის თვალეში უდებოდ დარჩენის შიშო, მაგრამ ანდრეა არც მის სახლიდან გასვლას იმჩინებდა და არც შინ დაბრუნებას.

სად გაქარაღიყო მისი მგრძნობიარობა? დედისადმი მისი გადარეული სიყვარული? მოფერებაც აღარ უნდოდა მისი და გაურბოდა. და თუ ჯუდიტა მისი საქციელის უსამართლობაზე უსაყვედურებდა, ისეთი მრისხანე თვალეებით შეხედავდა, თითქოს ეუბნებოდა: „როგორ ბედავ და მთხოვ თავი დაეიმდაბლო, ბავშვივით შევკუნტრუშდე და შემოგიქრუცუნო?! ის დრო აღარ არის, ჩემო ქალბატონო, სხვა ეპი დგას, ჩემი სიყვარულის და მოწოდების ადგილი ახლა იქ არის, სადაც შენნარი ვულგარულ ბალერინას ანაესაქმებარა. მიხედე შენს დიდ ხელოვნებას და ნუ მანუშებ“.

ანდრეას ერთი სქელი რვეული ჰქონდა, რომელსაც, ხანდახან ხედავდნენ, ხანგრძლივად ჩაპკირკიტებდა, რაღაცეებს წერდა. ჯუდიტამ როგორღაც მოახერხა და მალულად გადაფურცლა ის რვეული, ლექსები იყო, ანდრეას დაწერილი. აი ერთი მათგანი:

**ღმერთი ესაუბრება კაენს:**

რა ჰქმენ, კაენო, ო,საძულველო,  
რა საქციელი ამაზრზენი შენ ჩაიდენ!  
მოპკალი შენი საკუთარი ძმა აბელი!!!  
აბელი ახლა სამოთხეშია, შენ კი, ვერავო

და შურიანი, ვეფხვისგან დაკლანჭულო, უდაბნოში ხარ მიგდებულო, ვითარცა კეთროვანი. მაგრამ მოწყალე ღმერთი მას ეუბნება: — ნუ სტირ, კაენო, საბრალო შვილო, გახედე ოკეანეს, წინ მიიწვეს იალქნიანი გემი! მაღლა ფრიალებს დროში! შეხედე მეზღაფერებს, მთავარანგელოზები და სერაფიმები არიან! ახლა კი ნახავ კაპიტანს, შეხედე, რა დიდებული გმირია მინიერი სამოთხისა! წინ, ჩემო მამაცებო!დროს ნულარ კარგავთ, იჩქარეთ სამოთხეში! მოდი, კაენო, ამოდი გემბანზე, ჩემი ხომალდი, ორიათას მილს სვრავს წამში. მთავარის მესამე მოქცევაზე მივებლებით სამაყრ სამოთხეს და თავად იხილავ დიდი მაცხოვრის წარმტაც საგანეს! იქ ნახავ ზეკაცს, რომელმაც დასთრგუნა სატანა. ახლა მუხლი უნდა მოიდრიკო იმ ერთადერთი მეფის წინაშე. ის მოგიტყვებს და ასე გეტყვის: „გსურს ჩემთან დარჩე“? შეიმრე ცრემლი, ბეჩეაო კაენ, შენ მან შეგინდო.

ღმერთის ნიაღში ბრწყინავს ვარსკვლავი ისრაელისა — მარიამი, ელეარე მოსასხამით მოსილი, ყველა ქალზე უფრო ღამიანი.

ჯუდიტა დიდი ლიტერატურული განსწავლულობით არ გამოირჩეოდა, ამ ლექსის კომპოზიციური, გრამატიკული და მეტრული ნიაღვრეები შეეფასებინა, მაგრამ ერთი ცხადი იყო, შინაარსმა ემოციურად იმდენად იმოქმედა, ცრემლები წასკდა. ახლა უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი შვილი გენიოსი იყო და ტირილს უმატა იმის გაფიქრებაზე, რომ ასეთი მადლცხებული შვილის გულში დედის ადგილი აღარ მოიძებნებოდა, თუმცა, ცოტა არ იყოს, სირცხვილის გრძნობაც დაეფუფლა, შვილთან მიმართებაში მეტოქეობა რომ დაუპირა, არც მეტი, არც ნაკლები, ზეციურ მეუფეებს! მერე, იმ დღეებში, ისეთი უბედურება დაატყდა თავს, ამ ამბავზე აღარ უფიქრა: მთელი იმ წლების განმავლობაში სულ იმის ოცნებაში იყო, ოპერის სხვა ბალერინებს შორის გამორჩეულიყო და როგორმე სოლისტიობისთვის მიედინა, ვიდრე პრინა ბალერინა გახდებოდა. მაგრამ მოულოდნელად ოპერიდან დაითხოვეს. ირწმუნებოდა, შურიანმა კოლეგებმა მიმზაკერესო, თეატრში კი ყველა დაპარაკობდა, რომ უნიჭო იყო და ასაკთან ერთად კიდევ უფრო უარესდებოდა, მართლაც გვერთანად შეილახა, ფეხები უშრად დაუწერილდა, გვერდები დაუმრგავლდა და თავისი სიტლანქით საბალეტო დასს ნამდვილად არცხებდა.

ზავებული გასრულებულიყო, სკოლები სწავლას იწყებდა, როცა ანდრეამ დედას სასულიერ-

რო სემინარიამი გამოკეტვის განზრახვა გამო-  
უცხადა; იმ ფასიან სასწავლებელში მომავალ  
ღვთისმამასურებს ზრდიდნენ და ანდრეას მფარ-  
ველმა მამებმა უფასო ადგილი გაუჩინეს. ჯუ-  
დიტამ ჩათვალა, რომ ეს ღვთის ნება ნამდვილად  
დროული იყო, ისედაც სახლის გამოკეტვას ეპი-  
რებოდა, რადგან მოხეტიალე დასთან ერთად  
ქალაქიდან ქალაქში გადაადგილება მოუწევდა;  
ლაურას ქალბატონი პანსიონში აგზავნიდა, სადაც  
თავისი ძველი მასწავლებელი უპატრონებდა.  
ასერომ, მღვდლობის მოწადინე ანდრეასამხრეთ-  
თის საზღვრიდან არც ისე შორს, ცენტრალური  
იტალიის პატარა პროვინციის სასულიერო სე-  
მინარიამი გამწესდა.

რამდენადაც დაუდგრომელი ცხოვრება სა-  
სულებს აძლევდა, ჯუდიტა ვაიჟივლის კითხ-  
ვება; მუდამ დარბაისლურად გამოწყობილს  
(როგორც საერთოდ სჩვეოდა ჩაცმა თეატრის  
გარეთ), ნამდვილი ქალბატონის გარეგნობა  
შქონდა. თუმცა, როგორც ხშირად სიცილით  
ქალებს ემართებათ, ნაადრევად მობერდა, მაგ-  
რამ ანას ვერც მისი და ვერც შვილების თვალე-  
ბი ვერ ამჩნევდნენ.

პატარა ბერი მნახველთა დარბაზში ხედე-  
ბოდა შავი სარგის ანაფორამი, სიმალღეში ისე  
გვარიახად გაზრდილი, რომ სახელოები სუსტ  
მაჯებს ვეღარ უფარავდა. ყოველ მოწახულება-  
ზე ჯუდიტას უფრო მაღალი და უფრო გამხდარ-  
ი ეჩვენებოდა; მრგვალი სახე ისე დაეინროე-  
ბოდა, დიდ თვალებს გვგონებდა შთაუბთქავით.  
მედეტაციის ღარს, რომელიც წარბებს შორის  
ჩაღრმავებულიყო, ახალი ნაოჭი სერავდა, —  
სიმკაცრისა. დედასთან შეხვედრების დროს მუ-  
დამ გაუტყობებული სახით იჯდა, ის კი საკუთარ  
ქალურ სისუსტეს ვერ უფარავდა და ცდილობდა  
შვილისთვის ძველებური სიყვარულის რაიმე  
ნიშანწყალი გამოეტყუებინა, მაგრამ ანდრეა  
წარბმოქუშული უცქერდა ან დამიყნავი გამო-  
მეტყულებული თავს სხვა მხარეს აბრუნებდა.  
ერთხელ ჯუდიტამ თავის ახალ იმედზე გადა-  
უკრა სიტყვა (რომელიც მოგვიანებით ილუზია  
აღმოჩნდა), მგონი ლა სკალას საბალებო დასში  
მინჯვენი, ამის გაგონებაზე ანდრეამ რისხვით  
ახიდა წარბები და ტურები ზიზილი დაბრკო-  
და. ჯუდიტას ათას შეკითხვას ნაძალადევედ პასუ-  
ხობდა. და ასე მთავრდებოდა მათი შეხვედრე-  
ბი, რამეთუ იგი არასოდეს არაფერს ეკითხებო-  
და დედას, მხოლოდ ხანდახან ტყუილბავს,  
ლაურას თუ მოიკითხავდა. ანდრეა ისე ექცეო-  
და დედას, თითქოს რამე უარყოფილი, გადაგ-  
დებული საგანი ყოფილიყოს, ოდესღაც გულუბ-  
რველი ასაკში გულით რომ გიყვარდა და ახლა  
აღარც გეადრდება მისი არსებობა. მაგრამ ჯუ-  
დიტა წარსულში ზედმიწევნით კარგად იცნობ-  
და შვილს, რომ მათი შეხვედრების დროს რაიმე  
დამოკიდებულება წარმოტყუბისთვის არ მიეღწია;  
ინსტინქტი და ეშმაკობა ხანდახან კარნახობდა  
სათანადო არგუმენტს, მომგებიან ფრაზას, რე-  
მელთა წყალობითაც ანდრეას სახეზე გაკრთე-

ბოდა ხოლმე მომავადმოვლები, განმეორადმე-  
ლი ყმანელიური ღმრთი. ამ იმეით ნუთებში  
ჯუდიტას სინარულისაგან გული საგულეში  
აღარ ეტყოდა.

ერთხელ იგი სემინარიამი გახარებული მივი-  
და და ანდრეას განუცხადა, ნება დამართეს, მთე-  
ლი დღე ჩემთან გაატარო, ოღონდ დაბინდებამ-  
დე უნდა დაბრუნდეთ. ანდრეას სახე მიეღღმა  
და უარი სტკიცა:

- როგორ, უარს ამბობ ჩემთან ყოფნაზე?
- დიხაბც, არ მინდა შენთან ყოფნა!

— კარგი რა, ჩემო პატარა წმინდანო, ასე  
რად მპასუხობ, გინდა გული მატკინო? აშხელა  
გზა გამოვიარე, რათა იმის პატივი მიმეღო,  
ჩემს ლამაზ ღირს მამასთან ერთად გამესიერ-  
და და თქვენი უწმინდესობა უარს მიცხადებს?  
გთხოვ, ჩემო მშვენიერო რაინდო, დედას ნუ  
სტანჯავ. ან იქნებ ისე დაუფშინოედი, შენაირი  
ლამაზის გვერდით გავლის ღირსი აღარ ვარ?  
ჩქარა, ანდრეა ჩემო, დროს ნომრადგაკარ-  
გავთ, ქალაქის ძველი გალავნისკენ გავისიერ-  
ნოთ, ციხე-სიმაგრის პანიონამით დავტკებთ,  
მერე კაფეში დავსხდეთ და ნაყინი მივიერთვით,  
მოგვიანებით კინოთეატრის წინ გამოფენილი  
ფოტოები დავათვალიეროთ, სადაც ამ საღამოს  
გადის ფილმი... მოიცა, რა ქვია?.. მგონი რალაც  
გემებზე და მეკობრეებზე უნდა იყოს...

ანდრეამ ორ-სამეტი ყელში გაჭირვებით ჩა-  
იბრუნა სიტყვა და ბრაზიანი არა ამოთქვა.

- არა? მართლა არა მითხარი, თუ?
- არ მინდა შენთან ერთად ყოფნა და მორჩა!
- გააგებთ ნამოძახა მოთმინებადაკარგულ-  
მა ანდრეამ.

— აა, ესე იგი, კარგად გამოვიცა, უარს ამბობ  
ჩემთან ერთად სიერნობაზე, მერე ამით რისი  
დამტკიცება გინდა, მინდუნობა მოგამტკიცებ?  
ეს მორწმუნეობა სულაც არ არის, უმადურობა  
და ბორბობაა! იხანებ, ღმერთი დავსჯის ამის  
გამო!

ანდრეამ მხრები აიჩქრა და გაიხედა, მაგრამ  
არა დედისკენ, სხვა მხარეს, დამცინავი იერით,  
რომელზეც ეწერა: ღმერთს რაც შეეხება, ქალ-  
ბატონო კამებზე, კარგს იზამ, შენი ბავით თუ  
არ ახსენებ.

— დიხ, ღმერთი დავსჯის, დავსჯის, დაგ-  
სჯის!.. მერედა რატომ არ გინდა ჩემთან ერთად  
გასიერება, ამ ანაფორებიანებთან ერთად,  
ვარდაქკაქას მჭამელი ცხრებოვით რომ ჩამ-  
წკრივდებით ხოლმე, ხომ გსიამოვნებს სიარუ-  
ლი, ჩემთან ერთად კი არა! გინდა გითხრა სი-  
მართლე, ის რაც არასოდეს მითქვამს, აა ახლა  
მეტყვი: ამ ქისერაროვრეობებმა ჩემს წინააღ-  
მდეგ მოგმართეს, ესაა სიმართლე! ჩაგაგონეს,  
რომ დედამენი უპატიოსნო ქალია და თუ მას  
გვერდით გაყვები, ჯოჯობებში მოხვდები. პო-  
და, ჩემთან გადაეცი მაგ შენს მოძღვრებს, რომ  
სამოთხისაკენ მიმავალი გზა მაგათზე უკეთ  
მესწავლება და ერთ დღეს, როცა საბარლო მამა-  
შენს იქ შეხვდები, მისი მოხვევის არ შემრცხვე-

ბა და ვეტყვი: აი, შენი ცოლი, როგორიც დატო-  
ვე, ისეთივე მიიღე. ხოლო შენს წინადა მამებს  
ასე უთხარი, რომ თეატრში შეიძლება იმუშაო  
და პატიოსან ქალად დარჩე, პატიოსნების დამ-  
სახურება ყველაზე დიდი რამეა. შენ კი უნყოფე,  
რომ ჯუღიტა კამპეზე ღირსეული ქალბატონია,  
ასეთი იყო და ასეთად დარჩება! და მსახიობა  
იმიტომ, რომ უყვარს ხელოვნება, ხოლო რაც  
შეეხება პატიოსნებას, წმინდა ვიზაბატაც კი  
არ ყოფილა მასზე პატიოსანი!

ანდრეა გაფითრებული, მოტეხილი ჩანდა,  
მაგრამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ამოი-  
ძახა: —

— აქ შენი ამბავი არავის აინტერესებს! მე  
შენზე არავისთვის არაფერი მოთქვამს!

— მამ, გამარკვევ, რატომ არ გინდა ჩემთან  
ერთად სიერნობა? როდის იყო უარს ამბობდი?!  
შენ ნამდვილად ჩემი მშობლების შეუვალი,  
ჯიუტი ხასიათი გამოგყავა. ო, რა ბედნიერი ვი-  
ყავი, შენ რომ გაჩნდი, ვაჟი მყავს-მეთქი, ვინ  
იფიქრებდა, ჩემს ყველაზე საშინელ მტერს მე  
თავად ვაგაჩენდი! მართალი მითხარი, სახელს  
გირცხვენ? ეს არის მიზეზი?! გერცხვინება ჩემ-  
თან ერთად ქუჩაში გასვლა?

და ჯუღიტა მხარედ ახტირდა. ანდრეა თავით  
ფეხებამდე ცახცახებდა, გაფითრებული ტურჩე-  
ბი უკანკალებდა, მაგრამ ბრახისგან არ იყო  
გამონწვეული ეს ყოველი, თანაგრძნობას უფრო  
პტავდა. ერთბაშად ხელები მომუჭა და გაბზა-  
რული ხმით ამოთქვა:

— რატომ მოდიხარ ჩემთან საერთოდ! რა-  
ტომ არ შეწყვეტ აქ სიარულს!

— ადგილს მოწყდა და დატრიალდიან გამაა.


ცრემლებით სავსე და გაოგნებისაგან გა-  
ფართოებულთვალებიანა ჯუღიტამ ტურჩებს  
ძლივს მოუყარა თავი მის დასაძახებლად, მაგ-  
რამ ანდრეა გამკრალყოფა. ამ დროს მღვეღელმა  
ჩაიარა, ჯუღიტამ, ცრემლი რომ დაემალა მზე-  
რა დახარა, და სახეზე უცებ დაიბრუნა ღირსეუ-  
ლი ივრა; პირბადე ჩამოიფარა, ხელთათმანები  
ჩაიჭვა და მოხომილი ნაბიჯით, როგორც დარ-  
ბასიელ ქალბატონს შეეფერება, ჩვეული სასი-  
ამოვნო შეხედრის შემდეგ თავახიანად რომ  
იბთხოვს ნახვლის ნებართვას, გასასვლელისკენ  
დინჯავდ გაემართა. ვადასაყვანი სურათების  
შეკვრა, რომელიც დაიწყნოდა შვილისთვის გა-  
დაცვა, ისევ მავსზე ეკიდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ანდრეას სანახავად  
დაბრუნდა. არც იმ დღეს და არც მას შემდეგ  
სიტყვა აღარ დაუძრავს იმ ამბავზე, აღარასო-  
დეს უთხოვია ერთად სასიერნოდ გასვლა. თავ-  
დადრეკილი და მორთოვლები, ყველანაირად  
გაურბოდა ისეთ თემბაზე საუბარს, რაც შვილს  
გაალიზიანებდა. თავის მხრივ, ანდრეაც ჩვეულ  
თავდაჭერილობას იჩენდა, რასაც ამჯერად  
ბავშვური სიმორცხვეც ემატებოდა: ხშირად  
წითლდებოდა ან უადგილოდ იგრუნებდა თავის  
თხელ თეთრ პატარა ხელებს და ყოველ ნუთას  
ვითომ იმის ნიშნად, არაფერი მომხდარაო, თი-

თებით თმას ისწორებდა. თუ გაღივბა ან სი-  
ცილი მოერეოდა, თვალებს ხრიდა და სანდო  
და ველურ გამახედვას შორის გაურკვეველი  
იერით სახეს სხვა მხარეს აბრუნდებდა. მათი  
შეხვედრები უფრო და უფრო ხანმოკლე ხდებო-  
და, ზოგჯერ კი სათქმელის უშედეგო ეჭვბაში  
სულ რამდენიმე ნუთს გრძელდებოდა ვიზიტი,  
რომლისთვისაც ჯუღიტა ხანგრძლივად მგზავ-  
რობდა მატარებლით. ჩანდა, დედა-შვილს აღა-  
რაფერი ჰქონდა ერთმანეთისთვის სათქმელი.  
ისხდნენ მდუმარედ რამდენიმე ნუთს ერთმანე-  
თის პირისპირ მნახველებისთვის განკუთვნილ  
ოთახში სათბალ სკამებზე და ჯუღიტა ამაოდ  
ეძებდა მათ ქმელს, ისეთ რამეს, რომ ანდრეა  
დაეინტერესებინა, ან რითიმე გაერთო; ხარბად  
შესცქეროდა მის ლოყებს, რომლებიც წინადა  
გამხდარი ჩანდა, პროფილში კი ისევ შენარჩუ-  
ნებინა ბავშვური სიმრგვალი; მის შუბლს (მედი-  
ტაციითა და სიმკაცრით დანაოჭებულს), წინა-  
მოთი ნახევრად დაფარულს, რომელსაც ყმანვი-  
ლის ნერვიული ხელი არ ასვენებდა, მის ლამაზ  
თვალს, რომელიც დადრის მზერას გაურბოდა;  
ტკივილამდე უნდოდა გადახვეოდა თავის პატარ-  
ა ბერუკას, მაგრამ ხელის განწვენასაც ვერ  
ბედავდა, იმდენად თრგუნავდა ანდრეა. და ასე  
დამცირებული, დაბნეული, უხერხულად ემშვი-  
დობებოდა შვილს.

\*\*\*

ჯუღიტა და ანდრეა, ჩვეულებრივ, წელიწად-  
ში სამჯერ ანოთხჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს.  
დანარჩენ დროს ანდრეა დედისაგან ილუსტრი-  
რებულ ღია ბარათებს იღებდა და (იშვითად)  
წერილებს სხვადასხვა ქალაქიდან, რომლებსაც  
ანდრეა არ იცნობდა, ზოგის სახელიც კი არ  
გავიო. ჯუღიტას წერილები არასოდეს შეიცავ-  
დნენ რაიმე ზუსტ ცნობას, არც იმის შესახებ  
თუ როგორ იყო, ან რას აპირებდა მომავალში.  
ამას ისიც განაპირობებდა, რომ დაწყებითი  
სკოლის მეორე-კითხვის დიდი ცოდნით არ  
გამორჩეოდა. მისი ნაწერი მუდამ დახლართუ-  
ლი და ნაჩქარევი იყო, თანაც ისეთი აბზაუბდა,  
რომ ანდრეას ყველაზე ჩამორჩენილი თანაკლ-  
ასელიც კი მასთან შედარებით პროფესორი გე-  
გონებოდათ. თუმცა, კალიგრაფია დიდებული  
ჰქონდა: დიდი, კუთხოვანი, დაგვირგსული,  
წინადადების თავში უზომოდ დიდი ასოებით. ან-  
დრეა, შეთანხმებისამებრ, პასუხს რომის ფოს-  
ტამი მოკითხვამდე უგზავნიდა. მისი წერილები  
პუნქტუალური, გულმოდგინე, მაგრამ ყოველ-  
გვარ გულგადამლილობას მოკლებული იყო.  
მათი განმორებიდან მეოთხე წელს მოხდა ისე,  
რომ რეა თვე გავიდა და ჯუღიტა საერთოდ არ  
გამორჩენილა. ცოცხალი რომ იყო, ამას მხოლოდ  
ყოველ სამ თვეში სემინარიის ადმინისტრაცი-  
ის სახეზე მოსული ფულადი გზავნილი და შვი-  
ლისთვის რამდენიმე ღია ბარათი ადასტურებ-  
და, რომელითაცა ზოგი ავსტრიული მოდიოდა,  
ზოგიც საფრანგეთის აფრიკიდან. მოკითხის



ბარათები სულ რამდენიმე სიტყვას შეიცავდა, რის მიხედვითაც ანდრეა ხვდებოდა, რომ მოხეტიალე მასხიობ დედას მისი წერილები ფოსტილიან არ გამოეტანა. ბოლო ორი თვე იმე გავიდა, ანდრეას დედისგან საერთოდ არაფერი მიიღო.

ერთ დღეს, ჩვეულებრივი გასეირნების შემდეგ, ერთრიგად გამწკრივებულ თანაკლასეულებთან ერთად ქუჩას კვებოდა, რომ ისე პატარა ქალაქის გაღავნის კედელზე გაკრულ თეატრის აფიშაზე ანდრეამ დედის სახე შეიცნო. ემოციისგან სისხლი სახეზე მოანვა. ცხადია, ვერაგინ, ვერც მოძღვარმა და ვერც მეგობრებმა აფიშაზე გამოსახული ქალი ვერ იცნეს, თუმცა არც შეუხედავთ, დაუშვებელიცაა ღვთისთვის შეწირული თეატრები მსგავს სანახაობაზე შეყოვნდეს. ანდრეა შეჩვიდა, ვითომ ფეხსაცმელს ისწორებდა და აფიშის წარწერას თვალი გააყოლა, რომელზეც ეწერა:

თეატრი გლორია, საღამოს 21:30, ეენის ტრიუმფიდან დაბრუნებული მსოფლიო ვარსკვლავი **ფეხე** წარმოადგენს თავის კლასიკურ, არაბულ, სპარსულ და ესპანურ ცეკვებს.

ამ სიტყვების ქვეშ, შუაში სხვა სახეებითან ერთად მოჩანდა ჯუღიტას დაკლანდისხივებიან ვარსკვლავისებური გვირგვინით შემკული პორტრეტი, თვალზე დიდი მარავანდილი და შუბლზე დაღვნილი. წარწერა გრძელდებოდა:

კონცერტს ჩვეულებრივ წინ უძღვის პარიზის სცენების მეფის ჟორჟბას დიდი ატრაქციონით თავისი 15 გოგონათი... და ა.შ. და ა.შ

სირბილისა და ბრახისგან გულამოვარდნილი დაენია მეგობრების გრძელ რიგს. ფეხე ექვი არ იყო, ამ სახელს მიღმა მოცუკევე ჯუღიტა კამპეზე იგულისხმებოდა.

საღამოს რვა საათზე მორჩილები მოსასვენებლად მიდიოდნენ და ცხრა საათზე მთელ სემინარიას უკვე ეძინა. თერთმეტის ნახევარზე პატარა პროვინციული ქალაქი უდაბნოს ემსგავსებოდა და სრულ სიჩუმეს გამოცემდა.

გრძელი და ვიწრო საერთო საძინებლის მოცისფრო მბუჭტავი ღამის ნათურა, რომელიც დანაჯრი ბერის ფარდასთან კარის თავზე ეკიდო, ოღნავ ანათებდა. ნახევრადჩანელეულში პატარა სანოლების თეთრი ფორმა, კირით შეთეთრებულ კედელზე შავი ჯვარცმა და რელიგიური ორდენის დამაარსებლის წმინდანის ენანა ჩარჩოში ჩასმული პორტრეტი იკრთებოდა. ანდრეა ორი საათი გაყუჩებული იწვა, ვითომ ღრმად ეძინა. სინამდვილეში კი იმდენად ფხიზელი იყო, მოუთმენლობისგან ღამის სიცივის ზღვარს გასცდა. როგორც კი საათმა ათი ჩამოჰკრა, სანოლიდან გამოძვრა, ჩაიცვა, ფეხსაცმელები თასბებით მაჯაზე გადაიკიდა და უხმაუროდ, მწერი უჩუმრად გაოლანდა ოთახიდან.

აზრი არ ჰქონდა სადარბაზოს შესასვლელით ან უკანა კართი ესარგებლა, რადგან ორივე ციხე-სიმაგრესავით ჩახერგილ-ჩარახული იყო და მკარცრ ციავდა. იცოდა, სატრაპეხში ერთი

სარკმელი, ხის პატარა სადგულით ჩაქეტილი, სამი მეტრი სიმაღლის მიწაყრილზე გადიოდა. ხელის ცეცებით გაიკვილა გზაზელე კორიდორში, მერე ქვის კიბეს ჩაუყვას, ადვილად მიაგნო სარკმელს და უწვალებლად აღმოჩნდა გარეთ. ფეხევე მინა რომ იგრძნო, ნაშობდა, ანაფორა მუსხლამდე წამოკრიფა და ფეხსაცმლის ჩაცმარზე დრო აღარ დაუკარგავს, ბაშის მოკლე წინდებისამარა გაღავნისკენ მოკურცხლა.

სემინარიის ძველი ნაგებობა ქალაქის გაღავნიდან არც ისე შორს იდგა, სწორედ იქ, სადაც ქუჩის განათება მთავრდებოდა, რაც სოფლის საზღვარს მიანიშნებდა. მთვარე უკვე ორი საათის გადასული იყო, მაგრამ ზაფხულის ცა თეთრ მთავრულ შუქს (იენისის დასაწყისი იდგა) აფრქვევდა. ანდრეამ წამით სემინარიის ფასადს გახედა: რამდენიმე ფანჯარა თუ იყო განათებული, ერთი მაშებისა, რომლებიც მორიგებით ყოველ ღამეს თვითაიანთ სენავეში ლოცულობდნენ; შენობის ტვერდითა მხარეს, იქ, სადაც ეკლესია იდგა, ფანჯრების ფერად მინებს სუსტად ანათებდა ჭრატის მბუჭტავი შუქი, დღე და ღამე რომ ენთო. გაღავნის გარეთ მხრიდან, ჭიმკრის თალზე ათავსად მოსჩანდა რელიგიური ორდენის მარმარილოს ღერბი.

ანდრეა ბორცვის კედისკენ შებრუნდა, სადაც მეჩვიდმეტე საუკუნის გაღავნის მცირე წაწილი მწყერის ჩამოქალა დაუბრალო მავთულხლართით შეეცვალათ, რომელსაც ანაფორის სიმძიმის მიუხედავად, მოქნილად გადაეგლო და ქარზე უსწრაფესად ნათესებს მისცა თავი.

ერთი კოსმეტრზე ნაკლებ მანძილზე, მოიჯარე გლეხების სახლში ერთი მისი მეგობარი ცხოვრობდა, ერთი-ორი წლით მასზე უფროსი, მოიჯარეთა თავკაცის ვაჟი, სახელად ანაკლეტო, მას ერთხელ თანაკლასელებთან ერთად სოფელში გასეირნებისას დაუმეგობრდა. ანდრეამ იცოდა, რომ ანაკლეტო ბოლო ხანს საჯინბოში ეძინა სიმინდის წალაზე, რადგან ორი თვის წინ მამამისის ცხენს კეიცი გასჩენოდა და იმას დაჰფოფინებდა დღენიდაც. საჯინბოს დაბალი, ცხაურიანი სარკმელი ჰქონდა და აქედან ადვილად გააღვიძებდა მეგობარს, ისე, რომ ვერაგინ გაიგონებდა.

სამწუხაროდ, ანდრეა უსიამოვნო მოულოდნელობას წააწყდა, საჯინბოს სარკმელი განათებული დანდა და იქიდან სიმღერის ხმა ისმოდა, ორნი მღეროდნენ გიტარის თანხლებით: ერთი ხმა, უფრო ახაკოვანი მამაკაცისა, ჩუქნად რომ ამღერებდა, ვერ შეიცნო, მეორე — ჯერ ისევ უმინდარი და გამკვივანი, მეგობრისა იყო. ჩანდა ანაკლეტო მარტო არ იყო, რაც საქმეს უფო რთულსა და სარისკოს ხდიდა. გადამყვეტილების მიღების მოლოდინში რამდენიმე წუთს შენობის კედელს მოფარებული გახედა. დრამატული გარემოების მიუხედავად, სიამოვნებით მიამყარო ყური სიყვარულზე ამღერებულ ორ ხმას და გატყარის მიყოლიდას. ბოლოს გადამყვეტიცა, რაც არ უნდა მოჰყოლოდა მის მოფარე-

ბელ საქციელს, ფანჯარაში შეეჭყიტა. ბავის კოჭზე დაკიდებული ნავთის ლამფა სასიამოვნოდ მოქს ანორქვევდა საჯინბოში. ბავზე თავდახროლი ფაშატი შერიას ცოხნიდა, მის გვერდით მდგარი კვიცი დედას ექრუცუნებოდა. ოჯახურ ბედნიერების ამსახველი ამ სურათის დანახვაზე ანდრეას გული შურით შეეკუმშა. ცხავეთისაგან ორი ფეხის ნაბიჯზე დატყეპნილ მიწაზე გაშლილ მინითალო ფარდაზე ანაკლეტო იჯდა მრგვალთავიან და გადაპარსულ ჯარისკაცთან ერთად, რომელიც გიტარას აჩნაუკუნებდა. მათ გარდა საჯინბოში სხვა არავინ ჩანდა და ანდრეა შეებოთ ამოიხეთქა: — ანაკლეტო! — ხმადაბლა გაცხარებით დაიძახა. — გამოდი ერთი, სალაპარაკო მაქვს შენთან!

თითქოს მოჩვენება გამოცხადდა, ანაკლეტო მოულოდნელობისაგან შეცბუნებული წამოხტა და გარეთ გაეარდა; ჯარისკაცი არც შერხეულა, გიტარაზე ახალი მოტივის ძებნას შეეცქროდა, გეგმენბა დედამიწაზე ამის მეტი არაფერი აინტერესებდა.

ყველის უკან მიმალულმა ანდრეამ როგორც კი მეგობარი დალანდა, სხაპასხუპით აუხსნა, სემინარიიდან მალულად გამოიქციე და სასწრაფოდ ქალაქში უნდა ჩაეიდე, ერთ ადამიანს უნდა შეხვდე, შეხვედრას სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ბერის ანაფორით ვერ გამოცხადდები და თუ შეგძლია, შენი ტანსაცმელი მათოვეო; შუღამისთვის სემინარიაში უნდა დაგბრუნდე, მანამდე დაგიბრუნებ და ჩემს ანაფორას ნავილებო. — თუ ამა-სობაში მამებმა შენი არყოფნა შეიტყვეს? — მაშინ სემინარიას სამუდამოდ დეტოკოვში მაგრამ გარნშუნებ, ჩემს ბაგეს შენი სახელი არასოდეს დასცლება, შუასაუკუნეების მეთოდითაც რომ მანამო!

ანაკლეტომ, ცხადია, სასიყვარულო რომანი წარმოიდგინა და მეგობარს დახმარება აღუთქვა. მაგრამ ტანით მხოლოდ შარვალი ეცვა, წელზევით მოშველი იყო; ზედატანი შინ დაეტოვებინა და ახლა ფრიად სახიფათო იქნებოდა ოჯახის გაღვიძება, მით უფრო დისა, რომელიც გადაჭარბებული ცნობისმოყვარეობით გამოირჩეოდა. გადაწყვიტეს, სტუმარი ჯარისკაცისთვის მიემართათ, რომელსაც ანაკლეტო ენდობოდა და რომელიც შევბულების უკანასკნელი საათების გასატარებლად მასთან მოსულიყო, განთიადისას რომ უშთავრდებოდა. ამ ახალგაზრდას, რომლის თავაზიანობა მისსავე ტაქტიკონობას არ ჩამოუყვარდებოდა, არკანველო ფოვინა ერქვა, თუმცა ნითელი ხუჭუჭა ქორჩის გამო მამალოს ეძახდნენ, თავზე ურჩად რომ ანვერილიყო ბიბლიოსავით, მაგრამ, როგორც ითქვა, ამჟამად ძირში გადაეპარსა, იმ იმედით, ზაფხულში ეგვბ უკეთესი თმა ამომივიდესო. ახლოდან, ნავთის ლამფის შუქზე მის ყმანვილურ მრგვალ თავზე უკვე ამონვერილი ნითელი თმა ჩანდა, ამან, ვინ იცის, რატომ, ანდრეას გული ნდობით აღავსო. მისი გასაჭირი რომ შეიტყო, მამაობი

მამიწე თავისი სამხედრო ფორმა სუსთავაზა, რომელიცამერიკულ სამხედრო ფორმას წააგავდა, იმხანად ჩვეს ჯარში რომ გამოიყენებოდა. თუმც ანდრეას იმ უკანასკნელ პერიოდში სიმადლე საკმაოდ მომატებოდა და არც მამალო და ანაკლეტო იყენებ გოლიანები, ანაკლეტოს შარვალი და ვენსაკუთრებით მამალოს ხალათი მაინც გვარაიანდ დიდი ჰქონდა. თანაც სოფლური ტილის შარვალი ისეთი ხეშეშე იყო, რომ იტყვიან, თავისით იდგა ფეხზე. მაგრამ ასეთ ვითარებაში იმ უმნიშვნელო რამეზე ყურადღების გამახვილება, ანდრეას მხრიდან უმაღურობა იქნებოდა.

მოლაპარაკეს, რომ ანდრეა თავის ანაფორას ერთ ჩალოს ქოხში დატოვებდა, აქედან დაახლოებით ორასი მეტრის სიშორეზე, სადაც დაბრუნებისას გამოიცხადებოდა ნათხოვრატანსაცმელს საჯინბოსთან ჩავლისას ფანჯაროდან გადაუყრიდა მამალოს და ანაკლეტოს, რომლებიც დილის ოთხ საათზე უნდა ამდგარიცხვენი.

საათის მოთვლით არ იქნებოდა გაქცევიდან გასული, რომ გადაცმული ანდრეა ქალაქის ნაკლებად განათებულ შუკას მიუყვებოდა. კანტიკუნტად ხელებოდა ხალხი და მისამართის საკითხად მათ შორის დარბაისელს სახეზე არჩევდა. თერთმეტმა დარეკა, თეატრის წინ რომ შეჩერდა.

აი ისიც, ფატალური კარი, რომელიც საკუთარი განაჩენით მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მიუვალად გახადა საკუთარი სიძულვილისა და თვითუარყოფის მიუხედავად, თეატრის მისტერიას სრულიად დაეპყრომისი ყმანვილუაცობა. მისი დაუმორჩილებელი ფანტაზია მაინც იჭერიტებოდა წარმოუდგენელი მაშაზი მირაფის მიღში, დაუსრულებლად რომ დევნიდა წარმოსახვში და მაინც ელვარებდა სიტყვად — თეატრი — მოხატული და მოკაშკაშე, როგორც აღმოსავლური ტაძარი; ხალხმრავალი, როგორც მოედანი გამოცხადების დღესასწაულზე; დიდებული, როგორც ფარაონი და არასდროს არავის კუთვნილება (საცხოვრისი), როგორც ოკეანე ეპ, საბრალო ანდრეა კამპეზე ისეთ შვიარალებულ, დაუმარცხებელ მეტოქედ გესახებოდა თეატრი, რომ დიდი ბრძოლის ფასად უღამატებულეს ძალას, სამოთხეს შეაფარე თავი!

ნეონის ალაგჩამქრელი ნათურები იუნყებოდნენ: „თეატრი გლორია“. შესასვლელის ორივე მხარეს გამოფენილ ფოტოსურათებს შორის გამოპარულმა სემინარისტმა ნაცნობი ფულისფანცქალით ფეზე შეიყინა. ერთზე მთელი ტანით იყო გამოსახული, ცალი ფეხი ლამის თემომდე მოეშეშლებინა; მეორეზე კი მარტო თავი მოუჩანდა, მოლიმარი, ყურზე ყვავილით და თმაზე შავმაქმანშემოვლებული.

თეატრის ვესტიბული, მტვრიანი ელექტრული გლობოუსით განათებული და გადახუნებულ ორნამენტებთან კედლებზე ორიოდე მყვირალა აფშით დაშვენებული, ზის თეჯირთან მთავრდებოდა, რომლის იქით ორკარიან მომტიან შე-

სასველში წელში გამართული თვრამეტიორდე  
წლის მომხიბლავი ქალიშვილი იდგა თავზე სამ-  
ხედროსა მისმავაგებულ ბერეტი, რომელ-  
ზეც ოქროსფერ ძაფით ამოქარგული იყო „თე-  
ატრი გლორია“. ბერეტიდან მხრებზე ბუნებრი-  
ვად დახვეული ლამაზი შავი თმა ტალღებივით  
ჩამოშლილია; მიშეელი ფეხები კუნთმაგრობის  
მიუხედავად ზავშივით ქორფა და ვარდისფერ-  
ი ჰქონდა. ალუბლისფერი ხელოვნური ატ-  
ლასის კაბა, რომელიც გვარიანად დავიწროვებ-  
ოდა, სამხედრო და აგდებულ იერს აძლევდა,  
სამეფო სასახლის მცველებს რომ აქვთ ხოლმე;  
ხანგამოშვებით კარის მიღმა (საიდანაც ლამის  
ქუჩამდე ისმოდა სიმღერისა და ქუსლების ხმა  
და სხვადასხვა ინსტრუმენტის ფლერა) ცნობის-  
მოყვარედ იჭვრიტებოდა, ანდაც ხის თეჯირს  
იქით გადა-გამოდიოდა და მოურიდებლად ამ-  
თქნარებდა, კატებმა რომ იციან, ის.

მის მეტი ვესტიბულში სხვა არავინ ჩანდა.  
ბილეთების საღარო დაეკეტილი იყო, ისიც ვაუ-  
დაბურებული, მხოლოდ მინაზე მინებებული ბი-  
ლეთის ფასები დაეტოვებინათ. ახლაც მიხვდა  
ანდრეა, რომ თეატრში შესასვლელად ბილეთის  
ყიდვა იყო საჭირო და რომ ჯიბეში ერთი ლირიც  
არ ეხადა.

მტკიცე ნაბიჯით გაემართა ქალიშვილისკენ,  
თუმცა ისე ცახცახებდა, გეგონება რომის პაპის  
წინაშე დგასო:

— დარბაზში აქედანა შესასვლელი? — ისე  
ქედნულურად ჰკითხა, თითქოს ამავე თეატრ-  
ის დასართოდ, კონტინენტის სუკეთესო თე-  
ატრების პატრონი ყოფილიყო.

— შესვლისათვის ბილეთია საჭირო, — უპა-  
სუხა ქალიშვილმა თეჯირის მეორე მხრიდან, —  
გაქვს ბილეთი?

ანდრეას სინთლისგან სახეზე ცეცხლმა გა-  
დაუარა და მუბლი შეიჭმუხნა.

— არა გაქვს? აბა, ვერაფერს იხამ, საღარო  
დაეკეტილა, — მოკლედ მოსტყვა ქალიშვილმა.

მერე ანდრეას აღელვებული, მაგრამ უდრეკი  
გამოჩქვყველება რომ შეამჩნია, დამრიგებლურ  
ი ტონით დასძინა:

— თუმცა, ახლა აღარ ღირს ბილეთში ფულის  
გადახდა, წარმოდგენა ორმოც წუთში დამთავ-  
რდება.

მისმა ტონმა გააღიზიანა ანდრეა:

— რაში მაინტერესებს ორმოც წუთში მთავ-  
რდება თუ არა, — შეუტია, — მე ჩვეულებრივი  
მყურებელი კი არა ვარ, რომ მდომოდა, წარ-  
მოდგენის დაწყებამდე უბილეთოდაც შემოვი-  
დიდი!

— მერედა შენ ვინა ხარ, პატრული, უბილე-  
თოდ რომ შემოხვიდე?! მაინც ვინ, უფროსი ინ-  
სპექტორი?

— თქვენი ვი გეკითხებათ, ვინა ვარ, რა თავს  
იტიკებთ?!

— მე?... მე ვიტყვებ თავს?... თუ ვიტყვებ, იმი-  
ტომაც, რომ გაგაგებინოთ, დარბაზში შესას-  
ვლელად ბილეთია საჭირო. თუ ბილეთი არა

გაქვთ, კეთილი ინებეთ და საფასური გადაიხა-  
დეთ, ასორმოცდაათი ლირი. რაო, ბატონო, სა-  
ფულე შინ დაგრჩათ? თუ აბონემენტი?

— მე ვიცნობ ამ თეატრის მსახიობს, ფეხებს!

— თქვენ? მსახიობი თუ გიცნობთ თქვენ?

— მიცნობს და მერე როგორ! სცადეთ, უთხ-  
არიო, რომ მე აქა ვარ და მაშინვე გიბრძანებთ,  
პირველ რიგში დაძვება!

— ოჰ, მეც დაგიფურეთ რა! ერთი შეხედვით  
მიხვდება კაცი, რა თეატრალიც ბრძანდებით.  
იქნებ ამნუთას სწორედ თქვენზე ფიქრობს ვე  
თქენი მსახიობი! ერთ რამეს გირჩევთ, რატომ  
არ ახვალთ მსახიობების საკაზმულოში?! თუ  
თქვენი ქალბატონი გამოგადგობთ, თავის და-  
სამშვიდებლად ჩემთან დაბრუნდით და „თავუ-  
ნას თავგადასავლის“ სანახაუნად წავიყვანთ.

— მან პაემანი დამინიშნა!

— ოჰ, თუ ასეა, ნუ ალოდინებთ. მაგრამ  
აქედან არ უნდა შეხვიდეთ, მსახიობების გა-  
სასვლელი პირველი კარია მარცხნივ, ვინორ  
შესახვევიდან. იქ მეკარე დაგხვდებათ, ადრე  
პატიმრობის ზედამხედველი იყო და ის კარგად  
ცნობს ისეთ ბატონებს, მსახიობ ქალებს რომ  
მოსწონთ. ულაპარაკოდ შეგიშვებთ, არაფერს  
გკითხავთ.

— მე პაემანი მაქვს! — კიდევ ერთხელ ქედ-  
მალულად იცრუა ტყულის მტერმა ანდრეამ.

— რომ აღარ იშლის! ჰმ, პაემანი აქვს ქალბა-  
ტონ ფეხესთან! ამიტომაც გამონყობილხართ  
ასე საგანგებოდ ამ საღამოს? ასე თეატრიდან  
ხალხს გააქცევთ, მამისთვის რომ შარვალს მო-  
გიპარავთ და ხალათი ამირიკელიწლისია!

ქალიშვილი ისეთი იქედნური ჩანდა, ალბათ  
მისაც მიხვდა, გამოქცეული რომ იყო და პო-  
ლიციის გამოძახებასაც არ დაერიდებოდა.  
სხვა არაფერი დარჩენოდა, სასწრაფოდ უნდა  
ვასცლოდა იქაურებას.

ანდრეამ უკანასკნელი ამაყი და დამამცირე-  
ბელი მხრეა მოკლედ ქალიშვილს, რომელიც  
შეამჩნია, როგორ უცახცახებდა ნიკაპი და ლა-  
მის იწინა თავისი საქციელი, მაგრამ უკვე გვი-  
ანი იყო გამოსწორება, დამეულმა მოტრახაბებმ  
ზურგი შეაქცია და უსიტყვოდ, ნაშმი გაუჩინარ-  
და.

მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც უნდა დაეჯო-  
მოდა, ფეხე ენახა. თეატრის შესასვლელიდან  
გამოვიდა, მარცხნივ გაუხვია და ვინორ შესახ-  
ვევის დაბრუნულ ულაპარაკონებო გზას გაუყვა,  
სადაც მალევე წაანყდა ქალიშვილის მიერ მი-  
თითებულ კარს. მოღიავებული დაეტოვებინათ,  
სიღრმეში მონგრეული ნახევრადწინაწლებული  
კიბე მოსწრაფა, მარჯვენა მხარეს, შუშებწამ-  
ტრეული და გაზეთის ქალადით შეკონინებუ-  
ლი კარის მიღმა მეკარე-მენალე იჯდა და სუსტ  
შუქზე, ჭერიდან ჩამოგრძელებული ნათურა  
რომ გამოსცემდა და ლამის საშუალო მაგიდას  
ურტყამდა, ლანჩას ვულმოდგინედ უკაქუნებ-  
და. ამ კაცის გარეგნობამ შეაშინა ანდრეა და  
შენობის კედელს აეკრა. გამბედაობა არ ეყო,

ცინის ამ ბებერ ზედასმედეველს გამოლაპარაკებოდა. ახლა რაღა ექნა? ასე დამალულს ეცადა, ეიდრეშახიობები გამოვიდოდნენ? ანდრეას ბერეტკიანი ქალიშვილისაც ეუწინოდა, ვითუ აქ იმიტომ გამოგზავნა, რაიმე ხაფანგს უზნადებდა? შესახებვიდან მოედნის გაყოლებად ქვაფენი-ნი მოჩანდა, რომელიზეც თეატრის მოციქვინი ნარნერა მოცისფრო მუქს აფენდა. თეატრიდან სიმღერისა და მუსიკის დამცხრალი ხმები ისმოდა და ეჭვისაგან გულმონურული ანდრეა იმ კედლების მიღმა მოზვიმე დღეცასანაულს შესახვევის მუქართი აღსასვლე უკუნს ადარებდა. ერთი ზორბა მეცხვარე ძაღლის გარდა სულიერის ქაჭანება არ იყო, რომელიც ღამეულ ქალაქში საბოგინოდ ალბათ თავის ჯოგს მონყვევტოდა. ძაღლი უხიტყვოდ მიიხვდა ანდრეას, რომ იმადელოდა, ერთი შეპყვევა და გარშემო შემოურბინა, აქაოდა გიცავო. მეგრე უკანა ფეხებზე წამოუსკუბდა და შეთქმულის სახითა და კუდის ქიცინით შეაკცერდა. ანდრეამ გაიფიქრა: "ეს ძაღლი ალბათ კმაყოფილი იქნება, პატრონად რომ დაეუფდე. მეც გაიხიარდებოდა, ჩემი რომ იყოს, შეიძლება ბედნიერებიც კი ყვოფილიყვით ერთად. მაგრამ შეუძლებელია, ერთმანეთს არ ვიწრობთ, ცოტა ხანში გავიყრებთ და აღარასოდეს შევხვდებით". თითები ფრთხილად გაატკაცუნა და ძაღლიც მამინე მოიხვდა, მიუახლოვდა და მოსაფერებლად თავი დაუხარა. მეგრე ნაქარევიად, სიყვარულით აულოკა ხელი, რაც ანდრეამ გამომშვიდობებდა წათვალა და მართლაც, ძაღლი მამინე გაეცალა და თავისი უტენობი მოვალეობის აღსასრულებლად ღამეში გაუჩინარდა.

ძაღლის წასვლამ კიდევ უფრო დაუშომა გულ ანდრეას; თავისი სულიერი მამები გაასვენდა, რომელიც ახლა სემინარიამ თავიდან სენაკებში ლოცვას უთედინენ ღამეს; გაასვენდა მეგობრები, რომელთაგან ორი-სამი განსაკუთრებით ეძვირფასებოდა (თუმცა გაქცევის გეგმა არც მათთვის გაუმხელა). და ეს პატარა მინიერი სიხარულები იმ მარადიულ სიმწარეს შეაძარა, რომელიც ფეხებს გამოგონილი სახელის მიღმა იმალებოდა და ერთი გამოსასყიდგადაუხდელ ბანდიტს, განაჩეთის ველურსა გრძობამ დაუბუნლა გონება. სამგრეკოს ხმამ გამოაფიხილა, თორმეტის ნახევარი ხდებოდა, თხუთმეტ ნუთმი ნარმოდგენა უნდა და მთავრებულიყო და ანდრეა შიშმა აიტანა, ვითუ მსახიობები სხვა მხრიდან გაეიდნენ და ევიდრე დავიხსოვო. მალულად გაიხვდა განათებული სადარაჯოსკენ: თავის სამფხვა სკამზე ჩახრილ მკეარე-მენაღეს მოკუმული პირით ლურსმნები ეჭიარა და ისევ გულმოდგინედ უკაუტუბდა ღამნას.

ანდრეას დიდხანს აღარ უყოყმანია, სწრაფად შეეშვერეს შესასვლელში, კიბესთან მიიჭრა, სუნთქვამკერული ნაბით შეყოვნდა. სამეთვალყურეოდან სიცოცხლის ნიშანწყალი არ იგრძობოდა, მკეარემ ვერ დაინახა იმ იმედით, რომ საკაზმულოებამდე მისასვლელ გზას რამენა-

რად გააგნებდა, სხარტად აუყვია კიბეს. პირველივე ბაქანზე ოდნავ შედგებულ კარიდან გამოშავალი მუქი დაინახა, შავლო და მალაჭყრიან, ცუდადგახათებულ ფიცარანგებით მოფენილ ოთახში აღმოჩნდა, სადაც თავი მოყვართ ეკედლებს მიყუდებულ მოტოციკლებს, მაგიდებსზედ ამოყირავებული რეფლექტორით, დრაკონებით მოხატულ მუყაოს უზარმაზარ შირმას, დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლის ცალგვერდმოდებულ ხის ოთხკუთხა კოშკს, რომელზეც ნითელი ალამი ნამომართულიყო, აღმოსავლური ასოებით ნანერე. ყოველივე ამის მოუხვდავად, ოთახი უდაბნოს ჰგავდა, თუმცა შიგადაშიგ შორიდან ჩაქუნა ხმა აღნეგდა, რომელიც ოთახის ბოლოსაკენ მიმავალი ანდრეას ნაბიჯებს აზნობდა. მოულოდნელად დიდ ჩამოსამეგებ კარს ნაადგა, რომლის იქით ხმები ისმოდა; მარცხენა მხარეს ამოყირავებული მაგიდებისაგან პატარა შეკონინებული ხიდი ანტრესოლს უერთდებოდა; ანდრეამ იქითკენ გაიჩქარა, ხიდი გადაკვეთა თუ არა, კორპით აჭყდილ მკერე კარს ნაანყდა, რომელიც უხმაროდ გაალო და გულაფანცქალებული ვინრო ბაქანზე, ხის ორ კიბეს მორის აღმოჩნდა, რომელთაგან ერთი მაღლა მოიყვებოდა, მეორე კი — ქვევით. შემთხვევითობას მინდობილი, მეორე კიბეს დაუყვია, საიდანაც მის ყურს გარკვევით სწვდებოდა ინსტრუმენტებისა და მომღერალი ქალის ხმა, თანდათან რომ ძლიერდებოდა.

უწყველო ზიზზიმმა ისე აადღეფა, ღამის სულ დაკარგა ილაფი. კიბე ჩაილა და მწვანედ შეედილ ორ კარს შეეჩეხა. ერთი შიგნიდან ჩაქეტილს ჰგავდა, მეორეს — ორკარედიანს, ენერა — სირუმე. ანდრეამ შეიჭყიტა და ქვევით, სულ რამდენიმე ქეჩაბადაკრული საფეხური რომ ამორეგდა, მის ნიშნაპროიანის სცენა გადაიშალა ინსტინქტურად უკან დაიხია, თუმცა არავის შეუმჩნეია იგი. მეგრე, თვალედახრილი კიბეს ჩაუყვია, მამინე იპოვა ცარიელი ადგილი პირველი რიგის განაპირა სკამზე და წელში ოთხად მოხრილი ჩამოჯდა. გვერდით მჯდომმა ზორბა მამაკაცმა გულმგონი მზერა ესროლა. გადავსებულ პარტურში მიძინე ჰპერი იდგა, სიგარეტის ბოლით გაფლენითი. ქაღები ჩამქრალი იყო, მაგრამ სცენის განათება თავისი სიკაშკაშით უკანასკნელ რიგამდე მთელ პარტურს სწვდებოდა. ანდრეამ ერთხანს სცენის თვალის შევლება ვერ გაბედა, მეგრე გარკვევით ჩაესმა ქალის ხმა, ცეკვის მოძრაობას რომ აყოლებდა და იმ ხმამ უმაღ შეაჯანობინა თავი, მაგრამ ინტონაციით კი არა, არამედ რალაცნარავი განგაშით, რომელმაც გაჭყურებისთანავე მის გულში ზარითი დაიგუგუნა და, ერთი მხრივ ბედნიერების გათრებული შეგრძენება და, მეორე მხრივ სასტიკი უარყოფა — რომელიც ცრმობიდანვე ისე კარგად იცნობდა, არ შეცდებოდა მის ამოცნობაში, — ხელახლა გაუღვივა. ოღონდ ვერ გაგგო, რა ნიშნავდა, რომ ბაღერინა დედამისი ახლა მღეროდა, რადგან მისი მომღერლობის შესახებ არასოდეს არაფერი სმენდა.

როგორც იქნა, გაბედა და სცენას თვალში შეავლო. ეჭვი აღარ გასჩენია, ის იყო, აი, ისევე მოერია თავისი ძველი, ნაცნობი სიმწრის განცდა, რომელიც ეგონა, დროთა განმავლობაში ცოტათი მაინც მოეთინიერებინა. სცენაზე მარტო იდგა დედამისი — ფეხებზე, არაოდეს ისეთი ძვირფასი, როგორც ახლა, არაოდეს ისეთი მიულენველი, როგორც ახლა!

სასწაულად ლამაზ კაბაში გამოწყობილიყო, ამ დედამისაზე დამავალ ვერც ერთ ქალს რომ ვერ მოეღწეოდა, ყველაზე მდიდარსაც კი, ოდენ ხელოვანი, მართლა განსაკუთრებულ ქალებს თუ ძალუთი შეიმოსონ ასე. ყოველ მის მომრავობას განათვის დიდი რგოლი თან დამყვებოდა, რათა განხდიდებინა მხოლოდ იგი და გაებრწყინებინა მისი უძირო თვალბიძი იგი — დაუსაზღვრელი ზეიმი ღამის დღესასწაულებიანსა! იდუმალი სახელი და სიამაყე ქუჩებისა და მოედნებისა! სხვა ვინ, რომელი მსახიობი შეედრებოდა მას?! თეატრის აფიშაზე აღბეჭდილი არც ერთი სხვა მომღერალი თუ მოცეკვავე არ აინტერესებდა მის ანდერგულს, მათთვის ისედაც დიდი პატივია, ნამიერი მზერა რომ შეავლო; ფეხებს საბრალო თანაფარსკვლავედები! აი, ფეხებს პორტუტი კი, როგორც მზისა, ყველა აფიშის შუაგულშია! იგია ერთადერთი საბიზნე მამაკაცებისა და ქალებისა, რომლებიც იმითაც კმაყოფილებიან, ქვევიდან შეაცქერდნენ მას, ისე, რომ ფეხე მათ არც იცნობს და არც ესალმება! რას წარმოადგენს ამ ზღვა ხალხში ანდრეა?! არავინ მიტმანხილს, რომელიც ვასაგდება დარბაზიდან, რადგან ბილეთი არ იყიდა. არავინ დაიჯერებდა (და ყველა მასხრად აიგდებდა, როგორც ცოტახნის ნინ ბერეტიანმა ქალიშვილმა), რომ ფეხე, სულ რამდენიმე წლის წინ ფეხესთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცეცხოვრობდი და სულ რამდენიმე თვის წინ სემინარიამი ჩემს სანახავად მოიღოდა. და ისიც, რომ წერილებსა და ღია ბარათებს იღებდა მისგან. წარსული, ის ყოველი, რაც იყო, ახლა თავადვე ლეგენდად ეწვენებოდა. ამ არაჩვეულებრივად მსახიობმა (ველარც კადნიერდება, დედად ჩათვალს) უკვე რამდენიმე თვეა დაიგონა იგი, წერილებზეც აღარ პასუხობს და ამავე ქალაქში ჩამოსულს, არც კი უნდრეკია მოეხალულებინა. თუმცა ასე სჯობს, ანდრეას ასე უჩრევნია. თავადვე მოიშორა ეს დიდებული მსახიობი, თავადვე უარყო მასთან ერთად ყოფნა, რადგან ასეთი დედა უნდოდა სწორედ! მისი მტერი ამ ქალის ბრწყინვალეობა იყო, რომელიც სხვებთან მიჰქონდა, მას კი მხოლოდ თავისთვის სურდა. ასე რომ, დამთავრდა, ანდრეა კამპუნე ახლა არავის შვილი აღარ არის, დამთავრდა!

ან როგორ შესძლო ასე უსივრცელიოდ ეცურა ბერეტიან ქალიშვილიდან, ფეხესთან პაემანი დაქვსო. ანდრეა უსინდისოდ ტყუილდა არა მხოლოდ ჭეშმარიტებასთან, არამედ შესაძლო სიმაართლის წინაშეც. ნათელი იყო, რომ დღეს უკვე ფეხესთვის ძალიანაც რომ ეთხოვა (ისე-

დაც გული აყრილი ჰქონდა ანდრეა კამპუნეზე), პაემანს არ დაუნიშნავდა და ახლა ბერეტიან ქალიშვილს მონმედ რომ მოეყვანა, დატრახებინა! მას ახალთად გაუქარწყლებდა; ძალიანაც არ ეამებოდა იმის შეტყობა, რომ იქ, თეატრში იმყოფებოდა ის გადაცემული თავხედი ბერუკა და თუ ვინმე საკანაზლოში მოახსენებდა: „გარდა თუნ შენს სანახავად მოსული ვინმე ანდრეა გიცდისო“, — უპასუხებდა: „ვინ? ანდრეა? ასეთს არავის ვიცნობ; გადავციტი, რომ ახლა მანხველებს არ ვიღებ და როგორმე მოიშორეთ“.

ამ ფიქრებში იყო ანდრეა, რომ ფარდა ის იყო ეშვებოდა, მტკიცედ გადაწყვიტა, სასწრაფოდ დატოვებინა თეატრი, არც ეძება დედა და არც გაეგებინებინა, რომ იქ იყო. რაც შეიძლება მალე გაქცეულიყო, გადაელახა ღამეული ქუჩები და შუქები, რათა სემინარიამდე მიედინა. და თუ მამები ამ ამბავს შეიტყობდნენ, სიცლიაში გაიქცეოდა, ყჩაღათა შეითარს წარუდგებოდა და ბანდის ნეერობას შესთხოვდა.

ჭეშმარიტად გულსატყუნი ამგვარი ღვთისგმობა თეატრ „გლორიას“ მითვისებულ სკამზე მჯდომი სწორედ იმ ადამიანისგან, ვინც არცთუ დიდი ხნის წინ წმინდანობაზე ოცნებობდა.

საკუთარი ნაფიქრის ცხადად წარმოასახვა, ძალუმაოდ რომ დაბატონებოდა მისსხვე გონებას, ისეთი მძაფრი აღმოჩნდა, რომ საბრალოს სლუკუნი აღმოხდა. თავიდან ვერც გაიცნობიერა, როგორ მოერია ეს სისუსტიე, მხოლოდ მაშინ მიხვდა თავისად სამარცხვინოდ, როცა გვერდით მჯდომი ზორბა კაცის ხარხარი შემოესმა, რაც უეჭველი იყო, გაიფიქრა, მის სამარცხვინო სლუკუნს გამოეწვია, რომ არა დანარჩენი მსყურებლის ხორხოცი, დარბაზის ყველა მხრიდან რომ გაისმა. ნუთუ შესაძლებელი იყო ამდენ ხალხს მისი ტერილი შეეწმინა? სინამდვილეში ანდრეა კამპუნესთვის ყურადღება არავის მიუქცევია. დარბაზში ჯერ აქა-იქ მორიდებული შეძახილი გაისმა, თანდათან გაძლიერდა, აბონივ აგრძელებდა, არ იმჩნევდა და ორკესტრის რიტმზე სიმღერას ცეკვის ილეთებდა აწყლებდა. ანდრეა თავიდან ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა. შერე კაცის ხმა ჩაესმა: — კმარა! — მერე მერიანი: — კმარა, ნაი, დაიძინე! — ნაი, ჩაიცივი! — სახლში ნაი, სახე დაიძანე! — კმარა! — კმარა!. მსახიობის შემინებული ხმა სტვენასა და ზუზუნში საერთოდ აღარ ისმოდა. ძლივსღა მიხვდა ანდრეა, იმ საშინელი თავდასხმის ობიექტზე ფეხე იყო! სკამიდან წამოხტა და ქვევით, ორკესტრის ორმოში დაინახა, როგორ შეენწყვიტა პიანისტს დაკვრა და დონიჯშემოყრილი გაყურსულიყო; მერე მევილიოზე გამწარებული სახით წამოხტა და ხევი და ვილიონი სკამზე დაწყო; საქსოფონისტს ბოლო აკორდი ჩაეთაყვებინა და გულზე დაკიდებული ინსტრუმენტი ხელში შეჰყინვოდა; მხოლოდ დასარტყამი ინსტრუმენტზე დამკვრელი აგრძელებდა თეფშის ბათქაბუთქს და ეყრთი დოლს თავდათენყვითი უბრაზუნებდა.

შუა სცენაზე დამუხრებელი ფეხე რამდენიმე წამს გაქცევდა, მერე შებრუნდა და კულისებს მიეფარა; ერთდროულად ფარდა დაეშვა და დარბაზში სინათლე აანთეს. მაყურებელმა შეებას უწმინარი სიტყვებიც ამოაყოლა, იმაზე უარესი, რასაც აქამდე დასძახოდა. გამეხრებული და რისხვით ანთებული ანდრეა ხელეწივედ და, რომელიმე მაყურებელთან ხელეწივით ხელეწივით გამართვის სურვილით. მაგრამ გასასვლელისკენ მიმავალმა ბრძოლა მიაჭყლიდა.

ზღვარგადასული რისხვით დაცვა თავი ზეხილვისგან, ვიდრე არ გამოირიყა. ნახევრადდაცარიელებული დარბაზის დაბალი ჭერის ქვეშ ელექტრული ნათურების შუქზე უწოდებ შვედებილი მოყვითალო კედლები მოსჩანდა; ხის უფერო მტკრიან იატაკზე ნამწვავები და ქალაქლი მოფენილიყო; ორკესტრის დაცარიელებულ ორმოში ფორტეპიანოსა და დასარტყმელ ინსტრუმენტთან უნესრიგოდ მიეყარათ სკამები.

ორკესტრის ორმოს გვერდით ხის პატარა კიბე სცენაზე აღიოდა. ანდრეა კიბისკენ გაქცენა, ფარდა გადასწია და სცენა გადაკვეთა; ორმა მუშამ დაუყვირა: — ეი, შენ, აქ ვის ექვებ? — არაფერი უპასუხა და ისე მოსწყდა ადგილს, მეზღვარების ფორმაში გადაცმულ გოგონებს დაეჯახა, პროექტორის დამაბრმავებელ შუქზე სურათს რომ უღებდნენ. — ეე, წინ იყურე, სად მიდისარ! — შესძახეს გოგონებმა და აღმოფთებულმა ფოტოგრაფმაც დაიღრიალა, ფოტოსურათი გამიფუჭყო. ანდრეამ მათ ზურგი აქცია, უნესრიგოდ მიყრილ ცარიელ ყუთებს, მაგიდებსა და ხის დეკორაციას გადაეგოდა და იმ ვიწრო კიბის ბაქანს მიადგა, საიდანაც პარტურში ჩაივიდა. ფეხებმოშიშვლებული და დიდი შავქუდიანი ქალიშვილი კიბეზე ეშვებოდა.

- მანაკით, — შკითხა, — ქალბატონი კამპეზე სად შეიძლება ვნახო?
- ვინ?
- ქალბატონი... ფეხე...
- აა, ფეხე! ამ კიბეს აუყვებით, საკაზმულოშია.

კიბის თავში, კორიდორის გაყოლებზე ჩამწკრივებულ საკაზმულო ოთახებთან ხალხი შეკრეფულიყო, რომელიც ძლივს შეამჩნია ანდრეამ, იმდენად იყო გამაგებელი, მაგრამ მის ყურს მაინც მისწვდა რამდენიმე ფრაზა, რომელთა მნიშვნელობაც, როგორც ხდება ხოლმე, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაიანზრა.

- ტირის...
- აბა რა იქნება...
- ხომ უნდა ხედებოდეს სიმართლეს, ან მითქმელი მაინც არავინ ჰყავს?!
- ამ დამრგვალებული თემოებითა და ნვრელი ფეხებით მთლად ძროხას დამკვანებია...
- აბრეშუმის მიტმასნილი კაბა ხომ სულ ამახინჯებს, კლასიკურბალეტს უზნებო, თუმანოვა ჰქონია თავი!
- სმენა საერთოდ არა აქვს, წრიპინა ხმა კალიასას მიუგავს და მომღერლობას ჩემობს!

— ესეც შენი ვენის ტრიუმფატორი. კარგი გე მოგება! კი ქონიათ ვენელებს!

- საცქირებას, თავი პოპელა პკონია ამ ნონის პატრონს და თან ამ ასაკში!
- რამდენი ნლის იქნება?
- ოცდათექვსმეტის ვარო, ამზობს...
- სცეტრეპის, თავი კომიკური ითამაშოს, მაგისტვის ის უფრო უპრინი იქნება...

ანდრეა ერთ-ერთ მათგანს მივარდა: — მანაკით, ქალბატონო, ფეხე საით არის?

კორიდორის ბოლოში შიგნიდან განათებულ პატარა ოთახზე მიუთითეს. კართან მიახლოებულის ტირილის ხმა შემოესმა. ვინრო შესასვლელი ქალეების პატარა ჯგუფს ჩახებრგადა ანდრეამ მუჯღუფუნებით განი-გამონია ისინი.

ქალეებით გარემორტყმული (ვინ მსახიობი იყო და ვინ მომსახურე პერსონალი) უამრავი ნატრისა და ძონისს შუაგულში მონგრეული სარკის წინ ზედ უნესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ჭუჭყიანი საგნებით დედა იჯდა (მუდამ ლირსეულად თავდაჭერილი) და ახლა მოურიდებლად ტირიდა, თან ისეთი ვატრეპის, სამხრეთელ მდაბიო ქალეებს რომ სჩვევიათ, იმავდროულად თმიდან ბრჭყიალა სავარცხლებს, მკლავებსა და ყელზე ასხმულ მოკაზმულობას ისინიდა იმეორებდა:

- მორჩა, მორჩა, დამთავრდა!
  - დედა! — შეუღალდა ანდრეამ.
- სახეზე ჩამოშლილი გაჩეჩილი თმიდან გამომზირა, ისე დააკვირდა, თითქოს ვერ იცნო თავისი გამძვინვარებული, შავი ხალეებისაგან ჩამუქებული თვალებით. მერე ფერუმარლით შეტკეცილი ნიღბადტკეცილი სახე წელ-წელა მოუღბა და გულისგამგმირავი, ნრეგადასული სიყვარულით გადასებული ხმით (სიცილიელი დედების დამახასიათებელი) შესძახა:
- ანდრეურო, ჩემო!

ანდრეა დედას ჩაეკონა და ისეთი გრძნობამორეული ზღუქენი ამოუშვა, ველარ დაწყნარდა. ბოლოს გაახსენდა, რომ მანაკაცი იყო, ტირილი შეწყვიტა და დედას ეკლავებიდან დაეხსნა. უცებ საშინელი სირცხვილის გრძნობა დაეუფლა, ამდენი უცხო ქალის წინაშე ასე რომ დაკინდა; მათკენ შებრუნდა და მუქარიანი მზერა ესროლა, თითქოს ყველა განადღეულებას სურდა.

- დედა დაბინდული ღიმილით შესცქეროდა.
- კი მაგრამ, აქ საიდან გაჩნდი, როგორ მოხვედი?
- ანდრეამ მხრები აზიდა და უპასუხა:
  - გამოიქეცე.
  - სემინარიიდან გამოიქეცი?!
- მერე შენი ანაფორა?

ისეც აიჩენა მხრები და ქოჩორი თვალეზე ჩამოეშალა; სახეზე ღიმილი გაუკრთა და ხელეები შარვლის ჯიბეში ჩაიწყო. ცდილობდა ქალეების ცნობისმოყვარეობისაგან თავი იმით დაეცვა, რომ სახეში არ შეეხებდა, მხოლოდ ქუთუთოებდახრილი ზეგრავდა ნახევრად თავხედური და ნახევრად ნანყენი გამომეტყველებით. აღ-

ფრთოვანებული დედა გაბრწყინებული თვალე-  
ბით უყურებდა, გვეგონება გვირთ ყოფილიყო,  
პარტიზანი და მტრის წინა სახი ვადმოვლავთ.  
— სემინარიიდან გამოიქცევი... რომ აქ, ჩემ-  
თან მოსულიყავი?!

— როგორც ხედავ!  
გარემონციობილმა ქალებმა მომხდარის გან-  
სჯა-მსჯელობაში ერთი აურზაური ატეხეს. ან-  
დრეამ წარბები მოქუშა და მედიტაციის ღარზე  
სიმაკარის ნაოჭი ღრმად აღებუქდა შუბლზე.

— ჩემო წმინდანო, ჩემო წმინდა ანგელოსო,  
გულო ჩემო! — წამოიძახა დედამ და ხელები და-  
უკოცა.

ციმბ-ცხელებიანივით საცხებიანი ივით  
სახიდან გრძობი მოიშორა, მეგრ ფარდის ჩერთ  
მიიძალა, ტულის ორმაგი ქვედაბოლოს, ძვირ-  
ფასი ქვევით მოოჭვილი კორხეტისა და გრძე-  
ლი წინდის მსგავსი აბრეშუმის ბლუზის (მთელ  
ტანს რომ უფარავდა) გასხადელად და თავისი  
შავი დიდებული კაბა და პირბადიანი ქუდი მო-  
ირგო. როგორც კი ამას მორჩა, ირგვლივ (ფარ-  
დის უკან საკიდიდან და სარკის ქვეშ მდგარი  
კალათიდან) თავისი პირადი საგნების — ქვე-  
დაბოლოს, გედის სამოსის, ბუმბულების, დი-  
ადემების ნაშორეუვა დაიწყო და ყველაფერი  
უთავბოლოდ ჩემოდანში ჩაყარა, თან პირბადი-  
ნას შირვეულობითა და ქედმაღლური ტრინით  
ამბობდა: — მორჩა, დამთავრდა, მშვიდობით,  
ხეალ წარმოდგენა არა მაქვს, შეგიძლიათ დასს  
შეატყობინო!

სიტყვა დასს ისეთი დამამცირებელი გამო-  
მეტყველება დააყოლა, თითქოს აყვედრიდა,  
თქვე მდებარეობ, ნამდვილი ხელოვნებისა არა-  
ფერი გაგებებათო. აღარ მივაქციოთ ახლა ყუ-  
რადლება ორ-სამ არანაკლებ დაუნდობელ და  
აგ ფრაზასაც, რომელიც იქ მყოფმა ზოგიერთმა  
კოლეგამ ესროლა და რაც (ისევე, როგორც ცო-  
ცა ხნის წინ კორიდორში გაგონილი ბოროტი  
მიოქმა-მოთქმა) ანდრეას კონებაში გვიან გაიაზ-  
რა.

ჯუღიტა იქ მყოფ ქალებს გამოემშვიდობა,  
ანდრეას ხელი ჩაჰკიდა და ქუჩაში გამავალი კი-  
ბისკენ გაიყოლა. მღელვარების მიუხედავად,  
ანდრეამ შეამჩნია, რომ ბავშვივით ექცეოდნენ  
და აწყინა, ხელი გამოეწოვა დედას, ნამანაქ-  
ბი მონჭურა და მარჯვენა ხელიდან ჩემოდანი  
ჩამოართვა. დედამ არა მხოლოდ სიამოვნებით  
დაუთმო პარგი, მისდა გასაოცრად, მხარზე და-  
ეყრდნო.

ციხის ზედამხედველმა ამჯერად თავი ასწია  
და დაინახა ისინი, ანდრეამ ისეთი დამამცირებ-  
ელი იერით ჩაუარა, თუ პატიმრების ყოფილ რის-  
ხვას რამე ადამიანური ღირსება კიდევ შერჩენო-  
და, მინის ფეხქვეშ გასკდომა უნდა ერჩინა და  
საკუთარი ნასულის შერცხვინოდა, როცა, ვინ  
იცის, რამდენჯერ მარჯვენა ხელში მოქარუ-  
ნე გასალებით საკანს კეჭავდა.

— ეტლი! — დამიძახა ჯუღიტამ, როგორც  
კი მოედანზე გავიდნენ. და მაშინვე მეტელის  
თავაზიანი შემოკვრით თავზე ეფხვებასხეული

ლამაზი ამლაკი ცხენი ჩვენი მგზავრებისკენ გა-  
ემართა. ჯუღიტა სასონარკვევთისაგან სრული-  
ად განკურნებული ჩანდა. გამხიარულბული  
და აღტკინებული, როგორც აქამდე ანდრეას  
არასოდეს ენახა, მის გვერდით ეტლში ჩაჯდა,  
მაგრად მიიკრა და უთხრა:

— აჰ, ჩემო ძვირფასო რაინდო, ჩემი გულის  
ანგელოსო, რა ძვირფასი საჩუქარი მიერგო ამ სა-  
დამოს!

ჯუღიტამ მეეტლეს სასტუმროს მისამარ-  
თი უთხრა იმ გადაწყვეტილებით, რომ ამაღალ  
ანდრეა მოსთან უნდა დარჩენილიყო და დი-  
ლით თავადვე მოაგვარებდა მამებთან საქმეს.  
მაგრამ ანდრეას თავისი მოვალეობა გაახსენ-  
და, უფრო სწორად, თავისი დანაპირები, ანაც-  
ვლისა და არკანჯელო ჯოვინას რომ მინცა,  
— ღამის პირველ საათამდე ტანსაცმელს დაგიბ-  
რუნებთო. — არაფერია, — უთხრა ჯუღიტამ,  
— ეტლი იქამდე მიგაციყვანს და დაგველოდება,  
ვიდრე საჯინბოიდან არ მოგვრუნდებოთ, მეგრ  
კი სასტუმროში დაგვტოვებს. და ეტლმაც მხი-  
არული ჭლარუნით გაკურცხლა იმ გუბებზე, რო-  
მელიც ანდრეამ ერთი საათის წინ ქურდოვით  
მალულად გადაიარა, მხოლოდ ერთი განსხვავ-  
ებით — უბადრუკი ეჭვით (უფრო ზუსტად  
ღრმად დარწმუნებული), რომ დედას იგი აღარ  
უყვარდა!

ვინრო ბილიკს რომ მიადგენენ, ეტლმა ველარ  
გაიარა, ანდრეა დედასთან ერთად ფეხით გაუყ-  
ვა იმ ქაბაზე, სადაც ანალორა დატოვა. გვირ-  
ანად დაწამბრდელ, ჯერ მოშოთიბებ ბალახში გაჩ-  
ქარებულებმა ბაყაყი ნამოახტუნეს, რომლის  
მოსტუნავე პანანინა ჩრდილმა ბილიკის ბოლომ-  
დე გაიყვანა ისინი. ანდრეამ გაიფიქრა: „სიტე  
აღბთ შინ ბრუნდება, თავის გუბებში, სადაც დე-  
და ბაყაყი ელის“. არამხოლოდ გაყურსული მღე-  
ლოები, მთელმხარე მიეხიცი და მინა, თვით ცაც  
ამ წუთში ანდრეას მოსიყვარულე ოთახებზე გი-  
ვეწებობდა, სადაც ოჯახები იკრებოდნენ, ისე-  
თივე ბედნიერები, როგორც ახლა თავად იყო.  
დიდი დათვის თანავარსკვლავედი თავისი უამ-  
რავი შვილით; მდინარის პირას ერთ ოჯახად შეკ-  
რებილი ალვის ხეები; აქეთ დიდი ლოდი, იქვე  
ახლოს პატარა ქვა, რომელიც ფორმით ცხვარის  
ნაავაგდა, თავისი ბატკნით. მალე ქოსს მიად-  
გნენ, სადაც ანდრეამ ნათხოვარი ტანსაცმელი  
გაიხადა და ანალორის ჩაცმას შეუდგა, რომ ჯუ-  
ღიტამ (რომელსაც ამ შავი პირქუში ანალორის  
დანახებაზე სახე დაუნაღვლიანდა) საფუძელი-  
ანი არგუმენტებით, რომ სასტუმროში ასე ჩაც-  
მული ვერ გამოცხადდებოდა, გადააფიქრებინ-  
ა. რაკილა სხვა არაფერი ჰქონდა ჩასაცმელი,  
დედამ დიდი ანდალუზიური თაგული ნამოსახ-  
ხა, სცენაზე რომ ებურა ხოლმე და ჩემოდანში  
რომ ვერ ჩატოდა, დაკეცილი, მკლავზე ეკიდა.  
გარდა ამისა (დაარწმუნა შვილი), მხოლოდ სა-  
ჯინბოშივე არაფერ შეხედებოდათ, ქვეტლეს კი  
ეტყოდნენ, რომ შემთხვევით გუბებში ჩავარდა  
და მთლად დასველდა, ხოლო სასტუმროში ამ  
დროს არავინ იყო ჩაბნელებულ შესასველში

თავის თევზის იქით მთელეზარე მეკარის ვარ-  
და, რომელიც მსახიობების მისვლა-მოსვლას  
შეჩვეული, ცხადია, არ დაინტერესდებოდა ან-  
დალუმბურნი თავმლით, სულაც, ანდრეა გოგო  
ეგონებოდა.

ჯუდიტა ქოხთან დარჩა, ვიდრე ანდალუზი-  
ურ თაემალში გახვეული ანდრეა ანაკლეტოს  
საჯინიშოკენ გაზბოდა. დაპირებისამებრ, ტან-  
საცმელი ფანჯრის ცხაურდან ფრთხილად გა-  
დაყარა, მძინარეები რომ არ შეეწუხებინა, ისე  
კი იმდენად ამზიარულეზდა თავისი უჩვეულო  
სამოსი, ცდუნება ძლივს დასძლია, ანაკლეტო  
და მისი მეგობარი არ გაუღვიძებინა. მარტო იმის  
წანამოდგენა, რომ ისინი თაემალმობოტურლს და-  
ნარსავედენენ, სიცოცხლე გვრდოდა. საჯინიშოკე-  
ტი ჩაეჭროთ, მშვიდი სიბნელიდან თივისა და  
ცხენის ჩალის ოჯახურ სურნელში მამაკაცური  
ხერხევა ისმოდა: „რა თქმა უნდა, ჯარისკაცია“,  
— გაიფიქრა ანდრეამ. იმერ ნაბურცყუნება ჩა-  
ესმა: „ეს კი ანაკლეტო ბოდაესო“; ფშვინვაც  
შემოგება, შრიალის მსგავსი, ანდრეამ ამ ხმაზე  
კვიცი წარმოიფიცა.

— გმადლობ, ანაკლეტო, — ჩაიჩურჩულა  
თავისთვის, — გმადლობ, ჯოვიანა, იძინებ მშვი-  
დად ყველამ, თქვენც, ცხენებო, ღამე ნებისა! —  
ამ გამოთქვიდობების შემდეგ დიდ ანდალუმბო-  
ურ თაემალში გახვეული ისევ გადაეცლო მინ-  
დვრების და დედისაკენ გაქაზდა.

არავითარი ახსნა-განმარტება არ დასჭირ-  
ვებით, არც მეეტლესა და არც სასტუმროს  
მეკარეს ანდრეასა და მისი თაემლის მიმართ  
არავითარი ინტერესი არ გამოუჩენიათ; აღბათ  
იმიტომ, რომ ორივენი თვატრადების სამსა-  
ხურს მიჩვეულები, ნშირად ხედდნენ მსგავს  
პერსონაჟებს და ყველა ჯურის კომედიანტებს.  
სასტუმროს, რომელიც უფრო თაემლსაფარს  
შეადგა, სასტუმრო კარუზო“ ერქვა და ერთ  
ნეაპოლეს ეკუთვნოდა, რომელსაც ყოველი  
ოთახი ფერადი სურათებით მოელანაზებინა  
ვეზულის გამოსახულებითა და ტარანტელას მო-  
ცეკვავე მხიარული ფიგურებით. ჯუდიტას ოთა-  
ხი (სეროული წარმოების ცოტაოდენი ავეჯით,  
ოცდაათ-ორმოცი წლის წინ მოღურდა რომ  
იოვლებოდა) როგორც სხვა ყველა დანარჩენი,  
ორსაწლიანი იყო, მაგრამ იგი პატეიზოყვარე-  
ობის გამო არავისთან იყოფდა. ორ საწოლს შუა  
მორყულ იატაკზე ( შენობა საკმაოდ ძველი  
იყო) კვადრატებითა და რომბებით მოხატული  
გადახუნებული პატარა ფარდავი ეფინა. ერთა-  
დერთი ნათურა, ჭერის ცენტრში დაკიდებული,  
მზუტავე შუქს გამოსცემდა და გაუჭებული  
ამომრთველის გამო ნამდაუნუნ ინთოვდა და  
ქრებოდა, კედელს რომ მთლიანად მოსწყვეტო-  
და და შიშველ სადგნზე ეედა. ოთახის კუთხე-  
ში პირსაბანი იდგა ცივი წყლის ონკანიითურთ,  
გვერდით მხოლოდ ერთი პირსაბოტი, მთლად  
გაცვეთილი, სველი, შუი ასოებით ამოტვირთუ-  
ლი სიტყვებით „სასტუმრო კარუზო“. ერთ კე-  
დელს ამშვენებდა ფერადი სურათი, რომელსაც  
ფონად მბოლავი ვეზუეი ედო, პირველ პლანზე

კი სანდომიანი მოხუცებული, მოხეს მიმსგავსე-  
ბული წვერითა და ქაზრად შემოვლებული ნითე-  
ლი სარტყელით, რომელიც მბოლავ ვულკანს  
გასცემდა და თავდაც დაუფარავი სიამოვ-  
ნებით ჩიზუსს აბოლებდა. უფარდებო ფანჯარა  
წყნარეზოზე გაიოდა, საიდანაც წყლის მსუბუ-  
ქი რაკაკი და წყალსადენის მილის მოზინადრე  
კატკის ფაფუნი ისმოდა.

ჯუდიტამ ანდრეასთვის ერთი საწოლი შებერ-  
ტყა და ხელახლა გულმოდგინედ გაასწორა; მე-  
რე როგორც კი შეილი საწოლში შეწვა, ფეხბო-  
ლოს ფარდაზე მოიკალათა ძალივით და აუნე-  
რელი სინაზითა და ერთგულეზით შეეცქერდა.

— ჩემო დამაზთვალეზბა, ჩემო წმინდანის  
თვალეზბა, დედის ვარსკვლავო, სიზმარი მგო-  
ნია, აქ რომ გხედავ, ამ ოთახში, ამ საწოლში!..  
ღეთისმშობელი მარიაა, სიზმარი მგონია! —  
წამოიძახა და თვალეზბი მოსირისა, თითქოს დარ-  
წმუნება უნდოდა, რომ ცხადში იყო; ცრემლები  
წასკდა და შთაგონებული ღიმილით განაგრძო:

— ანდრეუჩო, მოდი, პირობა შეტყერათა ამაღამ,  
ჩვენ ორმა? გინდა გითხრა, რას ვაპირებ მომა-  
ვალში? მე სამუდამოდ დავტოვებ თვატრს, შენ  
კი სემინარიიდან გამოდი. დაებრუნდით რომში,  
ჩვენი ლაურეტაც ნამოკოყვანით და ისევ ერთ  
ოჯახად შევერთდეთ; ცოტაოდენი შემოსავალი  
კიდევ მაქვს პალერმოდამ, ცეკვის გაკვეთლე-  
ბითაც რაღაცას ვიშოვი, ვიდრე თქვენ ორნი  
სწავლას არ დაამთავრებთ; შენ და ლაურეტა  
ლიტუუმში ჩააბარებთ რომში და ვიცხოვროთ  
ასე, შენ ოჯახის უფროსი იქნები.

დედის ნათქვამმა ისე ააღელვა, სიხარულით  
თავიდან ფეხებამდე გააზრიალა.

— შენ, — ჰკითხა, — აღარსოდეს დაბრუნ-  
დები თვატრში?

— აღარასოდეს! — ზიზლიანად მოჭმუნსა  
შუბლი და სლუკუნსა და სლუკუნს შორის ხე-  
ლებებადაჭტობილმა გაიფიქრა, უარს არ თქვა-  
სო, — აღარასოდეს! თუ შენ ასე გინდა. მაგრამ  
შენ ხომ არ დამტოვებ მარტო? უარს იტყვი სემი-  
ნარიანზე, უარს იტყვი მღვდლობაზე, ხომ? მითხ-  
არი ხომ ასე მოიტყვი, ხომ?

ანდრეა მკაცრი და კეთილსინდისიერი გამო-  
მეტყველებით ჩააკვირდა დედას და თავის დაქ-  
ნეით უზასუსა:

— შო, რა თქმა უნდა, ისევ ერთად შევიკრით  
და ოჯახის პატრონი ხომ საჭიროა?!

ჯუდიტა ხელში სხნდა და კოცნით დაუფარა.  
იმშუბით (და ამას მოგვიანებით ეტყვის), ანდრე-  
ას ნამდვილი სიცილიელის იერი ჰქონდა: იმ  
მკაცრი, ღირსეული სიცილიელისა, რომელიც  
დღენიადაც თვალყურს ადევნებს დას, საღამოს  
სახლიდან მარტო რომ ამ გავიდეს, თაყვანის-  
მცემლებმა არ შეაწუხონ, პომადა არ წაიჭოს  
და რომლისთვისაც დედა ორ რამეს ნიშნავს:  
მოხუცს და წმინდანს. ვისი დედის კაბის ფერიც  
შავია, ან ყავისფერი, უნიადურეს შემთხვევა-  
ში, ნაცრისფერი. მის საცემელს უფროსა არა  
აქვს, რაკილა არაიენ, მკერავით დანყებული, არ  
ფიქრობს, რომ დედას ქალის სხეული აქვს; მისი

ასაკი იდუმალა, მნიშვნელობას მოკლებული, რამეთუ მისი ერთადერთი ასაკი სიბერეა. და ამ უფორმო სიბერეს წმინდანის თვლები აქვს, რომლებიც ტირიან არა თავისთვის, არამედ შვილებისთვის; ტუჩები აქვს, ისიც წმინდანის, რადგან ლოცულობს არა თავისთვის, არამედ შვილებისთვის, და ვაი, იმას, ვინც შვილების თანდასწრებით უმისამართოდ წარმოთქვამს დედის წმინდა სახელს! ვაი, მას, რადგან მომაკვდინებელ ცოდვას ჩაიდენს!

დიდი პირობის დადების შემდეგ ჯუდიტა მომავალი გეგმების განხილვას შეუდგა. დასაწყისისთვის გადაწყვიტეს, რომ დილაადრიანად დედა სემინარიაში გამოცხადდებოდა, რათა მამებისთვის განეცხადებინა, ჩემი ვაჟი თქვენთან დაბრუნებას აღარ აპირებსო. ამის მერე ანდრეასთვის ტანსაცმლის საყიდლად წავიდოდა, ვინაიდან მას ანაფორისა და რამდენიმე საცვლის გარდა არაფერი ებადა, თუ არ ჩავთვლით იმას, რაც ჯერ კიდევ ბავშვს სემინარიაში შესვლისას ეცემა.

რაკი ასე მიშვლად დარჩენილიყო, დედის დაბრუნებამდე საწოლიდან ვერც ადგებოდა. მაგრამ ჯუდიტა დარწმუნებული იყო, რომ მალევე მობრუნდებოდა სასტუმროში და ანდრეას ისევ მძინარეს მოუსწრებდა.

თათბორის თეოლოგულად ქალის განრისხებულმა ხმა შეანწყვტინა, რომელიც მეზობელი ოთახიდან საერთო გასასვლელის კარზე ენერგიულად უბრაზუნებდა:

— ეე, ხალხო, სამი საათია, გვადირსებთ ძილს?!

ჯუდიტა წამოენთო, გასასვლელთან მივარდა და შესძახა:

— ერთი ამას დამიხდეთ, ვინ გემოდღვრავს, სწორედ თქენ, ვინც მთელი დღე არ დამასვენოთ თქვენი რაკრაკით, ნუხელ კი, ვოხს მამაზე აღარაფერი ეთქვათ! სირცხვილისაგან იძულებული გახდები ყურები დამეცო! ახლა რა თავს ინაზებთ?!

მეზობელი ოთახიდან ჯერ ბურტყუნო გაისმა, მერე მოვადული სიცილი და სხვა ქალის ხმა მამლევებით გამოსახა:

— აბა, შენცა ხარ, ვენის ტრიუმფატორო!

ჯუდიტა წამით შეეყვანდა, თითქმის კარზე თავდასხმას ეპირებოდა, მაგრამ გადაიფიქრა და უხილავი მტრის მისამართით ერთადერთი სიტყვა ისროლა, რომლის შურაცხმყოფელი განზრახვა (ხაზგასმული ტონის მიხედვით) აბოლოტურად მისტირებული დარჩა:

— ოჰ, ტენორო!

მერე სინათლე ჩააქრო, ბნელში გაიხადა და საწოლში შეწვა. ჩუმი ქეთინისა და დროდადრო ტუნყვეტილი სუნთქვის გაგონებაზე ანდრეამ ტუნჯები აამოძრავა და სათქმელად მოემზადა:

— დედა, ნუ ტირი.

მაგრამ სინამდვილეში არ წარმოუთქვამს, რადგან სწორედ იმ ნუთით ძილმა წაართვა თავი. ერთი საათიც არ იყო გასული, შფოთიანით წამოხტა (რიფრაჟი ჯერ არ დამდგარიყო),

ღმერთზე ფიქრმა გამოაღვიძა, გაახსენდა, რომ ძილის წინ ლოცვა არ უთქვამს და ისიც, რომ მთელი დამის განმავლობაში არც ერთი წამით, არც ფიქრში, უფლისთვის პატივბა არ უთხოვია იმ საშინელი ცოდვისთვის, რაც ჩაიდინა. ახლა ვეღარ ბედავდა ვერც მონანიებას და ვერც ლოცვას, რადგან თვენი იყო, დევერტრისა, რომელიც უარი გვიან საშობეზე ამის უფლებას აღარ ჰქონდა! და ზეციური არმია წარმოიდგინა: უზარმაზარი შეიარაღებული ფლოტი, სპილენძისგან მოლაპლაპე, წმინდა ფრთებითა და წმინდა დროებით, თანდათან რომ შორდებოდა, ღრუბლებივით უწინარდებოდა და მოლაპლატე კამპეზს მინაზე ტოვებდა! ამის წარმოსახვაზე სინანულითა და მონატრებით აღვსილი ანდრეა გულიანად აღირდა. განთიადი წელიწელ შემოდიოდა ოთახში და პირველივე სივზე ცრემლჩამომდინარემ ფანჯრის სახელურზე დაკიდებული დიდი შავი სილუეტო შეამჩნია: ანდალუსური თავშალი იყო, რომელიც საკუთარი სირცხვილის გამოსახულვად აღიქვა. მთლად დაკარგული უნდა ჰქონოდა იმ ღამით ღირსების შეგრძნება, ეს დამამცირებელი ფლანკრომ შემოიხვია, ანდა სირცხვილის გრძნობა-წართმეულმა, საერთოდ როგორ გაბედა და სიამოვნებაც კი განიცადა. ფორიაქს დალილოობამ სძლია და ისევ ჩაეძინა.

ჯუდიტამ გააღვიძა (დილა კარგა ხნის გადასული იყო), საყვილიდან კმაყოფილი დაბრუნებულიყო. განთიადის კომპარი გამქრალიყო. დედას კოსტიუმი მოეტანა, მთლიანი კომპლექტი, ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ მაღაზიაში წაიყიდა: მამაკაცის კოსტიუმი, ანუ მამაკაცის თარგზე მოჭრილი, გრძელი შარვლით და ერთილიან სახაფხულო პიჯაკით, მხრებზე შიგნიდან სრულყოფილად გამოკერებული სამხრეთი. იღბალმა გაუმართლა ჯუდიტას და კოსტიუმი ზუსტად ანდრეას ზომისა აღმოჩნდა, ასე რომ, რაიმეს გადაკეთება საჭირო აღარ იყო. იმავე მაღაზიაში თეთრი აბრეშუმის პერანგიც ეწო, თავისთავ საყვილითა და მადეებით, ზუსტად ანდრეას ზომაზე რომ იყო გამოჭრილი. ბუნებრივია, არც პალსტუხი დავიწყებოდა, წითელი და ლურჯი ზოლებით, რომელზეც უკუღმა ეკიდა გლეჯი ყვითელი ეტიკეტი (ამ ყველაფრის საყიდლად ჯუდიტას თავისი ოქროს ნესესერი გაეყიდა).

კოსტიუმი როგორც კი მოიბრგო, პირველი, რაც გააკეთა, აჯიბში ჩაიწყო ხელები და ორივეში სიურპრიზი აღმოაჩინა: ერთი მხარის ტყავის საფულე იდო, მეორეში — ამერიკული სიგარეტის კოლოფი. ანდრეა კმაყოფილებისაგან განითლდა და ჯუდიტას სიამაყითა და უსაზღვრო მადღერებით სახვე ღიმილი შეაგება.

მაგრამ სულ რამდენიმე თვეში ეს ბედნიერი ნუთები გახუნდა, გაცვდა და დავინყებას მიეცა. დედა-შვილმა დადებული პირობა კი შეასრულა, მაგრამ ანდრეას დიდი დრო არ დასჭირებია იმის მისახვედრად, რომ ჯუდიტას დაპირება და

მთელი მისი წინარე ცხოვრება ტყუილს მალავდა. დედას, სინამდვილეში, მისი სიყვარულის გამო არ დაუტოვებია თვატრი, მხოლოდ იძულებით შეწყვიტა მსახიობობა და ამ ნაზიფისთვის ადრეც ემზადებოდა. ცხადია, ჩვენთვის ნაცნობი იმ საღამოს გადამწყვეტი წარუმატებლობა ყველაზე მწარე აღმოჩნდა, მაგრამ პირველი არაა. კარგა ხანი იყო რაც ყოველ სამეტკაელს, ნებისმიერ ქალაქსა თუ თეტრში, სამარცხვინოდ ამთავრებდა — აი, ეს იყო სიმართლე. თანდათან ყველაზე წყალნალექბული იმპრესარიოებიც კი უარით ისტუმრებდნენ. ჯუდიტა ვერ შეედა რეგორც კლასიკური ბალეტის მოცეკვავე და არც ვარიეტესა და რევიუსთვის იყო გაჩენილი. ერთი სიტყვით, იმ დამეს ჯუდიტას არაფერი გაუწირავს ანდრესათვის და შეიღს მხოლოდ იმიტომ დაუბრუნდა, თვატრის გზა უკვე სამუდამოდ პქონდა გადაეკეტა.

ეს პირველი სიმწარე ანდრესათვის საბედისწერო მარაგი აღმოჩნდა იმ სარკისა, რომელშიც გზადაგზა ილანდებოდნენ საკუთარი ილუზიების ფიგურები. ასე თანდათან მიხვდა, რომ დედამისი არასოდეს ყოფილა ცნობილი მსახიობი, რეგორც ბავშვობაში წარმოედგინა, თუნდაც უტყობი, საერთოდ არ იყო მსახიობი. იმ უკანასკნელი სპექტაკლის სკანდალური ჩაფლავება (რეგორც მაშინ გულწრფელიად სჯეროდა) გაუნათლებელი პროფინციელების უზრდელი გამოხტომის შედეგი არ იყო. ცხადია, იმ პატარა ქალაქის ხეგრე მყურებელი უკულტუროდ მოიქცა, მაგრამ მთელს ქვეყნიერებაზე არსებული ვერანაირი მყურებელი ვერ გააღმერთებდა ჯუდიტა კამპეზეს, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ამბიცია გააჩნდა და არამც და არამც ტალანტი. ახალა გაიპარა ანდრეამ იმ საღამოს თვატრის კორიდორში დედის საკაზმულოსთან გაგონილი სიტყვები, მაგრამ რეგორც ჯარისკაცები, ჩასაფრებისთვის მგომ ემზადებიან, ძლივს გაგონიდ ბრძანებაზე, ის სიტყვები მისი გონების საფარში ჩაიმაღლნენ, საიდანაც მოულოდნელი თვდასხმისათვის ახლა წამოიშლნენ... და ანდრესას მესხიერებაში სათითაოდ გაისმოდა დედის მისამართით წარმოთქმული ის სიტყვები, რომლებიც ამპარზუნი იყო, და უნდრებელი მტერივით მოსაგერიებელი, მაგრამ საბოლოო ჯამში, ტყუოდნენ? ფრთხილად, ანდრეა, იყავ გულწრფელი, ის სიტყვები სიცრუეს ამბობდნენ?! არა, სრულ სიმართლეს ღალადებდნენ! ჯუდიტა კამპეზე აღარც ღამაზი ქალი იყო, თუმცა დიდი სილაზაზით არც არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ ახლასულად ამეხედებოდა, დაბერებულიყო. ამის გამო ანდრესას ეცოდებოდა კიდევ და პატიობდა მის წინაშე შეცოდებას, მაგრამ პატიება, რომელსაც თანაგრძნობა წარმოშობს, ღარიბი ნათესავია იმ პატიებისა, სიყვარულით რომ ჩნდება.

ბალერინა ჯუდიტას მოსიყვარულე დედად გადაქცევა დაუფერებელი სასწაული იყო. ახლა

იგი ტიპიურ სიცილიელ დედას ჰგავდა, სახლში რომ გამოიკეტებთან და მზის სინათლესაც კი ემალებიან, რთა საკუთარ შეილებს ჩრდილი არ მიაყენოს; თავად გამხმარ პურს რომ ჭამენ და შაქარს შეილებისთვის ინახავენ; ქუჩაში დაუვარცხნელნი გამოდიან და შეილებს მოგვრილი ხელებით შუბლზე თამას უხუჭუჭებენ; თავად კუდიანივით ბამბაზის ძონინ აცვიოთ და შეილებს ისე მდიდრულად აცმევენ, მაღამ და მილორდით უნდა მიმართო.

მაგრამ ანდრეა ამ ყველაფრისთვის არ ემაღლიერებოდა დედას და მელანქოლითა და გულგრილობით სავსე თვალებით თუ შეხედავდა ხანდახან. ნერვიული გახდა, სიტყვაძიერი და სრულგებოთაც არ ცდილობდა თვანის უფროსობას. შემძლება ითქვას, რცებნოდა კიდევ თვანის რომ პქონდა, დეასაც კი აღარ აქცევდა ყურადღებას და თუ ლაუერება სადმე დღესასწაულზე, ან მიღებაზე უნდა წასულიყო, გაყოლაზე სასტიკ უარს აცხადებდა. აღარც ეკლესიაში დადიოდა, საკუთარი სანოლის თავიდან ხატიც კი ჩამოხსნა.

ბოლო ხანს კიდევ გაიზარდა, გახდა, უკვე ჯუდიტას გაუსწრო სიმაღლეში; მიხრა-მოხრაც უხეში გაუხდა; ლოყებმა წინანდელი სივანე და სიგლუვე დაკარგეს; ხმაც, სულ რომდენინე თვის წინ ასპუქსკისას რომ მიუგავდა, უხეში და ხრინიანი გაუხდა.

როცა ჯუდიტასთან ცეკვის გაკვეთილებზე პატარა პლერინები მოდიოდნენ, ანდრეა მათ ზედაც არ უყურებდა, გაღიზიანებული სახლიდან გარბოდა და თითქმის მთელ დროს გარეთ ატარებდა. სად დადიოდა? ვის ხვდებოდა? არაფერ იცოდა. ერთმა ქალბატონმა, ჯუდიტას მოსწავლის დედამ, სიტყვა გადაუქრა, ქალაქის გარეუბნის კაფეში ხშირად ხედავენო თავხეხულალებული ქუჩის ბიჭების ნრეში.

ჯუდიტამ ვერც გაბედა შეილის გამოკითხვა, მოერიდა. ანდრეათი ამაყვება და გულში არასოდეს ამტყუნებდა, ღრმად იყო დარწმუნებული, ბედი რაღაცა დიდს უმზადებდა.

ანდრესას კი საკუთარი მომავალი „ოპერის დიდ თვატრად“ წარმოედგინა, რომლის კარს მიღმა მოზუზუნე უტყობი, მისტერიულ ბრბოში ყველაზე იღვწალი პერსონაჟი თავადგევა, მარტოსული ანდრეა კამპეზე! ვინ იცის, რა ელის მას? მხოლოდ ერთი სურვილია შერჩენია — საკუთარ უტყობი „მეს“ დამაბრმავებელი გამარჯვება, რწმენა, დიდება აჩუქოს! მაგრამ, ვაი, რომ საითაც არ უნდა გაიქცეს, მუდამ ერთ ადგილას რჩება, ვითარცა ლანდო, მოჩვენება, ისევე ის მარადილად ზედმეტია:

ანდალუზიურ თავებლში გახვეული ნალელანი და ქედმაღალი გმირი.

იტალიურიდან თარგმნა  
ნუნუ ველაძემ



ნელი  
პეხია

„სიყვარულია მახალი“

(მანანა ჩიტიშვილი. ერთტომეული. 2005 წ.  
„ეროვნული მწერლობა“)

მწერალთა ბოლო ყრილობას ვესწრებოდი. დარბაზში დაგვიანებით შევედი, მკრთალი შუქი, მომხსენებლის შორეული ხმა, ნაცნობ-უცნობი სახეები ... კუთხეში მივჯექი. არ გამიგია, რა დრო გავიდა, წამით შევამჩნიე, ზედა რიგებიდან როგორ გადმოაწოდეს ნიგნი. ხელიდან-ხელში გადმოინაცვლა, რიგიდან — რიგში. ერთგან გადაშალეს, სადაღაც ჩაიკითხეს. ნელი-ნელ მოინედა ოქროსფერი მთვარეებით მოხატული, წეგოსფერი ნიგნი. და როცა ჩემამდე მოაღწია, მომეჩვენა, თითქოს სივრცე ერთბაშად განათდა, თანამოკალმეთა სახეები უფრო ღიმილიანი და ახლობელი გახდა, ხოლო მომხსენებლის ხმა იმედითა და რწმენით აიკოს... არც წარწერა წამიკითხავს, არც შემთივალეიერება, ნიგნი გადავშალე და პირველსავე სტრატეონებს ჩაუღრმავდი:

მინდა ჩამოვვდე ამ კიბეზე  
მათხოვრის გვერდით,  
მოკლულ ჩიტვივით დავისვენო  
მუხლებზე პეშვი  
და ამვლელ-ჩამვლელს, უცნობ-ნაცნობს  
მუდარით ვთხოვო:

„ღვთის გულისათვის,  
გამიშვით კეთილი სიტყვა“.

ამ შემთხვევაში „კეთილ სიტყვას“ იმაზე მეტი დატირთვა აქვს, რასაც თავად ითხოვს პოეტი. ერთმანეთის გატანის, სიყვარულის, ურთიერთმატივისცემის გარდა იმ უმთავრეს ადამიანურ ჭეშმარიტებებზე მიგვითითებს, ასე რომ გვაკლია დღევანდელ დღეს.

მანანა ჩიტიშვილი გაუმხეველი სურვილების ოსტატია. მცირე მინიშნებით იგი იმაზე მეტს ამბობს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს:

ჩამკიდე ხელი, მომატარე გალობით ზეცა  
შევბით ითრთოლებს ჩემს ბაგეზე  
ხმები ათასი...

ტანთ აბრეშუმის სამოსელი  
არც როდის მეცვა,  
მაგრამ სულს პქონდა სინატიფე  
დიბა-ატლასის.

ყველაზე მსუბუქი და უნაზესი მუსიკა ხომ ადამიანის სულისთვის იწერება, ამგვარი მუსიკითაა გაჯერებული პოეტის მრავალი ლექსი.

ხან ნვიმა მარცვლავს კრამიტზე გამებს,  
ხან ზევის გრგვინვა უვლის ხეობას,  
ჩუმად შემოაქვს ოთახში ღამეს  
შიში, ნალექელი და უმნობა.  
და როცა ქარი დარბებს ახლის,  
თოვლი ედება არეს, ბინდიანს,  
მოწყენილი და პატარა სახლი  
კვამლის კულუღით ცაზე ჰკიდია.  
შთაბეჭდავი სურათი იხატება მამისეული  
სახლის. იგი მშობლიური სივრცის წამიერი გავლევბაა, უდიდესი სიამეა, სულს ასე რომ გითრთოლებს...

ერთტომეული ხომ მრავალი ლექსის, სურვილისა თუ განწყობის თავშესაფარია. თითოეულის გამოყოფა თუ გამოცალცალკეება ერთობ ძნელია. პოეტის შემოქმედება ერთ მთლიანობაში უნდა აღიქვას. მანანა ჩიტიშვილის პოეზიას მკითხველის ინტერესიანი თვალი, სიყვარული და აღიარება არასოდეს მოკლებია. მის პოეზიას გამოჩენის პირველივე დღეებიდან ცნობდნენ და იმახსოვრებდნენ. იგი ელვარე ნიჭის, განსხვავებულ გაცნობილებების თუ მიგნებების პოეტია... მისთვის უცხოა ოდოზური ღირსიკა. მანანა ჩიტიშვილის პოეზია შინაგანად აწმინდავებს და ანესრიგებს სამყაროს, დრო-ჟამს, სივრცეს:

ლურჯი ბილილები დამკარგვია,  
დამრჩა სახე ცრემლით ნალარვია,  
მახვილის სიმრავლე რას გარგია,  
მკლავი, მომქნეველი, ადარ არი.

ახლა ვედარარით გამაკვირვებ,  
ქარამ ფოთოლიც არ შემარჩინა...  
ორგულთა სიმრავლე არ მატირებს,  
ერთგულთა სიმცირემ შემეშინა.

მისი პოეზია საკუთარი ხმებით, ფერებით,  
ულამაზესი სიერცის სურნელითა თუ ფერა-  
დოვნებითაა გაჯერებული, სადაც დღევანდელ-  
დღობასთან ერთად ისტორიული ნიაღვრელები-  
დან ამონათებული სამყაროც მოჩანს:

ცხმორის ციხესთან ქარი ქრის,  
ბუ გამოჰკივის პანტიანს,  
აქ ყოველ საფლავის ლოდზე  
მხოლოდ მახვილი ხატია.  
ელვა, ამ ქვებზე ამსხლტარი,  
ვის მკლავს დაეძებს, რას უხმობს?  
ბერ რამეს მკითხვენი იქიდან,  
აქედან ვერას ვპასუხობ...

პოეტის შემოქმედებაში თუ მის პირად ცხოვ-  
რებაში არაფერი შემთხვევით არ ხდება. არც  
იოლაღ და ქარსგაყოფილად გადის დღეები.  
პოეზია ხომ პოეტის სულის ბიოგრაფიაა, მას-  
თან წილნაყარია, ნაღუსქიარალია:

ხან მზე მადგა დაირთი,  
ხან გრიგალი ქროდა,  
ჩემი ყოფისნაირი  
პოეზია მქონდა.

...გაჩნდნენ იის ღერები  
ნამქერების გვერდით,  
ლექსებს, ხან — სიმღერებით,  
ხან ტირილით ვწერდი.

და სანამ იის ღერები კვლავაც ყვავიან ნამ-  
ქერების გვერდით, ცხოვრებაც შეუცნობელი  
დარჩება და პოეზიის არსებობაც — გამართლუ-  
ბული.

პოეტს ლექსს რა გამოუღევს (ღმერთმა ნუ  
ინებოს!) დამოღისმადლით გაჯერებული სტრი-  
ქონები. ისინი ერთ მთლიან რკალად კრავენ  
შემოქმედის სულში ჩაბრუნებულ მზერას. რო-  
გორიც არის თავად ადამიანი, იმგვარია მისი  
რწმენა, ცხოვრების ნეხი და რაც ყველაზე მთა-  
ვარია, მისი ლექსებიც ამ დინებას მიჰყვებიან,  
პოეტის სულიერ სამყაროში მომხდარ ძვრებს  
ირეკლავენ:

არცვის მონობა ვისურვე,  
არცვის წინ მუხლთა დრეკა,  
უფლის თბილ ხელისგულიდან  
სიტყვებს ჩიტვით გვეკნავ-  
ვითა მრავალი, კალამს მეც  
სისხლის გულში ვანვი...  
ვინ მეტყვის, სწორად ვეუთხულობ  
განგების ხელით ნანერს?

ცხოვრება ხომ არსაიდან მომავალი და არსა-  
ით მიმავალი გზების გზაჯვარედინია, თუმცა  
ლექსი მათ მაინც განსაკუთრებულ მნიშვნელო-  
ბას ანიჭებს და ცდილობს ამ გზაზე შეხვედროლი  
ყველა დარღვისა და იარის განკურნებას:

ხან ფოთოლივით გრიგალს მიძქონდი,  
ხან მკერდზე ეკლის გეკიდა მძივი,  
მაგრამ რად ღირდა, ხან რომ სტრიქონი  
ფარავდა ყველა წყენას და ტკივილს.  
პოეტის ელვარე მეტაფორები და უფაქიზეს  
ნიუანსებამდე დახვეწილი სტრიქონები მრავ-  
ლისმეტყველია:

როცა ქართლში გაზაფხული  
აამწვანებს სერს და ყანობს,  
ცხელი სისხლი წაუღვდება  
სამაჩაბლოს, სამუსხარანოს.  
დაშვენდება საულვამე  
დოლის პურს და ქერის თავთავს  
ქსანზე ნისლადა აცურდება  
წმიდა სული ერისთავთა.

ნარსულ სამყაროს, ანდვდ ხანს რომ ნისლი  
ეფარა, თითქოს პოეტის ხელმა ნამიერად ფარ-  
და ჩამოხსნის და მისთვის ესოდენ ახლობელ და  
მშობლიურ ადგილებს სხვა კუთხით, სხვა სიე-  
რციით დაგვანახებს:

მუხრანს ზემოთ ერთი შინდი  
რომ ყვავილობს გათენია,  
ქეთევანის სულის საოხ  
ანთებული სანთელია.  
მინას, ასჯერ გადაბუგულს,  
თავზე ადგას სვეტი ნათლის,  
პირჯერის წერით სათქმელია:  
ზემო, ქვემო, შუა ქართლი...

სამშობლო ყოველთვის დიდია და უსასრუ-  
ლო, რადგან არც დროის სამანები გააჩნია და  
არც — გრძნობის. ტკივილი და სინანული კი-  
დეც უფრო ადიადებს და აძვირფასებს მას. პო-  
ეტურ კრებულში უმეტესად დღევანდლობის  
გადასახედიდან დანახული სიერცე მოჩანს,  
ნარსული თუ მომავალი ერთ სიბრტყეზე გაწვე-  
ნილა. ხილვადი არე ისე ნათელი და ყოვლისდამ-  
ტყვია, რომ თავადაც საოცრად ბუნებრივად გა-  
დადისხარ ერთი ყოფიდან მეორეში:

ცხენს არწყულებდა ქართველი  
უწინ გურგანს და ევქისინს,  
მე კი, სანუთროვ, ტიალო,  
მწარე ყლუპებად შეგსვი,  
ზურგში დაკრული მახვილით,  
ყელში გაჩრილი ლექსით.  
რა სამწინელი ყოფილა  
უკუღმა შეცვლა დროთა, —  
წინაპრის ძვლები საფლავში  
როცა სიმწრისგან შფოთავს.

ისტორიულ თემატიკას, მის მრავალფეროვან  
გარდასახვებს თან ახლავს დღევანდლობის  
მძაფრი შეგრძნება, განსხვავებული, მსუყვე ფე-  
რები, — გაჯერებული მშობლიური სურნელით,  
პარმონით:

დიდხანს ცა აღარ დარჩება ქუფრად,  
ტყვზე გადივლის ფოთლებს ზვავი,  
წავდა თოვლი და მადლი უფალს,  
ქართლის მინდვრებზე ნიაფი ყვავის.

ხოლო როცა ახლახან გარდაცვლილ მეგობარ პოეტს (ღმერთმა ნათელში აწყოფოს მისი სული!) იგონებს ავტორი, ტკივილი უფრო მძაფრდება... გრძნობ, როგორ უწინავს ცრემლი გულის სიღრმეში და საწვთვლივით ჩამოქვას ლამობს. ბორენა ფაჭვლიანს უძღვნის ამ ლექსს:

გითბობ თითებს გათოშილს  
გულთან, როგორც მაყალთან,  
შეხე, შინდი მზერისპირას  
თურა ყოფით აყვავდა.  
შენ კი გაიზაფხულე  
მხოლოდ ფერად სიზმრებით,  
ახლა ისე მარტო ხარ,  
ვრევის შეეხიზნები.

კრებულში, ახალ ლექსებთან ერთად, ძველიც გვხვდება — წინა წლებში გამოცემული ნიგებიდან ამოკრეფილი: „ქსანზე“ (1979 წ.), „მინდვის ფერადები“ (1984 წ.), „ქართლის გზაზე“ (1988წ.), „მზის მოლოდინში“ (1990 წ.), „შენ ჩემი ლოცვა ვიშველის“ (1997 წ.), (გამომცემლობა „მერანში“ თანამშრომლობისას ერთერთი კრებულის რედაქტორი მეც გახლდით და მანიღდელი შობაქცილდება დღესაც ცხოველად შემომრჩენია. ლ. მ.)

პოეტურ კრებულთა ასეთი მიმდევრობა ერთგვარ მთლიანობას ქმნის. სრულყოფის, უნაპირობის, პოეტური მადლის დაუმთავრებლობის მინიშნებით. სათქმელი არ ელევა ავტორს, კრებულიდან კრებულში იგი უფრო მრავალმხრივი და მრავალნახანაგოვანი ხდება, ხოლო პოეტური სიტყვა — კიდევ უფრო ოსტატური და მაღლიანი:

მუხრანის ბოლოს თვლემდა ურმული,  
სიკვილის შეჯიბრი ჰქონდა წამებთან,  
თმებს ტრამალების მოპყვა სურნელი  
და გაათრება ქართლის ღამეთა.

და როცა მოდის სტრიქონი — „ვიდრე ლექსს დანერდე, პაპის საფლავს შამბი და შალაფა მოაცალე“, აქ არა მარტო წინაპართა პატივისცემა, არდავიწყება და შეხსენებაა, არამედ — მათი ხსოვნის, დროს გაყოლილი მათი ხმების ხელახლა შელვიება.

...დაილაგებდა მუხლისთავზე  
უძალო ხელებს,  
ჩამოჯდებოდა სამეფს სკამზე  
ბუხრის კუთხისთან,  
აღლეგრძელებდა  
ცხვირ-მეცხვარეს უთუოდ, მერე  
ტიალ სიბერეს

ვაჟკაცურად შუუკურთხებდა.

პაპის სახე ხშირად გაივლებს კრებულში (თითქოს მარადიულად ჩასახლებული). ეს არა მარტო ძირფასის ხსოვნა, ან თბილი მოფერებაა წინაპრის სულის, არამედ უმთავრესი მანაც მონატრება და ვერდათმობაა...

ადამიანები, რომლებიც კარგა ხანია აღარ

არიან დედამიწაზე, ჩვენს არსებაში, ჩვენს პიროვნებაში აგრძელებენ მარადიულ არსებობას. სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, ისინი არ გვტოვებენ, და სულშიჩამწვდომი თვალვებით შემოგვეტყრიან. მამის ხილვა, პაპის გამოცხადება, მთიელ ქალთა შორეული აჩრდილები — მათი გამოხმობით სანუთრო ისე ახლობელი და უსასრულო ხდება... აგერ, ახლახან შენს გვერდით იყვნენ და აღარ არიან! ძველი სახლები, ქუჩები, ორღობეები გაქრნენ, სხვამ შეცვალა. ჩვენ კი მესხიერებაში ხელუხლებლად ვინახავთ მათ და ყველაფერი უწინდებურად გვეჭირვასება.

მანანა ჩიტოშვილის პოეზიაში ამგვარ სახეთა გალერეა უსასრულოა. დიდებულნი, შთამბეჭდავნი და განცდებით სავესნი არიან ისინი. ამიტომ, რომ ერთტომეული თითქოს მახსოვრობის ნიგნად ქცეულა. ყველანი აქ გამოუმწყვეტია პოეტს, მისთვის უსაყვარლესი და უძვირფასესი სახელები სამარადისო ხილის სურვილით აღუესია... ანა ახმატოვა ამბობს: „ადამიანის მეხსიერება ისეა მიწყობილი, რომ იგი, პროექტორის მსგავსად, ანათებს ცალკეულ მომენტებს, ირგვლივ კი გაუჭრელ წყვიდადს ტოვებს“.

ამგვარად იხატება მამის სახეც:

ბრუნდება სახლში ლიტრი, სახსლავით,  
ყელთან შეხნულ სატინის ბლუზით...

ხოლო როცა მამა-შვილი ერთმანეთს სიკვილი-სიცოცხლის გასაყვარებ ხედვბიან, იქ „ლეთას გადაღმა“ მათი შეხვედრა უდიდესი ტრაგიზმითა და რაც ყველაზე უფრო საოცარია, ამ ტრაგიკულობათან შერწყმული ბედნიერებით არის აღსავსე:

დაჭრილ მეგლივით  
ბუჩქებიდან გამოვარდნილი  
გაბოროტებით და ხმამაღლა  
დამიწყებ ძახილს:  
„აქეთ არ ვინდა!  
აქეთ — არა, არ წამოხვიდე!“

რამდენადაც მამა დანატრებულია შვილის ხილვას, იმდენად უარყოფს მისი გული და არსებზე საიმპექვენიოდ მის განმეტებას. „მართოლვარე ხელით მომისინჯავს სახეს და სხეულს“ — აგრძელებს პოეტი, რომლისთვისაც თუნდაც გარდაცვლილი მამა მაინც მშობელია, ვისაც უსათუოდ შეანუხებს შვილის ნატკენი სახე თუ სხეული.

სულის შემძვერელ, ტკივილიან განცდებს გვიტოვებს ეს სტრიქონები. არანაკლები სიმამფრითაა დახატული დედის სახე. იგი მსუბუქი, ძნელად შესამჩნევი ფერებითაა მოქსოვილი, თითქოს ყველგან არის და არც არის. ასეთი ფერწერის სირთულე თუ სიფაქიზე იმდენად უჩვეულოა, დედის მკრთალი კონტურები თითქოს არც ჩანს ქსოვილში — „დედაჩემის ნაჯავი მხრები, ხორკლიანი ხელისგულები და ქალა-

რა თმა" — აღწერს პოეტი დედის პორტრეტს იმგვარი სევდით, რომ მკითხველსაც ამ განცდით აესება:

ჩუმი ნალექებით ვეფერებით  
უსაზღვროდ კეთილ,  
უსათნოესი დედის ხელებს —  
დაქანცულს ჩვენთვის  
და დამნაშავის  
დამორცხვებულ მზერას ვარიდებთ  
მოსახვევის ქვეშ შემალულ თმას,  
უკვე შენაცრულს,  
ყოველ საათს რომ ემატება  
თირთვილის ფერი.

პოეტის შემოქმედებაში ყველაზე დიდი სიყვარულით, მრავალფეროვანი და უჩვეულო მეტაფორებით არის წარმოდგენილი მდინარე ქსანის და ქსნის ხეობა. „ქსანის დასიცხულ მოზნე-რივით თეთრ ლოდებს ლოკავს“ — წერს მანანა. „მთები — ვეება დინოზავრები, წყლის დასაღე-ვად ჩასულან ქსანზე“. მსუყე ფერებით იხატება სივრცე. აქ სურვილთა ქარიშხლები ნაკლებად ბობოქრობენ, მთავარი აზრის მხატვრულო-ბა, სინატიფე და სიმსუბუქეა. სტრიქონებში თითქოს ძველი ქართული ცეკვის ექსტაზი იგრძნობა (მდინარის ჩქამს რომ ამჟყოლია!) გადა-ვინყებული რიტუალების უჩვეულო მოძრაობე-ბიც შეიძინევა და გარდასულთა ხმებიც ისმის...

...ქსნის პირას ორბი აფრინდა  
მწვერვალს გადასცდა ნისლიანს,  
უბეს რომ ცრემლი გისყველებს,  
ვიცი, ის ცრემლი ვისია.

ან კიდევ:

...ქანაობს ქარში წერნეტი ისლი,  
სცეცდება ნისლი მწვერვალს, გოლიათს,  
ქსანზე ხანდახან თენდება ისე,  
თუ დაღამდება, არცა მგონია.

ლექსთა უმრავლესობა გამორჩეულია: „ცხრაჯერ“, „რამ დამასიზმრა“, „ეჰამო, როგორ მიქარწვიმე“, „მე ვმენდებოდი“... გვერდიგვერდ ჩამორიგებული ამდენი კარგი ლექსი იდუმა-ლებს, ქალური ინტიმი, წარსულ დღეთა გამოხ-მობა, სიყვარულით, მონატრებით წვეული თავ-დავინყება, მთის მდიდარი ადათ-წესები, ქალ-ვაყის ურთიერთ ლტოლვა და რაც მთავარია, გასაოცარი ქალური სევდა, რომელიც ვაჟურ ძალასა და სითამამესთან საუცხოოდ არის შერწყმული და კიდევ, კიდევ უჩვეულო მეტაფო-რები და მხატვრული სახეები ასე მთამებქდავს რომ ხდის სათქმელს:

ცხრაჯერ ჩავშალე ნანნავი  
ქალმა კომკიდან ამაყად,  
ცხრაჯერ ჩავშალე ნანნავი,  
ერთხელ არაფერ ამაყყვა.  
ცხრაჯერ ვამტვრიე ცხრა კლიტე  
ან ცხრაკლიტული რა იყო...  
კარი დაეტოვე ღრიჭოდა,  
მაგრამ არც ერთხელ გაიღო.

პოეტის შინაგანი სამყარო გაუხსნელი და გარშემომყოფთათვის შეუცნობელია. მხოლოდ აღმზარდის ფაქს, მხოლოდ შემოქმედებითი წესი წუთებში უბრუნდება იგი საკუთარ თავს: ცას ზოგჯერ ელვის გადახსნის ხმალი ქსნის ხეობიდან ბებერ მცხეთამდე, სასაცილოა, ოჯახის ქალი გერტვას და...

ასეთ სიზმრებს ხედავდე.  
თავად სიზმარს მანანა ჩიტიშვილი არ ამ-ხელს, იგი შიხი საიდუმლოა, თუმცა მკითხველი თავად უნდა მიხედვს ამას, თვითონ უნდა მიიტა-ნოს გუმანო:

დღისით მორჩილად მადგას უღელი  
და შორს მივთარევი ძლივს, დატურებით...  
რამ დამასიზმრა, ღმერთო, წუხელის  
გადანყვეტილი აჟურები.

სიზმრისეულ სამყაროს პოეტის შემოქმე-დებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისტიკურობით გაჯერებულ ხელვას, სივრცის უსასრულობა ახლავს, რომელიც, იმავე დროს, კონკრეტულ გრძობას, „კაი ყმის“ ტრფობას და პოეტის შენაგან სიამაყეს გულისხმობს. ლექსში, „რამ დამასიზმრა“, აეტორი წერს:

...შორს ჩანდნენ მთები ატენის  
დამსხდარნი დარბაისლებად,  
ხევის ჩიბუნში ჩატენილ  
ბინდს აბოღებენ ნისლებად.  
არც არას ჯანლი მაკრთობდა,  
არც არას — ცივი ნანჯიმი,  
სწორფერი ვიყავ კაი ყმის,  
თავს დამბრუნავდა არწივი.

ატენის მთები, კაი ყმის სწორფრობა, ხევის ჩიბუნში ჩატენილი ნისლი თუ ფრთაგაშლილი არწივი... ხილვადი სივრცე საოცრად შთამბეჭ-დავია! ხოლო როცა პოეტი სიკვდილ-სიკვცხ-ლის ზღვარს უახლოვდება, შიშისა და შეუც-ნობლობის განცდა, წუთისოფლის სიყვარულსა და ამქვეყნის ვერდათმობის (ვერშელევის) სურ-ვილს გიმძაფრებს:

ველზე ყყაჩოთა ნალვერდალი,  
წვიმის სვედიანი იდილია...  
რაც მიყვარს, ყველაფერი აქეთ არი,  
წყალგაღმა მარტო სიკვდილია.

თორემ თუ გზაჯერობა დამიპირეს,  
ველარ მოვერიე ქარიშხალვს,  
მერე როგორც ვინდა დამიტვირე,  
ფარჩა-აბრეშუმი გამიშალე.

მანანა ჩიტიშვილის პოეტური სტრიქონები ხშირად მალაღმგრძობიარე და სუფთა გულის აღსარებაა. იგი უფრო ლოცვას ნააგავს, ბნელ საკანში გახმანებულს. ასეთ დროს ლექსს უმძი-მესი დატირთვა აქვს, სათქმელი კი ოსტატის ხელში გაეღებებული ხმალივით წყის:

ულოკავს ქარი  
ცხელ ჭრილობებს თრიმლიან ახოს,  
ნისლის ბაირალს აფრიალებს  
ქსნისპირს მიდნორი...

ჩემს სისხლს, ძველისძველს,  
თუ კრწანისის სიმწარე ახსოვს,  
გალაღებდა და გულგონებდაც  
ახსოვს დიდგორის.

სამშობლოს ძველბედობის ჟამს პოეტი იქ  
დგას, სადაც უნდა იდგეს, სადაც გულისთქმა  
უბნობს, რადგან წარსული და მომავალი ერთმანეთს  
შეპირისპირებია, ირგვლივ ღალატში, ცრუ-  
კაცობა, პირფერობა მძლავრობს, რამაც უნდა  
შეგძრას, უნდა შეგაშფოთოს, გარდასულ დღე-  
თა ნათელი და მამულისთვის თავშენიწილი  
აღამიანები მოგანატროს.

დავინწყებულ იქნა დიდგორი,  
შეგინებული იქნა ანისი,  
მოპქუხს,  
ღალატის ზეავი მოგორავს,  
ტანზეც ღალატის შხამი წავისვით.  
რა სისასტიკით შეკრულა მუჭი,  
ეშმა რა ურცხვად იღბენს და ზვაობს,  
მეხე, შენს მამულს, რანაირ უჭირს,  
სადა ხარ, ცოტნე,  
ნათელი ძმაო!

შორეული წარსულიდან გამოიხმობს გმირს  
პოეტი და გვერა, რომ ეს გამოიხმობა აუცილებელია,  
რომ იგი ავტორის სულიერი ტკივილითა  
და დღევანდლობის უკმაყოფილებით არის გა-  
მონეველი.

განსაკუთრებით სათუთია პოეტის განწყობა,  
როცა იმ ენაზე იწყებს საუბარს, რომელზედაც  
მხოლოდ გულუბნობა საუბრობენ, ერთმანეთს უახ-  
ლოვდებიან თუ სცილდებიან. ეს არის სიყვარულის  
ენა, ისევე ძველი, როგორც თავად სამყა-  
რო, ბუნებაა:

საიდან მოდისხარ, ჩემო სიყვარულო?  
შენ არც მაისის თბილ წვიმას მგაგებარ,  
მშვიდად, მაძლრად რომ ეფინება  
ნაზამთრალ მიწას.  
არც ის ღალანა ყვავილი ხარ,  
აპრილის თევზი  
ცეცხლის ალივით  
მინიდან რომ ამოიფრქვევა.

.....  
საით მოინეე, შე სანყალო,  
საით მოინეე,  
...შენ გაალვიძებ ამ ქვადაცეცულ  
უგრძნობ ქვეყანას?!

— კითხულობს ავტორი. სიყვარულის ტკივი-  
ლიან განცდას ზოგჯერ ოდნავ საგრძნობი იუ-  
მორიც გახდევს, თითქოს ჯადოსანმა მსუბუქი  
ნკება გადაპკრა სტრიქონს:

ცეცხლი გამომიქრა ბუხარს,  
ღადარ-ღადარ მინაკრეფი...  
მარტო ვარ და მიტომ მსურხარ,  
განა სხვა დროს გინატრებდი?

ყოველთვის განსაცვიფრებელ ფაქტად მიიჩნე-  
ნდა ის მოსაზრება, რომ გენიალური ადამიანე-  
ბის უმრავლესობას შესანიშნავი დედები ჰყავ-  
და, რომ დედისგან მიიღეს ყველა კარგი თვისე-  
ბა. დედმშვილობის უებრო განცდას მანანა

ჩიტოშვილს შემოქმედებაშიც უმთავრესი ადგი-  
ლი უჭირავს. მისთვის დედობა მარადიული ში-  
შია, ტკივილია, სიხარულია. ეს სიყვარული შეი-  
ლისადმი მზის სხივს წააგავს, ბოლოს კენჭს,  
ცრემლის წვეთს — სუფთასა და კამკამას.

თუმცა იღბალი იმგვარად მთარსავს,  
ბევრჯერ ჩამატყდა ხელში ჭიქილა,  
ნუ გემინია, არ წავედ არსად,  
ვიდრე შენ კაპის ბოლო გიჭირავს.

— მიმართავს პოეტი შვილს. დედაშვილო-  
ბის აუხსნელ და იდუმალ საგალობელს კი იგი  
არაჩვეულებრივი სინაზითა და სიყვარულის  
ჩუმი გამხელილი იწყებს:

ეს ყვავილები შენი დებია  
მზის თბილი ხელით ნააზიზები,  
შენ რომ ვარდები გეისიზმრებთან,  
თურმე იმათაც შენ ეისიზმრები.  
ჩემთვის ხან ისე სასტიკად თოვდა,  
იღ მკორტნიდა ქარი, არჯალი,  
ახარც მეგონა, კიდევ თუ მქონდა  
ამდენი კოცნა დაუხარჯავი.

„ჩემს ღამას“ ჰქვია ლექსს, რომელშიც ვაჟი-  
ვილს — შორეულ, ვერაც უხილავ სივრცეებს  
უძლის თვალწინ, გარდონა დღეთა საოცრე-  
ბებს უმხელს, სამშობლოს სიყვარულს ასწავ-  
ლის.

მაგრამ დედა ნუთები, როცა შფოთვის იწყ-  
ებს, დედა და არა — პოეტი, როცა წუხს დედის  
გული, მზრუნველი და გამუდმებით შვილზე  
დარდით მოპირთავებული:

...ძმა ვერ მოგირეკს სახუნდართან  
ქობზედა ირემს,  
ვერც და მოგირთავს ჭრელ პაჭიძებს  
ყაითნით, წითლით.  
და რამდენჯერაც  
შენ აქ რამე გვენება მცირედ,  
იქ ჩემი ძელები ინივლებენ  
საფლავეში სიმწრით.  
გიტოვებ ამ ცას,  
მე რომ ვერსად ვუძებნი ბადალს,  
შენია ეს მზეც,  
ჩემთვის მუდამ დამსხმელი რეტის,  
შენ — ყველაფერი,  
ჩემი ავი სიზმრების გარდა,  
შენ — ყოველივე,  
ჩემი მწარე დღეების მეტი.

მანანა ჩიტოშვილი გამორჩეული ხელწერის,  
განსხვავებული თვალთახედვისა და აზროვნე-  
ბის პოეტია. სულ ახლახან მას ორმოცდაათი წე-  
ლი შეუსრულდა. არავითარი იუბილე, აღნიშვნა  
(თავად არ ინდობა!) მხოლოდ ეს კრებული. რა  
დასაძალია და, უდავოდ დიდი საჩუქარი მიიღო  
მკითხველმა!

წარმატებები მინდა ვუსურვო პოეტს და უკე-  
თესი ლექსების იმედით დავულოცო არაერთი  
ქართველი მწერლისაგან ჭეშმარიტი სიყვარუ-  
ლითა და მშვენიერი სურვილებით მრავალჯერ  
დალოცვილი გზა.



## დაშოშიანი ვაჟაკი

საქართველოში სულ ახლახან იყო და (ღვთის წყალობით) ახლაც არის არაერთი ბრწყინვალე მსახიობი.

ამიტომ: საქართველოში ძალიან ძნელია სახალხო სიყვარული მოიპოვოს მსახიობმა. ზურაბმა მოიპოვა!

საქართველოს რომელ კუთხეშიც არ უნდა ჩაივდეს იგი, ყველგან აღერსიანი მზერა ელოდება.

მე იშვიათად მეგულება ისეთი დაშოშიანი ვაჟაკი, როგორიცაა ზურაბი. (სიტყვა დაშოშიანი პირდაპირ ზურაბზეა ზედგამოტრიალი). თხემით ტერფამდე ქართველი. საქართველოში გაჟღენთილი. ქართული სიტყვის თავგადაკული ტრფიალი: აი, ვინაა ზურაბ ქაფიანიძე.

მუხრან მაჭავარიანი

## ქუმბახიცად სახალხო

ზურაბ ქაფიანიძისთანა კაცებმა გადაარჩინეს ქართველობა, რომაელებივით ერთიანი სიმწყობრით რომ არ ჩაებოჯებინათ საფლავში. დღესაც, როცა სასო გაუწყდება ექსპერიმენტად ქვეულ საქართველოს გზადაბნეულ შვილს, იმედის თვალს კვლავ მისნაირი კაცი-

საკენ მიაქცევს. სამწუხაროდ, ვაი, რომ ცოტა დარჩა ასეთი კაცები!


ზურაბ ქაფიანიძეს შეუძლია განაცხადოს, რომ მან მოხიბადა ვალი თავისი სამშობლოს წინაშე. ასეთი გაბედულება მხოლოდ ერთეულთა ხედვრია და ამის თქმას ისე იოლად არავის „აპატიებენ“ ქვეგამხედველ „ჩვენებურები“, რომ არა მისი დიდი კაცური ღირსებებით განვლილი ცხოვრება, რომლის მიმართ ყოველგვარი ბოღმანარევი ქირქილი მხოლოდ მქუხარებაა სხვისა სიკეთესა ზედა და მეტი არაფერი.

მე არ მინახავს უფრო სახალხოდ საყვარელი კაცი, ვიდრე ზურაბი. ვინც ოდესმე ცდილა საზოგადოებრივი პატივისცემის მოხვეჭას, უთუოდ დამერწმუნება, რომ უაღრესად ძნელია მიაღწიო ამას. იქნებ უნიჭიერესიც იყო ადამიანი, იქნებ უგანათლებლესიც, იქნებ დიდი ინტელიგენტიც, მაგრამ სიყვარულის მოხვეჭა არც ერთ ამ თვისებათაგანს არ შეუძლია, თუ ყველაფერი ეს ეროვნული დვრიტით არაა შეკავშირებული. ხალხის გულისყური და მისი განაბული სუნთქვა, მუდამ დიდება ისეთ გმირს, რომელშიც მისი ეთოკულტურული თვისებებია გამოხატული, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში დაატარებს თავის თავში პატარა საქართველოს, იმ საქართველოს, რომელიც გვემაცემა და გვენატრება, რომელსაც მივდევთ და ვერ დავვნიეთ, რომელიც იყო და აღარ არის.

ამიტომ უტყერენ ასე გაკვირვებით და სიყვერულით ამ თვისებათა მქონე ზურაბ ქაფიანიძეს ქუჩაში შემხვედრი ქართველები: დიდი და პატარა, ქალი და კაცი, უტყერენ ისეთი განათებული, გაცისკროვებული თვალებით, თითქოს ამ მართლაც სახალხო კაცში იპოვესო თავისი ნაოცნებარი.

მუდამ მიმანდა და ახლაც მტკიცედ მწამს, რომ ნიჭიერი კაცის გამორჩევა განგებს ნებით ხდება. ზურაბ ქაფიანიძე სწორედ რომ ღვთის ნებითაა შერჩეული იმ როლისათვის, რომელიც მას ცხოვრებაში მიეკუთვნა. მან ქართულ თეატრსა და კინოში თავისი თავი ისეთივე გულმზურვალეობითა და რეალიზმით ითამაშა, როგორც სინამდვილეშია, თუმცა თეატრის სცენასა და კინოობიექტივის წინაშე ამის გადმოცემას დიდი აქტიორული ნიჭიერება ესაჭიროებოდა, რაც უხვად მიეზობა მას არსთა გამრიგესაგან.

... თვალწინ მიდგას გათოკილი ზურაბ ქაფიანიძე — ზვიდაური, აბულაძის „ვედრებაში“ ჯერ კიდევ ფეხზე მდგომი, მხარბეჭიანი, მარმარილოსმირი ძლიერი კისრით, თვალგაუტყუხელი და შეურჩეველი — მებრძოლი, მმართველის განსახიერება, რომელიც მოჰკლეს, მაგრამ ვერ დაამარცხეს, რომელმაც ვაჟაკურად აღასრულა მამა-პაპათა დანატოვარი



ანდერძი და გმირი ქართველის წარმოსახვას სრულყოფილად შეასხა ხორცი.

ეს სცენა რომ ვაფა-ფშაველას ენახა! მთელი ცხოვრება შორიდან ვუვლიდი ამ კაცს, ვინ გამაცნობდა, ვინ დამამეგობრებდა, მენატრებოდა სხეებივით მასთან ჯდომა და მისი თანამეინახეობა. ერთ მშვენიერ დღეს ჭორვილაში ჩამოიყვანა ჩემმა ძმამ — ჯურხამ. გამოვიკირდა და გამიხარდა. ვენახში გადავიდა, შარებს გაერია, მამაჩემს გამოელაპარაკა, ვენახი შეუყო. მამაშვილივით იგრძნეს ერთმანეთი. სულიერება და მისწრაფებაც ერთიანი აღმოაჩნდათ. ავიდნენ მარანში და ისეთი ჭური გაუნხნა მამამ, ჩვენთვის რომ მუდამ მიუნდომელი იყო.

— შენო — თან დაუმატა — ჩემნაირი ხასიათისა ყოფილხარ, ღვინოც გყვარებია და ვენახიც, რახან ზვარში შემოხველ და ამბავი გამოიმკითხო. არც მამაჩემი იყო ნაკლები ვაჟკაცი და იმდღევანდელ ქეიუს დღესაც ლეგენდასავით ყვებიან ჩვენს სოფელში.

მერე იყო და ძალაუნებურად საქართველოს პოლიტიკურ ნიაღვარში მოვეყვით ორივენი და თითქმის ოთხი წლის განმავლობაში გვერდიგვერდ ვისხედით ოთახშიც და პარლამენტის დარბაზშიც. ამ ხნის მანძილზე, რაც ჩვენ ვნახეთ, იარახავით დააჩნდა ჩვენს სულებს, რადგან ეს იყო ასპარეზი წამხდარი ადამიანებისა, სადაც ზურაბ ქაფიანიძის ომახიანი სიტყვა ვერავითარ საზრდოს ვერ აძლევდა კაცთა, მედროვეთა ამა სოფლისათა. ხალხს კი, კიდევ უფრო შეუფვარდა იმ დაურიდებ-

ლი პატრიოტიზმისათვის, რომელიც ზურაბ ქაფიანიძისათვის სიტოცხლის წყაროა, ხოლო ქართული პოლიტიკური „ელიტის“ წარმომადგენელთათვის უხერხული თემა, რომელიც მუდამ ყელში აქვს გაჩრილი კოსმოპოლიტიზმით დაავადებულ საზოგადოებას.

ზურაბ ქაფიანიძე თავის გზას მიჰყვებოდა და მიჰყვება დღესაც. იგი არასდროს შეპუებია მეცნიერულ კლიშეებს, კომუნისტურ საზოგადოებაში გაფურჩქნულ ყალბ აკადემიურ სტილს და სხვათა კაპრიზების გაუთვალისწინებლად, ქართველთა წარმომავლობის საფუძვლების შესწავლას მიჰყო ხელი. მის მიერ ამ მხრივ განეული მუშაობა უაღრესად შთამბეჭდავია და ბევრი რამე ისეა დანახული, რასაც ვერას დიდებით ვერ შეძლებს მეცნიერული დოგმატიზმით შეპყრობილი ადამიანი, რომლის ნაკვალევშიც უფრო მეტია პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენა, ვიდრე ჭეშმარიტი, მიუკერძოებელი მეცნიერული ანალიზი.


ბედნიერია ზურაბ ქაფიანიძე. დღესაც კი, ამ გალატაკებულ საქართველოში, ისაა ერთადერთი კაცი, რომელსაც შეუძლია მივიდეს ნებისმიერ კუთხეში, ნებისმიერ ქართველის კარზე, მიიღოს უდიდესი სიყვარული, დახვდნენ აღფრთოვანებით და სიხარულით და გაუყონ უკანასკნელი ლუკმა პურისა. თუ ადამიანმა ამის მიღწევა შეძლო, ის უკვე ჭეშმარიტად სახალხო კაცია, ჭეშმარიტად ხალხის საყვარელი გმირია. ზურაბ ქაფიანიძემ ეს ნოდება მიიღო თავისი ცხოვრების წესით, რომელიც მუდამ იქნება სამაგალითო ამ ბნელ გზაზე შემდგარი ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის.

ელდარ ნადირაძე

### 70 წლის ზურაბ ქაფიანიძეს

მე იშვიათად მინახავს კაცი, ასე სამშობლოს ტყივილის მზიდი...  
ზის ახლა სახლში ბებერი მახეში,  
ხელოვანი და შუმერი დიდი  
მე იშვიათად მინახავს კიდევ,  
კაცი, რომელიც არ ტეხდეს სიტყვას...  
მის ახალ ღიმილს თან ახლავს სიბრძნე  
და უხარია მას სხვისი წინსვლა!  
მე იშვიათად მინახავს კაცი  
სულთ და ხორციით შემკული ასე...  
მხრებზე სიკეთის მტრედი რომ აზის —  
მე იშვიათად მინახავს კაცი!..

ბადრი ქუთათელაძე



ზურაბ ქაფიანიძე

# ხათუნა ჩაჩხანიძე

## შინანი ბუნი

ტაძარი რომ აღიმართება, მისი ფონი ცა და დედამიწაა. ტაძარი თითქოსდა მათი შემაერთებელია — ცისა და მიწისა. ფრესკა რომ იხატება, მისი ფონი თავად ეს ტაძარია და კედელზე საგულისხმო ზეციური სივრცე. შეხედვებით თუ არა ბატონ ზურაბ ქაფიანიძეს, მიხედვით, ამ დიდებული ვაჟკაცის ფონი მხოლოდ და მხოლოდ საქართველო შეიძლება იყოს. მას ხომ მთელი თავისი შეგნებული სიტოცხლე სამშობლოს სიყვარული რუდუნებით უტარებია და ამ სიყვარულს არასოდეს დაუღლია.

რაც დავიბადე, ასე მგონია, ჩემთან ერთად იზრდება ჩემი სიყვარულიც სამშობლოსადმი, როგორც ინერციით ნოვს ჩვილი დედის რძეს და იზრდება, ჯერ შუგნულად, მერე კი იაზრებს ამ მადლსა და სიკეთეს, ასე თავიდანვე ვიკვებებოდი ამ მადლიანი ტკბილ-მწარე ნექტრითო, ამბობს მსახიობი და ღიმილით იხ-

სენებს, ვნახავდი თუ არა დიდ ეკრანზე არსენას, ანდა გიორგი სააკაძეს, ხის ხმლით დავერეოდი ანწლსა და ეკალ-პარდებს, ვჩნხავდი და თავებს ვაყრევინებდი „ყოზილბაშებსო“...

ერთი რაჭველი ტლუ ბიჭი ვიყავი. თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებაზე არც კი მოცნებია. ტექნიკურ საგნებში მოვეშაბე და „გეპეიში“ საბუთების შესატანად როგში ვიდექი. ვლახლანდარობდით ახალგაზრდები. მეგობრის როყიო ხუმრობამ სოფლური თავშეუკავლებლობით ისე ამაროხროხა, რომ გარშემო ველარავის ვხედავდი. როცა გამოვერკევი, სიჩუმე იდგა. გაცტებული მიყურებდნენ. აკაკი ხორავა ვეძახისო რომ მითხრეს, დავირცხვინე. მეგონა, უზრდელობისათვის დამტუქსავედა, მაგრამ მან თბილად გამომკითხა, საიდან ვიყავი, ვინ ვიყავი და მამაშვილურად მიჩრია, შენი ადგილი აქ არ არისო, თეატრალურ ინსტიტუტში შეიტანე საბუთებიო.

ძალიან გამიჭირდა გადაწყვეტილებისმიღება, მაგრამ ცდუნებაც დიდი იყო.

შხატერულ კითხვაში, ცეკვასა თუ სიმღერაში ბრწყინვალე იყო. იმის იქით სხვა აღარც არაფერი მოსთხოვეს...

სტუდენტობისას გამორჩევი თუყვარდააკაკი ხორავას, განსაკუთრებით მფარველობდა. ამიტომ ცოცხა არ იყოს ეწყინა, როცა ქუთაისში გაანაწილეს. არ ეგონა, თბილისიდან წასვლა თუ მოუწევდა.

ხორავამ ჯგუფი გაუშვა და ქაფიანიძე დატოვა. აუხსნა, თუ გინდა, შენგან დიდი მსახიობი დადგეს, აკაკი ვასაძესთან მუშაობაზე უკეთესს ვერაფერს გააკეთებო.

და აი, სათაყვანებელი თბილისიც უკან დარჩა. ვასაუბრებაზე აკაკი ვასაძესთან მგდარს ნანყვეტის ნაკითხვა მოუწია „დიდოსტატის მარჯვენადან“. გიორგი I-ის სიკვდილის ეპიზოდის გადმოცემას მთელი ტკივილი და ვარამი ჩააქსოვა. ბოლოს კი, თავისი არაჩვეულებები ბუბუნა ხმით რომ დაივრგვინა:

„ — ახლა ადექი, პიპა, მღვდელთავანი მომგვარე ვინმე...“ და თან წამოდგა... უნებურად ფეხზე წამოდგა აკაკი ვასაძეც.

თვალში ჩამდგარი სვედის ცრემლით გაჰყურებს მსახიობი თავისი ჭაბუკობის იმ ულამაზეს შეთევს, იმ სიხარულს, ოცდამოთხი წლის ბიჭს აკაკი ვასაძესთან ერთად ერთ სცენაზე დგომით რომ გაჰყვა. მაშინ პირველად შეიგრძნო პოპულარობის მაცდური ხიბლი, თან რომ დაჰყვედა თეატრალური ინტრიგების მომწარო ვემოც...!

მაგრამ... კინო მისთვის მაინც სხვა იყო. ეს ბავშვობის დიდ სურვილებთან მიახლოებას ჰგავდა. თავისი მოძღვრის, აკაკი ვასაძისგან ფარულად კინოსინჯებშიც მიიღო მონაწილე-

ობა და დაუდგა დრო ორ მამობილს შორის არჩევანის გაკეთებისა. იქით — აკაკი ხორავა, აქით — აკაკი ვასაძე. ამავდროულად თეატრალური ინტრიგების აგორდა ბოლმაც და... ბოლოს თვითონ მაცსტრომ სთხოვა, განცხადება დაენერა და თეატრიდან წასულიყო. ჩიტი ხელის აქნევას ელოდაო, ასე დემართა. მას ხომ უკვე გულის ჯიბით დაჰქონდა მონვევა კინოსტუდიიდან. გამგზავრების სიხარულმა დაარდილა ქუთაისელ მაყურებელთან განმორების სევდა. გაცეხებული დატოვა მეგობარი, ბინდო გურჩიანი, როცა სთხოვა, უკანასკნელი სპექტაკლის შემდეგ დაესხდეთ და ვიქეიფოთო. პქონდა მიზეზიც, ის ხომ დედაქალაქში დაბრუნებას ზემოიბდა. კინო ეძახდა.

და აი, თბილისიც.



მ. ბახტაძე და ზ. ქაფიანიძე  
ფილმიდან „მიხა“

კინოსტუდიიდან გამოსულს თავბრუ ესხმოდა ბედნიერებისაგან. დიდხანს იდგა გარინდებული. ვაშა, როლზე დაამტკიცეს (კნ.ფ. „მიხა“)!.. და სასწაულიც პატარა — რვა გოგონადან უშეცდომოდ ამოირჩია უკვე როლზე დამტკიცებული მენყვილე.

და... დაიწყო დიდი მზიანი დღეები. გარემომოყვთა უზომო სიყვარული ფრთებს ასხამდა. სულ ახელებდნენ, შენთან რაჭაში უნდა წამოვიდეთ, უნდა ვიქეიფოთო. ფილმის გადაღება დამთავრდა თუ არა, სამოცდაათი კაცი დაეყენა თავზე მამამისს... ეხლაც უკვირს ოცდაოთხი-ოცდახუთი წლის ბიჭს როგორ გამოემყენენ ამხელა კაცებით: კოტე დაუშეილი, აკაკი ხორავა, შოთა მანაგაძე, დოდო აბაშიძე... და სხვები.

სოფელი ძლიერი მქონდა, მამა მეურნეობის დირექტორი იყო, განა რისა მემინოდო, მაგრამ ამ ბუმბერაზ ადამიანთა ყოფნა დიდი პასუხისმგებლობა იყო. მარტო ქაფიანიძეები კი არა, მთელი სოფელი ზემოიბდა ამ საპატრიო სტუმრების ჩასვლას რაჭაში...

საოცარი დღესასწაული, დღეობა გამოვი-

და. შუზარხოშებული მთელი გულით ცეკვავედა „ფერხულს“ და მღეროდა სხვებთან ერთად. მისი ბარიტონით მოხიბლული რეჟისორი შოთა მანაგაძე ყველას გასაგონად შეჰპირდა: „შენ, ჩემს ფილმში ითამაშებ და იმღერებ კიდევო“.

მანაგაძე სიტყვის კაცი იყო.

და... სულ მალე შეიქმნა „ხევისურელი ბალადაც“. სოფიკო ჭიაურელისა და ბატონი ზურაბის კაფიას მერე მთელი საქართველო მღეროდა. რამაც არნახული პოპულარობა მოუტანა ფილმსაც და მსახიობებსაც.

„ხევისურულ ბალადას“ მოჰყვა „სტუმარი-მასპინძელი“, „ჯვარცმული კუნძული“ „იგი-კოტორაშვილისამბავი“... მიწვევები გერმანიაში, რუსეთში... განსაკუთრებით უკრაინაში უყვართ, თანაც იმდენად, რომ უკრაინელმა ხალხმა ქვეყნის საპატრიო მოქალაქეობაც კი მიანიჭა..

მერე წავიდა და წავიდა მდინარესავით ცხოვრება..

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ...

— სიყვარული?... — კრძალვით ვაპარებ, — ოჯახი?..

ეცინება. დიდი კეთილი თვალები სითბოთი ევსება. ღიმილიან სახეზე უხერხულად ისრესს ქალარა წვერს.

ოცდაცხრა წლამდე ცალად ვიარე. დედასერთა, ბიჭი ვიყავი. ორი პატარა და კი მყავდა, მაგრამ თითქმის თხოუმეტი წლით უფროსი ვიყავი მათზე. ასე რომ, ჩემს უცლოობას ოჯახი განსაკუთრებით განიცდიდა. დედაჩემს ეს იმდენად აწუხებდა, რომ ერთხელ მაზიდასთან ერთად ჩემს სანახავად ქალაქში ჩამოსულს თავი ვერ შეუკავებია და ქუჩაში მიმავალი გოგონებიდან ერთ-ერთი ისე მოწონებია, სოფლური პირდაპირობით ხმამალა უთქვამს, შეხედეთ ახლა, ამ გოგონას, რა მშვენიერია, ნეტავ, ჩემი ბიჭი ასეთი მომიყვანდეს და აღარ დაეინუნებო... სიცოცხლისაგან ატკარცალბუღლმა გოგონებმა სასწრაფოდ გაიტაცეს თურმე უხერხულობისგან ყურებამდე განითლებული მეგობარი...

სახლი მოსულეებმა ეს რომ მომიყენენ, აი, მაინც გადაწყვიტე, რომ დღის დარდისათვის ბოლო მომეღო. იმ დღეებში ქმეკაცმა დამირეკა ქუთაისიდან, ერთი კარგი გოგო უნდა გავაცნო, არსად გადამეწალოო. იყოს ღვთის ნება-თქო და შევხედი. ისე მომეწონა, რომ იმ საღამოსვე წვიც კი ქალაქში წათესავი მყავდა ყველგან სტუმრად მივიყვანე, ჩემი არჩევანით ყველა მოიხიბლა, ამით გათამამებულმა ბევრი აღარ ვიფიქრე, დედამეც ტაქსით მიგვარე ლამის 3 საათზე რაჭაში საპატარძლო.

მაგრამ... უნდა გენახათ ჩემი გაცემა, როცა მათ ერთმანეთი დიდი ნაცნობეზივით გადაკონცეს. თურმე არც დედაჩემს დაეცინია

თბილისში ნანახი უზომოდ ლამაზი, შვლის ნუკრივით თვალმახარა გოგონა და... არც ჩემს საცოლეს — დარბაისელი ქალბატონი, რომელმაც მეგობრებთან გაანითლა თავისი ხმამაღალი კომპლიმენტით.

და აი, ასე ლამაზად ნაზონი სიყვარული მომყვება ამ ნუთისოფელში.

როცა შევიტყვე, მამა უნდა გავმხდარიყავი, საქართველოს ცა თითქოს უფრო მაღლა აინა ჩემთვის. გული გამინათდა. ჩემს ბერდიას დაბადებამდე ვადღერგძელებდი. მეგობრები დამცინოდნენ, ქალიშვილი რომ განდევს, მაშინ რაღას იტყვიო, მაგრამ კაცურმა ალღომ არ მიღალატა.

სწორედ იმ დღეს, როდესაც, ორჯონიკიძეში „სტუმარ-მასპინძელს“ ვიღებდით და ზვიადაურის მკლავის მოკვეთის სცენა დავამთავრეთ, დარეკა დედაჩემმა და მომახარა: დიბადა, შეილო, შენი ბერდია, გილოცავო... რეტი-სორმა აბულაძემ ერთი პირობა კი მოთხოვა, იქნებ ზვიადი დაარქვა, ზვიადურზე ვიღებთ სცენასო, მაგრამ მე და ჩემს სიყვარის შვილს ისეთი უხილავი კავშირი გვექონდა, ამაზე ვერა ნამითაც არ მიფიქრია...

მერე ლელა გაჩნდა. მერე კი — ბექა.

და მერე... ღმერთმა დიდი სასწაულიც მაღირსა: შვილიშვილები — გიორგი და დავით მელიქიძეები გამომჩინა ამ სამზეოზე. ბაბუიბის სიხარულით მეცხრე ცა მახილვინა...

რა ექნა, შვილებო, რომ სამშობლოს სულ სხვა თვლით ვუყურებ. „ექნა, მამული, სარწმუნოებ“ — ამაზე საკარალური და დიდი სიმინდე ვერსად ვიპოვე. სკოლაში ვსწავლობდი, ცხოვრებულმა ჩემმა სათაყვესებელმა ქართულის მასწავლებელმა, ანიკო ქარცელაძემ რომ გვითარა მეთერთმეტელსაწლებს, ქართულ ანბანში ყოველ ასოს თავისი ფორმა და მნიშვნელობა აქვსო... თავი ვერ შევიკავე და დამცინავად გადავიხარხარე: ასო-ასოა, ასოს რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს-მეთქი. მასწავლებლის საყვედურით სავსე, ნანყენმა თვლებმა ფეხზე დამაყენა და... ამ დროს ზარიც დაირეკა. მთელი დასვენება და მეორე გაკვეთილი ადგილზე არ შევჩერებულვარ, სანამ დაჯდომის ნებართვა არ მომცა...

მას მერე მომყვება და მომყვება მთელი ნუთისოფლის ფიქრი. ამ საიდუმლოს ამოხსნის ყინმა და იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი-მ“ ხომ მოსვენება დამიკარგა. და ... მეც ვეძიე, შევისწავლე... შევიცანი. ამ შეცნობამ და ჩაძიებამ შუმერებამდე მიყვანა...

ვუსმენ მსახიობს, თუ როგორი გატაცებით ყვება თავისი ძიებების შესახებ მობოლიური ყნის ნიაღში და... უსაფუძვლოდ სულაც არ მეჩვენება მისი კითხვები. არც დავმცლავ, რომ თემურ ბაბლუანის „უძინართა მზე“ მიტ-




ო. კობერიძე და ზ. ქაჯანიძე

რიალებს თვალწინ, თუ როგორ შემოიდო მთავარი გმირის უნიკალური, ფასდაუდებელი ნაშრომი მტვრიან თაროზე.

დაიხ, ეს ჩვენ ვართ ქართველები, შინაური მღვდლის შენდობაც რომ ვერ გვისწავლია... ერთი კი წამდვილად ცხადია, ძნელია არ დაეთანხმო მხცოვან მსახიობს, როცა აცხადებს: „ვისაც საქართველოს სიდიდის ეშინია, თვითონაა პატარა ქართველი“.

ამ დიდებულ მამულიშვილთან შეხვედრით გაბრუებული მიუყვები ქუჩას. თან მიმყვება ჩემი ივერიელი მსახიობის მზიანი გულითა და სევდიანი სითბოთი სავსე თვლები — სამშობლოზე, ქართველობაზე, ძარღვიან ქართველზე, ჩვენს მითებზე, ზღაპრებზე, ხალხურ სიმღერებზე... ერთი სიტყვით, ყველაფერ ქართულზე უზომოდ შეყვარებული თეთრად თმადათოვლილი მოხუცის მზერას ვგრძნობ და გული სევდით მეცხება. დადის ჩვენს შორის კაცი დეე-გმირი, კაცი გულ-დიდი, მზით სავსე სულით, თითქოს ქართული ზღაპრიდან გადმოსულა კეთილი გოლიათო და... გული მწყდება: როდის ისწავლის ჩემი სამშობლო ერთგული მამულიშვილების სიყვარულს?! ნუთუ, ზეციურ კარს უნდა გააბიჯოს ადამიანმა, რომ ცაში ავიტაცოთ, მოეფეროთ, სითბო და სიყვარული ვაგრძნობინოთ?! გასაგებია, რომ ჩვენ ვართ ერი, რომელმაც ანდაზამიც კი ჩასდო შვილის მტრად გაზრდა, მოყვარედ რომ გამოგვიდგეს, მაგრამ ალგეის ლეკვებს სანამ მტრის ჯავრს შესჭამენ ასეთი ღვთისშვილები უნდა ჰყავდეთ ალმურდობადა და... ისინიც მერე კოტორაშვილით პირველივე შექახილზე ჩამოჰყვებიან მდინარეებს მამულის დასაცავად.



ოთარ ჩხარტიშვილი

დავით  
ანდროიძე

### მეხუთე აფთაიჩი

ამს. ოთარ ჩხარტიშვილის  
არტაშაქტზე დაკავების ცდა

„1977 წლის 27-28 იანვარს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი, რომელმაც იმსჯელა ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე. პლენუმზე განიხილეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საქმიანობა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის შემდგომ პერიოდში და აგრეთვე პარტიული ორგანიზაციების მუშაობაც მეცხოველეობის დარგის შემდგომი განვითარებისათვის. პლენუმს წითელი ზოლივით გასდევდა ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობაზე. კომუნისტური პარტია გიგანტურ ენერჯიას აღევს ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, იღვინს, რათა საბჭოთა ადამიანების ყოფა უფრო მიმზიდველი გახდეს. ამ პრობლემების გადაწყვეტა გულისხმობს ჩვენი სახვითი ხელოვნების დონის აწევასაც“.

ასე იწყებოდა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის სიტყვა კავშირის ერთ-ერთ პლენუმზე.

იმავე წელს გაუხსნელად დაიხურა გამოფენა, რომელზედაც ერთმა თავზეხველალებულმა მხატვარმა „ტელეგრაფიკისაგან“ კომბინირებული ასამბლაჟი გამოიტანა, სახელწოდებით — „სპილო“.

მხატვართა კავშირის მორიგ პლენუმზე მის ავტორს „ანტისაბჭოთა მხატვრად“ მონათლავენ.

ეს მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი იყო. გაივლის ათიოდე წელი და ზემოხსენებული (თუ უხსენებელი) ჩინოვნიკი ალბომს გამოსცემს, სახელწოდება — „ძიება და ტრადიცია“. და ამ ალბომში ჩხარტიშვილისეული „სპილოს“ რეპროდუქციასაც დაბეჭდავს. წყალწავლა ნინათქაში კი — ციტირებად არც ღირს — ჩვენს პოპ-არტისტს ავანგარდისტული განწყობილების მხატვრად მოიხსენიებს. თანაც, ფრჩხილებში.

საბრალო ჩხარტიშვილი. ბრწყალები მოუხსნეს, მაგრამ ფრჩხილებში მაინც დატოვეს.

შედარებისათვის: 1977 წელს სსრკ კომპოზიტორთა კავშირის ყრილობის გახსნის წინა დღეს, თბილისში, დელეგატებისათვის გამართულ კონცერტზე თემურ ბაკურაძის მუსიკალური პეფინანგი „პრელუდიუმი“, კერძოდ, მისი ორი ნაწილი შესრულდა.

პუბლიკას თავზარი დაეცა, როცა ჯანსუღ კახიძის ერთმა მონა-ორკესტრანტმა თოფი ტილოში გაახვია და როიალში ჩაღო.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეს ამ ალტერნატიული ოპუსის ავტორი არ დაუბუზღებია. არც „ანტისაბჭოთა მუსიკოსის“ იარღივი მიუკერვბია.

ასეთებიც ხდებოდა. A.S. (ანტი სერიტუმი) დამთავრდა, ტექსტისა გემინოდეთ!

ასე დასრულდა ოთარ ჩხარტიშვილის დევნა. ამჯერად მე უნდა დავედევნო. ფაქტზე უნდა ნავასწრო. უფრო ზუსტად, არტიფაქტზე უნდა დავაკავო. არადა, ოთარის არტიფაქტზე დაკავებას, თითქოსდა, რა უნდა?!

აიღეთ „მოსკოვის კრემლის ოთხი ინტერირი“ და მისი ჯანი!

ძღვევამოსილი საბჭოთა იმპერიის ეს ციტადელი ჩვენს პოპ-არტისტს წარმოდგენილი აქვს, როგორც მარადიული სიმბოლური სუბსტიტუტი, თანაც, რაღაც ისეთი მოცემულობა, რაც არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ საიდუმლო სახით შეიძლება შეგვემთხვეს.

არტიფაქტი ძველ კულტურებში სწორედაც საიდუმლო სიმბოლოა. მაგალითად, ძველ სპარსეთში ესაა შავი სტელა — პარალელეპიპედი. საიდუმლო არტიფაქტი ამირობადულ კულტურებშიც სტელაა...

მოკლედ, არტიფაქტის კულტურა მუდამ ერთსა და იმავეზე მეტყველებს — უსასრულო სამყაროზე, ყოველი არსებულის გამუდმებულ კავ-

შირზე საიდუმლოსთან, რეალურად რომ ავსებს (და ტვირთავს) ყოფიერებას. „ყოფიერება“ — ო-პო-პო-პო — რა ბრტყელი სიტყვაა. აი, არტეფაქტი კი სამგანზომილებიანია!

არტეფაქტის, როგორც მხატვრული სისტემის კონტექსტში, ბუნება და ბუნება (ანუ კულტურა) თანახმორუფლებიან მოცემულობებად გვევლინება. ერთმანეთს სჭვალავენ, აძლიერებენ... ბუნება საკუთარ თავში უსასრულობის (თუგინდ, დაუსრულებლობის) ფუნქციას მოიცავს. ხელოვნური ობიექტი — არტეფაქტი კი, ტექნიკური სამყაროს სიმბოლიზებას ახდენს. ამასთან, ხელოვნური ობიექტი, თავისთავად, სულაც არაა აგრესიული, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი, თავისი აქ ყოფნით, დასრულებით — ბუნებას სულაც არ შეურაცხყოფს.

აი, ჩხარტიშვილისეული არტეფაქტები კი, გარკვეულწილად აგრესიული არიან. ოღონდ, ბუნებას კი არა, სოციალურ შეურაცხყოფენ. შეურაცხყოფის ამ აქტში ნარმოქმნება თამაშებრივი ველი. და ესაა ერთგვარი მაორგანიზებელი სუბსტანცია — ერთგვარი კარკასი (თუ სფერო), რომლის შიგნითაც დაშვებულია თამაში სოციალურ-პოლიტიკური კულტურის რიოში მარგალიტებით.

ესეც — შესე!  
კიდევ რა მივანებო ჩვენს პოპ-არტისტს, სად გამოვიჭიროთ?!

პო, ჩხარტიშვილი თავადვე უდგამს სულს პროვოკაციულ სიტუაციებს, თანაც, თამაშებრივი ველის ეპიცენტრში... ამ ველის „ძალოვანი სტრუქტურები“ ავტორის, როგორც დამნაშავეს მანკიტურ გულზე გადის, და ეს პრივილეგირებული პოზიცია აძლევს თამაშის ნებას.

პოპ-არტისტი იღებს რა მზა საგანს, მყისიერად გათამაშების ობიექტზე ციფრული ინფორმაციას; სასურველ ობიექტზე... და ასე „უშვებს“ საგანს მორიგ ექსპლოატაციაში. გათამაშების ეს სასურველი ობიექტი უკვე მხატვრული მოვლენაა. უფრო ზუსტად, ხდომილობაა, რომელიც იქ გვევლინება (თუ ხდება), სადაც ხელოვნური ობიექტი გადააწყდება იდეოლოგიურ ფანტაზმას და ადგილზევე აქევაებს, არტეფაქტად აქცევს და ამგვარი ოპერაციით აფიქსირებს თავის დასრულებას.

ჩემი ფუნქცია, ამ შემთხვევაში, ამ დასრულების დასრულება და, ინფანტილური დახუჭობანასი არ იყოს, „დასტუება“.

გახსოვთ, ბავშვობაში როგორ „ვასტუკებდით“ ერთმანეთს? მაგალითად, მიონერთაბანაკებში. „დავასტუკე, დავასტუკე!“ მაგრამ მანამდე იყო „დაგინახე, დაგინახე!“

ოთარ ჩხარტიშვილს გოგოლისეული კოჩკარიოვის შთამომავლები ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში „ასტუკებდნენ“, სადაც ჯერ არს, იქ „ასტუკებდნენ“...

ამჟერად, მე უნდა გავითამაშო მათი როლი! „ჩქარა, ამხანავო, თორემ დაგვიანდა, ნუთის დაკარგავა კი არის ბოროტება“.

მე უკვე იმ სააკვი ვარ, რომ მოგონებებით (ყოველ შემთხვევაში, გა-მოგონებებითაც) ვცხოვრობ. ერთი მეშუარი მინდა ამოვქექო ჩემი მახსოვრობის სკივრიდან.

1980 წელს ერთმა ჩემმა „ოპონენტმა“ მხატვარმა უსართო ადრინა KFB-ს ქართულ ფილიალში. ეგ ბიჭი სოცრეალისტური ხელოვნებისა და, საერთოდ, საბჭოთა სახელმწიფოს მტერია და არიქა, გაარკიეთ, შემთხვევით, ამერიკის აგენტი ხომ არ არიოთ?

შოდა, დამიბარეს ლესია უკრაინკაზე... გუშინდელ დღესაბით მახსოვს: ავუყვები აღმართს. „დამშვიდებული ძაღლები ტუჩებს ერთგულად იცავენ.“ უშეური დღეა. უსისხარული. „მხოლოდ მავნე ქვეყნის სულს უხარია“.

როგორც იქნა, ავადნივ. რუსის ყაზილარი შემეგება. ფიშტოთი. ამიყვანეს... მორე სართულზე. თავმჯდომარის მოადგილის მისაღებაში შევედი და გამოცეხადდი-მეთქი. მდივანმა, ნოდარ შალვოიანი დაკეებულა და ერთ საათში გათავისუფლდებო. ვიფიქვე, ერთი საათი რა იყურყუტებს მისაღებაში, მოდი, თვალს ნყალს დავაღვივებ, ჩამოვივლი დერეფნებს, აბრებს მანაც შევხედავ, გავიგებ, ვინ ვინაა ამ საიდუმლო უწყებაში. იმდენი ვქენი, ვამჩერებს. „გულმავის ხმა: - თქვენ ვის ეძებთ? ვუპასუხე: — ლენინს!“

კეთილი ერთი საათიც წაეკალი და...  
ა-ა-ა! ეს თქვენ ხართ? — შემომიღრინა ინაურის მოადგილემ. მე ვარ-მეთქი, მე, — წამოვიკნავლე.



ზედმეტი სალამ-ქალამის გარემე მომინყო ბლიც-დაკითხვა.

რა კავშირი გაქვთ რუს მხატვრებთან? — ასეთი იყო პირველი კითხვა. ცხადია, ავანგარდისტებს გულისხმობდა.

წელ-თბილი-მეთქი, — ეუპასუხე.  
მოსკოვში თუ დაიარებითო. კი-მეთქი, —  
იხვე პატიოსნად ეუპასუხე.

რაო, რა ხდებაო? რაც ვიცოდი, მოგუყვივი.  
არაფერი დამიმალავს. მოვასხსენე, მოქანდაკე-  
თა კლუბში, ფოტოგოსკის ქუჩაზე, როგორ მოე-  
ხედა კაბაკოვის, ჩუიკოვის, კოლენიუკის, გო-  
როხოვსკის, პრიგოვის, ორლოვის, ინფანტის...  
კიდევ ვინ იყო? პო, ბულატოვის, ვასილევის,  
ოეჩინიკოვის ერთდღიან გამოფენაზე. ვავი-  
ლოვზე, მოსკოვის დარბაზში ტიპაუშკინის გამო-  
ფენა რომ ენახე, ეგეც ვუთხარი. აბალკინისა და  
ჟიგალოვის პირველი პერფორმანსიც ვუხსენე,  
„Погребение цветка“ რომ ერქვა. ისიც გავუმხი-  
ლე, ჟურნალ „А-Я“-ს პირველ ნომერს რომ ვი-  
ცნობდი. მის აპროლოში ამ „საქმესთან“ დაკავში-  
რებით, ლუბიანკაზე გულბობილი შეხვედრა მო-  
უნწყეს ჩუიკოვს, შაბლაგინს, პაკუიკოვს, გროს-  
სა და ინფანტს. სხვათა შორის, ეს შეხვედრა  
შარშანნი გაიხსენა ფანცისკო ინგატცემ, მოს-  
კოვში, სამხატვრო აკადემიაში წერეთლის ტყა-  
გაკრულ კართან ორიოდ წუთით რომ შეხვდით.  
სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სხდომაზე  
აგვიანდებოდა და სიტყვა ვეღარ გამოიბა. კიდევ  
რაზე ვილაპარაკეთ (არა, ინფანტესთან კი არა,  
ნ. შ. მ. ს-თან). პო-ო-ო-... „ბულდოზერულ“ გამო-  
ფენაზე მკითხა — რამე თუ გსმენიაო? კი-მეთ-  
ქი, რას ვეტყვდი. ოღონდ მაშინ, 74-ის 15 სექ-  
ტემბერს მე ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი  
და ვერ გავრისკე მოსკოვში გაგფრენიყავი,  
მატკობზე და იზმალოვის პარკში შევსწრებო-  
დი ამ ისტორიულ აქციას. თუმცა, ვიცი, რომ  
„ბულდოზერკამ“ იმსხვერპლა კობარ & მელამი-  
დის ორმაგი პორტრეტი, ჟარკიხის ერთი სურათ-  
ი და კიდევ რაღაც-რაღაცები-მეთქი. გლუხე-  
რის ბინაზე პრესკონფერენცია რომ გაიმართა,  
ისიც ვიცი-მეთქი. ვინონე და ვინონე თავი...  
აბა, იმასაც თუ მეტყვი, ვინ ესწრებოდა, ხუთი-  
ანს დაგინერო. ვინ და, ტიპაუშკინი, ნემჟინი,  
ტუპიცინი, ჟარკიხი, რუხინი, ოსკარ რაბინი,  
ელსკაია, გლუხერი, მასტეროვა, მტეინბერგი,  
კომარი, მელამიდი... ჩამოყოფილ სხაპასუხე-  
ბით. კაიო, შემაჩერა, საკმარისია. ახლა, შენს  
გაზრდას, ერთი რამეც ჩამიკაკლე — ამათგან,  
ვინც ახლა ჩამომითვალე, ჩემი მხატვრობიდან  
ვიმწყს თუ აქვს კავშირიო? როგორ არა — ჩხარ-  
ტიშვილს აქვს კავშირი, ოთარ ჩხარტიშვილს.  
როგორ, თქვენ არაფერი იცით-მეთქი, თავი მო-  
ვაკატუნე. მდა-ა-ა... მრავალმნიშვნელოვნად  
ჩაიდუღუნა. კიდევ, კიდევ... ჩემს გამოტყუებას  
რალა უნდოდა და აღვიწვრადში, რუხინთან  
რომ დაბრძანდებოდა სახლში, ეგეც ვიცი-მეთ-  
ქი. ყენის და გალინას ქორწინების წლისთავიც  
მათთან ერთად რომ იზეიმა, ეგეც... გლუხე-  
რთანაც დაიარება, ოსკარ რაბინთანაც ბაასობს  
ტელეფონით და, საერთოდ... კაი, კაიო, აღარ  
დამამთავრებინა. ნუ აღუღლები, შენ, ეტყობა,  
ჩვენზე არანაკლებ კაი გუნების ბიჭი ხარო. ისე,  
ოსკარ რაბინი ცუდი მხატვარი არაა. ყოველ შემ-  
თხვევაში, მე მომწონს-მეთქი, გათამამებულ

ენად გავიკრიფე. არ ვიცი, მაგის... არაფერი მი-  
ნახავსო. მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს  
უკიდა, ბატონო, სახლში (თუ ჩამეგება, ჩამე-  
ვა იყოს-მითქი). არადა, „მეექვსე გრძობით“  
მიხვდა, რომ ძალიან გავიჯვავილე. ემცხეთა!  
ვითომ დაიბნა და, რომელ მხატვართა კავშირის  
თავმჯდომარესო? მხატვართა კავშირი ჯერჯე-  
რობით ერთიან-მეთქი...

მახალა, ჩემი მეგობარი ნოდარი, ნოდარი  
რა იყო... ოთარი მაშინ მე ჩაუღმევი. სხვათა შო-  
რის, გლუხერიც ჩაუღმევი. „ბულდოზერკის“ სი-  
აში პირადი კონფლიქტის გამო რომ არ ჩართო  
ჩხარტიშვილი, სამაგიერო გადაფუნადე. ოჰ, ეგ  
გამეიდევლი ურიაო... ჩაისისინა ჩემმა მასპინ-  
ძელმა. ეგ როგორ გაბედა, ქართული მხატვართა  
როგორ დაგვიჩაგრაო, ეგ იგულსისმა ალბათ.  
არა უშავს, ახლა მე დაუწყე დამშვიდება. 75-ში  
თავის კომუნალ კამიგამართულ გამოფენაზე მა-  
ინც მიაღებინა-მეთქი, ჩვენს ოთარს მონაწილე-  
ობა. ჩვენს ოთარსო? ვინ არის ბიჭო, ჩვენიო...

„ეხლა სხვა თემა გადავდოთ განზე (კი არ და-  
ლონდე!)“...

აი, ასეთ ომში ვიყავით...  
ეს მოი რახანია დამთავრდა, მშვიდობის გემი-  
წოდეთ, სოც-არტისტებო!

თუმცა მე რომ მკითხობთ, საქართველოში ერ-  
თი სოც-არტისტი მეგულეობა. ოთარ ჩხარტიშვი-  
ლი!

თუკი კონიალორთქიფანისიფულიმეტივამა-  
კიდე იყო გურიამი „პირველი ტრაქტორისტი“,  
ასევე მეგულეობა შევრაცაო ოთარ ჩხარტიშვი-  
ლი „პირველ ბულდოზერისტად“, ოღონდ, სრუ-  
ლიად საქართველოში...

არა, პო-არტისტები იყენენ... იყენენ და არი-  
ან, მაგრამ სოც-არტისტი მაინც ერთი გვყავდა  
— ოთარ ჩხარტიშვილი!

ისე, მეც რომ დავიჩემე, არის კი ჩხარტიშვი-  
ლი „სოც-არტისტი“?

ამხანაგებო!

საქმე ისაა, რომ „სოც-არტი“ ფორმულა კი  
არა, იდეოლოგემაა. ვინრო გაგებით, „სოც-  
არტი“ უმარისა და მელამიდის „საგმირო საქ-  
მეებს“ უკავშირდება და სოციალისტური რეა-  
ლიზმის ირონიულ-პარადოქსულ თემატიზირებას  
გულისხმობს. უფრო ზუსტად, დეტომატიზებას.  
და დეკონსტრუქციასაც. მაგრამ, ისიც ფაქტია,  
რომ ამ „საიამის ტყუებების“ შემდეგ ხსენებულ  
ტერმინით აღინიშნება ნებისმიერ აპელირება  
სამტოორ შტამპებთან და ეტიკეტებთან.

სოც-არტის საზღვრების დადგენა არც ისე  
ადვილია. და თუ მაინც მოვიდომებთ, უსათუ-  
ოდ უნდა გავითვალისწინოთ ისეთი კრიტიკი-  
უმი, როგორცაა მხატვრის თვითიდენტიფიკა-  
ცია. თუკი მხატვრმა საკუთარი თავი სოც-არ-  
ტისტად მოიხატა, ის უკვე სოც-არტისტია. და  
პირუკუ: თუკი იგი მუშაობს სოცრეალისტზე და  
სოციალისტური რეალიზმის მასალით ოპერირ-  
ებს, ოღონდ, სოც-არტისტად არ მოაქვს თავი,  
ეს იმას ნიშნავს, რომ ის არაა სოც-რეალისტი  
(ტაში).

საკუთარ არტისტულ გეგმს სოც-რეალისტს საკმაოდ ცოტა თუ უნოდებდა: კომარი & მელანიო, სოკოვი, კოსოლაპოვი და... ჯგუფი „Гнездо“... **данарченеби**, სოც-ენას კი იყენებდნენ, მაგრამ თავიანთ გეგმს ცოცხალი თავით სოც-რეალისტებად არ რაცხავდნენ. უბრალოდ, მოსკოვურ ავანგარდს მიათვლიდნენ თავიანთ პერსონას (თუ პერსონა ნინს-გრატას?). მეტიც: სოც-არტს, ამ ტერმინის გაავრთოებული გაგებითაც კი არა აქვს მკაფიო საზღვრები. სოც-ენით არ ამოიწურება და იმიტომ! ამ მხრივ, საგულისხმოა თვით ამ „ენასთან“ მუშაობის განწყობა. მაგალითად, ერთი ბულატოვი სულაც არ იყო დაკავებული თამაშბირივი პრობლემატიკით. საკუთარი პერსონის ბედით იყო იმთავითვე შენუხებული. და სოციალურ რეალობასთან „ჯახით“... გარდა ამისა, ამგვარ სოც-არტიმ ექსისტენციური პრობლემებიც მოხსნილი იყო. თუმცა, ბულატოვის პირადულ დრამაზე ნუ მატყობთ ახლა. სჯობს, ისევე ჩხარტიშვილს მივხედო.

ოთარი თავიდანვე თამაშის ტალღაზე აენყო. ოღონდ ეს იყო ცეცხლთან თამაში. ნარმოდიგენით ოფიციალური მითოლოგიის ტაბუირებული ატმოსფერო, ზონა, რომელშიც უცხო პირთა შეხვლასასტიკად იყო აკრძალული. არა, სასტიკად კი არა, უსასტიკესად... ამგვარატმოსფეროში, თავდაპირველად, შიშის სინდრომის მოხსნა იყო საჭირო. საკუთარი თავისთვისაც და მათთვისაც, ვინც შენი ნამოქმედარის (და არა ნამოქმედარის) შეხედვას, ანდა, უბრალოდ, „ავი მუსაივის“ მოხსნას ვაბედავდა. ჩხარტიშვილმა თავისი „ნამოქმედარის“ ანდა, ასე ვთქვათ, „ნაქანარის“, ფსიქოთერაპიული ეფექტი თავიდანვე გათვალა. მთავარი და არსებითი მისთვის პირადი თუნდაც, ექსისტენციური გადარჩენის სტრატეგია იყო (ყველაფერი იყო!), როგორმე უნდა აეცილებინა „დღეუთა სიყალბე უმნათგონებო“. საყოველთაო თვალთმაქცობის მასკარადმისიცი მარტო იყო დარჩენილი, კარიყული...

ამხ. ჩხარტიშვილის ნარმოდგენებში ტაბუირებული სოც-რეალობის ზომბირებულ-მონისტროუზული ხატები დემონსტრაციულად იენა დესკარალიზებული. ზოგიერთი მისი „კოლევის“ რაფინირებულად ესთეტიზირებული კოლაჟურობა-ბრიკოლაჟურობის ნაცვლად, მან ხაზგასმულად დეზინფექციური თამაშის გზა აირჩია; და საყოველთაო აღმსარებლობის უხეხად შენილბული პარანორმალულობის გზაც... ასე გაიტყუა ენა ცინიკურობამდე მიყვანილ აზარტულ „თამაშობებამდე“ და მათი კვაზირეპრეზენტაციის მეტაენამდე. ომი გრძელდებოდა... პარტიის კურსი კი უცვლელი რჩებოდა. ამ პარტიის ციტადელი „კრემლი და მისი ოთხი ინტერიერი“ ჩვენმა პროოკა(ვ)ტორმა ნარმოგვიდგინა, როგორც საბჭოურ ტოტემთა გაღერეა. ორდენები, მედლები, სამკერდე ნიშნები, ფეტონები, ჯინჯილები და, საერთოდ, მთელი ეს რკინა-კავეული, „ბოროტად გამოიყენა“ რო-

გორც ალოგიკური არტიფაქტულ-ვიზუალური ამოგვია, ანუ როგორც ბორის ორლოვი იტყვის — აპოფიგვია. ამგვარი ოინბაზობით, პროფანაციითა და ტრავესტირებით საბჭოური პოლიტიკური ჰერალდიკის, საბოლოო ჯამში კი, მეტალობისა და საცეცელთა ტოტალიტარულ-ენობრივი შრეების, იმიჯების, ტიპების, არქეტიპების და სხვათა და სხვათა ნაფენით დაამონტაჟა ჩაკეტული მოცულობითი „ნრე“ — ეს სიერციბირივი მეტაბუტაფორია, დადასტური მერციბოკაფიხა და პოსტავანგარდისტური რედიმეიდის ეს სიმბიოზი, პაროდულიად აჩონჩხლა უზრწველ (თუ გაზრწნილ) დიენებულბობითა და მარადიულ სიმბოლოთა მთელი კვანთაპიოლოგიური შკალა და ამ სოციალურ-პოლიტიკური პიპოსტასების ანომალიური ტრავესტირებით გამსხვილებულ მასშტაბურ ფდერადობამდე მიყვანა სოც-არტისტული გა-მოთქმა.

ამ სოც-არტიფაქტში ამხ. ჩხარტიშვილმაც ძალიან „გაიმსხვილა“!

ამასობაში, ოფიციალური კულტურა და იდეოლოგია სულ უფრო და უფრო შეფიცული ხდებოდა. და ყველაფერ ამას ანდერგრუნდში თავისივე ნებით ჩასული სოც-არტისტიც შეფიცული უნდა დახვედროდა.

ერთი კია, თუ ზოგ-ზოგებისათვის (რუსებს ეგულისხმობ) საბჭოური ენა საშინელება იყო, ჩხარტიშვილისათვის ეს იყო „ზონა“ ანუ ის ლიმინარული პოლიტიზირებული სიერცე, რომელთანაც იგი თანამშრომლობდა. და ამ სიერცეშიც გაბედავდა და აზარტულად თამაშობდა, როგორც „ჭყავის ყანაში“... ეს „ზონა“ მან თავისებურ „ბედნიერებად“ იქცა, თუნდაც კვაზიბედნიერებად, ბედნიერების სიმულაციად. ამაში გენეტიკური, გურული ჰუმორიცი შევლოდა და ის „მანაკი“ ენაც, რომლის ვიზუალიზაციასაც ჩვეული მახვილგონიერებით, როგორც თავისებური ავანგარდული „კონჩეტოთი“ ახერხებდა. ოთარი (ნა ფაბილარული ვარ, არაა?) საბჭოური სოც-ენითვე ცდილობდა, შევლოცა (ანდა შეეფიცა), „შელოცვას“ შელოციოთვე მეპასუხებოდა (ო, შამანი!). ასე გამომუშავა რაღაც კვაზიპარადულ-პაროდული დისკურსი.

ესეც სოც-არტისტული ომის სტრატეგიათაგანი იყო.

ომი კი გრძელდებოდა. დისკურსების ომი. ეკლექტიკაც ამ ომის სტრატეგია იყო. სოც-არტისტული ეკლექტიკა — ეს უცნაური თავისუფლება, როდესაც „აეტორი“, საკუთარ ხმას მიზანდასახულად (SIC!) ჩქმალავს, „სხვა“, უცხო ხმების სიმრავლეში მიაჩუმათებს, თითქოსდა, საგანგებოდ გაურბის მონოლოგს, რათა თავი არ ჩაიყენოს უხერხულ — შეფასებით სიტუაციამში.

სოც-არტისტი, თითქოს ნინ და ნინ მიდის („ნინ, პოსტკომუნნიზმის გამარჯვებისაკენ“?), ოღონდ, სახე უკან აქვს მიქცეული.

ესაა თავისებური „ერთი ნაბიჯი ნინ, ორი ნაბიჯი უკან“.

ასეთია სოც-არტის კანონი. უფრო ზუსტად — იყო!

სოცრეალიზმმა თავისი მითი შექმნა. სოც-არტმა — მითის მითი, ანუ მეორე ხარისხის მითი, პირველად სტრუქტურის დემისტრაციაციაზე მიმართული მითი...

კომუნიზმის აჩრდილი აღარ დაძრწის რუსეთში.


სოც-არტის აჩრდილიც გაქრა.

რაც შეეხება კომუნიზმის ამ ყოველადღეიერი აჩრდილის დემონტაჟს, მისი ხარაჩოები ჯერაც არ აღმართულა. მხოლოდ ცალკეული ხატების განდევნის პროცესი შეინიშნება, ამ მხრივ შამანური მელოცვების ციკლიც არ დასრულებულა. როდენ ბარტის არ იყოს, ახლა „კოლექტიური ცნობიერების იმუნიაზაცია“ ხდება. ესაა და ეს.

თუმცა, წინმიმავალი, მეც უკან მოვიქცევ სახეს და ერთხელაც გავიხსენებ წლებს, როცა „იყო ომი, იყო ცეცხლის დროება (ლოდინა ახლა და მყუდროება)“. არადა, ბრძოლის პათოსისაგან დაცლილი ავანგარდი მის მკვებავ ძუძუსაც სწყყდება.

კვაჭი კვაჭანტირაძისა არ იყოს, ბანკის გაძარცვის სცენას რომ „დგამს“, მთავარია, „კონფლიქტები, კონფლიქტები, კონფლიქტები...“ და კიდევ, ამ კონფლიქტების „სწავლა, სწავლა და სწავლა“.

ეს ცინიზმი ვისგან ვისწავლე?! ვისგან და ხელისუფლებისგან!



ცინიზმი, მართლაცადა, მმართველი კულტურის ერთადერთი „პასუხია“, იდეოლოგიური ნიღბია, როცა მორალი ამორალიზმის სამსახურშია ჩაყენებული. ცინიზმი „სიბრძნისაა ერთი დარგი“. კინიკურ-ცინიკური სიბრძნის ნიმუშია პატიოსნების, როგორც უპატიოსნების უზენაესი გამოვლინების ინტერპრეტაცია, მორალი, როგორც რაფინირებული გარყვნილება. სიმარ-

თლე, როგორც სიცრუის ყველაზე ეფექტური ფორმა. ასეთი ცინიზმი ოფიციალური იდეოლოგიის ერთგვარი „უარყოფის უარყოფაა“, ამაზე იტყვის ბრეხტი თავის „სამგროსიან ოპერაში“: „რა არის ბანკის გაძარცვა, ახალი ბანკის დაფუძნებასთან შედარებით?“ ადორნო კი, უფრო აკადემიურად განგვიმარტავს, რომ იდეოლოგია, ესაა სისტემა, რომელიც უბრალოდ, სიცრუსისაკენ, როგორც ასეთისაკენ კი არ მიიღობს, არამედ ისეთი სიცრუისაკენ, რომელიც განცდილი უნდა იყოს, როგორც სიმართლე, სიცრუისაკენ, რომელიც სურს, რათა იგი სერიოზულად იქნეს მიღებული. აი, რატომ ახლავს იდეოლოგიას საეგზობით გარეგნული და ინსტრუმენტული სტატუსი! (ტაში).

ამხანაგებო!

ფაქტია (თუ არტეფაქტი), რომ ამ ფაშისტმა ჩხარტიშვილმა ბინძური ირონიითა და უტიფარი პაროდით წარმართა თავისი „მან კამპი“. თანაც, ყველა სიკეთესთან ერთად ეს იყო რეფლექტირება თვით სოვოკური ცხოვრების და არა სოვოკური ხელოვნების თაობაზე (თუ უთაობაზე). ეს — ცნობიერების განზრახ აბერაციაც იყო, ანეკდოტურობამდე დაყვანილი აბერაცია. სოც-არტიზმის პრაქტიკაც ხომ, ანეკდოტის დისკურსთან იყო ნიღნაყარი. ოდინდ, რისკიანად ნიღნაყარი. იმ ანეკდოტისა, რომელშიც მთელი ჩენი (ყოფილი) ქვეყანა იყო ჩაფლული. ეს ანეკდოტი ხალხური კარნავალური კულტურის ტიპური გამოვლინებაც იყო (ისევე იყო!). თუკი შეფიცული სოც-არტის მიზიდულობის ზონად საბჭოურ მითს ვიგულისხმებთ, ანეკდოტი ამ მითის დახურდავებული მონეტა გამოდის.

გრანდიოზული და უეჭველი „ჭეშმარიტების“ ეპოქა ასე დამცირდა ანეკდოტების ეპოქად! (მჭუხარე ტაში)

და მაინც, ჩხარტიშვილი ახერხებდა ოფიციალურ ენაშივე დაებანდებინა საბჭოური ზონისა დამისიმითოლოგემების ანეკდოტად გადახურდავებული მონეტები. იმასაც ახერხებდა, ოფიციალში დეარნმუნებინა (ჰმ!), რომ ამ ზონაშიც თავისუფლად (და ამაყად) შეეძლო თამაში, ანუ სუნთქვა. რომ ეს თამაში სხვა არაფერი იყო, თუ არა ენა, ენის ერთ-ერთი არტიკულაცია და არა აბსოლუტური ჭეშმარიტება. და კიდევ, ყველა მის ოპუსს აჩნდა ერთი უტყუარი (თუ მატყუარა) დამლა: „Сделано в СССР“.

ომი კი გრძელდებოდა...

საბჭოურ სასაფლაოზე სამუშაოდ კერძო პირები კვლავინდებურად არ დაიშვებოდნენ. ასეთი იყო „სტალინური მარტივი ნრე“. ოფიციალურ ხელოვნებას ისევე კოლექტიური ავტორი ჰყავდა — „ხალხთა ბელადის“ სახით პერსონიფიცირებული საბჭოთა სახელმწიფო. მერე, ეს „ავტორი მოკვდა“. დარჩა სკკპ და მისი პოლიტიბიურო ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

ამხანაგებო!

1978 წელს ბრეჟნევი — ეს პოლიტერეტომა-ნი დაფეხმძიმდა. ერის მონეკერთან „ზახაობამ“ დააფეხმძიმა. ამ ფაქტს (resp. არტეფაქტს) ისევე საგულდაგულოდ უმაღლედნენ საბჭოთა ხალხს, როგორც გენსეის მრავალშრიან ქრონიკულ ავადმყოფობას.

ოფიციალური რეპრესიული ცენზურა ასე შევიდა ეროტიკულ ცენზურასთან თამაშში და შვა... რა თუ იცით?! „საბჭოური არაცნობიერის“ სფერო.

ამგვარი ფსიქონალიტიკური მითოლოგემებით დაიწყეს სოც-არტისტული თამაშობები კომარ & მეღამიდმა. მათ ოპუსებში სტალინი დაკარგული მამის სიმბოლოცა და ყოვლისშემძღობის თემაზე ასოცირებულ პოლიტიკურ-ეროტიკულ ზმანებათა გაცხადებაც. რაც შეეხება ჩხარტიშვილს, ბრეჟნევის დაფეხმძიმების პოლიტარტეფაქტი მან თავისი ოპუსით „ორსული ბრეჟნევი“ უკვდავყო. არა, უბრალოდ დააფიქსირა. ვიოლონელოსტანში უკულმა მოფართხალო თოჯინა ჩაუსახა გენსეკს. „საშოს გასაღები“ კი დაეკარგა. ეს გასაღები, ბურბუმულეებით აწყობილი vagina dentata-ს გასაღები, ისევე ოთარმა იპოვა. ამასობაში კომარ & მეღამიდის სოც-არტისტულ ოპუსში ვერმერისეული ფარდის უკან სექსუალურ პრაქტიკააღკვეთილი პიონერი გოგონა სარკის წინ მასტურბაციით იბინდებოდა...

კომკავშირელი საქმრო კი კვდებოდა გაზაფხულის მოსვლასთან ერთად, სადედამთილო მოუთმენლად ელოდა ხარბლოს...

საქმრომოკვდა. სარძლო კი „სხვას“ მისთხოვდა.

დარჩა ღვთისმშობლის ხატის ცარიელი პერანგი... და კიდევ ვიმშელი: „საუკეთესო მებუფეტს“ (სიცელი)

ახლა, უფრო სერიოზულად!

ამხ. ჩხარტიშვილმა, თავის დროზე, ჯოშტად არ შეისწავლა „სკპ (ბ) მოკლე კურსი“. სამაგიეროდ, ბეჯითად აითვისა ავანგარდის ფორმალური დისკურსი. ოღონდ ისე, რომ უტოპიურ სოციალურ პროექტებს აღარ გამოსტირებია. დადაისტურ მერცხესაც რეტროსპექტულად, „მუზუფურად“ რთავდა თავის კოლაჟურ-ასამბლაჟურ ტექსტებში და ამითაც ემიჯნებოდა ავანგარდისტულ აქტივობას.

ამასობაში ომი თანდათან ნელდებოდა. ოფიციალური კულტურა ნელ-ნელა სისხლისგან იცლებოდა. ლიბერალიზაციაც, სულ უფრო თვალშისაცემი და გარდევიალი ხდებოდა. „საუკეთესო მებუფეტის“ ვიმპლიური რელიკვიადლა იცრიცებოდა მასობრივი პროპაგანდის „იზოპროდუქცია“, პლაკატისა და ლოზუნგის თსეთიკია... „ლოზუნგების ქვეყანაც, ასეველურ-ნავდა ჩაილურის წყალს!

პარადოქსულია, მაგრამ დომინანტურ სტილად, დაიბაც, საბჭოური „ავტიპრომი“ მოიაზრებოდა, „მაღალი კულტურა“ კი მარგინალურად იყო მიმწყვედული. დაიბაც, ოფიციალურ-



პროპაგანდისტული სტილის გადაყვლეფილი ხატი იქნა აღქმული და გაგებული, როგორც განსაკუთრებული ესთეტიკური ღირებულება. უფრო „ცოცხალი“ სტილით ჩანაცვლებას კი არა, მის ტელელოგოიურ კულტივირებას რომ ექვემდებარებოდა.

ასე იცვლებოდა როლები „ზენა და ქვენა“ კულტურებს შორის, რაც, თავის მხრივ, მასობრივი ინფორმაციის განვითარებთაც დაქქარდა და ჯერ კიდევ 60-იან წლებში იქნა ესთეტიკურად ათვისებული პოპ-არტში. სოც-არტიც ამ გამოცდილებას ეყრდნობოდა. ამერიკელი არტისტები კომერციული რეკლამის მითებზე „მუშაობენ“ და ამ რეკლამებში ინვესტირებულ მასობრივი ლიბიდოზირებულ ენერჯის ათვისებას ცდილობენ. სოც-არტისტები, კი საბჭოური იდეოლოგიური პროდუქტის ესთეტიზირებას ლამობენ. ამ ვირტუალურმა სექსმა კი, ისინი 70-იანი წლების დასავლური კონცეპტუალურიზით დააფეხმძიმა.

და მიიწვ, იყო თუ არა ამხ. ჩხარტიშვილი სოც-არტისტი?

იყო და არც იყო...

„კლასიკური ტიპის“ სოც-არტისტობისთვის მას კონცეპტუალიზმი აკლდა. თუმცა, მე შემძლია ჩამოგივთვალათ სოც-არტისტები, რომლებიც არ იყვნენ კონცეპტუალისტები. ყოველ შემთხვევაში, ნომინალატურული კონცეპტუალისტები: ა. კოსოლაპოვი, ლ. სოლოვი, ბ. ოროვი და რ. ლებედევი სოც-არტსა და კონცეპტუალისმს შორის მერყეობენ.

მეორე მხრივ, ყველა კონცეპტუალისტი არ გვევლინება სოც-არტისტად. მაგალითად, ჯგუფი „КОЛЛЕКТИВНЫЕ ДЕЙСТВИЯ“ იმთავითვე გაურბოდა „სოციალურ“ პრობლემატიკას. გარდა ამისა, გოგორავიული ასპექტიც გასათვალისწინებელია. კერძოდ, არაკონცეპტუალისტური სოც-არტი პრაგმატულ და ამბივალენტურ ამერიკულ წყაროზეა ორიენტირებული, რომელსაც ენიდ უორპოლი და დასაქერ ჯონსი განასა-

ხიერებენ (მონზე ა. კვალილოვის ჩვენებიდან). იმ დროს, როდესაც კონცეპტუალური სოც-არტის ვექტორი თავისი არსით, მაგიური და მეტაფიზიკური ევროპული კონცეპტუალიზმის-კენაა მიმართული. ისიც ნიშანდობლივია, რომ სოც-არტი არაბაზობრივი ფუნქციაა. ამას ე. ბულატოვის მიერ წარმოებული, უკუფუნქციის გამოყენების ცდებიც ადასტურებენ. ეს ის ბულატოვია, თავისი სერით „ნოუ-იორკი“ ამკარად ტრიტიალურ შედეგამდე რომ მივიდა. ამ ფონზე ჩხარტიშვილისეული, მოდი, ასე უთქვია, კვაზი სოც-არტისტული ოპუსები, მით ფორმა, ტრივი-ალურად გამოიყურება. მოკლედ, მოსე მწერლი-სა არ იყოს, „დელო კაზუსი ჩინესკოე“.

სხვა გზა არაა — ისევე ჩვენს რეგიონალურ პოპ-არტისტს უნდა მივანდოთ საქმე. თუ თავად თვლის საკუთარ თავს სოც-არტისტად, მაშასადამე, სოც-არტისტი ყოფილა და ეგაა! თუმცა ჩხარტიშვილის ნდობა ეიც გაიგონა?!

რუსი სოც-არტისტებისაგან განსხვავებით, ჩხარტიშვილი არ გვთავაზობდა პარადიქსულ კონიუნქციებს. არც უტოპიის, ნინასწრეშეკველების, გენიალობის და მისთანათა სიმულაციებით გვიმასპინძლებდებოდა. თუმცა, მისი ზოგიერთი ოპუსიც პოსტუტოპიური... და პოსტტოტალიტარულიც. ისიც უტოპიური ერთუზიანობის სიმბოლოებით მანიპულირებს და ამ ტექნიკას თამაშებრივი ერთუზიანობით წარმოგვიადგენს. ზოგადად, ეს ტექნიკა ესთეტიკური მიზნებისათვის გამოიყენება და სტალინ-ჰიტლერის მიერ პოლიტიკური მიზნებისათვის მოხმობილი ტექნიკის ჩამნაცვლებელ სიმბოლოებად მოიაზრება. სოც-არტი, მართლაც, ესთეტიკურად იმეორებდა უახლესი ისტორიის უტოპიებსა და ტოტალიტარიზმებს და, აპროპრიაციის „ამგვარი ჟესტით განძარცვავდა უნიკალურობასა და აუტოგენერულობასგან, ანუ იმ თვისებათაგან, რომლებსაც ისინი ყველაზე გადამწყვეტი, მორალიზებადი კრიტიკის ნინამეც კი ინარჩუნებდნენ.

მაღვიჩის „შავი კვადრატის“ ასეთივე უტოპია იყო. ჩხარტიშვილისეული დეციტაციით ეს სუბრეპატისტული ხატი ჰორიზონტის ტოპოსის აღკვეთის სიმბოლოა. ყოველ შემთხვევაში, ჩემს პერმენეტკულ პორიზონტში ასე შესახებდა.

ჰორიზონტის ტოპოსი ერთ-ერთი ცენტრალური მოდერნისტული დისკურსია. ნიცშე ჰორიზონტის გაქრობას ღმერთის სიკვდილს უკავშირებს, მაღვიჩი კი, აღკვეთილ მიმეზისს, და ახალი სამყაროს ქემმარინტი შემოქმედებისაკენ გასასვლელად სახაეს.

ჰორიზონტის გაქრობა სოც-არტის საყვარელი მოტივია. აპროპრიებული მოტივი. იგივე ერთკუბულატოვი თავის სურათში „ჰორიზონტი“, რომელიც პირველად ჟურნალ „აი ია“-ს („A-J“) №1-ში გამოქვეყნდა, აღადგენს კლა-სიკურ სამგანზომილებიან ილუზიას, იქვე სვამს კვაზისუბრეპატისტული ფორმის კიბვის ნიშნის ქვეშ, თანაც, ჰორიზონტის იმ ტოპოსში, ამ

ოპუსს ორგანზომილებიანად, სუპრემატულად რომ აქცევს (თუ მოაქცევს).

ბულატოვისეულ „ჰორიზონტში“ შინაარსობრივ დონეზე ორგანზომილებიანობა საბჭოურად ჩაცმულდასურულ, ზღვისპირიზონტის მიმართულენტიმომავალ „მოქალაქეებს“ მოძრაობის პერსპექტივას უზნობს. ორგანზომილებიან ნიშნებად აქცევს და სურათის სემიოტიკურ თამაშში ინტეგრირებითაა ზღუდავს. რუსული ავანგარდის სუპრემატული გეომეტრია „მეოთხე განზომილების“ ნაცვლად ასე ეხიარება სიბრტყეს, ანუ სიკვდილს და, საბოლოო ანგარიშით, იშიფრება, როგორც იდეოლოგიური ტექსტის ერთგანზომილებიანი სიბრტყეულობა. ანუ ისევე და ისევე, სიკვდილი...

ამხ. ჩხარტიშვილთან მაღვიჩის „შავი კვადრატის“ ერთგვარ ზონადაა რეპრეზენტირებული. აკრძალვის ნიშანი (X) და საკონცენტრაციო ბანაკის მავთულხლართებიც ამკვარი ზონარე სემიოზისის ემბლემებია. თუ ღრმად ჩაგზავდათ (ვინ ჩაგზავდაც, თორემ!), მაღვიჩი, ელემენტარულად, კრძალავს სივრცეს. ბულატოვისა არ იყოს, პირდაპირ, რევოლუციური დეკრეტი აუქმებს. მაგრამ, რაღა მოვათავსოთ სივრცის ადგომაც? სიბრტყე ხომ არაა?! არადა, იდეალური სივრცეზე აკოცივთაც რომ ვერ აცოცდები?

აი, ასე დაიწყო ომი მაღვიჩისა. ომი სიკვდილისა სიცოცხლის ნინაღმდეგ, ეს იყო სივრცის თანდათანობით დეველაციის გზა. დეველაციის... და ლეველაციისაც. პირველ ეტაპზე, სივრცეს სიღრმე წაართვეს: საგნად აქციეს. მეორე ეტაპზე სურათის ხდომილობაში მონაწილეობა აუკრძალეს: ხმის უფლება წაართვეს. და აი, მე-სამე ეტაპზე: სივრცის სრული აკრძალვა, ანუ არტისტული სივრცის სოციალური სივრცით ჩანაცვლება. ხელოვნებაში პირველად დასახა სოციუმში თავის საბოლოო ნიშნად. სოციუმმა კი, ხელოვნება მოკლა. აბა, რას უზამდა? კომუნისტურმა სოციუმმა ხელოვნებას უარესი ოინი უყო.

თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოსო, სოციუმშიც, კარგი რა არის, ავი, ანუ კომუნისტური რა იყოს?

რაც შეეხება ჩვენს თავადიშვილს, ბოლო დროს, იგი მაყურებელს სულ უფრო პროგრამულად უსახავს ალტერნატივას სურათის ტრადიციულ — სამგანზომილებიან და ავანგარდისტულ-ორგანზომილებიან რეცეფციებს შორის. ამგვარი ალტერნატივია კოდირებული ჩხარტიშვილის მიმეზისურ ფერწერულ სუიტაში „ნელინადის ოთხი დრო“ და მის ანტიმიმეზისურ-ავანგარდისტულ ინვარიანტი, სადაც ერთად და იგივე მოტივი („რუსთაფელი ეზო“) ჯერ კონსტრუქციულ მარაგად იმლება, შემდეგ კი, სუბიექტური ტრანსფორმაციის გზით მიიპარება მბისტრუქტულ რედუქციამდე.

მიმეზისურ „ოთხ დროში“ მხატვარი ფერწერულად მოგვითხრობს, ანწყო-წარსულის მონოტონურობისა და მონყენილობის შესახებ. თითოეულ ვიზუალურ რიგს კი, მისი ნიშან-სიმ-

ბოლოთი ასრულებს. ცდილობს, მოიძიოს თვით ავანგარდის პრაკულტურული ფორმები, მომავალში რომ უნდა განხორციელდეს. აი, ეს რეალური მომავალია (ანმყო-მომავალი?) მონოტონურის სფერო. იმ მონოტონურისა, რომელიც მხატვარს სიკვდილივით აშინებს, ანდა იმგვარ სიცოცხლესავით „სიკვდილს რომ ჰკავს და უარესია“. ახეთ „მკვდარ ქალაქად“ გარინდებული ჩხარტიშვილისეული „სოხუმი“ — ჯორჯოდეკი-რიკოს მეთაფიზიკური პეიზაჟების ეს უსიცოცხლო ლანდი. უსიცოცხლო და მოსაწყენიც...

ახე, მოსაწყენადვე მთავრდება ავანგარდის (და მოსტავანგარდის) პერროიკული ეპოპეა. მისნაცვლად კი, შემოდის ლიტერატურა; ლიტერატურა როგორც სტილიზაცია, ლიტერატურა როგორც სიმულაკრი, ლიტერატურა როგორც წმინდა ყოველდღიურობა (და წმინდა გულუბრყვილობაც). ოღონდ, ისეთი ყოველდღიურობა, ლიტერატურა ინერციით ყველაფერს რომ არ გამსჭვალულა ტოტალური იდეოლოგიური ტექსტით. ამიტომაცაა ოთარისეული „ხელიწადის ოთხი დრო“ ამბივალენტური და პეტორეკანური.

„შარშან ჩვენი სახლის წინ იდგა ოთხი აფთარი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, შემოდგომა!“

ოთარ ჩხარტიშვილის ფანჯრის წინაც იდგა ეს ოთხი აფთარი. არა მარტო კალენდარულ, არამედ იდეოლოგიურ დროთა სახითაც იდგა... ოთხივე აფთარი დრომ მოაშთო.

მოვა თუ არა მეხუთე აფთარი? ამ მეხუთე აფთარის ძიებაშია ახლა ჩვენი პოსტ-სოც-არტისტი — ეს „უდროობის იანიწარი“.

მაგრამ რა ხდება „ახლა“? არც არაფერი! ეპ, „რა საოცარი გასრულდა წლები!“ ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეს, ოთარი (მქუხარე ტაში)

P.S. კომარ & მელამიძმა 70-იანი წლების დასასრულში ფსევდოხელოვნებათმცოდნეობითი დისკურსით შეთხზეს მოთხრობა „A. შინიოვ“.

ამ თხზულების გმირი XVIII საუკუნის რუსი ყმა გლეხია, რომელიც უკვე იმხანად ხატავდა აბსტრაქტული ობუსების სერიას, სახელწოდებით — „Портреты Его Величества Ничто“. ესაა პირდაპირი მინიშნება მალევიჩის უსაგნო ხელოვნებაზე. ზიადლოვის ობუსები „სამეფო აკადემიამ“ შერისხა. თავად მხატვარმა კი, მას შემდეგ, რაც იგი აიძულეს აკადემიური ფერწერისათვის მოეკიდა ხელი, თავი ჩამოიხრჩო.

კომარ & მელამიძმა პარალელურად, მეორე მოთხრობაც შეთხზეს პატიოსან მხატვარ-რეალისტის ვენებზე, 20-იანი წლების ავანგარდისტებმა რომ დასთხარეს თვალები.

ოთარ ჩხარტიშვილმა ბევრ „რეალისტს“ დასთხარა თვალები.

ისიც ბევრჯერ აიძულეს „აკადემიურად“ ეხატა, მაგრამ თავი კი არ ჩამოუხრჩვია.

თავს არ მოიკლავს ოთარი, არა. ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს. მაგრამ სადღაა, ბრძოლა? ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ! (მქუხარე, გაბმული ტაში, ფეხზე ადგომით)

P.P.S. იყო დრო, როცა ოთარსაც სჯეროდა დასავლური კულტურის სებენდნიერი ხატისა; სჯეროდა და თეთრი შურითაც შურდა... დაიმსხვრა „რკინის ფარად“ და თავის წილ, ჩხარტიშვილმაც ინენია იმედგაცრუება — ის, რაც „სსრკ“-ში თავისუფალი ექსპერიმენტისა და სიხალისის განსხეულებად მიაჩნდათ, მის წინაშეც მონეწილობისა და მეტნაკლებად ყალბი იერარქიებისა და ცინიზმის უსულგულო სამყაროდ წარმისდგა.

და ისიც საკუთარ თავში ჩაეფლო, ისეე საგნებს, უკეთ: ნივთებს დაუბრუნდა; დაუბრუნდა და ჩაულრმავდა.

ბოლო ხანებში ბრონეულებიან ნატურმორტებს ჩაჰკირკიტებდა... იჯდა თავისი „კვერთხით“, მოღებურტთან და ხატავდა; მშვიდად, აუჩქარებლად წერდა ნეოკლასიკურ ობუსებს. თავისი ნებით...


ამ ნატურმორტების შემხედვარეს, წარმომიდგენია, თუ ნაბიჯ-ნაბიჯ, როგორ მიდიოდა სიკვდილისაკენ; თითოეულ მორიგ ბრონეულში კვდებოდა...

კვდებოდა, ყოველდღე კვდებოდა... დაბოლოს, გარდაიცვალა.

ერთი ბოლო ნატურმორტთაგანი, სუდარალური ნატურმორტი, მე ვიტყვოდი, ნატურმორტი — ავტორექვიემი სხვა არც მინახავს; და იქნებ, ვერც ვეღარასდროს ვნახო...

ეს იყო ნატურმორტი par excellence... ახე შევინანა სიკვდილში, „წინასწარ შერინანა“ და... უკან აღარ დაბრუნებულა.





დასა

კუსუს

რამკვიანი

მე გუშინ ისევ დავეციდე ოთახის ქაღებს, ეს სიკვდილია, მახსენდება ოდნავი რხევა. სარკის მინაზე აორთქლებულს ვუმზერდი სახეს, ჩემს პროცესიას, მეგობრებო, მოჰყევით ნელა! ჩვენს ქვიშის საათს ამოუშრა მუცელი ლუნი და ჟამი — ხვლიკი გადაიქცა მარადისობად. მთვარეს მოუკვდა მზის შობისას თენება უწინ და აღიონი პორიზონტზე ფრენას შიშობდა. ოცი ავაზა აფრენილი მოჰყვება კუბოს, დღე ფარშევანგის ბუმბულივით ამიპრიალდა, მაშ, ბოლო ვალსი, ბოლო ალტის სიმები უხმო? თუ, მუჟუგო, ვერესტზე დამავიანდა?! ბაირალები — სისხლისფერი თქვენ კალთები, ამ მოკვეთილი ბაგეებით რომ მიკოცნია, მე ვიცინავდი? ეს ცრუობდნენ ჩემი ნაკვთები,

ნუთუ, ერთხელაც ჩემს სახელზე არ გილოციათ? და თუ ასეა, მოილოცეთ ბოლოჯერ სული, ჰიმალაებზე რომ მიანდო სხეული ხრამებს, მაგრამ ცეცხლივით მზის ბუდეში შხიოდა გული და კვლავ ლესავდა საბოგინოდ ღრუბელი ქარებს. როცა გეძინათ სასათუმალზე სიზმრის ბელღებში, მე მაშინ ვნერდი „ევას“ და „ადამს“, „ზარების დონებს“, ვილაც ბაყაყი რომ ყნაოდა ნუხელ ლელეში, ოქროს გვირგვინით დღე მიგათრევთ, ვით მორჩილ მონებს. და ის საფანტი, ჩემს გულზე რომ მოსულა ნუშად, იყო გარდასვლა შემოდგომის თეთრი ღამესი დაღენილი მაქვს თვალის ჭრილში საცქერი მუშა და, სიყვარული, შენ ყოფილხარ ჩემი დანტესი. ღმერთო ძლიერო, არ ვყოფილვარ მე ბასტილია, არც მეგობრობა არ ყოფილა ჩემი ლალატი. მოდიო, დამხედეთ, ეს შაჯები გადახსნილია, თბილი „კინჭალით“ განვიხევენებ, როგორც მარატი. ამ რექვიემზე იზვიებებს, ალბათ, სიკვდილი და ეს იქნება ნელი ვარდნა, კვლავ ნამიერი. არ გამაგონოთ პარტიტურა ბოლო ტირილის თქვენში უწუმრად ცოცხალია პერ სალიერი. მოდიო, დამხედეთ, გარდაცვლილმა როგორ ვიბრძოლე, ნუ შეგაშინებთ თალხისფერი ჩემი სხეულის. მე არ მოემკვდარვარ, არ მოვეკვდარვარ, მხოლოდ ვიცოცხლე, ამოვებით არ მივსია სულის რვეული. ერთი ლეგატო, მავსტრო ნამის, ერთიც დამითემ ხნიერი ნოტი, ერთიც ვიცეკვოთ ყიზელი ღამის, შენ, შემოდგომავ, ვიცეკვოთ, მოდი! და მე დამკრძალეს შაბათის დილას, მზის ნიჭარიდან დღე მოცარებოდა და იქვე, ზესთან ეძინა მოცარტს, გაიღვიძეო? — მეკითხებოდა. ჩემს გვერდით უკვე არავინ იდგა, მხოლოდ ნა-ველი მითბობდა მუხლებს. აქ ტიცვიანი მომიჯდა დინჯად და მაჩვენებდა უფეხო ღრუბელს. კვლავ აფრენილა ავაზა ოცი, ფრინავენ არსად. ლამპიონები წყვილიადისკენ ილტივიან ჯარით. მე გავიღვიძებ, გპირდები, დედა, აუცილებლად, ღია დატოვე ჩემი სარკმლის მტვრიანი კარი. მე ნუხელ მოველ ვერცხლის წვიმად, მე მოველ თოვლით, თქვენ ისევ ყოფის ბორბლებს დასდევთ ლურჯ ბილიკებზე.

კვალე დაგვიწყდათ „moderato“,  
ტკივილი შორი,  
ისეე allegro თქვენს სისხლშია და  
თქვენს ღიმილზე.  
სარკის მინაზე აორთქლებულს  
ეუმზერდი სახეს,  
ჩემს პროცესიას, მეგობრებო,  
მოჰყევით ნელა,  
მე გუშინ ისეე დავეკიდე ოთახის ჭალებს,  
შენ გაცოცხლდები, მახსენებდა  
ოდნავი რხევა.

25.09.2003

**მზე ჩამოიხრჩო სხივებით თავი**

ეჰ! სული კალამს ისეე დასჯერდა  
ის გადამწვარი, ცხელი ხელებით.  
მელანში ჩაწექ მე კვლავ ასჯერ და  
ათიათასჯერ ნიღბის ფერებით...  
აქ ძელიდან ძელამდე გადაუჭიმავს,  
ობობასავით გულს ეს ქსელები  
და შენ იჯექი ტარანტულივით,  
ისე დაეძიმდი, ვეღარ გეღვივო,  
მიჯაჭვული ვარ მე ჩემს სარეცელს,  
თეთრი ოთახი გახდა საკანი  
და ვიცი, ღამე ხანჯალს დაეძებს,  
რომ გადამიჭრას სევდის ქაშარი...  
დამწვარი მთვარე ბუფტავს ღრუბლებზე,  
ხელებს ურტყამდა ჯებარებს ნვიძა...  
და ალიონის ცისფერ ღუმელზე,  
თითქოს ხარშავდნენ ქალაქის დილას...  
ისეე დაეყურებ ბებერ შენობებს,  
ნითება კვამლი დღეს ქუჩებიდან,  
მე დგინო ვასვი გუშინ დემონებს,  
მთვრალი გავეყარე სარკმელებიდან  
ჩვენ დიდხანს ეტჭობდით, რომ პოეზია,  
არის სიტყვების ოქროს ოლარი,  
მათ იგრძენეს ჩემს სულს ლექსი ესია,  
რომ ჩემს საყდარში არავინ არის,  
რომ ხან დარბაზებს მივეღვენები,  
რომ გაზაფხული ისეე გაიხსნას,  
სიბნელები, როგორც მხეცები  
ცდილობენ ცხელი ვენება დამიხსან.  
კვლავ დაეიმედურე ჭრელი ნიღაბი  
და ირონია შემრჩა კოჭრებად,  
ამიცახცახდა უცებ ნიკაბი  
და დაიფანტა ღამე ბოშებად...  
აჯანყებულან ჩემში რითები,  
სიცარიელე კვლავ ამომშრალა  
და ვიცი, ღამეე, ისეე ფთირდები,  
შენ ხომ სიბნელე გედედა ბრაღად.  
ახალი გლოვა მოფრინდა გრილი  
და თითქოს ზეცად მოვარდა შვავი,  
მე გაუეყინა უცებ ღიმილი,  
ჩემი სარკმლის წინ, მტვრიან ქალაქზე,  
მზემ ჩამოიხრჩო სხივებით თავი.  
და მეე ზოვე გვიდა სახეებს,  
ამ შემოდგომამ კვლავ რომ დაფანტა


და დავემსგავსეთ ისეე მარეკებს,  
ზეცას ენერა დიდად: „აღლამდა.“  
მეტების ძირას მტკვარი ბოდავდა  
და შიშით კლდეებს ეკიდებოდა,  
ნუთუ სინათლე, სხივი მოთავდა?  
ის ხიდებს ფიქრით ეკოთხებოდა.  
და ირწოდა მზე ჩამომხრჩავდა  
ვისი ბრაღია მისი სიკვდილი?  
ვისი ბრაღია, რომ წარიყალას,  
პირველად უნდა ქვებზე ტირილი?!  
და სული კალამს ისეე დასჯერდა  
ატყავებული, ცხელი ხელებით,  
მელანში ჩაწექ მე კვლავ ასჯერ და  
მივიყარე მინა ბელტებით.

10.02.2003

**ქუდავი**

მე ვყიდი ბილეთს საიქიომდე  
და მეთვრამეტედ მქეია სიკვდილი,  
ლოკომოტივი დღეს რომ კიოდეს,  
მზეს უნდა სული ჰქონდეს ათლილი.  
ვაგონი მისდევს უკულმად ვაგონს  
და რელსი ოხრავს სულ: გრაგან, გრაგან!  
ძილი კი უყვე ვეღარ სცნობს საწოლს,  
ბედი გაჰკივის სულ: რადგან...  
რადგან...  
მე ვაძლევ სულებს აღმასვლის ნებას,  
მათ ნაცრისფერი მოსავით ქუდეები,  
არვინ ამიშვლებს თავის თავს, კეფას  
და მისალმებას ერთი ვუნდები.  
ბაქანზე დგანან გარდასულები,  
ისე ამაყად, ლურჯი ტროსტებით,  
ირგვლივ სტეპია გადაპარსული,  
სულში კი შიში მღვრიე გრუნტებით.  
მოაბობს ქარებს მატარებელი  
და ვაგონები ღენავენ ერთურთს,  
დედა-ცამ თვისი დაკარგა ფერი  
და გზის სიშორე ქარავდა ფერხულს.  
თეთრმა ისრებმა გამორეკეს ქანქარებიდან  
უამის კაკუნი, სიახლოვე რუხი სიბერის,  
კვლავ გამოწოვეს ვერხვის რხევა  
ყრუ ქარებიდან  
და ზღვამ დაისის აიტება ფერწიციფერი.  
დედა დათვივით ჩანოვით ტყეში გვირაბი,  
სიცარიელე ერთადერთი მისი არს ბელი.  
ნისლით აავსო პლატფორმები,  
თითქოს, პირამდე...  
ჩამოდგა ლურჯი მაქიოს მატარებელი,  
ისეე ქუდეებით აივსო მტვერი,  
სადგური ისეე ნაცრისფრად სცოდავს,  
სულთ ჩარჩენილ ნარსულის უვერი  
და ნასახლარი ოცნების ოდა.  
აქ ზემო შარას აუყვანენ დინჯად,  
ქედმოუხრელი ყრუ მოსალმებით  
ბაგას ანვდიან შხამიან ფინჯანს,  
ხელებს იცვლიან ბაირალები.  
მიხორციებულან თმაზე ცილინდრნი,  
ენამ კი სასა დააკრო ზეცად,

ჭრისცხ



და დაბეჭდილი სახედ ღიმილი  
 ეგდო იერზე თვით მლოქვენელ მხეცად-  
 თითქოს ნაცრისფერ წვიმის წვეთებად  
 აღმასვლის გზაზე ყრიან ტლაპონი.  
 და მარტოობა მიწას ბელტებად  
 ყრის აღმაფრენის ლურჯ კანთონში.  
 დაღმასვლის ვინრო ღორღიან ბილიკს  
 მოაქვს იგივე „ზე“ ნაკადები,  
 აქ მშობიარე უფერო ტკივილს,  
 მოაყვება ჩვილი ტანჯვის ლანდები.  
 თითოეულის შუბლი გაშიშვლდა,  
 ქუდმა დაიდო ბინა უბეში  
 და წელის მოხრა უფრო გახშირდა,  
 გახდა მოქნილი არა უხეში.  
 მათ ელით ლურჯი სიკვდილის კუპე  
 და სულ სხვა ფერის ახლა ქუდები,  
 მარადისობა უწყვეტი, მსაყუე  
 მონოტონური ყამის ბრუნები.  
 რელსებთან ახლოს სდგოდა კოცონი,  
 ამოწეწილი ცრუ ნიღბებიდან.  
 იმატებს ფრთხილად გრაგანის ტონი,  
 აღაყაფები ცად იღებიან.  
 ღიმილი ბოლოფერ მხრად ადევს ნიკაპს,  
 სადღა არიან თავზე ქუდები?!  
 ორთქლმავალს სული უტყავოდ მიჰყავს  
 და ტოვებს ოხვრას არიდარუნების.  
 ხვალ ისევ ტროსტი მოვა ცილინდრით,  
 ვარდის ყვლეები, იაგუნდები,  
 სადგური სახელად — „თეთრი სიკვდილი“  
 კვლავ გაივსება რუხი ქუდებით.  
 კვლავ არ მიძღვნიან მე ბებერ საღამს  
 და ერთგულ სინდისს სცემენ კეტებით,  
 დაღმართში მომცემენ ხელთ მე ძმურ აღამს  
 რუნქუდანი ინტელიგენტები.  
 ბაქანზე ღამეა კვლავ ქორისფერი  
 და მარტოობა სახლში ბრუნდება...  
 სად არის ჩვენი გრძობათა რთველი?  
 შეიბზე ჩამოწვა ნისლი ქუდებად.  
 მე მინდა, დილით მზე არ მშობოდეს,  
 ჩქარა! დაიწვა ყოფის ფითილი,  
 მე ვყიდი ბილეთს საიქიომდე  
 და მეთვრამეტედ მქვია სიკვდილი.


31 აგვისტო 2003წ.  
 თბილისი

**მისტარ დორიან ბრაი**

მარადიული ფერით ნადული,  
 უცებ აეძახე ტიანშანს: პეი!  
 მიწა თეთრია თოვლის აღლუმით,  
 როგორც ჭაბუკი დორიან გრეი!  
 მე ზღვის ტალღებზე კვლავ ვაკაკუნებ,  
 პოსეიდონი არ მიღებს არკებს,  
 და ტყე ბებერი გალობს ფსალმუნებს,  
 ჩუმად ლოცულობს თვით ჩემი სარკეც.  
 ღრუბლის ცილაში მზე დახეთქილი  
 ჩემს მოხუც მკლავებს ძმრად ეღვინთება,  
 და გათენდება შუქდაფერთხილი,  
 სარკემელს მათრახით არ ეკვეთება.

არა, არ დამრა, არც ამაზონი  
 და არც ნილოსი ნებდება ნაპრალს,  
 პირამიდები თვისი ამბოროთი,  
 დამეს ატანენ ქურუმთა საფლავს.  
 გარდაცვალებას ჰპოვებს ამონი,  
 სილას გაანწის არარაობა.  
 დაცხრება ნეშტი ტუტენსამონის,  
 ფაშებს არ ვახლიჩავს მოსვლის თაობა.  
 ფაშეც დაბერდა, მოხუცდა კანიც,  
 და ბოლო დღეებს საათი ჩეხავს,  
 ხმელია უკვე ანი და ბანი,  
 ზღვა მომკვდავი, ზღვა ირმისფეხა.  
 მე ვეფერები შენს ხელეთა გამხმარს,  
 ოდესღაც ბაგეს, გადებ უანგიანს,  
 ვგავარ ცარიელ, ასავსებ ქალღდს,  
 ხვალ ცოლად მომყავს მე ნოსტალგია.  
 ჭრიალით ბრუნავს ქარის ნისქვილი,  
 სადაც თვით ზეესი  
 თეთრ ღრუბლებს ფეჭავდა,  
 ჩვენი ცხოვრება არის პასკვილი,  
 რომელიც ასე სიცოცხლეს ჰგავდა.  
 და პოეზია მარად ჭაბუკი,  
 ისევ რითმათა თეთრი ქორია,  
 მე ვარ პორტრეტი გულჩამოჭრილი,  
 ჩემი პორტრეტი მოგავს დორიანს.  
 მე ხელთ მიპყრია თვით წვიმის ტროსტი,  
 ქართი ნაკერი ლურჯი ცილინდრი,  
 თან მომდევს ჩემი ტკივილის ნოტი,  
 ნამუხის ჩუმი, მჭრელი სიცილი.  
 სული ჩაინთქა მიწის სათლელში,  
 და დახერხილი მორების მსგავსად  
 განგს, ბუდას დიდი მიაქვს სათქმელი  
 და ტაჯ-მამალი პლუტონზე ასვა.  
 კედელს დაეჭიმე ჯოკონდას სახე,  
 ძველი ცრემლების გაფფურჩქნე ქისა,  
 გამხმარი ჩარჩო მე მისი ვნახე,  
 ბლაოდა ჰანგით: ეჰ! მონა — ლიზა!  
 კოლხეთის ოქროსფერი ჭალები  
 ბოლოჯერ თმობდნენ სიოსთვის სხეულს,  
 ბოლოჯერ უჩანს მკერდზე ხალები  
 ვარდის კოკრებს, ეკლებზე ხეულს.  
 ჭალარა მამალი ალიონს უყვფს,  
 დღეს დუელია დღისა და ღამის.  
 მზე ელოდება თავის შვილს უძღვებს,  
 და მთვარე მოდის კვლავ სეკუნდანტი.  
 მან დამბაჩათა გამალა ყუთი  
 და გაისროლა ხმამალა: პეი!  
 მიწა გათეთრდა, თვით თეთრი სისხლით,  
 მიწა თეთრია, თოვლივით თეთრი, —  
 მითხრა სიკვდილმა მარადჭაბუკმა,  
 მარადჭაბუკმა  
 დორიან  
 გრეიმ.

22.07.2003  
 წყნეთი



# კოორდირებული მსჯელობა

## ვახსენოთ, ვეთხილე ქება...

ვადღევრძელებდეთ ცოცხლებსა,  
მკვდრისა ვთქვათ შესანდობარი!  
ვაჭა-ფშაველა

შვილის აღზევებისა და დიდების დღეებში ვახსენოთ მამაც, ვინც შვა ძე შესადარი რჩეულთა... ვახსენოთ მღვდელი პავლე რაზიკაშვილი, ჩამომავალი წარმართ ფშაველთა: რაზიკასი, ქუშხისა, იმედასი, ბეროსი, გივისა; — ვისაც ყავდა ძმები ნადირა და ბოიგარი, ვინც ვამარავლა რაზიკაანთ გვარი და შვა ერთი ასული მართა და ხუთი ძე — გიორგი, ლუკა, ნიკო, თედო, სანდრო.

ვახსენოთ იგი, ვინც ბალღობიდანვე უღელში შებავს, ჯერ ხბორებში გაავდეს, მერე ძროხაში, მერე ცხვარში... მერე გუთნისდუღობა დაანწყებინეს. რომ გაიბრძოლა და სწავლით გლეხობის მიძიმე უღლის გადაგდება მოინდომა, ფშავის ხევისბერმა და კითხვა-ქადაგებმა დეენა დაუნყეს, სწავლა მამა-პაპით არ მოგვედგამსო, „ჩვენი სალოცავი ხატები არა ყაბულობენ სწავლასო“. „წიგნის მიმდევარი კაცი ჩვენს ჩვეულებასზედ ხელს იღებსო და არც ჩვენს ხატებს ინამებსო...“ რომ არ დაემორჩილა, ხან მოიკვეთეს,

ხან მამამ თოფით მოკვლა დაუპირა, სოფელი აუყაყანდა, სცემდნენ, ლანძღავდნენ, სწყევლიდნენ.

ვახსენოთ იგი, ვინც არ დაემორჩილა შერვეინებას, დევნას, უკვე კარგად დაფაქვაცებულმა გააკეთა ლილის მელანი, გააკეთა ორბის ფრთის კალამი და დაჯდა წერად. ქალაღდი არ შქონდა. წერდა ხარის ბეჭზე და სიპებზე.

„და ვიყავი ტანჯვამი და არსად წიგნები საკითხავი“.\*

არ შქონდა საკითხავი წიგნები.

არ შქონდა ქალაღდი.

არ შქონდა მელანი და კალამი.

გაკეთა ლილის მელანი და ორბის ფრთის კალამი.

ორბის ფრთის კალამი, — რაზიკაანთ ლერბი!

რაზიკაანთ საგვარეულო ლერბი პავლე რაზიკაშვილმა შექმნა. ამ ლერბზე ამაყი ორბის ფრთა შრიალებს. ამ ლერბზე სწერია: „არ ვარგა ისეთი კაცი, რომლის არც ვინ გაჩენა გაიგო და არც ვინ სიკვდილი!“

ვახსენოთ ნებისყოფა ჭაბუკისა, ვინც ორბის ფრთის კალამს ანობდა ლილის მელანში და ამ სიტყვებს წერდა... წერდა ხარის ბეჭზე და სიპებზე.

მერე და როგორ ისწავლა წერა-კითხვა!

„მახლობლად ერთი განაყოფი მამის ბიძის შვილი მყვანდა, ხშირად იმასთან დაედოდი, იმასაც საქმე რომ აღარაფერი ექნებოდა, თავის კოლოფებს გადმოიღებდა, რომელშიც შენახული შქონდა ხელთნაწერი წერილმანი ბარათები და დაუნყებდა კითხვას“.

ამ კაცს წერა-კითხვა ესწავლა მღვდლისგან, რომელიც მათთან ბინად მდგარიყო... ის რომ კითხვას დაიწყებდა და, აასოებს რაღაცას ალაპარაკებდა, უნიგნური ჭაბუკი გაცოცხლებული უსმენდა და გულში ფიქრობდა: „ეს რო არ ვისწავლო, არ შეიძლება“; ეხვეწებოდა „მასწავლე, როგორ გაიმბობს ეს უბრალო ქალაღდი“-ო.

მერე, თავი რომ მოაბეზრა, იმ კაცმა „მოძებნა და იპოვნა ანბანი და უფალო ძველებური“, დაანყებინა ანბანი.

გუთნით ქება იმ უსახელო რაზიკაშვილსაც, ვინც იყო პირველი მასწავლებელი სახელოვანი ვაჟას მამისა, ვინც პირველმა გაუხსნა ცა ცნობისმოყვარე ჭაბუკს.

მასწავლებლის ამაგი წყალში არ გადაუყრიათ. მაღლორ მონაფეს შესანიშნავი ჰონორარი მიუძღვნია დედა-ენის მასწავლებლისათვის:

„ავიღე და ერთი ნაწიფარი ტყავის ქუდი მქონდა, ის ვარუქე“.

როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, ეს უცნაური მოსწავლე უკვე დაოჯახებული ყოფილა, როცა

\* აქც და შემდეგაც პავლე რაზიკაშვილის სიტყვები მოყვანილია მისი ავტობიოგრაფიიდან, სოლ. ყუბანეშვილი, ვაჭა-ფშაველა 1937წ.

ანბანის შესწავლისათვის ხელი მოუკიდა და თავისი საქორწილო „ნანეფარი“ ქუდიც კი გაუშვებია საჩუქრად.

ამის შემდეგ „ასობმა“ პავლესაც დაუწყეს „ლაპარაკი“ და „ანბობა“. მან სწრაფად გაიკაფა სწავლის ბარდნიანი გზა და შესანიშნავი მწიგნობარი დადგა. აი რას წერდა მის შესახებ უკვე სახელოვანი ვაჟა:

„...ეს პატარა ტანის კაცი განხორციელებული მხნეობა, ენერგია იყო, ამასთანავე იშვიათი ნიჭის პატრონი, ორატორი, ცნობისმოყვარე და მწიგნობარი, გარდა სასულიეროსი, ქართულ ენაზე წიგნი არ მოიპოვეოდა, იმას არ შეეძლო, არ წაეკითხა. დღე და ღამეს, რომ იტყვიან, ასწორებდა, არ იცოდა, ძილი რა იყო“.

თავის მოგონებებში მამის შესახებ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ეთნოგრაფი, ხალხური ლექსების შემკრები და შესანიშნავი კომენტატორი თედო რაზიკაშვილი წერდა:

„მამაჩემი... ახირებული მოყვარული იყო სამშობლო ქვეყნისა და მისი მწიგნობრობისა... აღმერთებდა საქართველოს, იმისი სამსახური ყველაზე უდიდეს მოვალეობად მიაჩნდა“.

ამავე უნერგავდა შეილებს. ალტაცებით ესაუბრებოდა პატარებს საქართველოს წარსულზე, ისტორიულ გმირებზე: განსაკუთრებით დავით აღმაშენებელი პყვარებია.

„იცი, დავით აღმაშენებელს წიგნების კითხვა როგორ უყვარდა: ნადირობის დროსაც კი, არ ვიტყვი ლაშქრობაში, როცა სადმე მოსარეკეში გემზე იდგა და ნადირს უცდიდა, ცალ ხელში წიგნი ეჭირა და მეორეში მშვილდისარიო“.

ვაჟას ცნობით, უცხოელთაგან ნაპოლეონი, გამბეტა და ვიქტორ ჰოუგო იწვევდა ჩარგლის მცირე ეკლესიის მღვდლის ალტაცებს: აი, რა შესანიშნავი რამ უთქვამს დიდი ადამიანების ცხოვრებით გატაცებულ მამას შეილებისათვის:

„ნაპოლეონო, სადღაც ყურნალში წამიკითხავს, როცა ფიქრობდა, თითქოს ვახურებული ლუმელი ყოფილიყოს, ისე ძალმური ასდიოდა სახეზეო. აი, სად იხატება ძალა ნიჭისა და ადამიანისაო...“

ბუნებით მტკიცეს და მართალ კაცს დიდ ადამიანშიც სწორედ ეს თვისებები მოსწონდა თურმე.

„ერთხელ პარლამენტში ვიქტორ ჰოუგო სიტყვას ამბობდა და მთელმა პარლამენტმა დაუყვირა: „გაჩუშდიო!“ — თქვენ გაჩუშდით. — მიუჯო ჰოუგომ და განაგრძო თავის სიტყვა, — არა გაქვთ ნება ბოლომდის არ მოისმინოთ ჩემი სიტყვაო... მართალიც არის, არ შეიძლება მთელი პარლამენტის ტყუას ერთი კაცის ტყუა სჯობდეს? სოფელი ვინ? ერთი კაცო, ნათქვამია“.

ამის შემდეგ ეშში შესულ მამას ასეთი სიტყვები გაუგონებია შეილებისათვის:

„ა, ბეჩავ, კაცი! აი ამისთანა ბოღრა უნდა გაზარდოს დედამ!“

ეს გულიდანამოყარდნილიალაღიწატყარაღაც ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ შეუსრულდა პავლე რაზიკაშვილს. მისი შეილის სამწერლო სარბილზე გამოჩენდა პოეზიის სამართლიან მსაჯულთა გული შესძრა და გააზარა.

პირველი მათ შორის ილია ქაჭკაქაძე იყო. მან მამიწვე იგრძნო ამ ბოღრა ფშაველის ძალა და მისი ძლიერი არწივეული ფრთების შრიალი გაიგონა.

ვახსენოთ დიდი ილია ქაჭკაქაძეც, ვინც პირველმა გაუღიმა ფშავის მთებიდან თბილისში ჩამოსულ ლომს, ვინც პირველმა დასდო ფასი ფშაველი ვაჟის ჩამოტანულ ხურჯინს, პირი გაუსხნა და ოქროს მძიმე ზოდური ამოაღვა... დააქაშნიკა ვაჟას ლექსი და გაოცდა... თავისას ეჭვით შეხედა.



რაზიკაშვილები

\*\*\*

რაზიკას, ქუმსის, იმედას, ბეროს და გივის ნაშიერებს მამამაპასავეთ თხის ტყავი ეცვათ. ვისაც არ უქონდა, პატარა პავლესავით იმას შენატროდა, „ვისაც თხის ტყავი ეცვა“. თხის-ტყავიან რაზიკაშვილებს ბავშვობიდანვე ესმოდათ უფროსების დარიგება: „ვაჟაკობას ორის ხელით ჭერა უნდაო“. ამის დასტურად ხელში კაჟიანი თოფი ეჭირათ, ნადირის კვალზე დადიოდნენ და თავათაც მგლის ლეკუებით იზრდებოდნენ.

პავლე რაზიკაშვილს შესანიშნავად აქვს აღწერილი თავისი ბავშვობა.

საოცარია, მაგრამ უნდა ითქვას: გარსევან ქაჭკაქაძეს, დიმიტრი ორბელიანს, მელიტონ ბარათაშვილს, მიხეილ ყაზბეგს, როსტომ წერეთელს, გრიგოლ ქაჭკაქაძეს, რამდენადაც ვიცით, მემუარები და მოგონებები არ დაუტოვებიათ. ამ მხრივ ფშავის მიყრუებული სოფლის მღვდელს პავლე რაზიკაშვილს ზემოთ ჩამოთვლილი ფრიად განათლებული, დიდგვაროვანი მშობლები მხარს ვერ დაუშვენიებენ. პავლე რაზიკაშვილის კალამს ეკუთვნის ფართო გეგმით დაწყებული, მაგრამ დაუმთავრებელი „მოკლე მოთხრობა ჩემი წინაპართ ჩამომავლობაზედ, მათ ზნეჩვეულებაზედ“. ეს მოთხრობა ძვირფასი განძია ვაჟას სამყაროს

შესასწავლად. პატარა, მაგრამ ტყევადი მრავალისმთქმელი.



ვაჭა-ფშაველა და შვილი ლევანი

\*\*\*

დედა „ზაკუშკად“ პურებს მისცემდა და ეტყოდა სადილობამდე ეს იკმაეთო.

უფროსები ნანადირევს თუ შინ დაკლულ საკლავს „მბილს“ გამოსჭირდნენ, ჩაამარილებდნენ და გაზაფხულამდე ხმარობდნენ სახინკლედ და საქაედ. „მბილი“ ხორცი გაზაფხულამდე არ იკმავებდა, ამიტომ საქონლის ძელებს ახმობდნენ და ინახავდნენ, რომ მერე მოეხარშათ და მისი წვენი ეხვრიათ.

ხევებში შემწყვედული ფშაველების საქმელების ასორტიმენტი მრავალფეროვანი ყოფილა. მათთვის ალბათ მოსაწყენი და მოყირჭებული საქმელები დღევანდელი კაცისთვის ეკზოტიკური და მაღისაღმძვრელია. მათი სახელების მხოლოდ ჩამოთვლაც კი გვაგრძნობინებს უცნაურ, ველურ არომატს.

ერბოს ქადა, რძის შეჭამადი, წყალ-კვრცხი, კანაფის ქუშელი, ნივრისა, ნიგზისა და ხახვის ხინკალი. ღოღოს შეჭამადი, გარეული პიტნისა და ქონდრისა, ბავლისა, ბარდა-ცერცვისა... მახოხი: „დამაჟულს პურის დედას წყალში გახსნიან და ააულებენ, ნიორს უზმენ“).

ვახსენით ფშაველი ქალები, პავლე დედა და მეუღლე, ვაჟას დიდედა და დედა... ისინი უცხოებდნენ რაზიკაანთ ვაჟებს ხაცრიან ხშიადს, დილით მისცემდნენ და ეტყოდნენ, სადილობამდის „იკმავეთო“, ისინი უცხოებდნენ ხორციან ქადას, უხარმავდნენ ხინკალს, ხარის გამხმარ ძელებს, უყვებოდნენ უცნაურ სიზმრებს რაზიკაანთ ბიჭებს, გმირულ ლექებს ასწავლიდნენ.

ვუთხრათ ქება ვაჟას დედას — ფიკლიაანთ ქალს!

მისი კეთილი გული გამოჰყვა ვაჟას ქართულს, მისი გვარის ნიჭი ამღერდა ვაჟას ლექსებში. ვაჟა ხომ აშობოს, ღვიძლი ბიძა დედა-ჩემისა პარასკევა მოლექსე იყო ფშავეში, დღესაც ყველა იმის პანგზე ლექსობსო.

ვახსენით სხლოენელი პარასკევაც, ღარიბი, მაგრამ სიტყვამდიდარი, მზიარული ფშაველი. იქნებ მისი ნიჭის ძალაც დაემატა რაზიკაანთ ვაჟკაცურ ხმას და მერე ვაჟას სიტყვაში გახშიანდა.

ვინ იცის, გული რამდენჯერ გაუგრილებია პარასკევას მზიარული ლექსებით ვაჟას. ვინ იცის, რამდენჯერ დაუშლერებია ფანდურზე პარასკევას მშენიერი ლექსი:

ყვინიანთი არა ვარ, გავიხედო სარკეშია,  
ზუმბეტ თუშან ცხენში მივცე,  
თორმეტ თუშან სარტყელშია,  
რვა თუშანი სარტყელშია,  
წელზე შემოსარტყმელშია,  
სამ მანათი ბეჭედშია,  
თითზე შამოსაცმელშია,  
უკვენ რალა მივიფარო,  
ამ ვალეებით საესეშია!

\*\*\*

გაზაფხულობით, ზაფხულობით და შემოდგომით ველური ბუნება ეშველებოდა ფშაველ ქალებს: ჩნდებოდა ტყემალი, მარწყვი, ყოლო... ტყის ხილი: მაჭალო, შვინდი, თამელი, ზღმარტილი (თრთვილი რომ დაჰკრავს, მერე) ღოღონში, ცირცელი.

პირქუშ, ერთფეროვან ცხოვრებას დღეობები ახალისებდა. ქრისტიანულ დღეობებს ნარმართული ცერია: „მგელთ-უქში“. ამ უქმის წინაღამეს: მგელთ კვერებს დააცხოებენ, მორეს დღეს უნდა ისრებით დაკოდონ პატარა ბიჭებმა.

„მგელთ კვერებს“ სანიშნოდ დაამწკრივებდნენ და ესროდნენ.

ამ ნარმართულ სპორტს მოხუცი ფშაველი ხელმძღვანელობდა. მას გამახარე ერქვა.

გამახარე „პატარა ბიჭებს“ ლეკვებივით ნერთინოდა, თავისებური ოსტატი და მასწავლებელი ყოფილა მათი. გონებას უხსნიდა და ჯანს უმაგრებდა. თხილებს ათვლევინებდა და „არ-ფმეტკას“ თავისებურად ასწავლიდა ტყაუჭებში გამოხვეულ ვაჟებს. აჭიდაგებდა, ქუდა ატაცებინებდა, ერთმანეთს უსევდა, აჩუბებდა... აჩუბებდა ხის ხმლებით და ქუდებს აფარებინებდა ფარის მავივრად. მერე ყოჩაღებს აუჯიღვებდა.

თუ ვინმე უბირი ფშაველი დასძრახავდა და ეტყოდა, გამახარე, რას ჩამჯდახარ ამ ყმანვილებშიო, ეტყოდა:

„მე მიყვარს ყმანვილები იმისათვის, რომ ჩემი სიტყვების გაგრძელებას იმათში ვხედავ, ჩვენ მოკვდებით და ეგენი დარჩებიან... ეგენი არიან ჩვენი გადახალისებული სისხლ—ხორცინი, სხვას ყალიბში ჩაშობხმულნი, მაგათში გა-

დადის ჩენი გრძნობა, ჩენი ხედვა და სმენა. ჩენა ვართ ძირნი და ეგენი რტონი".

ვახსენოთ, ვუთხრათ ქება ამ სიტყვების მთქმელს, ფშაველი ვაჟების მწვრთნელსა და ოსტატს გამახარეს, მისმა სიყვარულმა გამოყოფნა ვაჟის ძარღვებში. გამახარე მართლაც ძირი იყო და ვაჟა — რტო.

ვუთხრათ ქება პავლე რაზიკაშვილს, ვინც გულით ატარა ეს სიტყვები, შემდეგ ასე ლამაზად ჩაწერა თავის მოგონებაში და შთამომავლობას არ დაუკარგა.

იქნებ ამგვარად არც უთქვამს გამახარეს ეს სიტყვები. პო, რა თქმა უნდა, ალბათ, სხვანაირად იტყოდა, ამგვარად პავლემ თქვა. საქმეც ის არის, რომ თქვა და ჩვენამდის მოვიდა თავისი სინათლით და სიღრმით.

ვაჟამ მოიტანა. ვაჟას გამოჰყვა გამახარეს გრძნობა, ხედვა, სმენა.

ვაჟამ იგრძნო გამახარეს საგრძნობი, მისი გულსტიკილი, დაინახა მისი დასანახი და გაიგონა გასაგონი.

ვაჟას თვალებიდან გამახარე იყურება, ვაჟას ხმაში გამახარეს ხმა ისმის, ამიტომ აქვს ძალა, წარმართი ვაჟკაცის ძალა მის ნათქვამს.

რამდენი სურათია გაცოცხლებული ამ პატარა მოგონებაში!

კვიმატი თვალის დანახული მახვილ ხსოვნას შეუნახავს, ნათელ სიტყვას დაუხატავს:

ისეთი თავმოყვარე იყო, თუ ხარი გაიმტკრევედა (აჯობებდა), ითაკილებდა და სუ დააგდებდა იმ არემარესა, თითქმის ერთს თვემდინ ველარ მოვიყვანდიო. მაგრამ მაინც მტრის ჯაერს არ შესჭამდა, მანამდი ებრძოდა, მანამ არ გატყნდა".

ამ „თავმოყვარე“ კურატს, მთის ზვიადი ბუნების ჯიუტ შვილს „უყვარდა ისა, რომ ხარებს მისი ხათრი ქონიყო. მხოლეულა ხარებთან მივიდოდა, ვინც თავისთავად ადგებოდა, ხო კარგი, თუ არა და, ანიშნებდა, თუ არ ადგები, ძალით აგაყენებო. იმათ ნაწოლში თეთით დანებებოდა".

კურატი მარტო ხარებს კი არა, პატრონსაც უნებინებდებოდა თურმე და დაფასებას სთხოვდა: „ხარებში ჩადგებოდა, რაღაცით ანიშნებდა და ყველანი მოეხევიდნენ. ზოგი კისერზე ლოკდა, ზოგი ფერდებში და ზოგი თავ-ყურში. მერე ახლა ჩემთან მოვიდოდა, მეც რქებს მიჩვენებდა. დამფხანო და დაფხანდი, შავაქებდი, კარგი ბიჭი ხარ, ყველას ერევიო".

მთები, ვაჟას მთები როგორ აქვს დანახული ვაჟას მამას!

ახუნის მალალ მწვერვალიდან დასცქერის მის წინ გაშლილ საქართველოს, ლეკისა და თუშეთის მთებს, ყაზბეგსა და გერგეტს. ხევსურეთისა და ქისტეთის მთებს.

„მართლაც და დიდი სასიამოვნო და მასთან გასაოცარი სურათია მათი ცქერა. ერთმანეთზედ მიყრილი ხერგივითა, ზოგი ცისაკე აღმართულია, იტყვის კაცი, თითქოს ცას ხელს აწვდისო, ზოგი წვერმონგრეულს ციხეს წარმოგიდგენს, ზოგი ერთმანეთს მიყუდებია, ზოგი ჯვარედინად გადახლართულა. მშვენიერს ღელეში ნავარდობენ აჯინის ჯოგები და გაუდის სამინელი ჭიხინი აჯილღებსა, ხარები ზმოიან, კურატები კივიან"...

ფრინველები, ვაჟას ფრინველები, აი როგორ დაუნახავს ვაჟას მამას:

„შავარდენი და ქორი ჩაეშვება ხეებში საშინელის მხრების შხულით, ქარიშხალივითა. არნივები ნავარდობენ შავრშია. ცასნავალა დაულალავად ადის და ჩამოდის მშვენიერის მღერით... მოისმის მონადირის თოფის ხმა... ყაჟირები და ორბები ირევიან და დაეძებენ ლეშსა. ყორანი გაადივლის მხრების ტყალაშინით და ყრანტალით".

ვაზაფხული, მთის ვაზაფხული...

„...განახევრდებოდა აპრილი. ჩირთი შემოწინდებოდა. ყველა ხეხილები აყვავდებოდა ტყეებში. ია ბურქის ძირებში აწინდებოდა... გუგულის კაბა, პირიმზე, ბალახი ნითელი, დაღლაში, კენკეშა, და აი დუციც მოვიდოდა, მშვენიერი გვირილა, ყოველი, რომლისასაც გვირგვინებსა ვენახდით".

ამ პოეტური სტრიქონების ავტორმა სიტაბუ-



სანდრო რაზიკაშვილი

„ბუღების ჭიდაობა მიყვარდა, მათ ვაჭიდებდი. ერთი შესანიშნავი ხასიათის კურატი მყვანდა... რომელიც თითქოს კაცის გონს იჩენდა,

კე ცხვარსა და მწყემსობაში გაატარა. ღია ცის ქვეშ, თავსხმაში, ღამით ღვიძილში, დღისით ძილ-ღვიძილში, თავი საკუთარ მკლავზე ედო, რადგან „მეცხვარეს უფრო ხშირად პირქვე წოლა უყვარს, მკლავებზედ, და უფრო დღისით. რომ მზე არ დაადგეს“.

ამ მოეტური სტრიქონების ავტორმა ერთხელ თავის უფროს ძმას ბეროს, რომელსაც „საკაცო კაცს“ ეძახდა და დიდ პატივს სცემდა, გაფაერებულმა შეუღრინა და საცემრად მიიწინა, საცემრად მიიწინა ჯანაია გოლიათზე, რომელსაც აზარი სამჯერ ჰქონია ათავებული“ და თოფიც სამჯერ ჰქონია მიწაში დამარხული. აზარის ათავებე კი ასი ნადირის მოკვლას ნიშნავს. „ვინც ას ნადირს მოკლავდა, თოფი მიწაში უნდა დაემარხა სამი დღის განმავლობაში, ვითომც ცოდვების გასანმენდად“.

„სამი აზარის ამთავებელ“ ბეროს, რომელსაც მეორე წარმართული სახელიც ერქვა — ბოიგარი, ჭირეული ძმის მორჯულება ვერ მოუხერხებია, მისი რიდი მუდამ ჰქონია. მას პავლეს მომჩივანებისათვის ასე უთქვამს: „ჩემთანაც ეგეთი არის, შიშით ხმა ვერ ამომიღიავო. იმ დღესაც ერთს პატარა საქმეზედ, ბატკნის ნოვებაში, ბატანს ფეხები დასტაცა და იმით მცეპავო“.

ჩარგლის მცირე ეკლესიის ამ უცნაურ მღვდელს, ვინც ფშაველებსა და ხევსურებს თავის დარიგებაში სათნოებასა და სიმშვიდეს უქადაგებდა, სიჭაბუკეში ხელზე „ზალტის საცერული“ ეკეთა და თავს არავის აჩაგვრინებდა. ეჯიბრებოდა არა მარტო ტოლებს, გარდასულ გმირთა ტოლობაზეც ოცნებობდა.

„ჩემი თავი წარმოდგენილი მყავდა ძველებურ გმირად“ ეს მისი მისაბაძი ძველებური გმირი ბეკი ბეკურაული ყოფილა. ამ გმირს ფშავისა და ხევსურეთის წყლების შესაყარში, ორწყალში, თავისი ფარხმალი ხეზე შეუკიდია და უთქვამს: ვინც ბიჭია, ამას ჩამაიღებსო. თვითონ თვალს მოპფარებია. ბეკის ფარხმალს შიშით ვერაფერს გაჰქარებია.

ძველი გმირის სახელით გატაცებულ ჭაბუკ პავლეს ერთხელ ახალი ტყავი და ნაბადი ბურქზე შეუკიდია, და ბეკი ბეკურაულის სიტყვებიც უთქვამს, მაგრამ დახეთ ბედის უკუღმართობას — „ბეკის ფარხმალი უარს ბეკს ჩამეღო და დაეჭრა მარტო ჩოხის ამარს“.

იმ დღეს, როგორც თვითონ ამბობს, საშინელი ხომკაკალა წამოსულა.

\*\*\*

ოჯახში ზოგი ერისათვის იბადება, ზოგი თავისთვის. როცა პავლეს ოჯახს გონების თვალთ გაგზავდათ, დაერწმუნდებით, რომ ამ დიდ ოჯახში ერისათვის, სახალხო საქმისათვის დაბადებულნი სჭარბობდნენ.

რანიკანთ დიდ ოჯახში ყველა მღეროდა, ყველა ლექსობდა, ყველა წერდა. ზოგი თავისას მღეროდა, ზოგი ვაჟას ლექსს ამღერებდა,



მისა რანიკაშვილი

ზოგი ხალხის ნათქვამს იწერდა და ხალხსევე უბრუნებდა.

ლექსი იყო რანიკანთ ფუძის ანგელოსი და ოჯახის უფალი. ლექსი და შრომა დაპატრონებოდა ამ ოჯახს.

სოფტი ფუტკარს ვაშმაგავსე, შრომა არ მოეწყინებაო, ამბობდა ოჯახის უფროსი და შვილებს მაგალითის აძლევდა. ვაჟას დას — მართასაც უყვარდა ლექსი და ფანდურზე ამღერებდა:

ა იმ მთასა, თოვლიანსა, ზედა მენამც ვადაშკიდა ზედაშე მოთვდა, ზედაშე მწვინდა, ზედაც ნაქარს მამაყრიდა, ხელში მამცა ჭრელი გველი, შავი ყელსამც ჩამაშკიდა, — ყველა ამას გაუძლებდი, — ავსა ქმარსამც არ ამკიდა.

იქვე, მის წინ, საშფეხაზე თედო იჯდა, დის ნათქვამს იმეორებდა და იწერდა, ბაჩანაც იქვე იჯდა, კუნძზე, და ფანდურის ხმას თავის ლექსს აყოლებდა. ვაჟა მოშორებული იდგა, როგორც რტოვგამილი მუზა თავზე ადგა და-ძმებს, მათ სიმღერას უსმენდა და ილიმებოდა.

ვითხრათ ქება ვაჟას დედმამიშვილებსაც, ვახსენით ისინიც ძმათა შორის რჩეულის აღზევებისა და ადიდების დღეებში, ისინი ხომ ვაჟას დიდმა ჩრდილმა დაფარა... დაფარა და გამოაჩინა კიდევ.

კარგად უთქვამთ: ძმათა ერთია სახელი... მაგრამ ვაჟას სახელი მანც სხვა არის. არა მარტო ძმათა შორის, ბევრ სხვათა შორისაც მხოლოდ ვაჟას შეუძლია თქვას:

„მე მინავს და გული ჩემი მღვიძარ არს“... მღვიძარ არს საუკუნოდ...



შესვენდრა მაქსიმ გორკთან მწერალთა კავშირის ბაღში. 30-იანი წლები... გ. ტაბიძე, ე. კალაძე, მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, შ. რადიანი, გ. ქუჩიშვილი, ნ. მინიშვილი, ს. ჩიქოვანი, მ. ორახელაშვილი, ს. შანშიაშვილი და სხვები.

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვეწიოთ!

### ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება „სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში საქართველოს მასშტაბით; ხოლო თბილისში რუსთაველის №31, „სახალხო ბანკი“, მთაწმინდა №2 სერვის-ცენტრი.

3 თვით 9ლ.  
6 თვით 18ლ.

ჟურნალის გამოწერა ასევე შესაძლებელია სს „მაცნეს“ პუნქტებში.


„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ!

---

#### კომპიუტერული უზრუნველყოფა:

თამარ ქიტუაშვილი  
ნინო აფრიაშვილი  
გეგა ქუთათელაძე  
რედაქციის მისამართი:  
რუსთაველის გამზ. 42

ტელ.: (+995 32) 93 18 69; (+995 99) 25 60 14.  
E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge



„ფეხმძიმობა“

ოთარ ჩხარტიშვილი



ჩემი ეზო. „ზამთარი“



ჩემი ეზო. „გაზაფხული“



„ჩარჩო“



ჩემი ეზო. „ზაფხული“

